

ანა ბაბლუანი

სვანური ზღაპრის სტაბილური
ფრაზეოლოგიური გამონათქვამები

თბილისი
2009

რედაქტორი: იზა ჩანტლაძე

რეცენზენტები: თეიმურაზ ქუნდოვანიძე
ელისაბედ გაზდელიანი

მხატვარი: ბენო ბაბლუანი

ISBN 978-9941-0-1973-9

„ზღაპარი“ ერთ-ერთი ძველი ტერმინია საქართველოში. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. თხრობითი, ჩვეულებრივ ხალხური, ნაწარმოები, უპირატესად ფანტასტიკური შინაარსისა. 2. მოგონილი, დაუჯერებელი ამბავი, ტყუილი. აქედან ძირითადია პირველი მნიშვნელობა, ხოლო მეორე - ალეგორიული ხასიათისაა.

„მეზღაპრე“ და „მეიგავე“ ძველ საქართველოში ერთი და იმავე ლექსებით აღინიშნებოდა - ესაა ერთცნებიანი კომპოზიტი ზღაპარ - სი-ტყუ-ად-ი, ხოლო „მეზღაპრეობა“-ს გადმოსცემდა როგორც მარტივი ზღაპრ-ებ-ა // ზღაპრ-ობ-ა, ისე რთული ზღაპრ-ის-მე-ტყუ-ელ-ებ-ა.

უმწერლობო ქართველურ ენებში „ზღაპარს“ გადმოსცემს სრულიად სხვა ძირის (ჩვეულებრივ, უცხოური წარმომავლობის) სიტყვები: სვანური ცგვინ (ბზ.), ცივინ (ბქ., ლშხ., ლნტ.), მეგრული არიკი, ხოლო ლაზური ჰეჰია ან პარამითი.

სვანურში, ისევე, როგორც ქართულში, ძირითად სემანტიკასთან ერთად, მას გადატანითი მნიშვნელობაც აქვს (ეშმაკობა, მიღებ-მოდებით ლაპარაკი, რისამე მოტყუებით თქმა). ასლან ლიპარ-ტელიანს ჩოლოურულ კილოკავში „უსაფუძვლო ლაპარაკის“ გადმოსაცემად დადასტურებული აქვს ფუძეგაორკეცებული კომპო-ზიტი ცგვ-გლ - ბგვ-გლ, რომლის პირველ კომპონენტში შესაძლოა ასახული იყოს ცგვინ ლექსემის ძირი.

„მოგონებული ტყუილი ამბავად შემქვერებული და არა ქმნილი მყოფობით“¹ - ასე განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი ზღაპარს. ეს „ამბავად შემქვერებული“ მხატვრული გამონაგონი ზეპირ-სიტყვიერი ხელოვნების უძველესი ჟანრია და ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაყოფი.

ნოველისტური ზღაპარი ყოფით რეალიებს ეყრდნობა, ხოლო ჯადოსნური თხზულება მთლიანად გამონაგონია, მაგრამ უთუოდ ავლენს კავშირს რეალობასთან. დიდი ილიას განმარტებით, ზღაპრის დანიშნულება სწორედ ესაა „მოგონილი ამბით ცხადყოს მართალი... ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც

¹ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1993, გვ.151

არის და სიცრუეც. სიბრძნე სულით, სიცრუე ხორციით. აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა."²

სინამდვილესთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე არც შეიძლებოდა არსებულებით თხზულება, რომლის უპირველესი და უმთავრესი ზნეობრივი იდეა იყო, არის და იქნება სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა, სადაც საბოლოოდ აუცილებლად იმარჯვებს სიკეთე.

ზღაპრის მთავარი პერსონაჟები ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები არიან; მიუხედავად იმისა, რომ ზებუნებრივი თვისებებით, ზოგჯერ გარეგნობითაც გამოირჩევიან ჩვეულებრივ მოკვდავთაგან, მაინც საოცრად ახლობელნი და მიმზიდველნი ხდებიან, რადგან უდიდეს მორალს - კეთილის გამარჯვებას ემსახურებიან. ამ „სამსახურში“ ხშირად ავლენენ ადამიანურ სისუსტესაც, რითაც კიდევ უფრო უახლოვდებიან ამქვეყნიურ ბინადართ. ბოლოს და ბოლოს გმირიც ხომ ხალხის წარმოსახვის ნაყოფია, ისევე, როგორც მთელი ამბავი!

სოციალური და ყოფითი პრობლემების ასახვითაც ნათლად ჩანს ფანტასტიკური თხზულების კავშირი სინამდვილესთან. მდიდარი სულიერი კულტურის შემოქმედი ხალხი ზღაპარში ასახავს თავის მისწრაფებებს, სურვილებს, ოცნებებს და უდიდესი ფანტაზიის წყალობით ახორციელებს კიდევ, მისაწვდომს ხდის მათ (უსამართლო მბრძანებლის დასჯა, ლატაკის გამდიდრება...). „ჩვეულებრივ, ქადოსნურ ზღაპრებში გმირის მიერ შესრულებულ მოქმედებათა დიდი ნაწილი რეალურ ხასიათს ატარებს. არარეალური, ფანტასტიკური არის ხოლმე შედეგი ამ მოქმედებისა.“³

ზეპირსიტყვიერი ხელოვნების სხვა ჟანრების მსგავსად, «Волшебная сказка... отражает реальную действительность. Это отражение сложный процесс, включающий и оценку действительности...».⁴

ზღაპარმა ტრანსფორმაციის დიდი გზა განვლო: „ხანგრძლივი განვითარების შედეგად პრიმიტიული მოთხრობიდან, პროზის

² ი. ჯავჭავაძე, თხზ., III, თბილისი, 1953, გვ. 407

³ თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბილისი, 2002, გვ. 50

⁴ Мелетинский Е., Герой волшебной сказки, Москва, 1958, гв. 260

ჩანასახობრივი ფორმიდან, განვითარდა ზღაპარი, როგორც შეგნებული მხატვრული შემოქმედების ქანარი.⁵

დროთა განმავლობაში იცვლებოდა ხალხის ყოფა-ცხოვრება, მსოფლმხედველობა, ეთიკური ნორმები, სულიერი მოთხოვნილებები და შესაბამისად იცვლებოდა მისი აზროვნების, მისწრაფებების ამსახველი ზეპირსიტყვიერი ხელოვნება.

თანდათანობით იხვეწებოდა ზღაპრის ენა და სტილი, ეს კი გარკვეულწილად გულისხმობს სხვადასხვა გამომსახველობით საშუალებათა შექმნას და მათ უხვად მოხმარებას. ხალხური პროზის სხვა სახეებთან შედარებით, მათი სიმრავლით გამოირჩევა ჯადოსნური თემატიკა.

ცნობილია, რომ მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ერთმანეთს ემსგავსება არა მხოლოდ სიუჟეტით, საერთო ადგილებითა და მოტივებით, არამედ მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების, „მზა ფორმულების“ არსებობითაც. ეს აიხსნება როგორც სიუჟეტთა სესხებით (განსაკუთრებით მეზობელ ხალხებს შორის), ისე დამოუკიდებელი განვითარებითაც, რადგანაც რწმენით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ენით განსხვავებულ და ტერიტორიულად დაშორებულ ხალხთა ყოფა-ცხოვრება, ამ განმასხვავებელ ნიშანთა მიუხედავად, მაინც ზოგადი კანონზომიერების ფარგლებში ექცევა. ამასთანავე, „ყველა ენის ფრაზეოლოგია სტრუქტურითა და წარმოქმნის პრინციპებით ერთმანეთს ემსგავსება, არსებობს მათი შექმნის საერთო გზები: გარკვეულ ისტორიულ რეალიებზე დაყრდნობა, ბიბლია-მითოლოგიისა და ლიტერატურის მასალის გამოყენება, ენაში არსებული თავისუფალი შესიტყვების მეტაფორული გადააზრება...“⁶

ზეპირ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, მაგრამ ზღაპრის ენა განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მყარი ფორმულებითაც ხასიათდება, ისინი სხვა გამომსახველობით საშუალებებთან ერთად ზღაპრის განსხვავებულ სტილს ქმნიან. ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა,

⁵ ე.ვირსალაძე, რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1949, გვ.22

⁶ ა.თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961, გვ. 123

რომ სტილი მეტყველების საგანს უნდა შეეფერებოდეს.⁷ მართლაც, ზღაპრებში გამოყენებული მყარი შედარება, ჰიპერბოლა თუ ლიტოტესი, ძირითადად, პერსონაჟებს, საგნებს ან მოვლენებს მიემართება.

ხშირად რომელიმე მზა ფორმულა ამა თუ იმ მოტივსაც ემთხვევა, ზედმიწევნითი სიზუსტით მეორდება და ქმნის გარკვეულ კანონზომიერებას.⁸

«В сказке по несколько раз повторяются одни и те же формулы, традиционные описания и диалоги, устойчивые сочетания эпитетов с их определяемыми, создаются необычность рассказа, органически связанная с необычным содержанием волшебной сказки, стиливая приподнятость, отличающая волшебную сказку от других видов сказки».⁹

მოტივირებულ ფორმულათა გაჩენა მეორეული მოვლენაა და აზროვნების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე უნდა მომხდარიყო.¹⁰

სტილი ინდივიდუალური ფენომენია, ამიტომაც გამოყენება სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამისა, რომელიც ზღაპრული სტილის შექმნას ემსახურება, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთქმელ - იმპროვიზატორზე. ფანტასტიკურ თხზულებაში მყარ ფორმულათა მეტნაკლებობას განსაზღვრავს მთქმელის განწყობა, ინტელექტი, ასაკი, სქესი, წარმომავლობა, ენა (მშობლიურ ენაზე ჰყვება თუ არა).

ფოლკლორულ ნაწარმოებში ხშირად დაცულია არქაული ვითარება ენისა და თუ «Беседа ведётся полностью на родном языке,

⁷ არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა და კომენტარები ს.დანელიასი, თბილისი, 1944

⁸ Путилов, Мотив как сюжетобразующий элемент, "типологические исследования по фольклору", Москва, 1975, გვ. 141-155

⁹ Померанцева Э., Русская устная проза, Москва, 1985, გვ. 55

¹⁰ ქსიზარულიძე, ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი, 1976, გვ. 121; თ.ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბილისი 2002, გვ. 78; Померанцева Э., О русском фольклоре, Москва, 1977, გვ. 41

თო ისკონნიე გრამატიკესკიე ფორმე უპოტრებლჟიუსა გოროძო
ჩაშე...».¹¹

გრამატიკულ ფორმათა სიძველე ზოგჯერ მყარ ფორმულებშიც
ვლინდება, რაც განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს ხევსურულ,
თუშურ, ფშაურსა და სვანურ ზღაპარში.

ბუნებრივია, მნიშვნელობა ენიჭება მეზღაპრის წარმომავლობას;
ძირითადად ისინი მშობლიურ ენაზე მოგვითხრობენ, მაგრამ
განსხვავებულია სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა მეტყველება
და, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები:
„მთავარია კუთხე, საიდანაც გამოსულია მთქმელი და უკანასკნელის
მხატვრული შესაძლებლობანი. ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ
პროცესებს თავი რომ დავანებოთ, რაშიაც ასე მძლავრად იგრძნობა
ადგილობრივ დიალექტთა ნორმები, ლექსიკასა და სინტაქსურ
საქტევებშიც თვალსაჩინოდ გამოსჭვივის მთქმელის ენობრივი
კოლორიტი“.¹² მართლაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში
ჩაწერილი ზღაპრები თითქოს ზოგადქართულის ამსახველია, მაგრამ
მათში მაინც ჩანს ადგილობრივი მეტყველების კვალი.

როგორც აღვნიშნეთ, საანალიზო ქანრის სტილს მთქმელის
სქესიც განსაზღვრავს (ასევე მსმენელისაც); საგანგებოდ გამოყოფენ
ქალების მიერ მოთხრობილ ზღაპრებს, რომლებიც მეტი
გულისხმიერებითა და სინაზით ხასიათდებიან.¹³ მაშასადამე,
ქართული ზღაპრის ენობრივ თავისებურებებზე მსჯელობისას
ყურადღება უნდა მიექცეს გენდერულ მოვლენებსაც.

უფრო მეტიც, ასეთ ზღაპრებში შესაძლოა ნებისმიერი სახის
ცვლილებების საფუძველი დედობრივი გრძნობებიც კი გახდეს. მ.
აზადოვსკი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ზღაპრებში, სადაც
მოსალოდნელი იყო მოღალატე დედის მკაცრი დასჯა, ერთ-ერთი
მთქმელი არამც თუ არბილებს სასჯელს, არამედ საერთოდ ცვლის

¹¹ Дульзон А., О лингвистической ценности языка сказки, вопросы
фольклора, Томск, 1965, გვ. 61

¹² აღ. ლლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები,
თბილისი, 1975, გვ. 11

¹³ Русская сказка, Избранные мастера, т. I, Ленинград, редакция и
комментарии М. Азадовского, 1932

მას პატივებით, რასაც იმით ხსნის, რომ: «Нет правов таких, чтоб мать казнить¹⁴».

უდავოა, რომ მსგავსი ცვლილებები, რომელთაც ვაწუდებით არა მხოლოდ სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე მთქმელთან, უპირველესად მათ იმპროვიზატორულ ნიჭზე მიუთითებს, ვიდრე პირად გრძნობებსა და განცდებზე. მეზღაპრენი ხშირად გარკვეული ემოციებით ჰყვებიან და ზოგჯერ, იქნებ გაუცნობიერებლად, ავტორებადაც კი გვევლინებიან, მითუმეტეს, თუ დიდი ფანტაზიის უნართაც არიან დაჯილდოებულნი.

მ. აზადოვსკი მთქმელებს ორ ჯგუფად ყოფს: «Среди сказителей встречаются богато одарённые и поэтические натуры с огромной творческой изобретательностью, и сказочники – передатчики, почти совершенно лишённые творческого воображения».¹⁵ მაშასადამე, ძალზე მნიშვნელოვანია თვითშემოქმედებისა თუ იმპროვიზაციის უნარის გამოვლენა.

სადავო არაა, რომ უძველესი გრამატიკული ფორმები მოხუცთა მეტყველებაში უფროა დაცული, ვიდრე ახალგაზრდებისაში; ამასთანავე, მთქმელთა უფროსი თაობა მეტი გამოცდილებითაც სარგებლობს, რაც აუცილებელია მეზღაპრისათვის, მით უფრო, თუ იგი პროფესიონალია, ანუ მთქმელ-ოსტატია. ამგვარი პროფესია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მეფეთა და თავად-აზნაურთა კარზე ზღაპრის მაღალი წოდების ადამიანთა გასართობად ჰყვებოდნენ, რაც სწორედ მეზღაპრეებს ევალებოდათ. ბუნებრივია, ასეთ გარემოში მოთხრობილი ამბავი უფრო სრულყოფილი და დახვეწილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. მაშასადამე, გარემოც განსაზღვრავს მოსათხრობი ამბის რეპერტუარსა და სტილს. მაგალითად, სევანური კალენდარული დღესასწაულის - ლიფანწლის დროს (რომელიც გარდაცვლილთა სულებს მიაგებს პატივს), ზღაპრის მოყოლას რელიგიური ფუნქცია აქვს, რამაც შესაძლოა „მზა ფორმულებშიც“ ჰპოვოს ასახვა.

გარემოს აუდიტორია, ანუ მსმენელთა შემადგენლობაც ქმნის. გადაცემა-აღქმის პროცესში ორმხრივი კონტაქტი მყარდება მთქმელსა და მსმენელს შორის. წარმოიქმნება ურთიერთგავლენა.

¹⁴ იქვე, გვ. 29

¹⁵ იქვე, გვ. 37

ერთი მხრივ, მთხრობელი ზემოქმედებს აუდიტორიაზე, გარკვეული წვლილი შეაქვს მის სულიერ ფორმაციაში (იმდენად, რამდენადაც მოგვითხრობს მაღალზნეობრივ ამბავს), და, მეორე მხრივ, თვითონაც განიცდის მსმენელთა გავლენას: «Исполнитель (особенно если речь идёт о жанрах, допускающих текстовую импровизацию) может менять (корректировать) содержание и структуру текста и внетекстовых элементов в зависимости от поведения (реакции) слушателей в ходе исполнения».¹⁶

მთქმელისათვის სტიმულად შეიძლება იქცეს სწორედ ეს რეაქცია, მიმიკა — ექსტიულობითა თუ ბგერითი ენით გამოხატული. იგი სხვადასხვაგვარია, იქიდან გამომდინარე, თუ როგორია მსმენელთა შემადგენლობა. პატარები, რასაკვირველია, უფრო თავშეუკავებლად, გულწრფელად გამოხატავენ თავიანთ გაცუბას (რაიმე ჯადოსნობის გამო), სიხარულს (გმირის გამარჯვებისას), შიშს (მრავალთავიანი დევისა თუ ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის გამოჩენისას, მითუმეტეს თუ იგი გამაფრთხილებელ ფორმულებსაც წარმოთქვამს), აღტაცებას (მზეთუნახავის სილამაზით) და ა.შ. ვფიქრობთ, მეზღაპრეს მათთან ურთიერთობისას ყველაზე უფრო დიდი სტიმული უჩნდება იმისათვის, რომ ფანტასტიკური ამბავი ენობრივი გამომსახველობითი საშუალებებით გაამდიდროს, მაგრამ არა თავისი ინტელექტის წარმოსაჩენად (ეს, ალბათ, მაშინაა მოსალოდნელი, როცა მსმენელი ან მსმენელთა ჯგუფი ზრდასრული ადამიანებისგან შედგება), არამედ თუნდაც იმიტომ, რომ კიდევ უფრო საშიშად წარმოგვიდგინოს დევი, რომელიც წარმოთქვამს:

„ჩემი შიშით ცაში ფრინველი არ დაფრინავს, დადამიწაზე ჭიანჭველა არ დაცოცავს და შენ როგორ გაბედე აქ მოსვლა?!

შდრ.: მიჩა მაყაჟმჟ მეპერ დემ პერნი, მგშკ დემ იბულებლ ი ალმარ ესერ მარ ირიხ?! („სვან. პროზ. ტ.“ II, ბქ., ლახამულა, 320-321, 38-1) - „ჩემი („თავისი“) შიშით ფრინველი ვერ ფრენს, ჭიანჭველა ვერ დაცოცავს და ესენიო ვინ იქნებიან“?!

მეზღაპრემ უნდა გვიჩვენოს შესასრულებელი დავალების სირთულე გმირისა, რომელმაც ცხრა მთა უნდა გადაიაროს, უნდა

¹⁶ Чыстов К., Специфика фольклора в свете теории информации, Типологические исследования по фольклору, Москва, 1975, гл.38

აღწეროს მზეთუნახავის სილამაზე, რომელსაც გაცილებისას იავარდი სცვივა, ტირილისას კი თვალ-მარგალიტი და ა.შ.

ადსტულუნე დინა ი ჟოქჟრ ი ჟერცხლ ანშიდ, ანგგან ი - მარგლიტ, ადქიზან ი - ჟოქჟრე მუმღუშა („სევან. პროზ. ტ“, I, ბზ., მულახი, 288, 9-11) - „აბანავა გოგო და ოქრო და ვერცხლი დაყარა, ადგა და - მარგალიტი, გაიცინა და - ოქროს ყვავილები“.

მსგავსი „მზა ფორმულები“, რომლებსაც მსმენელი ჯადოსნურ სამყაროში გადაჰყავს, მთელი თხრობის მანძილზე ხელს უწყობს მათ დარჩენას ამ სამყაროში, ძაბავს ყურადღებას და, ესთეტიკური ზემოქმედების გარდა, მსმენელთა გემოვნების დახვეწა-ჩამოყალიბებასაც ემსახურება (განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მცირე-წლოვანთ ეხებათ).

მაშასადამე, სტაბილურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა გამოყენებას, მათ სიხშირესა თუ სემანტიკას, მთქმელის სხვადასხვა თვისებასთან ერთად, აუდიტორიის ასაკი, სქესი, სოციალური წარმომავლობა, კონტაქტურობა და ემოციურობაც განსაზღვრავს, რომელიც აღქმის პროცესში ვლინდება.

„მზა ფორმულები“ იხმარება აუცილებლად განსაზღვრულ ადგილას, ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში და არა ნებისმიერად, ე.ი. მათი გამოყენება ჯადოსნური თემატიკის შინაგანი ლოგიკითაა შეპირობებული, მისგან გამომდინარეობს. მაგალითად:

კითხვითი ფორმულა-ხარსა თუ ფურსაო?-ითქმის გმირის მიერ, რომელიც მოღალატეების დასასჯელად ემზადება და მშვილდ-ისარს უმიზნებს მათ.

-უპ! რამდენი მძინებია! ასევე გმირს ეკუთვნის, ოღონდ უსათუოდ ჯადოსნობის წყალობით გაცოცხლებულს.

-ყანწის კაცი ხარ, თუ დოქისო? - კითხულობს დევი და მოწინააღმდეგის პასუხით ცდილობს, გაერკვეს მის შესაძლებლობებში.

ამრიგად, ზღაპრული სიუჟეტის განვითარება თავად კარნახობს საჭირო ფორმულას, რომელიც უეჭველად მას უნდა უკავშირდებოდეს. ნებისმიერი გამონათქვამის გამოყენება რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში, მიუღებელია. მაგ., დევისა და გმირის ვახშმობის დროს უადგილოა ფრაზა — „უპ, რამდენი მძინებია!“ ზოგი შესიტყვების გამოტოვება სიუჟეტის ცვლილებას არ იწვევს. მთლიანად მთქმელზეა დამოკიდებული, თუ რა სიხშირით

ისარგებლებს იგი ამ ფორმულით: «Каждый новый рассказчик свободен в выборе традиционной формулы...».¹⁷ ასევე შეუზღუდავია მთქმელი, თუ როგორ შეცვლის ის ამა თუ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, გააფართოებს კომპონენტთა შემადგენლობას, ერთის ნაცვლად გამოიყენებს სხვა სინონიმურ თუ ომონიმურ წყვილს და ა.შ. ამის თაობაზე საგანგებოდ აღნიშნავს მ. აზადოვსკი: «Тексты некоторых сказочников представляют огромные собрания новых слов, словосочетаний, созвучий».¹⁸ მკვლევარი ასახელებს კიდევ ერთ-ერთ მთქმელს, რომელიც მსმენელისთვის სრულიად უცხო სიტყვის გამოყენებასთან დაკავშირებით ასეთ განმარტებას იძლევა: «А кто его знает. Так на разу доспелось», т. е. сразу, само собой создалось и сказалось».¹⁹

მაშასადამე, მთქმელის შემოქმედებითი პოტენციალის წყალობით წარმოიქმნება არა მარტო სპეციფიკური სიტყვები, არამედ სიტყვათშეხამებანი და შესაძლოა მთელი ფრაზებიც კი, რომლებიც დროთა განმავლობაში მკვიდრდება ფოლკლორულ ნაწარმოებში და თაობიდან თაობას გადაეცემა. ამგვარი, მხოლოდ ზღაპრისთვის დამახასიათებელი მყარი გამონათქვამები სამ ჯგუფად იყოფა: ინიციალური, მედიალური და ფინალური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები.

ყურადღებას იქცევს „მზა ფორმულათა“ ტიპოლოგიური შედარებები:

ქართული ზღაპრის ყველაზე გავრცელებული გამონათქვამი - იყო და არა იყო რა - მსგავსებას ამჟღავნებს უნგრულთან, სპარსულთან: იყო არა იყო რა (უნგრ.); ერთი ვინმე იყო, ერთი ვინმე არ იყო (სპარს.).²⁰ იგი არ დასტურდება სევანურ ზღაპარში. აქ უფრო გავრცელებულია დასაწყისი, რომელიც განუსაზღვრელ დროსა და სივრცეზე მიუთითებს:

ლემპრდელის ჩხარა ლახუბა („სევან. პროზ. ტ“, III, ლნტ., ხოფური, 261, 20) - „ყოფილან ცხრა ძმანი“;

¹⁷ Аникин В., Русская народная сказка, Москва, 1984, გვ. 131

¹⁸ Русская сказка, Избранные мастера, т. I, Ленинград, редакция и комментарии М. Азадовского, 1932, გვ. 76

¹⁹ იქვე, გვ. 76

²⁰ ქ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 111-112

იმეგ პრი ეშხუ ხეხუ – ჭაშ („სვან. პროზ.“ ტ., II, ბქ., ცხუმარი, 93,3) - „სადლაც („სად“) არის ერთი ცოლ - ქმარი.

მოგვაგონდება რუსულის: «Жили-были», «В одной деревне жил-был...» და «В некотором царстве, в некотором государстве....» თუმცა რუსულშივე ვხვდებით ერთგვარ კონკრეტიზაციას: «За три девять земель, в три десятом царстве».²¹

სვანურს ამგვარი „კონკრეტიზაცია“ (ამ სიტყვას პირობითად ვხმარობთ, რადგან თითქმის განსაზღვრულია მოქმედების დაწყების ადგილი: „ოცდამეცხრე მიწასა და ოცდამეათე სამეფოში“) არ ახასიათებს დასაწყისში. იშვიათად დასტურდება აჭარულ დიალექტზე ჩაწერილ ზღაპრებში:

შდრ.: ცხრა ნთას იქით ერთი დედა და შვილი ცხოვრობდნენ („აჭარის ხალხ. სიტყვ.“, II, 35, 2-3).

ასი წლის წინათ ამ ქობულეთის რაიონში ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი - ოსმან ალა ჯაყელი (იქვე, 57, 2-3).

ქართულსა და სვანურში „ცხრა (თორმეტ) მთას იქით“ არის მოქმედების გაგრძელების ადგილი, რომელსაც გმირმა უნდა მიაღწიოს.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ გამგზავრებისას გმირი ადამიანთათვის უცხო გარემოსკენ მიემართება, დაბრუნებისას კი საკუთარ სამყაროში მოდის. ერთმანეთს უპირისპირდება სემიოტიკური ოპოზიცია: საკუთარი და სხვისი,²² რაც ზღაპართა საერთო ნიშანია და, ამ მხრივ, არც ქართველური ენებია გამონაკლისი (შდრ. აშხუ სოფელს - ერთ სოფელში, აშხუ აგის - ერთ ადგილას, იმეგ - სადლაც). მიუხედავად იმისა, რომ გმირი ამ განუსაზღვრელ ადგილას სასწაულებრივად იბადება და იზრდება, იქაურობა თითქმის მაინც უფრო ნაცნობი და ჩვენუელია, ვიდრე ის „სხვეანირი“ სამყარო, რომელსაც მთავარმა პერსონაჟმა უნდა მიაღწიოს მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჯადოსნობათა უმრავლესობა სწორედ ირეალურ სამყაროში აღესრულება.

²¹ Волков Р., Сказка, т. I, Одесса, 1924, გვ. 18

²² Цивьян Т., К семиотике пространственных элементов в волшебной сказке (на материале албанской сказки), Типологические исследования по фольклору, Москва, 1975, გვ. 191-213

ქართული გადაადგილების ფორმულას ბევრი იარა, თუ ცოტა უახლოვდება რუსულის: «Ехал, близко ли далеко, низко ли высоко...».²³

ქ. სიხარულიძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური გამონათქვამი - „იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა“ საერთაშორისო ხასიათისაა და განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს ქართულ-რუსული ზღაპრებისათვის, გვხვდება უკრაინულ და ბელორუსულ ზღაპრებშიც.²⁴

სვანურში იგი იშვიათად დასტურდება: ანჩად ძღვდ ა კჳკოლ („სვან. ენ.ქრესტ.,“ ლშხ., 275,30-31) - წამოვიდა ბევრი, თუ ცოტა.

მითური პერსონაჟის მიერ წარმოთქმული „ადამიანის სუნი მცემს“ სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება. ქართულ ზღაპარში ერთმანეთს ენაცვლება ადამიანის, კაცის, ქრისტიანის, სულიერის, ხორციელის სუნი, ორი უკანასკნელი სვანურში არ დასტურდება. აქაური ზღაპრების მსგავს ფრაზებში გმირის წარმომავლობაზე აქცენტის გაკეთება სრულიად უცხოა (შდრ. «Фу, Фу, русским духом пахнет»)²⁵.

ტიპურია შეკითხვა გმირისა და დევის (გველის, ურჩხულის) შეხვედრისას - სამტროდ მოსულხარ თუ სამოყვროდ?

შდრ. რუსული: - «Пришёл ли биться, чи мириться».²⁶

სვანური: იმნარ ლოქ ემჳედღელი, ლამძახტედ ა ლამკეთდ? (ლშხ., IV, 131, 35-36) „რისთვის („რისთვისო“) მოხვედიო („მოსულა“), სამტროდ თუ სამოყვროდ („სა-მო-კეთ-ო-დ“)?

მეტად მრავალფეროვანია ფინალური ფორმულებიც.

ქართულ ზღაპრისებურ დასასრულს - „ცხოვრობდნენ ბედნიერად“ - უახლოვდება რუსული სტაბილური გამონათქვამი - «Стали жить да поживать, добра наживать...»²⁷

შდრ. სვანური:

ეჩანლო მინ იზგვდახ ბედნიერდ (ლშხ., IV, 95, 31) „მერე ისინი („თვითონ“) ცხოვრობდნენ ბედნიერად“.

²³ Пропп Вл., Русская сказка, Ленинград, 1984, გვ. 181

²⁴ ქ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135

²⁵ Волков Р.М., დასახ. ნაშრ., გვ. 15

²⁶ იქვე, გვ. 15

²⁷ იქვე, გვ. 21

ისეთი იუმორისტული დაბოლოება, როგორიცაა: „ქორწილში მეც გახლდით და ერთი თხუთმეტი ჯამი ღვინო დავლიე“,²⁸ რუსულშიც ძალიან გავრცელებულია: «Я там был, мёд – пиво пил...».²⁹

შდრ. ლნტ.: ლათ ეჩე ხტარდხტეს, ლადელი ამეჩუნ ხტარი... („სვან. პროზ. ტ.,“ III, ხოფური, 279, 30-31) - „გუშინ იქ ვიყავი, დღეს აქ ვარ“.

თვით ერთი ტიპის (ინიციალური, მედიალური თუ ფინალური) ფორმულებიც კი მეტად მრავალფეროვანია და მათი ტიპოლოგიური შედარება შორს წაგვიყვანდა, ჩვენს მიზანს კი სვანური ზღაპრის სტაბილურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ანალიზი წარმოადგენს.

აქვე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ „მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩაწერილ ზღაპრებზე“, რომელიც ითვლება ქართული ზღაპრების ყველაზე ადრინდელ დათარიღებულ კრებულად.³⁰

ლ. კოტაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ამ კრებულის ტექსტებში ასახული სოციალური ურთიერთობანი, ადათ-წესები, ყოფითი რეალიები, ლექსიკა, სტილი და დასკვნა, რომ ისინი დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლურ სამყაროსთან. „ზღაპრის ექსპოზიცია და ფინალი მოკლებულია ქართულისთვის დამახასიათებელ ე.წ. გარეგნულ ნიშნებს“,³¹ ამიტომაც ტექსტები ნათარგმნი უნდა იყოსო.

ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ არა მხოლოდ ექსპოზიცია და ფინალი, არამედ XVII საუკუნეში ფიქსირებული ზღაპრების ინიციალური ფორმულებიც კი ერთგვაროვანია:

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყუანდა სამი შვილი (34, 9);

²⁸ ქართული ხალხური ზღაპრები, ალ. ლლონტის რედაქციით, თბილისი, 1974, გვ. 27, 7-8

²⁹ Волков Р., Сказка, т. I, Одесса, 1924, გვ. 22

³⁰ მ. ჩიქოვანი, მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, მრავალთავი, I, თბილისი, 1964, გვ. 64-205; ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბილისი, 1966, გვ. 10; შ. ძიძიგური, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მასალები, ქართული ფოლკლორი, III, თბილისი, 1969, გვ. 30-37

³¹ ლ. კოტაშვილი, ბერძნულ-სლავური კოლექციის ზღაპრები, XVII ს., თბილისი, 1980, გვ. 17-18

იყო ერთი კაცი, შვიდი ვაჟი ჰყუანდა (37, 10);

იყო ერთი კელმწიფე (41, 14);

თორმეტივე ზღაპარში ზმნა-შემასმენელი უწყვეტლის მწკრივის ფორმით დასტურდება.

ეს ზღაპრები არც სტაბილური მედიალური გამონათქვამების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მეტიც, ისინი ძალზე იშვიათად გვხვდება და განსაკუთრებულ სიახლოვეს ქართულთან არ ამჟღავნებენ, მაგალითად:

„ერთი ქუა წყაროს თავსა ეყუდა, ზედა ეწერა: „სამი გზა იყო: თუ ზედათ გზას წავიდეს ვინმე, წავიდეს და აღარ მოვიდეს. შუა გზაზედა ვინც წავიდეს, ან მოვიდეს ან აღარა. ქუეშეთ გზაზედა ვინც წავიდეს, კაი და ავი მოვიდეს“ (გვ. 47, 26-29);

„ჩავარდეს ერთს ასეთს კლდესა და ღელეშია, ზეცას ცა აღარა ჩნდა. თვალი არსით გაუწევდა იმის სიდიდესა“ (55, 25-26);

გადაადგილების ამსახველი ფრაზები უმეტესად იარა ზმნის შემცველია (თუმცა იგი არ მეორდება ქართული ზღაპრის გამონათქვამთა მსგავსად):

„იარა და ერთს დიდს მინდორში მოვიდა“ (36, 33);

„იარა და, შუაგზას რომ მივიდა, ერთი ჩინეთის ზოჯ[ა]ლი მოვიდოდა...“ (42, 30-31);

„იარა ამ ჩიტმა და მივიდა მეორეს კოშკთანა“ (48, 8-9).

რაც შეეხება ფინალურ გამონათქვამებს, აქ დალოცვის ერთადერთი შემთხვევა დასტურდება და ისიც თავისებური ხასიათისაა:

„ღღემცა იმ ქუეყანისა სულისა ექმნა ამ არაკის მდომელსა, გახარება სანამეტნაო, დაუღეველი!“ (58, 31-32).

„ღღემცა იმ ქუეყანისა სულისა ექმნა“ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მარადიულ სიცოცხლეს, უკვდავებას უსურვებენ ამ არაკის მოსმენის მსურველს, ვინაიდან სული იმ ქვეყნად მარადიულ სასუფეველს ეზიარება.

დანარჩენი ფინალური გამონათქვამები არადალოცვითია და სხვადასხვაგვარად ასახავენ ზღაპრის ბედნიერ დასასრულს:

„იყუნეს ლხინსა და გამოსვენებაშია“ (68, 12);

„მისცა კელმწიფემა ქალი და უყო ქორწილი, ექუსს ძმას თითო საბატონო მისცა, უმცროსი თავის საკელმწიფოში დასვა“ (39, 32).

ამრიგად, ბერნარდოსეული კოლექციის ზღაპრებში მყარი ფორმულები უნივერსალური ხასიათისაა და არ ამჟღავნებენ ორიგინალურობას.

„სიუჟეტთა პოეტიკაში“ ზოგ სქემათა და ფორმულათა მსგავსებას ა. ვესელოვსკი იმით ხსნის, რომ პირველყოფილ საზოგადოებებს, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ ერთმანეთთან შეხება, ანალოგიური ფსიქიკა და ყოფითი პირობები ჰქონდათ, რამაც განაპირობა „პოეტური გამოსახვის თანაზომიერება“. ფორმულათა ერთი ნაწილი განზოგადდა, ნაწილი კი, ახალი მოთხოვნების გამო, შეიცვალა, გართულდა.³²

ე. პომერანცევა ზღაპრის ინიციალურ - ფინალურ გამონათქვამებთან ერთად განიხილავს ზოგ ერთმანეთისაგან ფუნქციით განსხვავებულ ფორმულას, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ეპიზოდის დასაკავშირებლად, პერსონაჟებისა თუ გმირთა პორტრეტების შესაქმნელად და ა.შ. ეს ფრაზები, გარდა იმისა, რომ ზღაპრის შესამკობლად გამოიყენება, თხრობის პროცესის შენელებასაც ემსახურება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ისინი ჯადოსნური თხზულების უჩვეულობას ქმნიან, ორგანულად ერწყმიან შინაარსს და განასხვავებენ ზღაპართა სახეებს.³³

თუმცა ე. პომერანცევასგან განსხვავებით, ე. მელეტინსკი თვლის, რომ „პოეტური ფორმები“ განიხილება ზღაპრული ეპოსის შინაარსისაგან დამოუკიდებლად, როგორც ფორმალურ - პოეტური ტრადიციული ფორმულები და კომპოზიციური სქემები.³⁴

კომპოზიციურ სქემაში, ვფიქრობთ, ფორმულა-მოტივები უნდა იგულისხმებოდეს.

ეპიკური ფორმულა გვევლინება ერთ-ერთ სპეციფიკურ საშუალებად სიუჟეტური არსენალის ტიპურ ელემენტთა რეალიზაციისათვის, ბ. პუტილოვის თვალსაზრისით, არსებობს მოტივი - სიტუაცია, მოტივი - მეტყველება, მოტივი - მოქმედება,

³² Веселовский А., Поэтика сюжетов (введение), Историческая поэтика, Москва, 1989, გვ.300-306

³³ Померанцева Э., Русская устная проза, Москва, 1985, გვ.50-55

³⁴ Мелетинский Е., Герой волшебной сказки, Москва, 1958, გვ.5

მოტივი - ეპიზოდი.³⁵ მათ თ. ქურდოვანიძე „ტრადიციულ აღწერილობა - ეპიზოდებს“ უწოდებს.³⁶

მოტივს, როგორც კომპოზიციის შემადგენელ ნაწილს, ჩვეულებრივ, ცალკე იკვლევენ ხოლმე. ჩვენთვის იგი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მასში ზოგჯერ გადმოცემულია სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები.

პ. გრინცერი იკვლევს ეპიკურ ფორმულებს „მაპაბპარტასა“ და „რამაიანაში“ და იმოწმებს პარის მოსაზრებას, „სიტყვათა ჯგუფის“ შესახებ, რომელიც რეგულარულად გამოიყენება ერთსა და იმავე მეტრულ პირობებში; აქ გაერთიანებულია „მუდმივი ეპითეტები“, „ეპიკური კლიშეები“, „მყარი სიტყვათშეხამებანი“...

სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ ექვსი რიგის ფორმულას: ატრიბუტული, თხრობითი, დამხმარე, პირდაპირი მეტყველების, ფორმულა - შედარებები, ფორმულა - სენტენციები,³⁷ რომელთაგან ჩვენთვის მხოლოდ ზოგი მათგანია საინტერესო (პერსონაჟთა სტერეოტიპული დახასიათებები, საგანთა თუ მოვლენათა განსაზღვრებები...).

ვლ.პროპმა, რომელიც თხრობითი ფოლკლორის ახალი მიმართულების ფუძემდებლად ითვლება, გამოწვლილვით შეისწავლა ზღაპრის სტრუქტურა და დაასკვნა, რომ პერსონაჟთა ფუნქცია (ანუ მოქმედება, რომელსაც სიუჟეტის განვითარებისთვის აქვს მნიშვნელობა) სტაბილურად მეორდება და ყველა ჯადოსნური ზღაპარი თავისი წყობით ერთი ტიპისაა,³⁸ ხოლო ზღაპრის სტილი ის მოვლენაა, რომელიც სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი.³⁹

წიგნში «Русская сказка», ცალკე თავი ეთმობა ჯადოსნური ზღაპრის მხატვრულ საშუალებებს, სადაც აღნიშნულია, რომ დასაწყისი («вводные») და დასასრული ფორმულები „ხერხები“ კი არ არის, არამედ სინამდვილისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელი.

³⁵ Путилов Б., Мотив как сюжетобразующий элемент, Типологические исследования по фольклору, Москва, 1975, გვ. 141-155

³⁶ თ. ქურდოვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72-78

³⁷ Гринцер П., Эпические формулы в «Махябхარте» и «Рамаяне», Типологические исследования по фольклору, Москва, 1975, გვ. 156-181

³⁸ Пропп Вл., Морфология сказки, Москва, 1969, გვ. 26

³⁹ იქვე, 120

ბლებია. მაგალითად, დასაწყისის «В некотором царстве, в некотором государстве...» ვლ. პროპი გაკვანძვას (завязка) უწოდებს და აღნიშნავს, რომ მას რეალური სივრცის სფეროდან გამოჰყავს მკითხველი.

მკვლევარი იქვე საგანგებოდ მოუთითებს, რომ სტაბილური ფორმულების შესწავლა ვერ მოხერხდება პერსონაჟთაგან მოწყვეტილად, რადგან უმეტესობა სწორედ მათ დასახასიათებლადაა გამოყენებული.

ზღაპრის ენაში დამკვიდრებულია სამმაგობის პრინციპი (საგნების, მოქმედებათა თუ მოვლენათა სამგზის აღწერა, სამგზის გაფრთხილება...), რასაც მკვლევარი იმით ხსნის, რომ საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება, ვიდრე ათეულობით თვლის სისტემაზე გადავიდოდა, დიდხანს გაჩერდა ერთიდან სამამდე თვლაზე. როგორც ჩანს, ზღაპრის სიუჟეტები სწორედ ამ დროს იქმნებოდაო...⁴⁰

სამმაგობის პრინციპი, რასაკვირველია, სევანურ ფანტასტიკურ თხზულებაშიც დასტურდება და ზოგჯერ სტაბილურ ფორმულებშიც აისახება (გმირისა და ღვვის სამგზის დაჭიდება და მისი სამგზის აღწერა...).

ზღაპრის სტილის თავისებურებებზე მსჯელობისას ვ.ანიკინი დასაწყის და დასასრულ ფორმულებს „სტრუქტურის ორნამენტულ მომენტებს უწოდებს“⁴¹ და იქვე შენიშნავს, რომ ასევე მყარი და რიტმულია სხვადასხვა პერსონაჟთა დამახასიათებელი ფორმულები.

ზღაპრის სიუჟეტის აღწერისას, რ. ვოლკოვი განიხილავს ტიპურ ფორმულებს და საგანგებოდ მიუთითებს, რომ ისინი სხვადასხვა ფოლკლორში მეორდებიან და ზღაპრის სტილისტურ ხერხებს მიეკუთვნებიან.⁴²

არაერთი ქართველი მკვლევარი შეეხო ზღაპრის ენასა და სტილს: (ე. ვირსალაძე, მ. ჩიქოვანი, ქ. სიხარულიძე, ალ. ღლონტი, თ. ქურდოვანიძე, ა. ცანავა, ო. ონიანი...).

⁴⁰ Пропп Вл., Русская сказка, Ленинград, 1984, გვ. 197-199

⁴¹ Авикия В., Русская народная сказка, Москва, 1984, გვ. 141

⁴² Волков Р., Сказка, I, Одесса, 1824, გვ. 15-32

მიუთითებენ, რომ ქართულ ზღაპარში ზოგი მზა ფორმულა უნივერსალური ხასიათისაა, რაც თავისებურ იერს აძლევს როგორც ზღაპრის ენასა და სტილს, ასევე მის კომპოზიციასა და შინაარსს.⁴³

ქ.სიხარულიძე განიხილავს ქართული ზღაპრის მზა ფორმულებს და გვთავაზობს სხვადასხვა ტიპოლოგიურ შედარებას. ის დაწვრილებით აღწერს დასაწყის და დასასრულ ფორმულებს, ბავშვის დაბადების, ზრდის, გადაადგილების, მუქარა - გაფრთხილების, სიტუაციების დამაკავშირებელ გამონათქვამებს, უდარებს მათ სხვა ენაში დადასტურებულ გამონათქვამებს და ასკვნის, რომ მსგავსება „არ შეიძლება ყოველთვის ტიპოლოგიური იყოს. ამ შემთხვევაში უდავოდ მნიშვნელოვანია როლი მსოფლიოს ხალხთა ეპოსის გენეტიკური კავშირისა“.⁴⁴

მეგრული მასალის კვლევას ეყრდნობა ა.ცანავას წიგნი „ქართული ფოლკლორის საკითხები“, სადაც ავტორი განიხილავს ზღაპრის ძირითად ჯგუფებს, მიუთითებს მეგრული ჯადოსნური თხზულებების სპეციფიკაზე, რომელიც საქართველოს ბარის ზღაპრებისაგან იმით განსხვავდება, რომ არ შეიცავს ხოტბისა და დალოცვით დასაწყისს; ამ ჟანრში ქრისტიანიზაციის შედეგად გავრცელებული რელიგიური ტიპური ფორმულების არარსებობას ავტორი წარმართული ტრადიციის სიძლიერით ხსნის.⁴⁵

არანაკლებ ძლიერია წარმართული ტრადიცია სვანეთში, რაც, ბუნებრივია, ხალხურ შემოქმედებაშიც პოვებს ასახვას, მაგრამ სვანური ზღაპარი საკმაოდ მდიდარია რელიგიურ - დალოცვითი ხასიათის ფორმულებით (თუმცა ქართული შესიტყვების - „იყო შაში მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“-ს მსგავსი აქ არაფერია).

თ.ქურდოვანიძე ნაშრომში „ქართული ზღაპარი“ ენობრივი სტილის თავისებურებებს სპეციალურ თავს უძღვნის, სადაც ცალკე ქვეთავად გამოყოფს „დაშტამპულ ტიპობრივ ფორმულებს“ რომელთაც სამ ჯგუფად ყოფს:

1. პერსონაჟთა გარეგნობის აღწერა;

⁴³ ქ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128

⁴⁴ იქვე, გვ. 149

⁴⁵ ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით), თბილისი, 1990, გვ. 206-208

2. მოქმედებისგან დამოუკიდებელი ფრაზები, მთქმელის კომენტარი („თავი რომ არ მოგაწყინოთ“, „რალა ბევრი გავაგრძელო“, „წაიღო ჩემი ცა და თქვენი ჭირიც...“);

3. ცალკეულ პერსონაჟებთან დაკავშირებული ტიპობრივი გამოთქმები („უპ, რამდენი მძინებია!“).⁴⁶

ავტორი ზღაპრის კომპოზიციაში განიხილავს „ტრადიციულ ტიპობრივ მზა ფორმულებს“, სადაც შედის: დასაწყისი, დასასრული, გადაადგილების, ეპიზოდების შემაკავშირებელი გამონათქვამები („ესენი ამ მდგომარეობაში დავტოვოთ“, „გავყვეთ პატარას“, ...). სწორედ მათი საშუალებით ენიჭება ზღაპრის კომპოზიციას სტაბილურობა.⁴⁷

კიდევ არაერთი მკვლევარი შეეხო ზღაპრის სტრუქტურას, ენასა და სტილს. ერთი რამ უდავოა! — ყველა სპეციალისტი აღიარებს „მზა ფორმულათა“ უდიდეს წვლილს საზღაპრო სტილის სპეციფიკურობის შექმნაში.

⁴⁶ თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბილისი, 2002, გვ. 138-142

⁴⁷ იქვე, 78-86

თავი I

ბალსზემოური კილო

§ 1. ინიციალური გამონათქვამები

„ზღაპრის დასაწყისის“ აღსანიშნავად ქართული ენის გურულ დიალექტში ზღაპრ-ის-თავ-ი იხმარება, რომელიც ორგანულად არ არის დაკავშირებული სიუჟეტთან და სხვა ზღაპარსაც შეიძლება მიესადაგოს (მდრ. ხალხური ლექსი - „ზღაპარი და ზღაპრისთავი, შეგაქამე ძღაბლის, ე.ი. ზღარბის თავი“).

ბალსზემოურ კილოზე ფიქსირებული ზღაპარი, ძირითადად, დალოცვით იწყება. გამოიყოფა მარტივი ფორმულები:

ლგმზგრნჲ ზი (ზიშდ, ლიშდ...) - „დალოცვილი იყავი (იყავით, ვიყოთ) („დალოცვილიმც ხარ, ხართ, ვართ“- ექსკლ., ინკლუზ.) და ჯმზგრახ ღერთემ - „რღაგლოცოთ ღმერთმა“, რომელთაგან პირველი ძირითადია, ხოლო ქვემოთხსენებულში ძალზე გავრცელებული ფორმულა „ჯმზგრახ ღერთემ“ ბალსზემოურ კილოზე ჩაწერილ მხოლოდ რამდენიმე ზღაპარში დასტურდება.

დალოცვის ამგვარი ფორმულები, ტრადიციულ მარტივ გამონათქვამებთან ერთად (როგორიცაა, მაგალითად, „იყო ერთი კაცი“) ქმნიან რთულ თანწყობილ წინადადებებს. პირველ ფორმულაში II პირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს (ზი, ზიშდ/ზიდ) ენაცვლება I პირის ინკლუზივის ფორმები (ლიშდ/ლიდ):

ლგმზგრნჲ ზი ი ლჰსჲ ზელმწიფ („სვან.პროზ.ტ.“, I, მულახი, 254, 26) - „დალოცვილი იყავი („ხარ“) და იყო ზელმწიფე“;

მაღო, ლგმზგრნჲ ლიდ ი პრის ამეჩუ სემი ლახჲბა(იქვე, ლატალი, 443,13)-„აბა, დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“) და არის („არიან“) აქ სამი ძმა („ძმები“);

ლგმზგრნჲ ზიშდ ი ამჩუ პრი ქჲრით ზურალ (იქვე, მულახი, 243, 21) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და აქ არის ქვრივი ქალი“;

ლგმზგრნჲ ზიშდ ი პრი ყურუსუდნაჲ (იქვე, მულახი, 365, 27) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და არის ყურუსუდნა“;

ლემზგრენტ ხიმდ ი პრი ამჟუ ეშუ ჰერალ (იქვე, მულახი, 363, 10) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და არის აქ ერთი ყვავუკა“.

ამ გამონათქვამთა მეორე (არადალოცვით) ნაწილში ყოფნა-არსებობის გამომხატველი ზმნა, ძირითადად, აწმყოს მწკრივშია წარმოდგენილი - „პრი, პრიხ“ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა პარალელურად ამავე მწკრივში გვხვდება ლი და ლიხ („არის“, „არიან“) ზმნები:

ლემზგრენტ ლიმდ ი ეშუ ხეხუ - ჰეშ ლიხ (იქვე, ლენჯერი, 429,18) - „დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“) და ერთი ცოლ-ქმარი არიან“.

ლემზგრენტ ლიმდ ი ალატგან ლი (იქვე, ლენჯერი, 414,16) - „დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“) და არის ალაგვანი“ („ალაგვანი არის“).

იშვიათად ზმნა-შემასმენელი გვხვდება უწყვეტელშიც. აქ ერთმანეთს ენაცვლება არდა//არდახ და ლჰსჰ//ლჰსჰხ („იყო“, „იყვნენ“) ფორმები. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „ლჰსჰ ფორმა დრო-კილოთა I ჯგუფში (და არა მეორეში) უნდა განვიხილოთ“,⁴⁸ ვინაიდან ასეთ სტატიკურ ზმნებს „... არ გააჩნიათ ნამყო წყვეტილის ჯგუფი იმიტომ, რომ მათი სემანტიკა ამას ვერ იგუებს და არ მოითხოვს არს იმას ნიშნავს, რომ არის საერთოდ, არსებობს მუდამ. წყვეტილი თითქოს ის იქნებოდა, რომ არაა, უკვე აღარ არსებობს, რაც შეუთავსებელი ჩანს ამ ზმნის შინაარსთან“.⁴⁹

ლემზგრენტ ხიმდ ი ამჟუ არდა ტტტარ გიერგ (იქვე, მულახი, 316,17) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და აქ იყო ნაცრიანი (იმერ. „ტუტ-იან-ი“) გიორგი“;

ლემზგრენტ ხი ი ლჰსჰ ხელწიფ (იქვე, მულახი, 254, 26) „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და იყო ხელმწიფე“;

ლემზგრენტ ხი ი ლჰსჰხ ეშუ ხეხუ-ჰეშ (იქვე, 354,16) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და იყო („იყვნენ“) ერთი ცოლ-ქმარი“.

⁴⁸ ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998, გვ. 206

⁴⁹ ივ. ჯავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 21

ხშირად, ქვემოსვანურის მსგავსად, ინიციალური გამონათქვამი შეიცავს არა ორ, არამედ რამდენიმე მარტივ ან მარტივ და შერწყმულ წინადადებას:

ლგმზგრნჲ ზი ი ლი ეშხუი მეთებზე, ეშხუი ჰყინტგეზალ ხორი (იქვე, უშგული, 80,13) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და არის ერთი მეთევზე, ერთი ვაჟიშვილი (შრდ. აჰარ. „ბიჭიშვილი“) ჰყავს“;

ლგმზგრნჲ ზი ი პრი ეშხუ ხელწიფ ი სემი გეზალ ხაყა (იქვე, კალა, 85,3) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და არის ერთი ხელმწიფე და სამი ვაჟი ჰყავს“;

ლგმზგრნჲ ზიშდ ი პრიხ ამჲუ ხელწიფ ი მიჩა დინაგეზალ (იქვე, მულახი, 248,33) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და აქ არიან ხელმწიფე და მისი ქალიშვილი (შრდ. აჰარ. „გოგოშვილი“)“;

მაღო, ლგმზგრნჲ ლიშდ ი ეშხუ ხელწიფ ი მიჩა ხეხუ ლიხ (იქვე, ლატალი, 416,24) — „აბა, დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“) და არიან ერთი ხელმწიფე და მისი ცოლი“.

ქვემოსვანურში გავრცელებული დალოცვის ფორმულა ჯამზგრაზ ღერთემ - „ღა'გლოცოთ ღმერთმა“, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათად ბალსზემოურ კილოშიც დასტურდება და ისიც რთული კონსტრუქციის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ზმნა-შემასმენელი კავშირებით მწყრივშია, ხოლო არსებითი სახელი - ემ მორფემიან მოთხრობითში:

ჯამზგრაზ ღერთემ ი ამჲუ პრიხ დი-გეზალ (იქვე, მულახი, 337,11)- „ღა'გლოცოთ ღმერთმა და აქ არიან დედა-შვილი“;

ალა გუშამზგრას ღერთემ ი ეშხუ ხელწიფ ლიზ (იქვე, ლენჯერი, 395,7) - „ეს 'ღა'გლოცოს ღმერთმა და არის ერთი ხელმწიფე“;

ჯამზგრაზ ღერთემ ი პრიხ ხაჟი დჰუით ი მიჩა ხეხუ (იქვე, მულახი, 341,8)- „ღა'გლოცოთ ღმერთმა და არიან ხაჟი დავითი და მისი ცოლი“.

ბალსზემოური ზღაპრის სპეციფიკურობას ქმნის ისეთი ელიფსური კონსტრუქციები, როგორიცაა:

ლგმზგრნჲ ზი ი ჩხარა ლახუბა (იქვე, მულახი, 241,31) --- „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და ცხრა ძმანი“;

ლემზგრენტუ ხი ი დიკუნენ (იქვე, მულახი, 352, 12) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და დიაკვანი“;

ლემზგრენტუ ხიშდ ი ანა (იქვე, იფარი, 134, 14) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და ანა“;

ლემზგრენტუ ხი ი სემი ლახტუბა (იქვე, იფარი, 102, 14; 103, 28) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და სამი ძმანი“;

ღერბეთ მწგუ ჯამზგრაზ ი ლახტუბა („სვან.ენ.ქრესტ“, კალა, 166, 13) - „ღმერთმა ყველა დაგლოცოთ და ძმები“.

მსგავს ფრაზებში ზმნა-შემასმენელი ივარაუდება აწმყოს ან უწყვეტლის მწკრივში („არის“, „იყო“). შეერთება ყოველთვის კავშირიანია, თუმცა გვაქვს გამონაკლისიც:

ბალსზემოური ზღაპრის თავისებურებაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ ზოგჯერ ერთდროულადაა წარმოდგენილი ერთი და იმავე შინაარსის უშემასმენლო და შემასმენლიანი გამონათქვამები:

ლემზგრენტუ ხი ი ხეხუ-ჰაშ. ლასტხ ეშხუ ხეხუ-ჰაშ (იქვე, მულახი, 262, 2) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და ცოლ-ქმარი. იყო ერთი ცოლ-ქმარი“;

ლემზგრენტუ ხი ი სემი ლახტუბა. ლასტხ სემი ლახტუბა (იქვე, მულახი, 291, 18-19) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და სამი ძმანი. იყვნენ სამი ძმანი“;

ლემზგრენტუ ხიშდ ი ჩაჩიზა ბაპგლდ. არდა ეშხუ ჩაჩიზა ბაპგლდ (იქვე, მულახი, 357, 22) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და გვაჯა (ჩაფსკენილი)⁵⁰ მღვდელი. იყო ერთი გვაჯა (ჩაფსკენილი) მღვდელი“.

მეტყელი ლოცავს მსმენელს (ხშირად მსმენელთან ერთად თავის თავსაც) და ასახელებს ზღაპრის მთავარ (ან არამთავარ) პერსონაჟს, მაგრამ, ალბათ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება შემასმენლის გამოტოვებამ შექმნას, იქვე მოაყოლებს ზმნურ კონსტრუქციასაც, რომელიც ზოგჯერ პერსონაჟთა დახასიათებასაც შეიცავს:

⁵⁰ აქ შეიძლება „წვეროსნადაც“ გვეთარგმნა ჩაჩიზა (შდრ. ჩაჩ — სამგლოვიარო წვერი), მაგრამ მღვდლისთვის რაკი ასეთი გარეგნობა ჩვეულებრივია, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ „გვაჯა“ („ჯუჯა, ჩაფსკენილი“) სჯობს (შდრ. ჩოლურული ჩაჩ-აბ-უ-აჲ — „დაბალი და ჩაფსკენილი“, ჩაჩ-ან — „დაბალი კაცი“).

ლემზგრენტუ ხი ი ხეხუ-ჰაშ. ლასტუხ ეშხუ ხეხუ-ჰაშ, მეტარ ღარბი (იქვე, მულახი, 349, 2) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და ცოლ-ჰმარი. იყო („იყვნენ“) ერთი ცოლ-ჰმარი, ძალიან ღარიბი“;

ლემზგრენტუ ხიშდ ი ჰიტ-კუნბოლ. ჰიტ-კუნბოლ ღარბი მარე ლასტუ ი ეშხუ დაგელ გარ ხორდა (იქვე, მულახი, 312, 8-9) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და ჰიტ-კვაბუნა (ზღაპრის პერსონაჟი, შდრ. ლენტეხური ჰიტ-რა < ჰყინტ-რა, ინგილოური ჩინდ-რა, იმერული ჩინდ-ალ-ი). ჰიტ-კვაბუნა ღარიბი კაცი იყო და მარტო ერთი თხა ჰყავდა“;

ლემზგრენტუ ხიშდ ი ხეხუ-ჰაშ. ხეხუ-ჰაშ ლიხ ეჯეი დიდარ, ერე ჰუნეყანას ალიარზუმ დიდარ მამა არი, მარე გეზალ მამა ხაყახ (იქვე, იფარი, 202, 17-18) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და ცოლ-ჰმარი. ცოლ-ჰმარი არიან ისეთი მდიდარი, რომ ჰეყყანაზე („ჰეყყანას“) ამისთანა („ამათ ზომა“) მდიდარი არავინაა („არა არის“), მაგრამ შვილი არ ჰყავთ“.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის გამონათქვამთა პირველ (ელიფსურ) ნაწილში დასახელებულია ერთი გმირი (ძირითადად, მთავარი), მეორე ნაწილში კი თხრობა გრძელდება სხვა (არამთავარი) პერსონაჟის ან პერსონაჟების შესახებ:

ლემზგრენტუ ხიშდ ი დანთი. ლასტუ ეშხუ ხელწიფ (იქვე, მულახი, 270, 2) „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და დავითი. იყო ერთი ხელმწიფე“ (დავითი ხელმწიფის მოურავია);

ლემზგრენტუ ხი ი სიმონ. ლასტუ სემი ლახტუბა ი სემი ლადჩურა (იქვე, მულახი, 295, 18) - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და სიმონი. იყვნენ სამი ძმანი და სამი დანი“ (სიმონის ამბავს სხვები ჰყვებიან).

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სვანური ზღაპრის ინიციალურ ფორმულებში⁵¹, ჩვეულებრივ, მითითებული არ არის ხოლმე მოსათხრობი ამბის ფუნქცია: მხოლოდ ერთხელ გამოვლინდა ზღაპრის დანიშნულება:

⁵¹ იხ. ჩვენი, სვანური ზღაპრის ინიციალურ-ფინალური გამონათქვამები (ლავშური კილოს მონაცემების მიხედვით), არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIV, თბილისი, 2003, გვ. 23-25; მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სვანურ (ლენტეხურ) ზღაპრებში, იქვე, XV, თბილისი, 2004, გვ. 16-19

ლემზგრენტე ლიშდ, ხოჩა გზაურობუ გუარ ი აშხუ ბამ ხეხუ-ჰამს ეშხუ ჰეინტგეზალ ხორიხ (იქვე, ლენჯერი, 407, 29-30) „დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“), კარგი მგზავრობამც გვაქვს და ერთ მდიდარ ცოლ-ქმარს ერთი ვაჟიშვილი ჰყავთ“ („დალოცვილიმც ვიყოთ, კარგი მგზავრობა გვექნება და ...“).

ორმაგი დალოცვის შემცველი ფრაზით ცხადი ხდება, რომ მთქმელი პირობითად რთული და დამღლელი გზის შესამსუბუქებლად, „მგზავრობის“ გასაადვილებლად იწყებს თხრობას, მითუმეტეს, თუ ვივარაუდებთ, რომ „მგზავრობა“ და მოყოლა ერთდროულად მიმდინარეობს (თუმცა ზმნა-შემასმენელთა სემანტიკა მომავალი დროის გაგებას უკავშირდება -უ „მცა“ ნაწილაკიან კონსტრუქციასთან დაკავშირებული წყვეტილის, იშვიათად აწმყოს ფორმებში წარმოდგენილი ზმნების კომპლექსში ისევე, როგორც ეს ძველ ქართულში იყო).

არადალოცვითი ინიციალური გამონათქვამები გადმოცემულია მარტივი, შერწყმული (იშვიათად) და რთული თანწყობილი წინადადებებით. ყოფნა-არსებობის აღმნიშვნელი ზმნა წარმოდგენილია აწმყოს (არი, პრიხ // ლი, ლიხ // ლიზ - „არის, არიან“), უწყვეტლის (არდა, არდახ // ლასჷ, ლასჷხ - „იყო, იყვნენ“) და იშვიათად თურმეობითის (ლემზარ, ლემზარდხ // ლემზარლიხ // ლემზარდელიხ - „ყოფილა, ყოფილან“) ფორმებით.

მარტივ წინადადებებიანი:

პრიხ სემი ლახჷბა („სვან.ენ.ქრესტ.“,მესტია,157,26) - „არიან სამი ძმანი“;

არდა ეშხუ ხელწიფ (იქვე, 168,36) - „იყო ერთი ხელმწიფე“;

არდახ სემი ლახჷბა („სვან.პროზ.ტ.“,I,თფარი,190,8)-„იყვნენ სამი ძმანი“;

ლი ეშხუ კჷსარ (იქვე, უშგული,67,31) - „არის ერთი კეისარი“;

სემი ლახჷბა ლიხ (იქვე, ლენჯერი,411,6;427,30) - „არიან სამი ძმანი“;

ეშხუ უნარ ლიზ⁵² (იქვე, ლენჯერი,427,2) - „არის ერთი თავადი“;

⁵² ლიზ⁵² ფორმა თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ძალზე იშვიათად იხმარება. მისი ძირისეული თანხმოდანი ზ უკავშირდება ქართულ ძველ-ზმნის ანლაუტს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ: ვ. თოფურიია, შრომები, I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი,1967, გვ.,243-244; გ.მაჭავარიანი, მეშველი ზმნის აგებულებისათვის სვანურში, მიმოშხილველი, 6-9, თბილისი, 1972,

ლასტ ეშხუ ზურალ (იქვე, იფარი, 208,2) - „იყო ერთი ქალი“;
ლასტხ ხეხტ-ჰჷშ (იქვე, მულახი, 367,22; მესტია, 375,2) - „იყვნენ
ცოლ-ქმარი“;

ზანულ ადილგერი ტჷარგ ლგმჷრ ეხერ (იქვე, მესტია, 385,2) -
„ზანულ ადილგერი თავადი ყოფილა კარგი“;

სემი ლგმჷრლის ქჷთირალ (იქვე, მულახი, 347,17) - „სამი ყოფილან
ქურდები“.

ლგმჷრდხ ოხტიშდ ლახტუბა (იქვე, იფარი, 195,2) - „ყოფილან
ხუთი ძმანი“.

შერწყმულწინადადებიანი:

დჷშუდ ი მიჩა ბელარ ლიხ (იქვე, ლენჯერი, 434,14) - „არიან დათვი
და მისი ბელები“.

არდახ ეშხუ დნ-ჲ გეზალ (იქვე, იფარი, 135,34) - „იყვნენ ერთი
დედა და შვილი“.

ლასტხ ხაჯი დაუთ ი მიჩა ხეხტ (იქვე, მულახი, 368,12) - „იყვნენ
ხაჯი დავითი და მისი ცოლი“.

რთულ თანწყობილწინადადებიანი:

არი ეშხუ ხელწიფ ი ხოლა მანკიშ ხეხტ ხორი (იქვე, ლატალი,
442,9) - „არის ერთი ხელმწიფე და ცუდი ზნის (\"მანკ-ის\") ცოლი
ჰყავს“.

ჰრიხ ეშხუ ხეხტ-ჰჷშ ი ალმჷრს ხორიხ ეშხუ დნნა (იქვე,
მულახი, 323,25) - „არის (\"არიან\") ერთი ცოლ-ქმარი და ამათ ჰყავთ
ერთი გოგო“;

არდა ეშხუ თჷთირ კჷსჷრ, ხორდა სემი ჰყინტგეზალ
(იქვე, იფარი, 162,29) „იყო ერთი მთავარი კეისარი, ჰყავდა სამი
ვაჟიშვილი“ (შდრ. აჰარ. „ბიჰიშვილი“);

ლასტ ეშხუ მეჩი მჷრე, სემი დნნალ ხორდა (იქვე, იფარი, 142,6)
- „იყო ერთი მოხუცი კაცი, სამი გოგო (\"გოგოები\") ჰყავდა“.

დალოცვითი და არადალოცვითი შინაარსის ინიციალურ
ფორმულებში ყოფნა-არსებობის ამსახველი ზმნა უმეტესად
აწმყოშია: ძირითადია ჰრი, ჰრიხ. ლი, ლიხ ფორმის გვერდით კი
ორიოდე ზღაპარში არქაული ლიზ მონაცემიც გვხვდება. სპეციალურ

გვ., 503; ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის
საკითხები, თბილისი, 1978, გვ., 201; ჟ. გაგუა, დრონაკლი ზმნები
სვანურში, თბილისი, 1976, გვ. 19; ი. ჩანტლაძე ქართველოლოგიური
ძიებანი, I, თბილისი, 1998, გვ. 204-209

ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ზ ძირეული მასალაა, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამსავე პირსა თუ ორსავე რიცხვში... ლიხ მიღებული უნდა იყოს ფორმათა გამარტივების შედეგად: ლიზხ* > ლისხ* > ლიხ („არიან“).⁵³

ყველაზე იშვიათად ზმნა-შემასმენელი თურმეობითში გვხვდება, რითაც ბალსზემოური ზღაპრის დასაწყისი განსხვავდება ქვემოსვანურისაგან, განსაკუთრებით კი ლაშხურისაგან, სადაც ძირითადია სწორედ ამ მწკრივის ფორმით წარმოდგენილი შემასმენელი.

მეგრული ზღაპრის ინიციალურ ფორმულებშიც, რომლებიც არადალოცვითი ხასიათისაა, ზმნა-შემასმენელი წარმოდგენილია აწმყოს, უწყვეტლისა და თურმეობითის ფორმით:

„არე ართი ღარიბი კოჩიშ სქუა, ნაგურეფი - „არის ერთი ღარიბი კაცის შვილი, ნასწავლი“;⁵⁴

ორღე ართი გაჭირებული კოჩი - „იყო ერთი გაჭირებული კაცი“;

„ართი ხენწგფე ცოფენ დო ართი ოსურსქუა ნოხვე - „ერთი ხელმწიფე ყოფილა და ერთი ქალიშვილი ჰყოლია“.

ქართულში გავრცელებული „ცხოვრობდა“ ზმნიანი ტრადიციული ფორმულის შესატყვისია სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებული (თუმცა იშვიათად) ი-ზგ-ე // ლგ-მ-ზიგ - „ცხოვრობს // - ცხოვრებულა“ („ნაცხოვრება“) შემასმენლიანი გამონათქვამები:

„აშხუ სოფელისგა ლგმზიგ გჷბილ („სვან. ენ. ქრესტ.“, მესტია, 155, 34) - „ერთ სოფელში ცხოვრებულა („ნაცხოვრება“) გაბიკო (საქ. სახ)“;

ამენ! ლგმზერნუ ლიმდ ი ამჩუ ეშხუ ლგფკელ იზგე, მგჟემ ი დომდულუ უწდუნა (იქვე, 161, 15-16) - „ამინ! დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“) და აქ ერთი ბანოვანი ცხოვრობს, მზისა¹ და მთვარი¹ს¹ უნახავი“. ამ გამონათქვამის სპეციფიკურობას „ამინ!“ ლექსემის ადგილიც ქმნის. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით,

⁵³ ი.ჩანტლაძე ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998, გვ. 205

⁵⁴ ზანური მაგალითები დამოწმებულია ე.კითაშვილის ხელნაწერი ნაშრომიდან «ზღაპრის ენობრივი ფორმულები მეგრულ-ლაზურში» (თბილისი, 2000).

ესაა „იყავნ! აღსრულდეს! ჰეშმარიტად!“ და, ჩვეულებრივ, ლოცვა-კურთხევას მოსდევს ხოლმე, აქ კი დასაწყისშია გამოყენებული მსმენელთა ყურადღების მობილიზებისა თუ დალოცვის მიზნით („ჰეშმარიტად დალოცვილიმც ვართ“).

§2. მედიალური გამონათქვამები

სტაბილურ მედიალურ გამონათქვამთაგან ყველაზე დიდ ქვეჯგუფს ქმნის მოგზაურობის, გადაადგილების ამსახველი ფრაზეოლოგია, რომელიც „სვლა“ ზმნას უკავშირდება. ისევე, როგორც სვანურის სხვა დიალექტებში, ბალსზემოურშიც გავრცელებულია მარტივი ფორმულა: ადბინე (ლამბინე) ლიზი- „დაიწყო სვლა“, სადაც მოქმედების დაწყების აღმნიშვნელი ზმნა-შემასმენელი წყვეტილშია (ლენტეხურში მას თურმეობითის მწკრივი ენაცვლება ასობინა ლიზი - „დაუწყია სვლა“, რაც ბალსზემოურში იშვიათია), ხოლო მოძრაობის მაჩვენებელი - საწყისის ფორმითაა:

ლამბინე ლიზი („სვან.პროზ.ტ.“, I, იფარი, 172, 21); - „დაიწყო სვლა“;

ლამბინე ლიზი შახან-შარახმათი ავითე (იქვე, იფარი, 186, 12-13) - „დაიწყეს სვლა შახან-შარახმათის სახლისკენ“;

მიჩა ლამთილთე (დინათე) ლიზი ლოხუბინა (იქვე, მესტია, 386, 5) - „თავისი მოყვრებისაკენ (გოგოსკენ) დაუწყია სვლა“.

ზმნა ძირითადად III პირშია, მაგრამ იშვიათად გვხდება I პირშიც:

ლახუბინ ლიზი (იქვე, ლენჯერი, 422, 20; 424, 2) - „დავიწყე სვლა“. მთქმელი მის მიერ მოთხრობილი ამბის პერსონაჟად წარმოგვიდგენს თავს, რითაც ცდილობს, მსმენელი თუ მკითხველი დაარწმუნოს ფაქტებისა და სიტუაციების რეალობაში.

ერთადერთი შემთხვევა დასტურდება ბალსზემოური ზღაპრის პუბლიკაციებში, სადაც „სვლა“ ზმნის აღსანიშნავად კომპოზიტი გამოყენებული:

ნამ ჯაჩოდ ლიზი-ლიჩედს (იქვე, უშგული, 69, 14)-„ჩვენ გიზამთ სვლა წასვლას.“

სვანურის ამ თავისებურ ფორმულაზე თავის დროზე გალაკტიონ ტაბიძესაც გაუმახვილებია ყურადღება. შემთხვევით მოსმენილი ფრაზა - მიბინაჲ ლიზი-ლიჩედი („დამიწყია სვლა-წასვლა“), როგორც ჩანს, იმდენად მოსწონებია, რომ 1958 წლის 11-12 სექტემბრის ჩანაწერებში ზმნა-შემასმენლები ამ ფორმულის მიხედვით თურმეობითის მწკრივში გადაუყვანია და რიტმულად აუწყვია: „დაგვიწყია სვლა-წასვლა: მიბინაჲ ლიზი-ლიჩედი. მივსულვართ მასსაჩუხეტში. მოგვინახავს ჩვენი მაგიდა და

დაგვიწყია ცდა⁵⁵, 10 სექტემბრის ჩანაწერში კი ყოველი აბზაცი, ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლა ამ ფორმულით იწყება. ხან ქართული ვარიანტია წარმოდგენილი, ხან კი - სვანური, ხანაც ორივე ერთად.

შემთხვევითი არაა, რომ გენიალური პოეტის განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია სვანურ ფრაზას მიბინაუ ლიზი-ლიჩედი. ეს გამონათქვამი ხომ იმ ძველი სვანური ხალხური სიმღერების ტექსტებიდან მოდის, სადაც პერსონაჟის (მთხრობლის ან მომღერლის) თავგადასავალია გადმოცემული და მასში მონაწილე ზმნა ყველა ობიექტური პირის ფორმითაა ხოლმე წარმოდგენილი ორსავე რიცხვში:

აშ მიბინა აჯალ ლიჩედ („სვ. პოეზ.“⁵⁶, კალა, 8, 23) „ასე დამიწყია კვლავ წასვლა“;

აშ გჷბინა ლიზ-ლიჩედი (იქვე, მულახი, 16, 19; მესტია, 38, 30) - „ასე დაგვიწყია სვლა-წასვლა“;

ჯიბინაზ ლიზი-ლიჩედი (იქვე, კალა, 12, 8) - „დაგვიწყიათ სვლა-წასვლა“;

აშ ხობინა ლიზ-ლიჩედი (იქვე, კალა, 8, 23) - „ასე დაუწყია სვლა-წასვლა“;

შდრ. იქვე: აშ ხობინა ლიზ-ლიჩედი (8, 29);

აშ ხობინაზ ლიზ-ლიჩედი (იქვე, ლენჯერი, 42, 7) - „ასე დაუწყიათ სვლა-წასვლა“;

ლიზ-ლიჩედი ჭურ ხობინა (იქვე, მულახი, 54, 46) - „სვლა-წასვლა თურმე დაუწყია“;

ლიზ-ლიჩედი ჭურ ხობინაზ (იქვე, მესტია, 36, 16) - „სვლა-წასვლა თურმე დაუწყიათ“;

მგლახ-მგჷალს აშ ხობინა, ხობინაზ ლიზ-ლიჩედი (იქვე, მულახი, 52, 27-28) - „მულახ - მუჷალს ასე დაუწყია, დაუწყიათ სვლა-წასვლა“.

ზოგჯერ მარტივი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები გართულებულია გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნა-შემასმენლის დარ-

⁵⁵ ვ. ჯავახიძე, უცნობი, თბილისი, 1988, გვ. 301

⁵⁶ სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრებიეს და ქართულად თარგმნეს აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, მერი გუჭეჯიანმა, თბილისი, 1939

თვით. მოქმედების დაწყების გამომხატველი ზმნა ყოველთვის აორისტშია (მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში), ხოლო გადაადგილების აღმნიშვნელი - აწმყოში (უმეტესად) ან აორისტში:

აღბინე ღიზი ი ესლრი („სვან.პროზ.ტ.“, I, კალა, 87, 8) - „დაიწყო სვლა და მიდის“;

აზბინე ღიზი ალ მახელუჟედ ი ანლრი ძულუჟა (იქვე, მულახი, 279, 8-9) - „დაიწყო სვლა ამ ვაჟკაცმა და მოდის ზღვაზე“;

ლახუბინ ღიზი, ესლური, ესლური (იქვე, ლენჯერი, 422, 25-26) - „დავიწყე სვლა, მივიღივარ, მივიღივარ“;

აღბინე ღიზი, მერმა სახელწიფთე აჩაღ (იქვე, იფარი, 205, 8) - „დაიწყო სვლა, მეორე სახელმწიფოში წავიდა“;

ათხ` აღბინე ღიზი ი აჩაღ ჟოჟურა მგშიდმუჟ (იქვე, მულახი, 265, 28) - „ახლა დაიწყო სვლა და წავიდა ოქრომჭედელთან“;

იშვიათად ღიზი („სვლა“) ზმნას ლიჯედ („მოსვლა“) და ლიჩედ („წასვლა“) ენაცვლება:

აღბინე სერ ლიჯედ ი ანლრი (იქვე, მულახი, 283, 13-14) „დაიწყო მოსვლა და მოდის“;

აზბინე სერ ლიჯედ, ანლრიხ ჩალისიმე. ქორთე (იქვე, იფარი, 121, 19-20) - „დაიწყეს მოსვლა, მოდიან ჩალისიმეს სახლისკენ“;

ათხე აზბინე ლიჩედ ი ესლრი (იქვე, იფარი, 122, 29) - „ახლა დაიწყო წასვლა და მიდის“;

ზოგჯერ ესლრი, აჩაღ („მიდის, წავიდა“) ზმნებს განსხვავებული სემანტიკის ზმნები ცვლის: ათასდ („წააწყდა“), ლოხუშგან („მივადექი“)...

ლაზბინეხ აღმარ ღიზი, ათასდხ აშხუ ხელწიფს (იქვე, ლენჯერი, 417, 3-4) - „დაიწყეს ამათ სვლა, წააწყდნენ ერთ ხელმწიფეს“;

ლაზბინეხ ღიზი ი აშხუ ლაჰარ შუჟუს ათასდხ (იქვე, ლენჯერი, 398, 23-24) - „დაიწყეს სვლა და ერთ გზაჯვარედინს წააწყდნენ“;

ლახუბინ ღიზი ი სგა ლოხუშგან დეცს (იქვე, ლენჯერი, 422, 30-31) - „დავიწყე სვლა და მივადექი ცას“.

მოგზაურობის დაწყების აღსანიშნავად გამოიყენება, აგრეთვე, ქართულში გავრცელებულ შესიტყვებათა ანალოგიური გამონათქვამები: „დაადგა გზას“ - ლახუშგან (//ათაგან, ახაგანხ) შუჟუს და „ადგა და წავიდა“ - ანგგან ი აჩაღ:

ამჟი ახანგანს შუკუს ქარმამ⁵⁷ დაჩუიო ი მიჩა ჰან „სვან. ენ. ქრესტ.“, მესტია, 168, 27) - „ასე დაადგნენ გზას ქარმამას (საქ. სახ.) და და მისი ქმარი“.

ალმარ ათანგანს შუკუს ი ჟი ათლაკ⁵⁷ ალ მურყუამს („სვან. პროზ.ტ.“, I, იფარი, 178, 5) - „ესენი დაადგნენ გზას და წააწყდნენ ამ კოშკს“;

ანგგან ალ ჰყინტ ი აჩან (იქვე, მულახი, 250, 29) - „ადგა ეს ბიჭი და წავიდა“;

ანგგან ზურაბ ი აჩან (იქვე, იფარი, 214, 8) - „ადგა ზურაბი და წავიდა“;

ანგგანს ი აჩან (სვან. ენ. ქრესტ.“, მესტია, 162, 3) - „ადგნენ და წავიდნენ“;

ამჟი ანგგანს ი აჩან (სვან. პროზ.ტ.“, I, იფარი, 198, 6) - „ასე ადგნენ და წავიდნენ“.

ამ ტიპის შესიტყვებებიც გამრავალფეროვნებულია სხვადასხვა ზმნიანი (ესლრი „მიდის“, ლახხუიდა - „შეხვდა“, ლახჰანდგ - „მიადგა“, სგათლაკ „წააწყდა“) მარტივი კონსტრუქციების დამატებით:

ანგგან ჰყინტ ი აჩან შუკუს. ლახხუიდა ეშხუ აფიცარ (იქვე, ლენჯერი, 425, 11) - „ადგა ბიჭი და წავიდა გზაზე (შდრ., ლეჩხ., რაჰ., იმერ., გურ. „შუკას“). შეხვდა ერთი ოფიცერი“;

ანგგან ჰან; ესლრი, ესლრი ი აშხუ აგის სგათლაკ კუინჩლდს (იქვე, ლენჯერი, 419, 12) - „ადგა ქმარი; მიდის, მიდის და ერთ ადგილას წააწყდა სკვინჩას“;

ანგგან ი აჩან. ლახჰანდგ აშხუ საკესართე (იქვე, იფარი, 146, 3) - „ადგა და წავიდა, მიადგა ერთ საკეისროს⁵⁷კენ“.

ანგგან („ადგა“) ზმნას დაკარგული აქვს თავისი ძირითადი მნიშვნელობა, ამიტომაც მის ნაცვლად თავისუფლად იხმარება ლაჰპარ/ანჰპარ („აფრინდა“):

ლანჰარ ი აჩან (იქვე, იფარი, 204, 24; 205, 1) - „წამოხტა („აფრინდა“) და წავიდა“;

⁵⁷ როგორც ჩანს, მთქმელი დინჯად საუბრობს, თორემ სვანური ფონოტაქტიკის გათვალისწინებით, აქ მოსალოდნელი იყო ელიზიური ფორმა ა⁵⁷ ათლაკხ.

ლპპრბ ი აჩაღბ მერმე დჭტარ (იქვე, იფარი, 204, 33-34)
„წამობტნენ („აფრინდნენ“) წავიდნენ სხვა („მე-ორ-ე“) დევები“;

კინტო ე ანპარ ი ეშ ლპჭარტუნ ავითე (იქვე, მულახი, 352, 9-10) „წამობტა („წამოფრინდა“) კინტო და ისე გაიქროლა შინისაკენ“.

ჯადოსნური ამბის სიუჟეტი ხშირად მოგზაურობის ფონზე ვითარდება; ბედის საძიებლად წასული გმირი მრავალ ფათერაკს გადაეყრება. ამგვარი ხიფათით აღსავსე გზა, ჩვეულებრივ, ძალიან გრძელია ხოლმე, რასაც სხვადასხვა სახის ფრაზები ასახავს. მოქმელები განსხვავებულ ხერხებს იყენებენ მათ გადმოსაცემად. ძირითადად, ისინი მიუთითებენ გასავლელი (თუ გავლილი) მანძილის სიგრძეზე ან გადაადგილებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობაზე:

ესლრი ჭტენდია შუკტს ი აშხტ ავის, ლგცე პილს, ე ანშტემ (იქვე, მესტია, 380, 22-23) - „მიდის შორ გზაზე და ერთ ადგილას, წყლის პირას, დაისვენა“;

აჩაღ ჭყინტ. ესლრი. ხუნაჲ ადრზინე ჭტენდია შუკტ (იქვე, უშგული, 68, 6-7) - „წავიდა ბიჭი. მიდის. ბევრი შორი გზა მოიარა“;

ალექსი აჩაღ. აშხტ თრს ესღგრდა (იქვე, მულახი, 255, 20-21) - „წავიდა ალექსი. ერთ თვეს მიდიოდა“;

ესლრი, ესლრი ი ათხე ლეთ მამა ხოშთხენი შუკტ („სვან. ენ. ქრესტ.“, ლატალი, 164, 34-35) - „მიდის, მიდის და ახლა ღამეც არ უთავდება გზა“;

ჩიქე ლადი ესლრი, ადნაზუნ, მგხარ ესლრი, ადნაზუნ. მესმა ლადელ ესლრი ალექსანდრე („სვან. პროზ.ტ.“, I, იფარი, 229, 12-13) - „ჩერ დღეს მიდის, დაულამდა, ხვალ მიდის, დაულამდა, მესამე დღეს მიდის ალექსანდრე“.

მოქმელის მეტყველების თავისებურებით არ უნდა იყოს განპირობებული „დღეს“, „ხვალ“ ზმნიზედებთან „სვლა“ ზმნის აწმყოს და „დაულამდა“ ზმნის წყვეტილის ფორმით გამოყენება, რადგან ამ ფრაზებს სხვა ქართველურ ენათა ზღაპრებშიც ეძებნება პარალელები, შდრ. მეგრული:

იღგ ამღლა, ჭუმან, გელან (ე სახენწგფოშ გაჩერებაშ ნება ვა ულუ) ... მუჟო მიშგნ, გეტუ შარაქ - „იარა დღეს, ხვალ, ზეგ (ამ სახელმწიფოში გაჩერების ნება არა აქვს)... როგორც მიდიოდა, დასრულდა („გა-თავ-და“) გზა“;

გიაყუნეს, იღეს, იღეს: ამგდლა, ჭუმან, გელან... ქიმეულა ჟირ თუთას - გაუდგნენ [გზას]; იარეს, იარეს: დღეს, ხვალ, ზეგ... მიდიან ორ თვეს.

მეგრული გამონათქვამის თავისებურებაზე უნდა მეტყველებდეს „დღეს“, „ხვალ“, ზმნიზედებთან „იარა“ ზმნის გამოყენება, განსხვავებით სვანურისაგან, სადაც სვლა ზმნა აწმყოს ფორმით დასტურდება.

საკუთრივ ბალსზემოური დიალექტის თავისებურება ჩანს „სიშორის“ ამსახველ ისეთ გამონათქვამებში, როგორიცაა:

აყირ ამნემ მიჩა შუკუს, ესლრი ტეტრქა ცხეკს - ჩოთშდზხ ათხე ცხეკ (იქვე, იფარი, 117, 12-13) - „მოატანა ამან თავის გზას, მიდის ტევრის გასწვრივ ტყეში („ტყეს“) - დაუმთავრდა ახლა ტყე“;

ესლრი, ესლრი, ქტეყანა მზგ ჩოთშდზხ... ათხე მინდურეს ათაგან, მინდორი ჩოთშდზხ. ათხე ლზხანდღნ ტეტური პილთეკა (იქვე, იფარი, 117, 1-3) - „მიდის, მიდის, ქვეყანა სულ („ყველა“) დაუმთავრდა... ახლა მინდორს დაადგა, მინდორიც გაუთავდა. ახლა ტევრიწ პირს მიაღდა“.

მეტყველი რამდენ ადგილსაც (ტყე, მინდორი, ტევრი) ასახელებს, თითქმის იმდენჯერ მიგვანიშნებს გზის სიგრძეზე, ზოგჯერ კი მსგავსი გამონათქვამებით მის სირთულეზეც მიგვითითებს:

აჩანდ ცხეკიშ ცხეკთე, მინდურიშ მინდორთე, კოჯაშ კოჯთე (იქვე, უშგული, 68, 36) - „წავიდნენ ტყის ტყეში, მინდვრის მინდორში, კლდის კლდეში“;

ალო, სგან ღგრდად ცხეკთე, ცხეკიშ ცხეკთე, მინდურიშ მინდურთე, კოჯაშ კოჯთე (იქვე, უშგული, 68, 34-35) - „აბა, თქვენ წადით ტყეში, ტყის ტყეში, მინდვრის მინდორში, კლდის კლდეში“.

„ტყის ტყე“ „ულრან (შუა) ტყეს“ უნდა გულისხმობდეს, „კლდის კლდე“ „მიუვალ“, „ციცაბო კლდეს“, „მინდვრის მინდორი“ კი - „ტრიალი მინდვრის შუაგულს“.

ხანგრძლივი მოგზაურობის გამოსახატავად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა „სვლა“ ზმნის განმეორება. სვანური (ბალსზემოური) ზღაპრისთვის უფრო ბუნებრივია იქითა (იშვიათად აქეთა) მიმართულების ზმნისწინიან ფორმათა გამოყენება აწმყოს მწკრივში:

ალმარ ესლრიხ ი ესლრიხ (იქვე, იფარი, 131, 4) - „ესენი მიდიან და მიდიან“;

ათხე ესლრი, ესლრი (იქვე, იფარი, 118, 29) - „ახლა მიდის, მიდის“.

მარტივი კონსტრუქციების გვერდით გვხვდება შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებები.

შ ე რ წ ყ მ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა :

ესლრიხ, ესლრიხ აღმარ ი უი ათლაკხ აღ დწუჲ ქორს (იქვე, იფარი, 94, 21) - „მიდიან, მიდიან ესენი და წააწყდნენ ამ დევის სახლს“;

ესლრი, ესლრი ლაჰჰდღჲ აშხუ ქუეყანათე („სვან. ენ. ქრესტ.“, იფარი, 166, 4) - „მიდის, მიდის მიდგა ერთ ქვეყანას“;

ესლრიხ, ესლრიხ სერ აღმარ, ესლრიხ; ჯუენდია-ნაჯუდა მინდორისგა ჩუესწუენეხ ქორ („სვან. პროზ. ტ.“, I, მულახი, 330, 24-25) - „მიდიან, მიდიან; ესენი მიდიან; ძალიან შორ მინდორში დაინახეს სახლი“;

ანლრიხ, ანლრიხ ი სარაგმჲყ ანჰაღხ (იქვე, მულახი, 274, 8) - „მოდიან, მოდიან და წყაროსთან მოვიდნენ“;

ათხე ანლრი დინა, ანლრი -ჲ ქანჰე მინდურეთეჲა (იქვე, მულახი, 342,36) - „ახლა მოდის გოგო, მოდის და გაშოაღწია მინდვრამდე“.

ზოგჯერ მთქმელი არათუ აკონკრეტებს მოქმედების ადგილს (ან მიწვევნის პუნქტს), არამედ ზღაპრისთვის სპეციფიკურ ტოპონიმებსაც კი არ იყენებს. გმირი ალაღბელზე მიდის, გაურკვეველი მიმართულებით:

ათხე ესლრი, ესლრი შუკჲს, მარე იმთე დო ესლრი, მჲჲ ზოხალ (იქვე, იფარი, 117,22) - „ახლა მიდის, მიდის გზაზე, მაგრამ საით მიდის, არ იცის“;

ესლტრი, ესლტრი, იმთე დო ესლტრი, ამწუ მი მჲჲჲ მიხალ (იქვე, იფარი, 204, 5-6) - „მივდივარ, მივდივარ, საით მივდივარ, ამის არაფერი ვიცი“.

უკანასკნელი გამონათქვამი იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როდესაც მთხრობელი პირველ პირში აგრძელებს მოყოლას, რითაც ფანტასტიკური ამბის მონაწილედ წარმოგვიდგენს თავს. მსგავს საშუალებებს, ჩვეულებრივ, ზღაპრის დასრულებისას მიმართავენ ხოლმე მონათხრობის უტყუარობაში მსმენელის დასარწმუნებლად.

რთული თანწყობილი წინადადება:

ანლრი, ანლრი ი ათხე მანესგრე მუხუბე ათლუპუ ჟეშგინ (იქვე, იფარი, 185, 21) - „მოდის, მოდის და ახლა შუათანა ძმა გამოეკიდა უკან“;

ესლრ', ესლრი ყურუსულნაჲ ი ჯჷედია-ნაჟღა მინდჷერისგა ლახხუიდლა თეტენ (იქვე, მულახი, 365, 27-28) - „მიდის, მიდის ყურუსულნა (საკ. სახ.) და ძალიან შორ მინდორში შეხვდა სადგისი“;

ლა-ხ-ხუიდ-დ-ა („შეხვდა“) მეორე წინადადების ზმნა-შემასმენელია, რომელიც ორ მარტივ წინადადებას ერთმანეთთან აზრობრივად აკავშირებს, მაგრამ ზოგჯერ გამოტოვებულია ხოლმე:

ესლრ', ესლრი ი აშხუ აგის, სარაგცახან, ხოჩა მეგმარ ლგგხ (იქვე, მულახი, 369, 35-36) - „მიდის, მიდის და ერთ ადგილას, წყაროსთან, კარგი ხეები დგას („დგანან“);

ესლრი ალექსანდრე, ესლრი; ეშხუი ხეხუ-ჰაშ კაღა ლაღაჟი აყურეხ (იქვე, იფარი, 228, 34-35) - „მიდის ალექსანდრე, მიდის; ერთი ცოლ-ქმარი ცული¹ ტარზე წევს“ („წვანან“);

ესლრი ი ესლრი, ესლრი; სამ ლაჰარ შუჟჷუი ეშხუ მარე ბაჩჷი ლგგ (იქვე, იფარი, 225, 17-18) - „მიდის და მიდის, მიდის; სამი გზის გასაყარზე (სამ გასაყარ გზაზე) ერთი კაცი ქვაზე დგას“;

ესლრი, ესლრი ალექსანდრე, ეშხუ ზურალ ირბიელ (იქვე, 228, 29) - „მიდის, მიდის ალექსანდრე; ერთი ქალი აცხობს“;

ასეთ კონსტრუქციებში ადვილად ივარაუდება: „შეხვდა“, „ხედავს“ ან „დაინახა“ ზმნები.

საინტერესოა ისეთი გამონათქვამები, სადაც გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები სხვადასხვა მწკრივში მეორდება:

ათხე აჩაღხ ტარიელ ი აჟთანდ, ესლრიხ კაწარშერთესგა. აჩაღხ (იქვე, უშგული, 59, 30) - „ახლა წავიდნენ ტარიელი და ავთანდილი, მილიან კეისრისანთან. წავიდნენ“;

აჩაღ მიჩა შუჟჷს, ესლრი, ესლრი ი სგა ლახხუიდ აშხუ მარა (იქვე, მულახი, 358, 8-9) - „წავიდა თავის გზაზე („შუჟა-ს“), მიდის, მიდის და შეხვდა ერთ კაცს“;

ზურალ აჩაღ მიჩა შუჟჷს. ესლრ', ესლრი, სგაღჰე მიჟთესგა (იქვე, მულახი, 298, 2) - „ქალი წავიდა თავის გზაზე („შუჟა-ს“). მიდის, მიდის; შევიდა („შეაღწია“) მწესთან“.

სვანური ენის ყველა დიალექტზე ფიქსირებულ ზღაპრებში ერთი და იმავე ფორმების გამეორების სანაცვლოდ გვხვდება აქალ („კვლავ, ისევ, კიდევ“) ზმნისართიანი ფორმულები:

აღბინე ლიწი, ესლრიხ აქალ (იქვე, იფარი, 114, 22-23) - „დაიწყო სვლა, მიდიან კვლავ“;

აჩაღ აქალ ჭუნდიათე (იქვე, იფარი, 139, 11) - „წავიდა ისევ შორს“.

ქართულ ენაში ფართოდ გავრცელებული „ბევრი იარა, თუ ცოტა იარა“-ს მსგავსი გამონათქვამები ტიპური არ ჩანს სვანურისათვის; ქვემოსვანურში, კერძოდ ლაშხურ დიალექტში, მისი გამოყენების ერთადერთი შემთხვევა დასტურდება. ბალსზემოურ კილოშიც იშვიათად გვხვდება, თავისებურადაა გადმოცემული და ლაშხურს უახლოვდება:

აჩაღ. ხუნა აჩაღ, ჰა კოტრლ, ახლთიკ წაჰრს ვრწით (იქვე, იფარი, 200, 7) - „წავიდა. ბევრი წავიდა, თუ ცოტა, წეროს მისდევს არწივი“;

ჰეინტ ესლრი, ესლრი; ძღღდ მეჩედ, ჰა კოტრლ, სგა ლახხუნდ ამეჩუ ლაჩუ

(იქვე, იფარი, 199, 32-33) - „ბიჭი მიდის, მიდის; დიდი წასულა თუ ცოტა, შეხვდა აქ ირემი“;

ახაგანხ შუკუს; ჭუნდს ლი ჰა ფედს, ანჰე მიჩა ჭუნეანათე (იქვე, უშგული, 80, 1-2) - „დაადგა გზას, შორს არის თუ ახლოს, მოაღწია თავის ქვეყანაში“;

ალაჰარდ ლაგუნუშ ჟეშდ ოხჰუნხ, ჭუნდიას ლი, ჰა ფედიას, ალა, არა ლახტა - დ მინე ლაჰტა (იქვე, უშგული, 78, 29-30) - „ესენი ტირილით უკან მობრუნდნენ, შორს არის თუ ახლოს, ეს რვა ძმა და მათი ცოლები“;

შდრ.: ლშ.

ანჩად ძღღდ ა კოტრლ, ჟახახტიდა ხოჩა მინდორ („სვან.ენ.ქრესტ.“, 275, 30-31) - „წამოვიდა დიდი თუ ცოტა, შეხვდა კარგი მინდორი“.

ლაზური ზღაპრის გადაადგილების გამომხატველი ამგვარი ფორმულა მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ქართულთან სწორედ „სვლა“ ზმნის წყვეტილის ფორმის გამოყენებით:

ჭუტა იდუ, დიდო იდუ, ახირი მედახთუ, ენა უწვეს მეშა - „ცოტა იარა, ბევრი იარა, ბოლოს მოვიდა, რომ უთხრეს იმ ადგილას“;

ჭუტა იდუ, დიდო იდუ, არ ტობაშა მედალუ - „ცოტა იარა, ბევრი იარა, ერთ ტბასთან მივიდა [მოუხდა მისვლა]“;

მრავალრიცხოვან მედიალურ გამონათქვამთაგან (გარდა „სვლა“ ზმნასთან დაკავშირებულებისა) ამ ეტაპზე შევეცადეთ შეგვეჩიხა ის მზა ფორმულები, რომლებიც ქვემოსვანურ კილოებში არ დასტურდება ან შედარებით იშვიათად გვხვდება. დანარჩენებს წარმოვადგენთ ბალსქვემოური ტექსტების განხილვისას.

მთავარი გმირისა თუ მითოსური პერსონაჟის ძლიერებას ბალსზემოური ზღაპარი სხვადასხვაგვარად აღწერს:

ეჩუშამ ჭაბიგუ ალრი, ერე, ს' ესერ ჰე ამჩუ ესხრლი, ისგუა იშუესი აფთქუე ი ჭიჭუსი („სვან.პროზ.ტ.“, I, იფარი, 209, 13-14) - „ისეთი ჭაბუკი მოდის, რომ, თუ აქ დახვდებიო („დახვდება“)“⁵⁸, შენს ხორცსაც დალეწავს და ძვალსაც“;

დწუდ რწქუ, ერე, ხოშა ლაჭმილა ლახ ესერ აწდენიხ, მინე იშუესი აჭუშე ი მინე ჭიჭუსი („სვან.ენ.ქრესტ.“, მეტია, 159, 2-3) - „დევმა უთხრა, რომ, თუ უფროსი ძმები მოვლენო, მათ ხორცსაც დავამტვრევ („დაამტვრევს“) და ძვალსაც“.

მსგავსი ფრაზები მუქარასთან ერთად გაფრთხილებასაც შეიცავს:

გიერგ სალტუნ ანლრი; ბაჩუჟი ბაჩს ხაფუნე, გიმ-მეგამს უფნთქუად დემგუაშუ ცუირე ი ს' აჯწარია? („სვან. პროზ.ტ.“, I, მულახი, 320, 23-24) - „გიორგი სალტვანი მოდის; ქვაზე ქვას ახეთქებს, მიწა-ხეს გაუხეთქავად არაფერს ტოვებს და შენ დაგზოგავს?“;

მდრ. გიერგ სალტუნ ანლრი; ბაჩუჟი ბაჩს ხაფუნე ი გიმ-მეგამს ესერ ჩი უშხტარ ხანჩგდე (იქვე, მულახი, 320, 14-15) - „გიორგი სალტვანი მოდის და ქვაზე ქვას ახეთქებს და მიწა-ხეს ყველაფერს ერთმანეთში ურევს“.

⁵⁸ სვანურში ესერ და როქუ / ლოქუ ნაწილაკდართული სხვათა სიტყვა გადმოიცემა მესამე-პირისეული კონსტრუქციებით (ამის შესახებ იხ. ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998, გვ.223-224), ძალზე იშვიათად პირველი ან მეორე პირის ფორმებით

ეს ორი ფრაზა ძალზე საინტერესოა გრამატიკულადაც. ტექსტში, რომელიც ჩაწერილია მესტიის რაიონის სოფელ მულახში 1937 წელს მერი გუჯეჯიანის მიერ, ერთი და იგივე მთქმელი, ერთსა და იმავე სახელთან მიცემითი ბრუნვის მაწარმოებლად ხან -ს მორფემას იყენებს, (ბაჩ-ს „ქვას“), ხანაც - ზ-ს (ბაჩჟ „ქვას“). ყურადღებას იქცევს აგრეთვე ორცნებიანი კომპოზიტი გიმ-მეგამ („მიწა-ხე“), რომელიც დღეს აღარ იხმარება და მხოლოდ ფოლკლორული სტილისთვისაა დამახასიათებელი.

ზოგჯერ სტაბილურ გამონათქვამებში ძალის დემონსტრირება კი არ არის გადმოცემული, არამედ მის შესახებ მინიშნებულია ბუნების მოვლენების ცვლილებებით:

მერმა ლაღელ ანვად აჯალ წგრნი დანჲ ი სგუბინ ხოუთელ ეჯალიბ ბუქჟ, ქუეყანას იწანე (იქვე, იფარი, 108, 11-12) - „მეორე დღეს კიდევ მოვიდა წითელი დევი და წინ უძღვის ისეთი ქარი („ბუქი“), ქვეყანას გლეჯს“;

ათხე ანვად აშხუ ლაღელ ეჯალიბ ჰაერ ი ხოლა ბუქჟ, ერე ქუეყანა ქუთან ი ანლრი თუთენე ნადჲურ (იქვე, იფარი, 108, 5-6) - „ახლა ერთ დღეს მოვიდა ისეთი („იმ ყაღბანს“ ღე ქ „ყაღბანს“) ჰაერი და ცუდი ქარი („ბუქი“), რომ ქვეყანა ზანზარებს და მოდის თეთრი დევი („ნა-დევი-არი“)“;

... ჯაჲ მეშხე ლი, ცა და ქუეყანასი ჩამშხე (იქვე, 227, 30-31) - „თვითონაც შავია, ცა და ქვეყანასაც აშავებს“.

ქართველურ ენებზე ფიქსირებულ ზღაპრებში მითურ პერსონაჟთა ზებუნებრივ შესაძლებლობებს ზოგჯერ, ბუნების ცვლილებასთან ერთად, ფერიც განსაზღვრავს. მათი ძლიერება ფერთა მიხედვით ასე ლაგდება: თეთრი, წითელი, შავი. თეთრი დევი ყველაზე სუსტია, წითლის დამარცხება უჭირს გმირს, მაგრამ შავი უფრო ძლიერია და მასზე გასამარჯვებლად, ღონის გარდა, ხერხის ხმარებაც ხდება საჭირო.

იმავედროულად, ფერი შესაძლოა ადგილის მიუვალობასა და საშიშროებაზეც მეტყველებდეს: თეთრ, წითელ და შავ მთათაგან ყველაზე დიდი საფრთხე შავ მთაზეა მოსალოდნელი:

თუთენა კოჯარხან მამგუეშ ითხი, წგრნი კოჯარხან მამგუეშ ითხი, წგრნი კოჯარს ესერ ჩუ მადხტუამ არიხ, მარე ლაშქდობ ეზარ ლი; მეშხა კოჯარს ესერ ჩუ მენჲარ არი ნათხტუარე, მარე მარე ესერ დარ მეტხელი შუდობდ (იქვე, მულახი, 266, 33-36) „თეთრი

კლდეებიდან ვერაფერს იშოვი, წითელი კლდეებიდან ვერაფერს იშოვი, წითელ კლდეებშიო („კლდეებსო“) ბევრი არაფერია („არიან“), მაგრამ უსაფრთხოა („სამშვიდობოდ კარგია“); შავ კლდეებშიო („კლდეებსო“) ნანადირევი ბევრია, მაგრამ კაციო არ დაბრუნებულა მშვიდობით („მშვიდ-ობ-იან“-ად“).

ბალსზემოურ ზღაპრებში დასტურდება „თეთრი, წითელი, შავი“ სოფელი, ქალაქი, ქვეყანა...

აშხუ თუთენამ სოფელთესგა ლაზნადგნანხ (იქვე, იფარი, 175, 20) - „ერთ თეთრ სოფელს მიაღგნენ“;

ანჯაღ მეშხა ქუეყანათე (იქვე, იფარი, 129, 34) - „მოვიდნენ შავ ქვეყანაში“;

სგანჯაღ წგრნი ქუეყანათე (იქვე, იფარი, 129, 33) - „შემოვიდნენ წითელ ქვეყანაში“.

ცნობილია, რომ შავი სიბნელის, ბოროტების, ქვესკნელის ფერია, წითელს კი, გარდა სიცოცხლის, აღდგომის, განახლების სიმბოლური დატვირთვისა, სხვა შინაარსიც აქვს იგი არის ჯოჯოხეთის, ანუ ცოდვის ფერი, ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ წითელი და შავი ბოროტი ძალების ან მიუვალი ადგილების განსაზღვრებად გამოიყენება (თუმცა არა ყოველთვის!).

შავი იმავდროულად გლოვის ფერიცაა: ქართულის „ძაძით მოსილი“ ან „შავად შეღებილი ქალაქი“ თუ „ქვეყანა“ სვანურ ზღაპარშიც დასტურდება:

ტკისდ ჩადლუფურებ მახად მავ, ხაღლ მავ იგუნი ამი მატკლავშ (იქვე, ლატალი, 439, 36-37) - „მართლაც ყველაფერი ხელახლა („ახლად“) შეღებეს შავად, ხალხი („ყველა“) ტირის ამის“ ცოდვით („სინანულით“ - „და-კლ-ებ-ით“).

მსგავსი ტიპური გამოთქმები საყოველთაო გლოვის გამოსახატავად გამოიყენება.

რაც შეეხება ჯადოსნური თხზულების სხვა ტოპონიმებს („საიჭიოსა“ და „ქვესკნელის“ გარდა), ისინი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაგვით: ცაზე (ან მასთან დაკავშირებული) და დედამიწაზე არსებული ადგილები.

ქართულის „მეცხრე ცის“ შესატყვისია სვანურში მჭრემში ი მჭრემი ნესგაქა - „ლრუბლის“ ა და მოწმენდილი“ ს („ცას“) შუა:

რაშს ეი ლასხურდა დ მერემიშ ი მეფხემი ნესგაქა ქაპარ (იქვე, მულახი, 325, 24-25) „რაშს მოაქდა და ღრუბლისა' და მოწმენდილი'ს' („ცას“) შუა გაფრინდა;

ანლრი მირ მერემიშ ი მეფხემი ნესგაქა წგრინდ („სვან.ენ.ქრესტ.“, მესტია, 168, 28) - „მოდის რალაც ღრუბლისა' და მოწმენდილი'ს' შუა წითლად“.

შესიტყვებაში მერემიშ ი მეფხემი ნესგაქა („ღრუბლისა' და მოწმენდილი'ს' შუა“) არსებითი და ზედსართავი სახელები ნათესაობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, როდესაც შეერთება კავშირიანია, ხოლო ასილენტური შეერთების დროს - მიცემითში:

ხოჩიდ მადრაჟ, ეი ლასხურდა, მერა-მეფხაქა ქაღდე („სვან.პროზ.ტ“, I, იფარი, 203, 35) „დაჰკრა მათრახი შეაქდა, ღრუბელ-მოწმენდილზე გაიყვანა“;

ეი ზოსგურა ბარჯეი, მერა-მეფხა ნესგაქა ქაღდე (იქვე, 203, 12-13) - „შეისვა ბეჰე, ღრუბელ-მოწმენდილზე („შუას გასწვრივ“) გაიყვანა“.

-ა ხმოვანი მიცემითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ე-ზე დაბოლოებულ სახელებში გამოიყოფა. არსებობს მოსაზრება, რომ მსგავსი „ფორმები (სახ. ჟახე „სახელი“ - მიც. ჟახა) ძირეული მორფემის ორ სხვადასხვა ვარიანტად იქნეს მიჩნეული (მსგავსად ჟელ „ძალი“ - ჟალჷ, ჳიშხ „ფეხი“- ჳგშხ ...ფორმებისა) და მაშინ სახელობითისა და მიცემითის ფორმები აქაც ძირეული მორფემის ორი სხვადასხვა ალომორფით წარმოქმნილი გამოვა.“⁵⁹

შესიტყვებაში მერა-მეფხა ნესგაქა რთული თანდებული ნესგა + ჳა („შუას გასწვრივ“) სწორედ მიცემით ბრუნვას გვაგვარაუდებინებს.

გაანალიზებული ფორმულის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია მეფხემიშ ი დეცე ნესგაქა („მოწმენდილისა' და ცის შუა“).

ესლრის მეფხემიშ ი დეცე ნესგაქა („სვან.ენ.ქრესტ.“, მესტია, 161, 1) - „მიდიან მოწმენდილისა' და ცი'ს' შუას გასწვრივ“;

რაშს დეცმეფხემი ნესგაქა აღზგზე („სვან.პროზ.ტ.“, I, მულახი, 253-1) - „რაში ცა-მოწმენდილი'ს' შუა („შუას გასწვრივ“) გაგზავნა.

⁵⁹ ალ.ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998, გვ.78

ამგვარ ტოპონიმებს ბალსქვემოური და ლენტეხური ზღაპარიც იცნობს, ხოლო „ცისქვეშეთი“, „ღრუბლებს ზემოთ“ გავრცელებულია ქართულშიც:

მერწლე ჟიქანქა აღმე („სვან.ენ.ქრესტ.“, ლატალი, 170, 16)
„ღრუბლები ს“ ზემოთ წაიყვანა“;

მაღ' ესერ, მამ ლი დეც ლგფარჩუქტუნ⁶⁰ ჩიდ მაჩნენ? (იქვე, მესტია, 154, 11) - „აბაო, რა არის ცის ქვეშეთში („ცის საფარქვეშ“) ყველაზე უკეთესი?“;

ეჩენ ხოჩა მარე დეცლგფარჩუქტუნ მამ' აჩი („სვან.პროზ.ტ.“, I, მულახი, 317, 8-9) - „იმამზე („იმად“) კარგი კაცი ცის ქვეშეთში („ცი ს“ საფარქვეშ“) არ არის. ტერმინი „ცისქვეშეთი“ ყველაზე ფართო არეალს გულისხმობს მთელ სამყაროში.

ზღაპრული ტოპონიმების პარალელურად (როგორიცაა: ჩხარა თანალს ეჩხენჩუ - „ცხრა მთას იქით“, ქაჯაუეთი ქუეყანა - „ქაჯეთი ს“ ქვეყანა“, ეჩებუასდ - „საიქიო“, ჩუბებუასდ - „ქვესკნელი“) ზოგჯერ გვხვდება ბიბლიური ან სხვა კონკრეტული ტოპონიმები და მათგან მომდინარე სახელწოდებები:

ელოლამი ი გელოლამ უშხტარ ნესგ' ესერ გუნ ტებდი ლია? („სვან. ენის ქრესტ.“, ლენჯერი, 156, 22) - „ელოლამის და გელოლამის შუალ („ერთმანეთს შუალ“) ძალიან თბილა?“

ამთან ტაბგობ ესერ ელოლამი ი გელოლამ ნესგ' ესერი მამ ხარ, ადო იშგნაგ ესერ იმე ხეროლ? (იქვე, ლენჯერი, 156, 13-14) - „ამ' ის თანა ლხინი („ტაბაკ-ობ-ა“) ელოლამის და გელოლამის შუაცო („ერთმანეთს შორისაცო“) არ აქვთ, თორემ სხვაგან სად ექნებათ“.

ქვემოსვანურ ზღაპარში დადასტურდა ტოპონიმური წყვილი ალელია და გალელია. როგორც ელოლია, ისე ალელია გალილია⁶¹ საგან უნდა მომდინარეობდეს.

ასევე აღვილი სავარაუდებელია მურქტუთი და თურქტუთი-ს ამოსავალი ფორმა („თურქ-ეთი“):

ჩი როქ მურქტუთი ი თურქტუთი სოფლიშ მარემი გეზალ ლი ი ეჩხაუ აჩაღ („სვან.პროზ.ტ.“, I, ლატალი, 436, 13-14) - „შენო („თვითონო“) იურქვეთი ს“ და თურქვეთი ს“ სოფლის კაცის შვილი ხარ („არის“) და იქით წადი („იქითმცა წავიდა“).

⁶⁰ დეცლგფარჩუქტუნ ერთცნებიანი კომპოზიტია და ამიტომ ერთად უნდა იწერებოდეს

ანალოგიურ გამონათქვამებში ტოპონიმური წყვილის ერთ-ერთი წევრი რეალურად არსებული ადგილია, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა ორივე კომპონენტი შემოქმედი მთქმელის ფანტაზიის ნაყოფი იყოს:

წიქერამ ი ბულუერამ ატახხ მინე ნაზტს ონჟუტნიშ ი ბონჟუტნიშთე-ეჩაბუნსდთე (იქვე, მულახი, 339,6-9) - „წიქარა და ბულვერა გაჰყვნენ თავიანთ ნაკვალევს ონჟუეაის^ა და ბონჟუეაისკენ - იმ ქვეყნისკენ“;

ალაიშ-თალაიშ (//ჰალაშ - თალაშ) ლახტთე პრი თუტთენე ჰაგ რაშ („სვან. ენ. ქრესტ.“, მესტია, 160,26-27) - „ალაის-თალაის (//ჰალას - თალას) მთაზე („მთ^ასკენ“) არის ერთი თეთრი ქაკი რაში“;

აჩად ათხა მაჰტრენე მუხტბე ჰალაშ-თალაშ ლათხელთე (იქვე, მესტია, 160, 35-36) - „წავიდა ახლა უმცროსი ძმა ჰალაშ-თალაშის^ა საძებნად“.

სვანური ზღაპრის სპეციფიკურობას ქმნიან დასჯილი პერსონაჟის მდგომარეობის ამსახველი ფორმულებიც:

ხოჩიდ ტყენდ (ფაუდ) ი მეშხე ჭჷინ გარ ლახტჷირ ღუაჰრალს („სვან. პროზ. ტ.“, I, ლენჯერი, 421, 11-12) „ურტყა კეტმა („ჯოხმა“) და შავი სულილა შერჩა^თ ვაჰრებს“;

ეჟერჷ ხოჩიდ, ერე ღო მეშხე ჭჷინ გარ ლახსეს! (იქვე, ლენჯერი, 421, 4-5) - „ისე ურტყი, რომ შავი სულილა შერჩეთ!“.

დასჯილი პერსონოჟის ტრაგიკული აღსასრულის გამომხატველი გამონათქვამები სვანურ ზღაპარში მრავალფეროვანია:

სგადდე მგსკად ი სკამჷი ჩუესგურდა ი ჰეროლარ გარ ასად („სვან. ენ. ქრესტ.“, იფარი, 166,10) - „გაიკეთა ბეჰედი, სკამზე დაჟდა და ხმებილა დარჩა“;

ჩუ ჰალ ესსგურდა სკამოლჷი, ქამილდარ გარ ასად („სვან.პროზ. ტ.“, I, მულახი,341,3) - „როგორც კი დაჟდა სკამზე, ფერფლილა დარჩა“;

ანჯილხ მერუ მელტუნამ ჩაჟარ - ეშხუ აშხუ ლახბებს, მერმე მერმა ლახბებს ი ლამგჷს აღზგზებს ი ლამშგედს ანტახხ, მარე ალ ზურალარს ჰაგტუ ჩიჟტარ გარ ხაცტირხ, სერ მამგტუმ (იქვე, იფარი, 150, 8-10) - „მოიყვანეს ორი დაუჟოდავი ცხენ^იები, ერთი ერთს მიაბეს, მეორე მეორეს მიაბეს და სამზეოს გააგზავნეს და საჩრდილობელს დააბრუნეს, მაგრამ ამ ქალებს ქუსლი^ს ძვლებილა შერჩათ, მეტი არაფერი“;

ეჩქას აღსკინე დინად, მერტუხანუი ჟიჭუარ გარ ანვანდს („სვან. ენ. ქრესტ.“, ლატალი, 171, 6-7) - „მაშინ გადაბტა გოგო („ისკუბა გოგომ“), მეორე მხარეს ძვლებიდა ამოვიდნენ“.

სვანურში თავისებურია აგრეთვე „ბედისმწერალთა მოტივში“ გამოვლენილი ფორმულები:

ჯგერანდ ი ანგლოზარდ აღშეურანეს ლახტბა, ერე: - ეჩქად ესერ ხულტეხ ზოჩა ლირდე, ჟოდ მუშგურთი დო ლახსისგხ (სვან. პროზ. ტ. I, მულახი, 290, 26-29) - „წმინდა გიორგიმ და ანგელოზებმა დალოცეს („დაარიგეს“) ძმები, რომ: - მანამო გქონდეთ („ჰქონდეთ“) კარგი ცხოვრება, ვიდრე სტუმარი არ შეგძულდებათ („შესძულდებათ“)“;

ჩინი მგნწირუ ლასტუ, მარე ისგთეჟა ქანვეს, ეჩქა კოჯა ბედიშუ ესერ ლასტუ (იქვე, იფარი, 92,3-4)-„ყველას მომრევი იყოს, მაგრამ შუა ხანს („შუამდე“) რომ მიალწევს, მაშინ კლდის ბედისა იყოსო („ბედ-ის-რა-მც იყოს“)“.

ზოგჯერ დასახელებულია უბედურების მიზეზიც, რომელიც თუმცა სამომავლოდ არის განსაზღვრული, მაინც უდავო ჩანს, ანუ აუცილებლად მოხდება:

ჩინი მგნწირუ ლასტუ, მარე, შომჟანდ ესერ სამი ქრისდჲ თანდტებ ჩაკუშას, ეჩქა ესერ გიმუ ათჳტება! (იქვე, იფარი, 92,8-9) - „ყველას მომრევი იყოს, მაგრამ, როცა სამი ქრისტეს“ (აქ შესაძლოა იგულისხმებოდეს „სამება“, ან ფიცის სამგზის გატება) ფიცი („თავ-ს-დ-ებ-ა“) გატეხოს, მაშინ მიწა გაუსკდეს!“;

ჩინი მგნწირუ ლი, ჟოდ სემი ქრისდჲ თანდტებ ჩუ დო აკუშას... ეჩქა ქაჯატეთი ყორისგა მეზიტ ლი! (იქვე, იფარი, 88, 25-26) - „ყველას მომრევი იყოს, („არის“) ვიდრე სამი ქრისტეს“ ფიცი არ გატეხოს... მაშინ ქაჯეთის“ კარზე ივლის („კარში მსვლელიმც არის“)“. ღვთის ფიცის გატება მიუტევებელი ცოდვაა და ეს ამ ფრაზებშიც აისახება.

თუ რომელიმე გამონათქვამში წყევლის მიზეზი მოცემულია, მაშინ მისი პირობაც სახელდება:

ძიძა ი მიჩა გეზალ სგა ლახბე რაშა. ჰაჳტანდს ი რაჳტუ: ჰემმა ესერ ლჳქანდ ლესტუხ, დო ამხანტესგა. პეროლარუ გარ ამტეხნელიხ ი ჰე მრმა ი დო ნოსამჟუ ხაყრახ (იქვე, მულახი, 288, 11-13) - „ძიძა და მისი...შვილი...შეაბა...რაში“ს“ კუდს და...თქვა...თუ...მტყუანი...იყოთო,

მაშინ აქეთ ქაფებიმცლა დაბრუნებულიყავით და თუ არა, არაფერი დაგმართოდეთ“;

საზს ე ლამღუნენს ისგუახანქა, ღო ხანჯარს ნომმაგუეშუ მოშ ხოყრა ბერჯა შანთდ; საზს ე მოდ ლამღუნენს ისგუახანქა, ეჩქას შანთი ჩუტ ოთქუნიცა ი სიე! (იქვე, ლატალი, 438, 4-7) - „თუ მე შენგან ეს მეკუთვნოდეს, მაშინ ხანჯალმა ვერაფერი უქნას რკინი“¹ შანთს, თუ არ მეკუთვნოდეს შენგან, მაშინ შანთიც გაჭრას და შენც!“;

მესკად ესერ ჰენსა სგ²აღდას, ეჩქა ესერ ჰეროლწარუ გარ აშსედ ი სკამუი ესერ ჰალ ესგურდღეს, ჩუტ ესგურდღეს, ჩუტ ესერ ალბაქელი („სვან. ენ. ქრესტ.“, იფარი, 166, 6-8) - „ბეჰედი თუ გაიკეთოსო, მაშინო მხოლოდ ხმები დარჩეს და თუ სკამზე დაჯდესო, დაჯდეს და გაქრესო“;

უოდ ესერ მიჯნემ ჟირჩილ-მარჩილ კესრი გეზალ ნანულ ჩუ ღო ადგჰეს (//ადგჰეს), ეჩქად ნო ლისგურენუ ხოგად, ნო ლიგნენ („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 104, 22-24) - „ვიდრეო შენ („თვითონ“) ვირჩილ-მარჩილ (ზღაპრული პერსონაჟი) კეისრი“³ ქალიშვილი არ დაგეჰიროს, მანამდე არც ჯდომა შეგეძლოს, არც დგომა“.

ასეთი ფორმულები ზოგჯერ ყოველგვარი მიზეზსა თუ პირობას გამორიცხავს და მხოლოდ მოსალოდნელ უბედურებას გვამცნობს:

...იგსთეჰა ქანჯეს, ეჩქა ესერ ლიცი ბედიშუ ლაშტ! (იქვე, იფარი, 92, 6) - „შუახნის გახდეს, მაშინ წყლი“⁴ ბედის იყოს (ბედ-ის-“ა“-მც იყო)!“;

ეჩის ჩოთჰათუნა, ერე „ლაღელშუ ესერ ლგდგარუ ლი ი ლენტშუ ლგმარ“ (იქვე, მულახი, 296, 16-17) - „იმას დაუწყევლია, რომ დღისითო („დღ-ით“) მკვდარი იყოს („მკვდარიმც არის“) და ლამით - ცოცხალიო“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სვანური ზღაპრის თითქმის ყველა სტაბილურ გამონათქვამში არქაული ვითარებაა დაცული არა მხოლოდ ენობრივი, არამედ, საერთოდ, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით - უტ („მცა“) ნაწილაკიან კონსტრუქციას ეხება, სადაც არსებითადაა წარმოდგენილი ძველი ქართულისებური სისტემა (აწმყოს, აორისტისა თუ თურმეობითის მწკრივებზე დართული უტ ნაწილაკიანი ფორმები იძენენ მყოფადის სემანტიკას).

§3. ფინალური გამონათქვამები

სტაბილური ფინალური გამონათქვამები ბალსზემოურ ზღაპრებშიც დალოცვითია და, ინიციალურის მსგავსად, ქვემოსვანურისაგან განსხვავებული. აქაც II პირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის (ხი, ხიშდ - „ხარ, ხართ“) ფორმებს ენაცვლება I პირის ინკლუზიური ფორმები (ლიდ || ლიშდ - „ვართ“).. ამბის დასრულებისას მთქმელი, ძირითადად, მსმენელს ლოცავს, შედარებით იშვიათია შემთხვევები, როდესაც მსმენელთან ერთად თავის თავსაც ილოცავს:

ლგმზგრეთ ხი! („სვან. პროზ. ტ“, I, ჰადიში, 212, 39; წვირმი, 223, 5; იფარი, 138, 18...)- „დალოცვილი იყავი“ („დალოცვილიმც ხარ“)!

ლგმზგრეთ ხიშდ! (იქვე, მესტია, 390, 17; მულახი, 358, 36; იფარი, 199, 11) - „დალოცვილი იყავით“ („დალოცვილიმც ხართ“)!

ლგმზგრეთ ლიდ! (იქვე, ლატალი, 443, 11)-„დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“)! შდრ. ლგმზგრეთ ლიშდ! (იქვე, ლენჯერი, 432,7-8).

ამ მარტივ ფორმულებში მეშველი ზმნა აწმყოშია, მაგრამ მას მომავლის გაგება აქვს, რაგდანაც -უ- („მცა“) ნაწილაკიან კონსტრუქციას შეიცავს (შდრ. ძველი ქართული).

მსგავსი ტიპური დალოცვის გვერდით ფიქსირდება ოდნავ განსხვავებული ფრაზა;

ალა ღერთემ მზგ ოგუმზარას! (იქვე, უშგული, 84, 38) - „ეს ღმერთმა ყველა დაგვლოცოს“, სადაც სახელი -ემ მორფემიან მოთხრობით ბრუნვაშია, ზმნა-შემასმენელი კი კავშირებით კილოსა და მწკრივში.

ჯადოსნურ ამბავს, ჩვეულებრივ, ბედნიერი დასასრული აქვს, რასაც გვამცნობს მარტივი (ზოგჯერ შერწყმული) წინადადებით გადმოცემული ფრაზეოლოგია. იგი პირდაპირ მიუთითებს გმირების შემდგომი კეთილდღეობის შესახებ:

ეჩუნღონ ხოჩა ლირდე-ლიზგე ალციღს- (იქვე, იფარი, 186, 27) - „მერე კარგი ყოფა-ცხოვრება („სახლობა“) გაატარეს („გადახდათ“);

ალ ლახუბად ხოჩა ლირდე-ლიზგე ანჰეხ- (იქვე, იფარი, 172, 24) - „ამ ძმებმა კარგი ყოფა-ცხოვრება გაატარეს“ („მოესწროთ“);

აღმპრს ეჩუნდონ ხოჩა ლირდე ი ლიზგე ხნდდახ(იქვე, იფარი, 190, 5-6) - „მათ შემდეგ კარგი ყოფა და ცხოვრება ჰქონდათ“

ორცნებიან კომპოზიტს ლირდე-ლიზგე - „ყოფა-ცხოვრება“-ს ზოგჯერ ცვლის მარტივი მასდარი ლირდე („ყოფა“) ან ი („და“) კავშირით შეერთებული დამოუკიდებელი ლექსემები (ლირდე, ლიზგე).

ეჭმარდ ეჩქანლო ხოჩა ლირდე ადვილხ („სვან. ენ. ქრესტ.“, ლატალი, 172, 3) - „მათ შემდეგ კარგი ყოფა გაატარეს“ („გა-და-ხდ-ა-თ) ;

ხოჩა ლირდე ხულუხ ჰქუშ („სვან. პროზ.“, ტ. I, იფარი, 130, 3) - „კარგი ყოფა აქვთ ყველაფრით“.

ზმნა, ძირითადად, აორისტშია (ადვილხ, ანჰეხ - „გაატარეს“, „მოესწროთ“), თუმცა, ანალოგიურ გამონათქვამებში გვხვდება აწმყოსა (ხულუხ-„აქვთ“) და უწყვეტელშიც (ხნდდახ - „ჰქონდათ“).

ყველაზე ხშირად ბალსზემოური ზღაპარი ზემოთ განხილული ამ ორი მარტივი ან მარტივი და შერწყმული წინადადების შეერთებით მთავრდება:

ეჭმარდ ხოჩა ლირდე-ლიზგე ადვილხ ი ლგმზგრჲუ ხიშდ! („სვან. ენ. ქრესტ.“, კალა, 166, 40-41) - „მათ კარგი ყოფა-ცხოვრება გაატარეს და დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“)!“

აღმპრდ ხოჩა ლირდე ადვილხ, ნამი ლგმზგრჲუ ლიშდ! (იქვე, მესტია, 162, 5-6) - „ამათ კარგი ყოფა გაატარეს, ჩვენც დალოცვილი ვიყოთ“ („დალოცვილიმც ვართ“)!“

სიმონდ ი მიჩა ხეხუდ ხოჩა ლირდე-ღ ლიზგე ადვილხ ი ლგმზგრჲუ ხიშდ მჲგ ამეჩუ მერდე მარე (სვან. პროზ. ტ. I, მულახი, 298, 30-31) - „სიმონმა და მისმა ცოლმა კარგი ყოფა და ცხოვრება გაატარეს და დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) ყველა აქ მყოფი კაცი“!

აფხულდდ ი მიჩა ჰაშდ ხოჩა ლირდე-ლიზგე ადვილხ ი ლგმზგრჲუ ხიშდ- (იქვე, მულახი, 305, 27-28) - „ბაყაყმა და მისმა ქმარმა კარგი ყოფა-ცხოვრება გაატარეს და დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“)!“

ხოჩა ლირდე ადვილხ ი ჰმზგრახ ღერთემ! („სვან.ენ.ქრესტ.“, ლატალი, 171,7-8;მესტია,168,32-33)-„კარგი ყოფა გაატარეს და დაგლოცოთ ღმერთმა“;

კესრი გეზალდ ი ჭოჭრილდ ხოჩა ლირდე-ლიზგ' ზღვიდხ ი
ჯამზგრაბ ღერთემ („სვან. პროზ. ტ“, I, მულახი, 326, 20-21)
„კეისრი“⁶¹ ქალიშვილმა და ობოლმა კარგი ყოფა-ცხოვრება
გაატარეს და დაგლოცოთ ღმერთმა!“

ამრიგად, ქვემოსვანურისათვის დამახასიათებელი დალოცვა
ჯამზგრაბ ღერთემ „დაგლოცოთ ღმერთმა“, იშვიათად, მაგრამ
მაინც დასტურდება ბალსზემოურ ტექსტებში (როგორც ზღაპრის
თავში, ასევე დასასრულში), სახელი აქაც -ემ მოფემიან
მოთხრობითშია. ქვემოსვანური, კერძოდ, ლენტეხური, ამ მხრივ,
მრავალფეროვნებას იჩენს, ერთმანეთის პარალელურად გვხვდება
ღერთემ // ღერბეთდ // ღერთემდ ფორმები, რაც იმაზე მიუთითებს,
რომ „-ემ-იანი ერგატივი და მასზე დამყარებული ნათესაობითი აღრე
უფრო გავრცელებული ყოფილა სვანურის ყველა დიალექტში...“⁶¹

აქვე შევნიშნავთ, რომ ლენტეხურ დიალექტში ლირდე-ლიზგე
(„ყოფა-ცხოვრება“) ს პარალელურად დადასტურებული ორცნებიანი
კომპოზიტი ლირდე-ლიცხემ („ყოფა-მატება“ < „სხ-მ-ა“) ბალსზემოურ
ზღაპრებში არ ფიქსირდება.

ზოგჯერ ფინალში პირდაპირ არ არის მითითებული
პერსონაჟთა შემდგომი კეთილდღეობის შესახებ, მაგრამ ამაზე
მეტყველებს მათი გამდიდრების ამსახველი ფრაზები:

ალმარს ჩუესსანდ ალამაჟ კეთილ ი ღემზგრეჟ ხი ! („სვან.
პროზ. ტ“, I, მულახი, 354, 14); - „ამათ დარჩათ მთელი ეს ქონება
(შდრ. ძვ.ქ.კეთ-ილ-ი) და დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც
ხარ“)“!

მიჩა ხაზინანშ ცხოტრება მაჟ მიჩ ესსანდ ი ღემზგრეჟ ხი! (იქვე,
წვირმი, 225, 5-6)- „თავისი პატრონის ცხოვრება სულ თვითონ
დარჩა და დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“)“!

მიჩა ლირდე-ლიზგე ეში ერის ესსანდ, ესჟმას თარინგზელდ
ესცტირ ი ღემზგრეჟ ხიშდ! (იქვე, მულახი, 334, 12-13)- „მისი
ყოფა-ცხოვრება: მაინც იმას დარჩა, ვისაც მთავარანგელოზმა
დაუტოვა და დალოცვილი იყავით“ („დალოცვილიმც ხართ“)!

თხუმი ქანტუცი ღუაჟარს ი ერჩ ლირდე-ლიზგე მიჩ ესსანდ ი
ღემზგრეჟ ხიშდ! (იქვე, მულახი, 337, 8-9)- „თავი მოჰყვითა („მო-ა-

⁶¹ ი.ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998 გვ. 83

ქუც-მაც-ა“) ვაჟარს და მისი ყოფა-ცხოვრება თვითონ დარჩა და დალოცვილი იყავით“ („დალოცვილიმც ხარ“)!

დიდი ლხინის ან ქორწილის გადახდაც ქართველური ზღაპრის ტრადიციული დასასრულია:

ალმასს უშხუარე ლიწედ მენუარ ათხილდგდახ ი ძღვდ ლხნიადნლ ი ქუერწილ აჩუმიხ (სვან.პროზ.ტ“.I,იფარი,182,23-24) - „ამათ ერთმანეთი“ს“ ნახვა ძალიან გაუხარდათ და დიდი ლხინი და ქორწილი გადაიხადეს („ქნეს“);

ლხნიადნლ ხარხ... ლგმზგრეტ ხი! (იქვე, უშგული, 77, 19-21) - „ლხინი აქეთ... დალოცვილი იყავი“ („დალოცვილიმც ხარ“)!

ხშირად მდიდრულ ლხინსა თუ ქორწილს აგვიწერს ქართული ზღაპრისთვის კარგად ნაცნობი ფორმულის - „ჩიტის რძეც კი არ აკლდათ“ - შესატყვისი გამონათქვამები:

...ეკალიბ ქუერწილ აჩუმიხ, ერე სემი უედრა ნაპოლმ ლგჯე ანფუნეხ ი ცხრილთე აგუმეხ ი თუთი ფუთ ჩი ჩუ ლახნუმ მინე მექურწილს ი ლგმზგრეტ ხი (იქვე, იფარი, 202, 12-15)- „ისეთი („ი-მ ყალიბ-რის“ < ძვ. ქ.„ყალიბ-რის“) ქორწილი გადაიხადეს („ქნეს“), რომ სამი ვედრო ჩიტის რძე აადულეს (<„ა-ა-ფუ-ეს“) და ცხრილში ჩაასხეს და თითო ფუთი ყველას დააღვინეს თავიანთ მექორწილეს და დალოცვილი იყავი“ („დალოცვილიმც ხარ“)!

„ჩიტის რძე“ ფუფუნების სიმბოლოა, მისი ქონა მდიდრულ ქორწილზე მიგვანიშნებს. მთქმელი გაზვიადებულად აღწერს ლხინს და თავის სკეპტიციზმსაც ამჟღავნებს (რძის ცხრილში ჩასხმითა და თითო ფუთის დაღვინებით). „ჩიტის რძის“ პარალელურად ბალსზემოურ ზღაპარში მდიდრული ქორწილის ატრიბუტად გვევლინება „ყალის რძე“:

ქუერწილ აჩუმიხ ეკალიბ, ერე მუწულმ ლგჯემ ხუმმ ხულტუნხ... (იქვე, იფარი, 102, 9-11)- „ისეთი ქორწილი გადაიხადეს, რომ ყალის რძეც ბევრი (< ძვ. ქ. „ხუაჟი-ი“) ჰქონდათ.“

როგორც აღვნიშნეთ, დალოცვით ფორმულათაგან ბალსზემოურ ზღაპრებში ძირითადია ლგმზგრეტ ლიშდ („დალოცვილიმც ვართ“), თუმცა მის პარალელურად გვხვდება სხვადასხვაგვარი დალოცვითი შინაარსის სტაბილური გამონათქვამები:

ეჩეჩუ ღო ლგმარდლესდ, ეჩქად უმარცხუდუ ლმარიდ(იქვე, უშგული,75,13)-„ვიდრე იქ ვიქნებოდეთ („ვეყოფილიყოთ“), მანამდე დაუმარცხებლად ვიყოთ („უმარცხ-ო-დ-მცა ვართ“)“

ჟოდ ეჩეჟუ დო ლოხჟლაკენდ, ეჩჟად მარცხულუ ლჳრიდ (იქვე, უმგული, 67, 29)- „ვიდრე იქ არ შევხვდებით, მანამდე დაუმარცხებლად ვიყოთ („უმარცხოლმცა ვართ“);

ალ ლჟაჟჳრ ი მიჩა ხეხჟ ი დიმილ ზოჩამ ლირდე-ლიზგეს იჟდეს ი, ჟოდ ნამ ალა თანშუ დო ალსგიდნად ი შდგმშუ დო ალჟურნად, ეჩჟადჟ ლჳრიდ! (იქვე, მესტია, 381, 33-35)- „ეს ვაჟარი და მისი ცოლი და სიდედრი („დედა-მთილ-ი“) კარგ ყოფა-ცხოვრებას ატარებენ და, ვიდრე ჩვენ ეს თვალთ არ ვნახოთ და ყურით არ მოვისმინოთ, მანამდე ვიყოთ („მანამდემცა ვართ“).

მსგავსი შინაარსისაა: ეჯმარე ლიჟდჳლდუ ლჳრიდ. ლგმზგრჟუ ლიდ (იქვე, ლატალი, 438, 8) - „იმათ მოსლამდე ვიყოთ („მოსვლამდემცა ვართ“). დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“)!

ოდ ეჟა-მ ეჟა ნამ თანშუ დო ალსგიდნად, ეჩჟად ნომმაგჟუშუ ლოგზიგა ი ლგმზგრჟუ ლიშდ- (იქვე, ლენჯერი, 419, 1-2)- „სანამ ესა და ეს ჩვენი თვალთ არ ვნახოთ, მანამ არაფერი გვეტკინოს („არაფერიმცა გვეტკენია“) და დალოცვილი ვიყოთ“ („დალოცვილიმც ვართ“)!

ოდ ეჟა თანშუ დოსა მისგდინა, ეჩჟადჟ ლჳრიდ ი ლგმზგრჟუ ლიშდ (იქვე, ლატალი, 411, 3-4)- „ვიდრე ეს თვალთ არ მენახოს, მანამდე ვიყოთ („მანამდემცა ვართ“) და დალოცვილი ვიყოთ“ („დალოცვილიმც ვართ“)!

უკანასკნელ ფაზებში დალოცვის ორ-ორი ფორმულაა წარმოდგენილი.

ქართულ ენაში გავრცელებული ელიფსური კონსტრუქციის მქონე მყარ ფორმულას „ჭირი - იქა, ლხინი - აქა“-ს პარალელები სვანურ ზღაპრებშიც ეძებნება (ბალსზემოურ დიალექტში უფრო ხშირად, ვიდრე ქვემო სვანურში):

ჭირ ეჩემ, ხინ ამე! ლგმზგრჟუ ლიშდ! („სვან. ენ. ქრესტ.“, მესტია, 161, 11-12) - „ჭირი იქა, ლხინი აქა! დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“)!

უმეტესად, ელიფსურის საპირისპიროდ, ზმნური კონსტრუქციები გვხვდება:

ჭირ ეჩე ხანდხ, ხინ ამეჩუ გჟჳრ („სვან. პროზ. ტ.“, I, იელი, 226, 13; იქვე, 230, 34)- „ჭირი იქ აქვთ, ლხინი აქ გვაქვს!“

ჰირ ეჩე ამცუტირა, ხინ ამხაჲ ამჟნდა. ლგმზგრეჲუ ხი! (იქვე, ბოგრეში, 207, 37-38) „ჰირი იქ დამიტოვებია, ლხინი აქ მომიტანია. დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“)!“

ჰირ ეჩე აგუტუტირა, ხინ ამეჩუ აგუტუმრა. ლგმზგრეჲუ ლიშდ! (იქვე, იფარი, 113,8)-„ჰირი იქ დაგვითოვებია, ლხინი აქ მოგვინმარია. დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“)!“

ხინ ამეჩუ ამჟნდა, ჰირ ეჩხაჲ აგუტია. ლგმზგრეჲუ ხიშდ ამეჩუ მერღე მპე (იქვე, იფარი, 103, 25-26)-„ლხინი აქ მომიტანია, ჰირი იქ წაგვილია. დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) აქ მყოფი ყველა!“

ზმნა-შემასმენელი, ძირითადად, პირველ თურმეობითშია (აგუტუტირა - „დაგვითოვებია“, ამჟნდა - მომიტანია, აგუტია წაგვილია), მაგრამ გვხვდება აწმყოშიც (ხნდხ, გუჲარ „აქვთ, გვაქს“).

როგორც აღვნიშნეთ, უფრო ხშირად ზმნური კონსტრუქციები გვხვდება. ელიფსური სისტემის გავრცელება ხალხურ პროზაში მეორეულ მოვლენად ითვლება. „ელიფსი ხალხური პროზის ენის შემდგომი დახვეწის შედეგად მიღებული კონსტრუქციაა. თავდაპირველად ის არ უნდა გვეჩონოდა ხალხურ მეტყველებაში. სიტყვების გამოშვება ფრაზა-სათქმელებში და მათ მაგივრად გარკვეული სინტაქსური პაუზის ხმარება - ტექსტების ხანგრძლივი იმპროვიზებული მეტამორფოზის უშუალო შედეგია. ხალხურ პოეზიაში და აქედან მხატვრულ პოეტურ მეტყველებაში ელიფსი კანონზომიერ მოვლენად იქცა“⁶².

ხშირად ზღაპრის ფინალი რთულია, რადგან თავმოყრილია არა ორი, არამედ რამდენიმე სტაბილური გამონათქვამი. ასეთ დროს დალოცვის შემცველი ფორმულები ჰარბობს ზოლმე, რასაც, ვფიქრობთ, განსაზღვრავს ტექსტის ჩაწერის გარემო - მთქმელი, ბუნებრივია, ლოცავს ჩამწერს ზღაპრის დამთავრების შემდეგ, რადგანაც ეს უკანასკნელი იქვე, მის გვერდით იმყოფება.

ნაპრლ მიჩა ლწახ აჰნდ ი ლგმზგრეჲუ ხიშდ! ჟოდე ალა-ჲ ალა დრსა აგუტინდს ნამ, ეჩქადუ ლწარიდ. რ, ხჟნამ ხწანსუ ხწარი! („სვან. პროზ. ტ“, I, მულახი, 363, 6-8) - „ჩიტი თავის გზაზე („სვალს“) წავიდა და დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“)! ვიდრე ესა

⁶² ალ. ლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 21

და ეს არ შეგვხვდეს ჩვენ, მანამდეცა ვართ. ო, დიდ (<„ხვავ“)
ხანსამც ხარ!”

ეჩე ხოჩა ლირდე-ლიზგე ადვიდხ. ჭირ ეჩეჲ ატუტუტრა, ხინ
ამეჩუნ, შაქარი ამეჩუ. ნამ ხოჩა ლირდეჲ ატუტრა ი ლგმზგრეჲ
ლიშდ მჲგ საერთოდ (იქვე, იფარი, 162, 25-28) - „იქ კარგი ყოფა-
ცხოვრება გაატარეს. ჭირი იქ დაგვიტოვებია, ლხინი - აქ, შაქარი -
აქ. ჩვენ კარგი ცხოვრებამც გაგვიტარებია და დალოცვილი ვიყოთ
(„დალოცვილიმც ვართ“) საერთოდ ყველა!”

მიჩა ბაბად ლხინადალ ამინ ხოჩა ი ეზერ დრეჲ ადმეხ. ეჩამარს
ჲოდ ლეწედ, ეჩქადჲ ლწარიდ! ეჩგი ხოჩა-ამეგ, ამგი ხოლა-ეჩეგ ი
ლგმზგრეჲ ლიდ! (იქვე, ლატალი, 442, 4-7) - „ბაბუამისმა („მისმა
ბაბუამ“) ლხინი გადაიხადა კარგი და კარგი დრო წაიღეს. იმათ
ვიდრე არ ვნახავთ, მანამ ვიყოთ! იქაური კარგი - აქ, აქაური ცუდი -
იქ და დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“)!”

ხეხტ-ჭანშდ ხოჩა ლიზგე-ლირდ' ადვიდხ. ჭირ-ეჩე ი ხინ-ამეგ;
ხოლა მჲგ-ეჩე, ხოჩა-ამეჩუ; ხოლემი მუჩუმე ჩიგარ-ხოლა, ხოჩემიშ-
ხოჩა (იქვე, ლენჯერი, 421, 14-17) „ცოლ-ქმარმა კარგი ყოფა-
ცხოვრება გაატარეს; ჭირი - იქა და ლხინი - აქა, ცუდი ყველაფერი -
იქ, კარგი აქ; ცუდი „ს“ გამკეთებელს (< ძვ. ქ. „მ-ქმნ-ელ-ს“)
ყოველთვის - ცუდი, კარგის „ას“ - კარგი!”

ეს ფრაზები იმითაც არის საინტერესო, რომ ლოცვასა და
წყევლას ერთდროულად შეიცავს. „ჭირი იქ“ ან „აქაური ცუდი იქ“
გამონათქვამებში „იქ“ ზმნიზედით გადმოცემული ადგილი აქაური
ადამიანური სამყაროსაგან მოშორებულია, მეტიც, ირეალურია,
ამიტომაც წყევლის ექსპრესიულობა შესუსტებულია, იგი ნაკლებ
ყურადღებას იქცევს, ვიდრე დალოცვა, რომელიც აქაური, კარგად
ნაცნობი გარემოსთვისაა განკუთვნილი („ლხინი აქა“... „ფქვილი
აქა“); ფქვილი, ხორბალი ბარაქიანობის, სიმდიდრის სიმბოლოა,
მაგრამ ბალსზემოურ ზღაპარში დასასრული „ქატო იქა, ფქვილი
აქა“ არ დასტურდება.

იშვიათად მთქმელი, ფინალურ ფორმულათა ჩამოთვლისას,
საჭიროდ მიიჩნევის, საგანგებოდ მიუთითოს ზღაპრის დასრულების
შესახებ ან გვამცნოს მისი წარმომავლობა:

ეჩქანლო სერ ადვიდხ ხოჩა ლირდე. ეჩგი ხოჩა - ამეგ, ამგი ხოლა -
ეჩეგ. ამეჩინ ადსურლან ეჩმარე გჲემ. ლგმზგრეჲ ლიდ
(„სვან.პროზ.ტ“, I, ლატალი, 447, 8-10) - „შემდეგ კიდევ კარგი

ცხოვრება გაატარეს. იქაური კარგი - აქ, აქაური ცუდი - იქ. ასე დასრულდა მათი ამბავი. დალოცვილი ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ“)!“

აღმარდ ხოჩა ლიზგე-მ ლირდე ადწიდხ. სერ მამა ლიზ. ლგმზგრეუ ხი. სერ მერმა აწმბუთი(იქვე,მესტია,384,34-36)-„ამათ კარგი ყოფა და ცხოვრება გაატარეს. მეტი არაფერია. დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“)! კიდევ სხვას(<„მე-ორ-ეს“)გიაგბობ;“

მიჩა ლიზგე-ლირდე მაგ მიჩ ესსად ი ლგმზგრეუ ხიშდ! ალ ცგგინ ლგმლახუ ლი (იქვე, მულახი, 357,18-20)-„მისი ცხოვრება-ყოფა ყველაფერი მას დარჩა და დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“)! ეს ზღაპარი მულახურია“.

ფანტასტიკური ამბის ბოლოს ზოგჯერ ამა თუ იმ პერსონაჟის (ან მოვლენის) მიმართ მეზღაპრის პოზიცია ან დასკვნა-შეფასებაა მოცემული:

ხოჩამ ლგხალ თელღრას ესერ ეჯლა მამგუემ ხოჩა! (იქვე, ლენჯერი, 416, 22)- „კარგის მცოდნე („მიხვედრილ“) რძალსო ამიტომ არაფერი სჯობს!“

იმუაჟი ხეკუთნი ხელწიფი გეზალს ი მიჩა ცხოტრებას, ამთან დრამ ხარხ (იქვე, კალა, 87, 33-36)- „როგორც ეკუთვნის ხელმწიფის“ შვილს და მის ცხოვრებას, იმისთანა დრო აქვთ.“

მოთხრობილი ამბის უტყუარობაში მსმენელის დასარწმუნებლად მთქმელი ხანდახან თავს ზღაპრის უშუალო პერსონაჟად წარმოგვიდგენს:

მურყუმ ჩუქუნ რაშ არდა, ეჯას ჟ'ოხუსგუ ი ათხე ამეჩუნ ხუწარი (იქვე, ლენჯერი, 424,14-15)-„კოშკის“ ქვეშ რაში იყო, იმას შევაჯექი და ახლა აქ ვარ“.

იშვიათად გვხვდება არატრადიციული დასარულიც:

ამი ლელუ მალს ხუაჟ ხანს ახანდ (იქვე, ლატალი, 438,11-12) - „ამის“ ხორცი მელას დიდ („ხვავ“) ხანს ეყო“.

თავი II
ბალსქვემოური კილო
§ 1. ინიციალური გამონათქვამები

დალოცვითი ინიციალური ფორმულები განსაკუთრებით ლაშხურსა და ბალსზემოურ დიალექტებში ჭარბობს, შედარებით ნაკლებია ლენტეხურში, ხოლო ბალსქვემოური ზღაპრის ინიციალურ ფრაზებში დალოცვის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი დასტურდება, თანაც განსხვავებული ხასიათისაა.

ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში მთქმელი პირდაპირ ლოცავს მსმენელს ან მსმენელთან ერთად თავის თავს:

ბზ.: **ძალო ლგმზგრეშ ლიშდ!** („სვან. პროზ. ტ.", I, ლენჯერი, 416, 24) - „აბა, დალოცვილიმც ვიყოთ („დალოცვილიმც ვართ!")"

ლშხ.: **ჯამზგრაზ ღერთემ** („სვან. ენ. ქრესტ.", ჟახუნდერი, 272, 21; 275, 20) - „ღაღლოცოთ ღმერთმა!"

ლნტ.: **აცსამგზრას ღერთემ** („სვან. პროზ. ტ.", III, ხელედი, 176, 9) - „დაგლოცოს ღმერთმა!"

შდრ. ბქ.: ხოჩემიშ გარუ ლამბუალ ლი „მხოლოდ კარგი საამბოები იყოს" („კარგის მხოლოდმცა საამბოები არის")! - ამ გამონათქვამით მთქმელი ზღაპრის უცილობელ ბედნიერ დასასრულზე მიუთითებს და ამავდროულად ლოცვასაც გულისხმობს, რასაც უე („მცა") ნაწილაკის გამოყენება გვაფარულებინებს. იგი თავის თავს მხოლოდ „კარგი საამბოების" მოყოლას უსურვებს, აქედან გამომდინარე მსენელს - კარგი ამბის მოსმენას.

ალო ხოჩემიშ გარუ ლამბუალ ლი, იმეგ პრიზ სემი ლახუბა („სვან. პროზ. ტ.", II, ბეჩო, 50, 15) - „აბა, მხოლოდ კარგი საამბოები იყოს („კარგის მხოლოდმცა საამბოებია"), სადლაც („სად") არიან სამნი ძმანი";

ხოჩემ გარუ ლამბუალ ლი ი იმეგ პრიზ ეშხუ ხეხუ-ჰაშ(იქვე, 42, 8) - „მხოლოდ კარგი საამბოები იყოს („კარგის მხოლოდმცა საამბოები არის") და სადლაც („სად") არიან ერთი ცოლ-ქმარი";

ალო ხოჩემიშ გარუ ლამბუალ ლი, იმეგ პრი ეშხუ მარე; აღის ხორი სემი დინაგეზალ(იქვე, 48, 14-15) - „აბა, მხოლოდ კარგი

საამბოზი იყოს („კარგის მხოლოდმცა საამბოზია“), სადლაც („სად“) არის ერთი კაცი; ამას ჰყავს სამი ქალიშვილი;

ამრიგად, ფრაზეოლოგიური გამონათქვამი „ხოჩემიშ გარუ ლამბჟალ ლი“, ძირითადად, რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მეშველი ზმნა ლი აწმყოს ფორმითაა წარმოდგენილი.

ამეჩუ ფეჟ, ეჩეჩუ – გატ(იქვე, ლახამულა, 339, 28) – „ფქვილი აქა, ქატო – იქა“. ქართულ ზღაპარში გავრცელებული ეს ფინალური ფორმულა ბალსქვემოურში ერთადერთხელ დასტურდება და ისიც დასაწყისში.

არადალოცვით ინიციალურ გამონათქვამთაგან ბალსქვემოური ზღაპრის თავისებურებაზე მეტყველებს იმეგ ან ემეგ („სად“) – ზმნისართიანი ფრაზები, რომლებიც მიუთითებენ, რომ მოქმედება განუსაზღვრელ გეოგრაფულ არეალში მიმდინარეობს, თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში კი ი-მ-ე-გ III პირთან სიახლოვეს გამოხატავს, ხოლო ე-მ-ე-გ – II პირთან სიახლოვეს. მაშასადამე, ნაცვალსახელური წარმოშობის ამ ორ ზმნისართს შორის განსხვავებას მხოლოდ დეიქტური ნაწილაკები ქმნიან. დღეს ი-მე-გ, ჩვეულებრივ, კითხვითი ზმნისართია („სად“), ხოლო ზღაპრებში ის გამოყენებულია მიმართებითი ზმნისართის როლში („სადლაც“), ისევე, როგორც ეს ძველ ქართულში იყო. სტაბილური ფორმულები გადმოცემულია ძირითადად მარტივი, შედარებით ნაკლებად-შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებებით:

მ ა რ ტ ი ვ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა :

იმეგ აზი ეშხუ [ოჯარ] ბეფშილდ (იქვე, ფარი, 210, 3) – „სადლაც („სად“) არის ერთი ობოლი („ოხერი“ < ძვ. ქ. ოჯერი) ბავშვი“;

ემეგ აზი ეშუი სიმაქ (სვან. ენ. ქრესტ., მაზერი, 217, 38) – „სადლაც („სად“) არის ერთი ქალიშვილი“ ;

იმეგ აზიხ მუ-გეზალ („იქვე, ბეჩო, 223, 8; იქვე, ეცერი, 232, 41) – „სადლაც („სად“) არის („არიან“) მამა-შვილი“;

აქვე უნდა გამოიყოს ისეთი კონსტრუქცია, სადაც ერთდროულადაა წარმოდგენილი ზმის უპრევერბო და პრევერბიანი ფორმა აზი („არის“) || ჩუაზი<ჩუ აზი („ქე არის“).

იმეგ არიხ სემი ლახტბა ი ჩუპარის („სვან. პროზ. ტ.“, II, ჩუბეხევი, 267, 35) - „სადლაც არიან სამი ძმანი და არიან“.

იმეგ არი ეშხუ ქათლიდ ი ჩუპარი ათხ'ალი... (იქვე, ცხუმარი, 89, 23) - „სადლაც არიხ ერთი ქათამი და არიხ ახლა ეს...“

იმეგ არიხ ეშხუ დი-გეზალ ი ჩუპარის (იქვე, ჩუბეხევი, 276, 29) - „სადლაც არიხ („არიან“) ერთი დედა-შვილი და არიან“;

შდრ. მეგრული:

ქოყოფენია, ქოყოფენია მათა ბუზარბიი - „ყოფილაო, ყოფილაო მეფე მუზარბიი“;

ქოყოფენია, ქოყოფენია სუმი ჯიმა კოჩი - „ყოფილაო, ყოფილაო სამი ძმა („ძმა კაცი“).

სვანურისგან განსხვავებით მეორდება ყოფნა ზმნის თურმეობითის ფორმები; მაშასადამე, ზმნა ისევ არსებობას გამოხატავს (ისევე, როგორც სვანურში), ოღონდ აწმყო კი არაა, არამედ თურმეობითი.

როგორც ვხედავთ, ჩუ- პრევერბიანი ფორმები უფრო ზოგადი მნიშვნელობის დასადასტურებლად გამოიყენება.

გამეორებულშემასმენლიანი ინიციალური გამონათქვამები უპირისპირდება ბალსზემოური ზღაპრის სპეციფიკურ დასაწყის ფრაზებს:

ბზ.:

ლგმზგრეჟუ ხიშდ ი ანა („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 134, 14) - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და ანა“.

რთული კონსტრუქციის მეორე ნაწილი ელიფსურია, გამოტოვებულია შემასმენელი, მაგრამ ადვილად ივარაუდება.

შ ე რ წ ყ მ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა :

ბქ.: იმეგ არიხ ვიტმაზილ ი გატმაზილ („სვან. ენ. ქრესტ.“, ბეჩო, 232, 8) - „სადლაც არიან ვიტმაზილი და გატმაზილი“;

იმეგ არდახ ხელწიფ ი მიჩა ხეხუ („სვან. პროზ. ტ.“, II, ბეჩო, 30, 17) - „სადლაც იყვნენ ხელმწიფე და მისი ცოლი“;

იმეგ არიხ ხელწიფ ი მიჩა მესუ (იქვე, ლახამულა, 331, 35) - „სადლაც არიან ხელმწიფე და მისი ცოლი“.

რ თ უ ლ ი თ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა :

იმეგ პრის ეშხუ ხეხუ-ჰჰშ. სემი ნალუჟურგეზალ ზორიხ (იქვე, ცხუმარი, 113,6) - „სადლაც არის („არიან“) ერთი ცოლ-ქმარი. სამი ვაჟიშვილი ჰყავთ“;

იმეგ პრის ეშხუ ხეხუ-ჰჰშ. ეშხუ გეზალ ზორიხ, ნალუჟურგეზალ (იქვე, 101,27)-„სადლაც არის („არიან“) ერთი ცოლ-ქმარი. ერთი შვილი ჰყავთ, ვაჟიშვილი“;

ამრიგად, იმეგ - „სადლაც“ („სად“) სიტყვიანი ინიციალური ფორმულით ბალსქვემოური ზღაპარი გამოირჩევა სვანურის სხვა კილოებზე ჩაწერილ ჯადოსნურ თხზულებათაგან. მთქმელი დასაწყისშივე მიგვითითებს, რომ მოსათხრობი ამბავი განუსაზღვრელ ადგილას ხდება. ასეთ ფრაზებში მეშველი ზმნა, ძირითადად, აწმყოშია (პრი, პრის „არის, არიან“), რომელსაც იშვიათად ენაცვლება უწყვეტლის ფორმა (არდა - „იყო“).

არამიმართებითსიტყვიან ფრაზებში, რომლებიც ასევე მარტივი, შერწყმული და რთული კონსტრუქციებითაა წარმოდგენილი, მეშველი ზმნა მრავალფეროვნებას იჩენს, გვხვდება აწმყოს, უწყვეტლისა და თურმეობითის მწკრივებში:

ა წ მ ყ ო:

პრი ეშხუ ხენწიფე („სვან.პროზ.ტ.“, II, ეცერი, 147,2)-„არის ერთი ხელმწიფე“;

პრის ეშხუ დი-გეზალ. ზორიხ ეშხუ ვოჯარ დინა (იქვე, ეცერი, 189,34) - „არის („არიან“) ერთი დედა-შვილი, ჰყავთ ერთი ობოლი („ოხერი“ ძვ.ქ. ოჯერი-ი) გოგო“;

პრის ჭიმილ-დაჩუირ ი დეე დი ზორიხ ი დეე მუ, მინ გარ პრის ქორს, საბრალოდ პრის, მამგუეშ ხაწუახ (იქვე, ეცერი, 192, 2-3) -არის („არიან“) და-ძმა და არც დედა ჰყავთ და არც მამა, მხოლოდ თვითონ არიან სახლში, საბრალოდ არიან, არაფერი აბადიათ“;

იშვიათად პრი, პრის ფორმას ენაცვლება ლი, ლიხ („არის, არიან“):

ლიხ სემი ლახუბა (იქვე, ბეჩო, 61, 14) - „არიან სამი ძმანი“;

პრის ჟოშთხ ლახუბა ი გუნ ლალ საბრალოდ ლიხ (იქვე, ეცერი, 186, 31) - „არიან ოთხი ძმანი და ძალიან საწყულები („საწყალნი“), საბრალონი არიან“;

ემხუ ხეხუ-ჰაშ პარის ი ლაიდ ეჟი მალტარ ლიხ, ერ გუნ (იქვე, 172, 15) - „არის („არიან“) ერთი ცოლ-ქმარი და მუდამ ისე შეეყვარებულენ არიან, რომ ძალიან“.

უკანასკნელ შემთხვევებში მყოფობის გამომხატველი ზმნა ორ-ორჯერაა წარმოდგენილი ერთსა და იმავე მწკრივში, მაგრამ სხვადასხვა ფორმით: არი || ლი („არის“).

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი :

არდა ემხუ ქათლადშ ხენსგა (იქვე, ბეჩო, 21, 5) - „იყო ერთი ნახევარქათამა („ქათმის ნახევარი“)“;

არდ' (ა-რ-დ-ა) ეშუი ქათლგდ („სვან. ენ. ქრესტ.“, იფარი 210, 23) - „იყო ერთი ქათამი“;

არდახ ემხუ დადა ი ბაბა ი ხორდახ ნალჟჟურგეზალ („სვან. პროზ. ტ.“, II, ეცერი, 187, 28) - „იყო („იყვნენ“) ერთი ბებია და ბაბუა და ჰყავდათ ვაჟიშვილი“;

არდხ (ა-რ-დ-ა-ხ) ეშუი ძეხუ-ჰაშ. ეჟმარს ხორდახ სემი გეზალ („სვან. ენ. ქრესტ.“, იფარი, 230, 27) - „იყო („იყვნენ“) ერთი ცოლ-ქმარი. იმათ ჰყავდათ სამი შვილი“.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი :

მეშველი ზმნა თურმეობითშიც ორსავე რიცხვშია წარმოდგენილი. აქაც (სხვა კილოთა მსგავსად) გვხვდება პარალელური, ე.წ. „მოკლე“ და „გრძელი“ ფორმები: ლემარდ // ლემარლი „ყოფილა“, ლემარდხ // ლემარდელიხ „ყოფილან“.

ლემარდ ეშუი მარე. ხარდენა სემი დინაგეზლირ (იქვე, ლახამულა, 219, 41) - „ყოფილა ერთი კაცი. ჰყოლია სამი ქალიშვილი („ქალიშვილები“)“;

ლემარდ ეშუი მეფე. ხარდენა მიჩა ვეზირ (იქვე, ლახამულა, 221, 32) - „ყოფილა ერთი მეფე. ჰყოლია თავისი ვეზირი“;

ზულჟაშ ამხე ძგიდს ლემარდ ემხუ ხენწიფხე („სვან. პროზ. ტ.“, II, ფარი, 218, 23) - „ზღვის აქეთ ნაპირზე („ძგიდე-ს“) ყოფილა ერთი ხელმწიფე“.

ზოგჯერ სვანური ზღაპრის ინიციალური გამონათქვამები გმირს ახასიათებს გარეგნობის, მატერიალური შესაძლებლობების,

ინტელექტის, სიძლიერის, სოციალური წარმომავლობისა და პროფესიის მიხედვით.

შდრ.

გარეგნობა:

არდა ეშხუ ჩაჩიშა ბაპგლდ (ბზ. „სვან. პროზ. ტ.“, I, მულახი, 357, 22) - „იყო ერთი ჩაფსკენილი (შდრ. ქართლ. ჩუჩ-ნ-ლ-ა) მღვდელი“;

ამეჩუ არდა ტგტაზ გიერგ (იქვე, მულახი, 306, 17) - „იყო აქ ნაცარქეჩია („ნაცრიანი“) გიორგი“;

მატერიალური შესაძლებლობა:

ფაგო ი თანთხეროლ ჯგმილ-დაჩუირ ლიხ... გუნ ზოჩა ლიზგე ზარხ. კეთილ ეშ ხოფუეხ (სვან.ენ.ქრესტ., მესტია, 153, 32)-„ფაგო და თანთხერილი და-ძმანი არიან... ძალიან კარგი ცხოვრება აქვთ.ქონება გადმოსდუღთ (<„ასე უ-ფუ-ი-თ“) სვანურ ზღაპარში კარგი ცხოვრების პირობად ქონება სახელდება. სინტაგმა კეთილ ხოფუეხ უკავშირდება ქართულ მეტყველებაში სიმდიდრის აღსანიშნავად გამოყენებულ შესიტყვებას - „დუღს და გადმოდუღს“ ან „დუღს და გადმოსდის“.

...დი-გეზალ ლიხ ი მენუარ ღარიბ ლიხ ი-ლეზუეხ მამა ხულუახ ი ჰამე ტგტს ჰამს იფთუიხ ი ნაზუზუშს – ნაზოზს ი ამჟი პრიხ (ბზ., „სვან. ენ. ქრესტ.“, ლატალი, 164, 30-31) „დედა-შვილი არიხ („არიან“) („და“) ძალიან ღარიბები („არიან“), და საჰმელი არა აქვთ („და“) დილის ნაცარს დილას ზელენ და საღამოსას – საღამოს და ასე არიან“;

ინტელექტი:

ლემარდელიხ რეგუენილ ი ჰკუთინილ (ლნტ.„სვან.პროზ.ტ.“, III, 271, 7) - „ყოფილან რეგვენი და ჰკვიანი“.

სოციალური წარმოშობა:

ზანულ ადილგერი ტუარგ ლემარ ეზერ (ბზ., I, მესტია, 385, 2) - „ზანულ ადილგერი თავადი („ვარგ-ი“) ყოფილა კარგი“;

ლი ეშხუი კასარ (იქვე, უშგული, 67, 31) - „იყო ერთი კეისარი“; ხელობა:

ლემარდელი ეშხუ მეთხუიარ (ლშხ, IV, 72, 16) - „ყოფილა ერთი მონადირე“.

...ლი ეშხტი მეთებზე (ბზ., I, უშგული, 80, 13) - „არის ერთი მეთევზე“.

ჩვეულებრივ, ინტელექტისა და სიძლიერის მიხედვით გმირის დახასიათება ინიციალურ ფრაზებში იშვიათია ხოლმე.

მრავლობით რიცხვში ზმნა, ძირითადად, თურმეობითის გრძელი ფორმითაა წარმოდგენილი.

ლგმარდელის ეშხუ ხეხუ-ჰჰჰ („სვან. პროზ. ტ.", II, ფარი, 212, 8; იქვე, ეცერი, 141, 23) „ყოფილა („ყოფილან“) ერთი ცოლ-ქმარი“;

ლგმარდელის ეშხუ სიმაქ ი მახელჳჳ (იქვე, ეცერი, 280, 15) - „ყოფილან ერთი გოგო და ვაჟი“;

ლგმარდელის ეშხუ დადა ი ბაბა, ხეხუ-ჰჰჰ (იქვე, ეცერი, 160, 2) - „ყოფილან ერთი ბებია და ბაბუა, ცოლ-ქმარი“;

იშვიათად გვხვდება შემასმენლის მოკლე ფორმაც:

ლგმარდ სემი ლახუბა... („სვან.ენ.ქრესტ.", ბეჩო, 216, 44) - „ყოფილან სამი ძმანი“.

ი-ზგ-ე („ცხოვრობს“) ზმნის შემცველი ფორმულა ბალს-ქვემოური ტექსტების პუბლიკაციაში ერთხელ დასტურდება და ისიც თურმეობითის მწკრივში:

მალულდ ი ჟინღლდ უშხუდ ლგმღლზიგაღლს („სვან. პროზ. ტ.", II, ეცერი, 134, 3) - „მელას და ბატკანს ერთად უცხოვრიათ („მელა და ბატკანი ერთად ნაცხოვრებან“)“.

ბალსქვემოურ ზლაპარშიც გვხვდება არატრადიციული დასაწყისი (სხვა კილოთა მსგავსად):

ჟინღლდ ზაყენა ლალღაღლს ეშხუ დინილს (იქვე, ფარი, 219, 31) - „ბატკანი ჰყოლია სამწყემსად ერთ გოგონას“;

ხელწიფხეს ხოგ ლაკღმაღლს ტობ (იქვე, ეცერი, 188, 29) „ხელმწიფეს აქვს („უღდას“) კალმახების („სა-კალმახ-ე“) ტბა“;

§2. მედიალური გამონათქვამები

როგორც მოსალოდნელი იყო, მედიალურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთაგან ბალსქვემოურ ზღაპარშიც „სვლა“ ზმნასთან დაკავშირებული ფრაზები ქარბობს. ისინი ძირითადად შერწყმული წინადადებებით არიან გადმოცემულნი. გადაადგილების აღმნიშვნელი შემასმენელი უმეტესად აწმყოს მწკრივის ფორმით მეორდება:

ესხრი ეშუ მარე, ესხრი, ესხრი ი ზღუას ათასდ (იქვე, ეცერი, 181, 29) - „მიდის ერთი კაცი, მიდის, მიდის და ზღვას წააწყდა“;

ესხრიხ, ესხრიხ ი ჩედაშ ქორს ათასდხ(იქვე, ლახამულა, 329, 22-23) - „მიდიან, მიდიან და სპილენძის სახლს (შდრ. ძვ. ქ „ქორ-ს, ქორ-ელ-ს“) წააწყდნენ“;

მსგავსი ფრაზები გამრავალფეროვნებულია ათხიღენ („მიადგა“), სგ'ათჰიე („მიადწია“), აჩად („წავიდა“) ზმნების აორისტის მხოლოდითი ან მრავლობითი რიცხვის ფორმათა გამოყენებით ათასდ („წააწყდა“) ზმნის პარალელურად:

ესხრ' ათხე, ესხრი ი აშხუ ულტეხუ ცხეკთელისგა სგ'ათჰეღენ („სვან. ენ. ქრესტ.“, ბეჩო, 219, 5-6) - „მიდის ახლა, მიდის და ერთ ულრან („უ-ტეხ“) ტყეს მიადგა“;

ესხრი, ესხრი ი დჷთჷშ ლარდათ' ათჰეღენ („სვან. პროზ. ტ.“, II, ბეჩო, 66, 15) - „მიდის, მიდის და დევის სამყოფს მიადგა“;

ესხრი, ესხრი ი სგ'ათჰიე ჰიქიშ ლარდათეისგა („სვან. ენ. ქრესტ.“, ბეჩო, 227, 27-28) - „მიდის, მიდის და მინის სამყოფს მიადწია“;

ანღრიხ, ანღრიხ... ი სგანჰიეხ ქორთემსგა („სვან. პროზ. ტ.“, II, ეცერი, 187, 1) - „მოდიან, მოდიან... და შეაღწიეს სახლში“.

ზოგჯერ „სვლა“ ზმნის აწმყოს ფორმებს მოსდევს წყვეტილის ფორმაც:

ესხრიხ, ესხრიხ ი ზულუათე აჩჷდხ (იქვე, ეცერი, 181, 27) - „მიდიან, მიდიან და ზღვისკენ წავიდნენ“;

ათხ' ესხრიხ, ესხრიხ ი აჩაღხ დჳუ მჰყმჰყიშ ფედილთე (იქვე, ეცერი, 261, 15)-„ახლა მიდიან, მიდიან და წავიდნენ მაყმაყ დევის („დეე მაყმაყის“) ახლოს“;

ამგვარი წყობა (ესლრი // ესხრი, ...ესლრი // ესხრი... ი აჩაღ - „მიდის, მიდის... და წავიდა“) იშვიათად დასტურდება სხვა კილოებშიც, ხოლო საპირისპირო წყობა (აჩაღ ი ...ესლრი // ესხრი..., ესლრი // ესხრი - „ წავიდა და ...მიდის, ...მიდის“) ბუნებრივია ქართულისთვისაც და სვანურისთვისაც.

აჩაღხ ალ ნალჟჟურთეღსგა, ესხრიხ... (იქვე, ეცერი, 152, 25)- „წავიდნენ ამ ვაჟთან. მიდიან“;

აჩაღხ ამეი ალჳარ ი ესხრიხ, ესხრიხ (იქვე, ჩუბეხევი, 263, 18) - „ასე წავიდნენ ესენი და მიდიან, მიდიან“;

აჩაღ. ესლრი, ...ესლრი (იქვე, ბეჩო, 31-24-25) - „წავიდა, მიდის, ...მიდის“;

ესლრი, ლახხტიდახ - („მიდის, შეხვდა“) შემასმენლებიანი ფრაზები ყოველთვის რთული თანწყობილი წინადადებებით გადმოიცემა:

ესლრიხ, ესლრიხ ლამახჴალთე; ლახხტიდახ ქჴერ („სვან.ენ.ქრესტ“, მაზერი, 232, 8-9) - „მიდიან, მიდიან სამტროდ; შეხვდათ ყვაგი“;

ესლრიხ, ესლრიხ ი ჯოდია შუჴჴს ლახხტიდღახ ეშხუ მეჩი მარე („სვან. პროზ. ტ.“, II, ბეჩო, 50, 30) - „მიდიან, მიდიან და შორ გზაზე (←ლეჩხ., რაჴ., იმერ., გურ. „შუჴა-ს“) შეხვდათ ერთი მოხუცი კაცი“.

გამოიყოფა აგრეთვე ესლრი, ხეწად („მიდის, დაინახა“) შემასმენლებიანი კონსტრუქციები.

ესხრიხ, ესხრიხ ი აშხუნღჴე აშხჴ მინდერისგა ხეწადხ ხოშა ქორცვლ ღებხ (იქვე, ჩუბეხევი, 259, 15-16) - „მიდიან, მიდიან და ერთი ხნის შემდეგ ერთ მინდორში დაინახეს („შეხედეს“) დიდი სახლივით სკა („სკას“)“;

ესხრი, ესხრი ი აშხჴ ჳღგის ხეწად, ერე ეშხუ მარე ბოგხენჩუ ფეჴნას აჴთანა (იქვე, კურხვაიში, 276, 35-36) - „მიდის, მიდის და ერთ ადგილას დაინახა, რომ ერთი კაცი ხიდიდან ლეჴვს ატღებხ“.

ბალსქვემოური დიალექტის სხვადასხვა კილოკავზე ჩაწერილ ზღაპრებში, მოგზაურობის ფორმულათაგან ძირითადია ფრაზები, რომლებშიც გმირისა თუ რომელიმე სხვა პერსონაჟის შორ მანძილზე გადაადგილება გადმოცემულია ლიზი („სვლა“) ზმნის განმეორებით (ძირითადად აწმყოს მწკრივში). მაგრამ ეს ერთადერთი ხერხი არ არის გზის სიშორისა თუ სირთულის გამოსახატავად. ზოგჯერ მთქმელი პირდაპირ მიუთითებს ამის შესახებ ან ასახელებს მანძილის დასაფარავად საჭირო ვადას, რომელიც ჩვეულებრივ, ხანგრძლივი დროის მონაკვეთს მოიცავს ხოლმე; ბუნებრივია, რაც უფრო დაბრკოლებებითა და ხიფათით აღსავსეა გზა, მით მეტი დრო სჭირდება მის გავლას:

აჩადხ ჭოღია შუეჟს ი სგათვეღგნხ აშხუ ხოშა უდუნბური ტუიბთემსგა (იქვე, ბეჩო, 25, 32) - „წავიდნენ შორ გზაზე („შუკა-ს“) და მიაღგნენ ერთ დიდ უდაბურ ხეობას“;

...ესლრი, ჟოდე ჩაჟუმე მუჟუ ლი, ეჩქად ჩაჟუმუ ესლრი. ჩაჟუმე შუეჟუ ჩოთშდნხ, ეჩქას ჩოხქნხ ი ჰეშხშუ ესლრი (იქვე, 174, 32-33) - „მიდის, ვიდრე ცხენის გზა არის, მანამ ცხენით მიდის. ცხენის გზა (რომ) გაუთავდა, მაშინ ჩამოხტა და ფეხით მიდის“;

ადაე ევგუშარუ ადგილს, ერე, ჩაჟუმე ლაზ ოდე ლჰსუ, ეჩქად ჩაჟუმუ [ესღგრდა], ეჩქანლო ჩაჟუ ჩოხქნხ, ათხე ჰეშხშუ ესლრი (იქვე, ეცერი, 174, 22-23) „წაიყვანა ისეთ („იმგვარ“) ადგილას, რომ, ვიდრე ცხენის სავალი იყო, მანამ ცხენით [მიდიოდა], მერე ჩამოხტა ცხენიდან და ახლა ფეხით მიდის“;

ალ მინდორქა ესხრი. ეშხუ ლეთ-ლადეღ ყი ხარ. ლეჟიზი ჩოთშდნხ ი ღუმეღი დეშ ტეხნი ი თაჟ ი ბოლ დემეგ ხუღჟე ალ მინდორს (იქვე, ეცერი, 141, 33-35) - „ამ მინდორზე მიდის. ერთ დღე-ღამეს დაჰყო. საგზალი გაუთავდა და უკანაც არ ბრუნდება, („და“) თავი და ბოლო არა აქვს ამ მინდორს“;

ესხრიხ, ესხრიხ ი სამ ზაუნღჟე სგა ჟენდ გარ ანჰიეხ (იქვე, ჩუბეხევი, 262, 27) „მიდიან, მიდიან და სამი წლის შემდეგ ძლივსღა მიაღწიეს“;

ესხრიხ, ესხრიხ ი აშხუ ზაუნღჟე ჟნა-ბედოშ ქა ჟენდ ადჰიეს მგნწლან ლარდა ქუეყანათე (იქვე, 259, 3-5) - „მიდიან, მიდიან და ერთი წლის შემდეგ ვაი-ვაგლახით („ვაი-ბედით“) ძლივს მიაღწიეს კალიის სამყოფ ქვეყანაში“;

ესღრიხ, ნაგზაშ ლეზნა აჩადხ (იქვე, ცხუმარი, 93, 11)

„მიდიან, კვირის სავალი გაიარეს („წავიდნენ“)“.

ამ უკანასკნელ გამონათქვამებში მოგზაურობის ვადა დაკონკრეტებულია (3 წელი, 1 წელი, 1 კვირა), თუმცა მათ პარალელურად მსგავსი სემანტიკის ფრაზებში დრო შესაძლოა არც იყოს დაზუსტებული:

ესხრიხ, ესხრიხ. აშუნლჷე ადჰიეხ დაჷარე ქეყანათე (იქვე, ლახამულა, 320, 29)-„მიდიან, მიდიან. ერთი ხნის შემდეგ მიაღწიეს დევების ქვეყანაში“;

ესხრი, ესხრი ი ჩიგარ ესღგრდ', ეჲ შუქჷს მად' აჩად ი მერმა შუქჷს აჩად (იქვე, ეჲრო, 172, 23-24) - „მოდს, მოდს და მუღამ მოდიოდა. იმ გზაზე („შუკა-ს“) არ წავიდა და მეორე გზაზე („შუკა-ს“) წავიდა“.

ეს-ღგრ-ღ-ა ზმნასთან ჩიგარ ზმნისართის გამოყენება იმაზე მიგვითითებს, რომ მოგზაურობა არ დასრულებულა (თითქოს უსასრულოა).

ეს გამონათქვამი იმითაცაა საინტერესო, რომ ერთი და იგივე ზმნა-შემასმენელი წარმოდგენილია აწმყოს, უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივთა ფორმებით.

ბალსქვემოურ ზღაპარში რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, სადაც ღგრ-ი ზმნა უწყვეტელსა და თურმეობითმია:

მაჰრენე ესღგრდა, ესღგრდა ი სოფელს ათასდა (იქვე, ბეჩო, 40, 15) - „უმცროსი მიდიოდა, მიდიოდა და სოფელს წააწყდა“;

ალ ნალჷჷურ ესღგრდა, ესღგრდა, მერმა სოფელს ათასდა (იქვე, 40, 24)-„ეს ვაჟი მიდიოდა, მიდიოდა, მეორე სოფელს წააწყდა“;

ეტმზალი შუქჷს...(იქვე, ლახამულა, 338, 28)- „წასულა გზაზე („შუკა-ს“)“.

მოგზაურობის ფორმულათაგან ბალსქვემოურშიც გავრცელებულია ქართულისა და სვანურის ყველა კილოზე ჩაწერილი ზღაპრებისთვის დამახასიათებელი შესიტყვებები: „ადგა და წავიდა“, „დაადგა გზას“ მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში:

ბეფშ ანგგან ი აჩად („სვან. ენ. ქრესტ“, იფარი, 230, 37) - „ბავშვი ადგა და წავიდა“;

მერმა ლაღელ ჟ'ანგგან ი აჩადიდ ალ ნალუჟურ („სვან. პროზ. ტ.", II, ჩუბეხევი, 277, 8) - „მეორე დღეს ადგა და ისევ წავიდა ეს ვაჟი“;

ანგგან აშუ ლაღელ ი აჩაღხ (|| აჩათხ) (იქვე, ლახამულა, 341, 6) - „ადგნენ ერთ დღეს და წავიდნენ“.

ზოგჯერ ამ ფრაზებს ერთვის კვლავ „სვლა“ ზმნიანი კონსტრუქციები:

ათხე ჟ' ანგგან ალ ნალუჟურ... ი აჩად. ესლრი, ესლრი ჟობაშუ შუჟაჟს აჩად (იქვე, ბეჩო, 31, 14-15) - „ახლა ადგა ეს ვაჟი... და წავიდა. მიდის, მიდის, ბევრი იარა („ბევრ გზას წავიდა“);

მერმა ლაღელ ჟ'აღ ანგგან ტკისდ ი აჩადიდ. ესხრი, ესხრი... (იქვე, ჩუბეხევი, 277, 18-19) - „მეორე დღეს ადგა მართლა და წავიდა. მიდის, მიდის...“.

ზოგჯერ ანგგან („ადგა“) ზმნასთან წყვილს ქმნის „სვლა“ ზმნა არა წყვეტილის მწკრივის ფორმით აჩად („წავიდა), არამედ აწმყოს ფორმით ესხრი („მიდის“);

ანგგან გუილბიდ ი ესხრი, ესხრი (იქვე, ჩუბეხევი, 270, 35) - „ადგა გვილბიდი და მიდის, მიდის“;

ანგგან ტკიცდ ა // ალ ხელწიფ ი ესხრი (იქვე, ლახამულა, 318, 1-2) - „მართლა ადგა ეს ხელმწიფე და მიდის“.

ერთადერთხელ დასტურდება ბალსზემოური ტექსტების პუბლიკაციებში გავრცელებული „წამოხტა („აფრინდა“) და წავიდა“-ს ეკვივალენტური გამონათქვამი:

ეჩქანლო ოხპარ ი აჩად შუიდედლ (იქვე, ბეჩო, 24, 14-15) „მერე წამოხტა („აფრინდა“) და წავიდა მშვიდობით“;

შდრ. ბზ.:

ლაპარხ ი აჩაღხ მერმე დაჟარ („სვან. პროზ. ტ.", I, იფარი, 204, 33-34) - „წამოხტნენ („აფრინდნენ“) და წავიდნენ სხვა („მეორე დღეები“).

რომ ფანტასტიკა არა, ცხადია, სვანურ ენაში დღეს წარმოუდგენელია „დღეის წარმოხტომა ან აფრინა“.

გამოიყოფა აგრეთვე ქართულისებური „დაადგა ... გზას და მიდის“:

თაუისა ქათვგან შუკუს ი ესხრი, ესხრი... („სვან. პროზ. ტ.“, II, ეცერი, 178, 17-18) - „თავისა (ანთროპ.) დაადგა გზას და მიდის, მიდის“...;

ნალტუჟორდ... შუკუს ათაგან. ესრი, ესხრი. (იქვე, ლახამულა, 330, 35-36) - „ვაჟი გზას დაადგა, მიდის, მიდის“.

ქვემოსვანურსა და ბალსზემოურ დიალექტებში მეტად გავრცელებული ფორმულა ანზინე, ასობინა ლიზი - „დაიწყო, დაუწყია სვლა“ ძალზე იშვიათად გვხვდება ბალსქვემოურ ზღაპარში.

ჩინემ ადბინე ლიზი (იქვე, ბეჩო, 53, 34) - „თვითონ დაიწყო სვლა“;

შდრ.: სოფელ ლახამულაში ჩაწერილი ფრაზა:

მინდერ ლექუა აღსყე ლიზი (იქვე, 330, 29) „მინდორზე (ქვევით) წავიდა („გააკეთა სვლა“) ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. „დაწყება“ ზმნის სანაცვლოდ „კეთება“-ს გამოყენება. ეს გამონათქვამი ერთადერთია არა მხოლოდ ბალსქვემოურ კილოზე ფიქსირებულ ზღაპარში, არამედ საერთოდ სვანური ტექსტების პუბლიკაციებში.

ასევე ერთადერთხელ დასტურდება ქართულისთვის უჩვეულო ფრაზა ლაზელალთე ლიზი - „წასასვლელად სვლა“, რომელიც ტავტოლოგიურ გამონათქვამს მოგვაგონებს:

ხოპირა ლაზელალთე ლიზი (იქვე, ფარი, 210, 15) - დააპირა წასასვლელად სვლა“.

ჯადოსნური თხზულების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია გმირის არაჩვეულებრივობა, რომელიც სხვადასხვა ნიშანთა ერთობლიობით გამოიხატება. ეს განსაკუთრებულობა კი დაბადებისთანავე იჩენს ხოლმე თავს და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამბავი სწორედ ამ „სხვანაირ“ ბავშვს შეეხება, იგი უნდა მოგვევლინოს მთავარ გმირად:

ამნემ ეჯგუჰრ ბიძილ ანთაჟ, ერე სახელწიფისგა ეჯგუჰრ ბიძილ ქა ლგთაჟე ღემეგ ლი (იქვე, ეცერი, 193, 21-22) - „ამან ისეთი („იმგვარი“ <ე-გ-გვარ-ი) ბიჭი გააჩინა, რომ სახელმწიფოში ისეთი ბიჭი დაბადებული არ არის“;

ნალტუჟორ ანთაჟე. ეჯკალი ლესგდი ლი, ერე ზოჩა ღემეჟი ხაკუ (იქვე, ეცერი, 160, 4-5) - „ბიჭი გააჩინა, ისეთი („იმ ყალიბის“ <ღვ. ქ. <ე-გ-კალიბ-ის“) სანახავია, რომ უკეთესი („პარგი“) არ უნდა“;

ეჭვთა კაბიგუ მათაჟან, ერე ღერთემ ლესგიდ ზაჟა (იქვე, ცხუმარი, 115, 12-13) - „ისეთი კაბუკი გააჩინა, რომ ღმერთის სანახავად არის („ჰყავს“).

ამ უკანასკნელი გამონათქვამით ღვთისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებაც ვლინდება. სვანეთში საუფლო დღესასწაულისათვის მომზადებული სადილიც კი განსაკუთრებული უნდა იყოს არა მხოლოდ გემოთი, არამედ ვიზუალურადაც. ასეთ დღეებში შესაწირ საკლავსაც დიდი გულმოდგინებით არჩევენ, ხბო, ხარი, ცხვარი, თუ მამალი აუცილებლად ხოჩა თუალაშ („კარგი შესახედავი <თვ-ალ-ის-ა>“) უნდა იყოს, რადგან ღმერთისათვისაა განკუთვნილი.

ამ გამონათქვამის პარალელურად დასტურდება ფრაზა:

...ეჭვლიბ ლი ლესგდი მახელუშუ, ერე ლესგდიდ ლი ცოდ (იქვე, ჩუბეხევი, 257, 31-32) - „ისეთი („ე-გ ყალიბ-ის“ < ძვ. ქ. „ე-გ კალიბ-ის“) სანახავია ვაჟი, რომ საყურებლად ცოდვას“.

თუ ერთ შემთხვევაში გმირი იმდენად ლამაზია, რომ „ღმერთს სანახავად ჰყავს“, მეორე შემთხვევაში ჩვეულებრივ მოკვდავთაგან მისი ყურებაც კი ცოდვას.

ბალსქვემოურ დიალექტშიც დასტურდება სვანურის სხვა კილოთა ზღაპრებისთვის დამახასიათებელი დაბადების აღმნიშვნელი ისეთი ფრაზები, როგორიცაა:

ამიშ მეხუდ დინა ი ნალუჟურ ანთაჟე, დინა ჟარჩხლიშ ლასჟ ი ნალუჟურ - ჟოქრე (იქვე, ლახამულა, 340, 28-30) - ამისმა ცოლმა გოგო და ბიჭი გააჩინა, გოგო ვერცხლისა იყო და ვაჟი ოქროსა ი“;

...დინა ესერ ჟარჩხლიშ ირი, ნალუჟურ - ჟოქრე (იქვე, 340, 25-26) - „გოგო ვერცხლის იქნებაო, ვაჟი - ოქროსა“;

აზწესან დინა ი ნალუჟურ. ნალუჟურ ლასჟ ფოლადიშ ი დინა ისგენჟი ოქრემ ი ისგენჟი ჟარჩხლიშ (იქვე, ბეჩო, 51, 14-15) - „გააჩინა გოგო და ბიჭი. ბიჭი ფოლადისა იყო და გოგო წელსხევით („შუისხევით“) ოქროსა ი და წელსქვევით („შუისქვევით“) ვერცხლისა“.

შდრ. ბზ.:

ალას აზთენან ეშხუ ჰყინტ ი მერმე დინა. აღმარ ისგენჟი ოქრე ლიბ ი ისგენჟი - ჟერცხლ („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 132, 3-4) - „ამას ეყოლა ერთი ბიჭი და მეორე გოგო. ესენი წელსხევით

(„შუისზევით“) ოქრო არიან და წელსქვევით („შუისქვევით“) ვერცხლი;

ალ ზურაღდნ ეშხუ ჭყინტ ანთენე, ისგგნჳინ - ჟოქჳურ ი ისგგნჳუ - ჟერცხლ (იქვე, I, იფარი, 143, 26-27)-„ამ ქალმაც ერთი ბიჭი გააჩინა წელსზევით („შუისზევით“) ოქრო და წელსქვევით („შუისქვევით“) - ვერცხლი“.

ამ ფრაზებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ სოციოკულტუროლოგიური თვალსაზრისით - კერძოდ, გამჟღავნებულია სვანური საზოგადოების უპირატესი დამოკიდებულება ვაჟიშვილის გაჩენისადმი. ზღაპრებში ახალშობილი ვაჟი ყოველთვის ოქროს ჰგავს, გოგონა კი - ვერცხლს, ხოლო, თუ პირველი მათგანის აღსანიშნავად ეს ეპითეტი არაა გამოყენებული, მაშინ ჟოქჳრ-ეშ („ოქრო-ს-ი“) შესაძლოა ქალიშვილიც იყოს.

მხოლოდ ბალსზემოურ ზღაპარში დასტურდება ჟარჩხილ („ვერცხლი“) ლექსემის ნაცვლად წყვლმან („წმინდა“ < „წყლ-იან-ი“)-ის გამოყენება, რომელიც გადატანითი სემანტიკით თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც აღნიშნავს „ვერცხლს“.

ოხჳთენი ჭყინტს ი ეჳა ისგგნჳინ ესერ ჟოქჳურ ირა ი ისგგნჳუ - წყვლმან („სვან. პროზ. ტ.“ I, მულახი, 303, 3-4) - „გავაჩენ ბიჭს და ის წელსზევით („შუისზევით“) ოქრო იქნება და წელსქვევით - ვერცხლი;

მაჰტრენემ ქანთენე კისდ გეზღირ ი აღმარ ისგგნჳე ჟოქჳურ ლჳსჳხ ი ისგგნჳუ - წყვლმან (იქვე, 303, 7-8) - „უმცროსმა გააჩინა მართლა შვილები და ესენი წელსზევით („შუისზევით“) ოქრო იყვნენ და წელსქვევით („შუისქვევით“) - ვერცხლი“.

ზღაპარში ახალშობილის დასახასიათებლად გამოყენებულ ეპითეტებს „ოქრო, ვერცხლი“ ენაცვლება „მზე, მთვარე“, რაც ნიშანდობლივია ქართულისთვისაც:

მი მულჳე ღერბათხანჳა მერუ გეზალ: ეშხუ მიჳ ი მერმე - დოშდულ (იქვე, უშგული, 76, 13-14) - „მე, ღვთის წყალობით, („ღვთისგან“) მყავს ორი შვილი: ერთი მზე და მეორე - მთვარე“.

მაღო, მიჩა ხეხჳს ესერ ეშხუ მიჳ ხორი ი მერმე- დოშდულ (იქვე, იფარი, 132, 7-8)-„აბა, შენს ცოლსო ერთი მზე ჰყავს და მეორე- მთვარე“.

აღსანიშნავია, რომ ეს ეპითეტები თითქმის საუკუნის წინანდელ ტექსტებშია ფიქსირებული - უშგულურ (და მასთან ახლოს მდგომ

იფარულ) კილოკავში, რომელიც ბალსზემოურ დიალექტში ყველაზე მეტი არქაულობით ხასიათდება.

გმირის განსაკუთრებულობა მის ზრდაშიც აისახება და სხვადასხვაგვარად გადმოიცემა ხოლმე. ყველა კილოს ზღაპარში სიგრძე-სიგანის მატება სპეციალური საზომი ერთეულებით განისაზღვრება. ესენია: კამგნ - „მტკაველი“, ირთხინ - „ციდა“, ცერმგკჰს - „ცერისოღენა“, გოჯ - „გოჯი“, ჩარეჟ - „ჩარეჟი“, ჭითხ - „წყრთა“:

ანათე ეჭჳნარ ბეფშ, ერე ლემბჳ ლი, ლეთშუ ჭითხს იცხემ ი ლდეღშუ - კამინს („სვან. პროზ. ტ.", II, ლახამულა, 318, 19-20) - „გააჩინა ისეთი („იმგვარი“) ბავშვი, რომ გასაკვირია, ლამით წყრთას იმატებს და დღისით („დღით“) - მტკაველს“;

ალგარე დის ახთაჴან ქორს ეშუი ჭაბიგჳ. ლეთშუ კამინს იცხემ, ლდეღშუ - ჭითხს („სვან. ენ. ქრესტ.", ლახამულა, 229, 21-22) - „ამათ დედას შეეძინა სახლში ერთი ჭაბუკი. ლამით მტკაველს იმატებს, დღისით („დღით“) - წყრთას“;

ზმნა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აწმყოს მწკრივშია იცხამ („იმატებს“ < ი-სხ-ამ-ს), ხოლო ზოგჯერ თურმეობითშიც გვხვდება.

ეჩეჩუ ჭაბიგჳ ახთაჴნა: ლეთშუ ჭითხს ლგმცხემნელი ი ლდეღშუ - კამინს (იქვე, ბეჩო, 217, 40-41) - „იქ ჭაბუკი გაუჩენია, ლამით წყრთას იმატებდა თურმე („ნამატება“) და დღისით („დღით“) - მტკაველს“.

შდრ. ბზ.:

ეჩეი ჟი იცხემ, ერე კამინჴს ლწთშუ იცხემ ი ცერმგკჰს ლადღშუ („სვან. პროზ. ტ.", I, ლენჯერი, 402, 5-2) - „ისე იმატებს, რომ მტკაველს ლამით იმატებს და ცერისოღენას - დღისით („დღით“).

ლშხ.:

ეჩი ლადღშუ ეშხუ ჩარეჟს იცხემ, ლწთშუ - ეშხუ კამგლს („სვან. პროზ. ტ.", IV, 117, 34) - „ეს დღისით („დღით“) ერთ ჩარეჟს იმატებს, ლამით - მტკაველს“;

ლნტ.:

ალ. ჭყინტ ლდეღშუ ირთხინს იცხემ, ლეთშუ - კამილს („სვან. ენ. ქრესტ.", ლენტეხი, 329, 10-11) - „ეს ბიჭი დღისით („დღით“) ციდას იმატებს, ლამით - მტკაველს“....

ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ქართულ „ციდას“ ორი სხვადასხვა ლექსება შეესაბამება. ესენია ირთხინ და ცერმგკაჩ. ორივე მათგანი ყველა დიალექტში იხმარება, ზემოსვანურში შესაძლოა მერთხილ ფორმაც შეგვხვდეს. ვფიქრობთ, რომ ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად ორი სხვადასხვა ტერმინი თავიდანვე ალბათ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ცერმგკაჩ ზედმიწევნით „ცერალმართულს“ ნიშნავს და, სრულიად ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ამოსავალში იგი ციდას კი არაა, არამედ ცერს აღნიშნავდა.

ზემოაღნიშნულ ტერმინთაგან ზოგი საერთოქართველურია (ირთხინ - შდრ. ქართ. გან-რთხ-მ-ულ-ი⁶³, ჭითხ - წყრთა⁶⁴), ზოგიც ნასესხები, მაგრამ, რომ ძველისძველ ნასესხობასთან გვაქვს საქმე, ეს კარგად ჩანს ლაშხურის სოფელ სასაშში ჩაწერილი ერთი სიმღერის ტექსტიდან:

დედბერს მებჭკოლ ხარა ჭითხ ი კამელ (სვან. პოეზ., 118, 19-20) - „დედაბერს გახეთქილი ჰქონია წყრთა და მტკაველი.“

აქ დასახელებული საზომი ერთეულები (ჩარეჟ „ჩარეჟი“, ირთხინ - „ციდა“, ცერმგკაჩ - „ცერის“ ოდენა“, ჭითხ - „წყრთა“) არასდროს ერთმანეთს არ უკავშირდებიან, თითოეული მათგანი უპირისპირდება კამელს („მტკაველი“). მატების აღმნიშვნელი ამგვარი წყვილები (კამელ - ირთხინ „მტკაველი - ციდა“, კამელ - ცერმგკაჩ „მტკაველი - ცერის“ ოდენა“), იმაზე მეტყველებს, რომ ზრდა დღითა და ღამით სხვადასხვაგვარად ხდება, თუმცა არც თანაბარი ზომით მატებაა გამორიცხული:

ალი კამინს ლეთშუ იცხემ, კამინს - ლადელშუ („სვან. პროზ. ტ.“, II, ეცერი, 147, 16) - „ეს მტკაველს ღამით იმატებს, მტკაველს - დღისით („დღით“).

შდრ. ბზ.: ალა ლჷსჷ ეჯჷნჷჷ ჰეინტ, ერე ლჷთ ი ლადელისგა გოჯს იცხემდა („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 208, 21-22) - „ეს ისეთი („ე-გ-გვარ-ი“) ბიჭი იყო, რომ დღე-ღამეში („ღამე და დღეში“) გოჯს იმატებდა“;

⁶³ Климов Г.А., Этимологический словарь картвельских языков, Москва 1964, გვ. 156

⁶⁴ იქვე. გვ. 284; თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 96

შდრ. ლნტ.: ტანტაროზ განგალს იცხემდა ლეთნ ი ლადელნ (იქვე, III, ხელელი, 150, 10-11) „ტარტაროზი ვეებერთელას იმატებდა ღამით და დღით“.

თანაბარი მატებისას დღისა და ღამის დაპირისპირება ზოგჯერ იხსნება ხოლმე.

ბქ.: აშხუ ზაუნლო ალ ბოფშარ ლადელისგა ეშუ კამინს ესერ ლგმცხემინს („სვან. პროზ. ტ.“, II, ბეჩო, 49, 26-27) - „ერთი წლის შემდეგ ეს ბავშვები დღეში ერთ მტკაველს იმატებდნენ თურმე („ნამატებან“)“;

ალ დინა ი ნალჟურ ლადელ მერმა აშგარ იცხემს (იქვე, 51, 16) - „ეს გოგო და ვაჟი დღითიდღე („ყოველ მეორე დღეს“) მუღამ იმატებენ“;

დინა ჰკმინშალ იცხამ ი ეჯგუშარ სიმაქ ახფას, ერე ატერას მიჩა ტელ დემეგ არდ (იქვე, ლახამულა, 330, 19-21) - „გოგო ქერივით იმატებს და ისეთი გოგო დადგა (და-ფას-და), რომ მიწაზე („მიწას“) მისი ტოლი არ იყო“;

აქ ზომა მითითებული არ არის, სწრაფი მატების აღსანიშნავად მხატვრული შედარებაა გამოყენებული.

მთქმელი სხვადასხვაგვარად აღწერს უჩვეულო ზრდას, სხვადასხვა ხერხს იყენებს ამისათვის:

გუილბიდ ლეთიშდ ლადი ხოშილ ნაცხემუ ლასუ, ლადიშდ ხოშილ - მგხარ (იქვე, ჩუბეხევი, 270, 21-22) - გვილბიდი დღეს ღამეზე („ღამისად“) უფრო ნამატები იყო, დღევანდელზე („დღეისად“) უფრო - ხვალ“;

ეჯგუშარს იცხემს, ერე მახელტუჟთეჟა ანჯაღს (იქვე, ფარი, 212, 34) - „ისე („იმგვარს“) იმატებენ, რომ სიყმაწვილემდე მოვიდნენ“;

აშხუ თეუისგა ჟერუშდ ლგზა მახელტუჟს ათმაჯონან (იქვე, ჩუბეხევი, 257, 34-35) - „ერთ თვეში ოცი წლის ახალგაზრდას დაემსგავსა“;

ალი ეჯგუშარს იცხემ, ერე ლაიდ სურუ ხოჩამ ი ლითხტარ ადბინე შიშდ (იქვე, ფარი, 220, 22-23) - „ეს ისე („ე-გ-გვარ-ს“) იმატებს, რომ ძალიან კარგად და ნადირობა დაიწყო სწრაფად“;

ეჟჟი იცხემ, ერე ამსტალდშ ლიცხემ დას ხასმა ამჟი (// ამზუ). სემი ზაუთეჟა ჯაჯად ი ნაპტარარე ლიდგარი ანბინე (ლიმპორტული). მეგემ ცჰკემდ დემეგ ხემარგდ (იქვე, ეცერი, 160, 5-7) - „ისე იმატებს, რომ ადამიანის ასე („ა-მ ზომ-ით“) მატება არავის სძენია“.

სამი წლის გახდა („სამ წლამდე მივიდა“) და ჩიტების ხოცვა („კვლა“) დაიწყო. ხე ისრად არ აღგებოდა“.

რაც უფრო ვრცელია გამონათქვამი, მით უფრო სრულყოფილადაა გადმოცემული გმირის ზრდა ან სწრაფი ზრდის შედეგი - განსაკუთრებული სიძლიერე:

აბიხანჯარს ეჯგუშნ სურთ მახელუჲე ახფას, ერე გიმქა ლახ იზელალ, გიმ ზოქენი (იქვე, ლახამულა, 332, 23-24) - „აბიხანჯარი ისეთი სრული ვაჟკაცი დადგა, რომ როცა მიწაზე დადის, მიწა იზნიქება“;

მეხარ ანლი ჩაჲტუშუ ბულუმლუნჲ გეზალ, მუხთალ, მარე ეჯგუშარი ლი ერე გიმს ანგუმინე (იქვე, ლახამულა, 321, 11-12) - „ხვალ მოდის ცხენით ბულუმლუნის შვილი, მუხთალი, მაგრამ ისეთია („ე-გ-გვარ-ის“ა“), რომ მიწას ამძიმებს“.

ზოგჯერ ხმაც ზებუნებრივ ძალაზე მიუთითებს:

ლანშუმ დანშერს, ეჯგუშარ ლანშუმ, ერე ლარდად აშ აღჯგჲნე (იქვე, ცხუმარი, 116, 15-16) - „დაუძახა დევისიანებს, ისე („ე-გ-გვარ-ი“) დაუძახა, რომ ოდამ („სამყოფმა“) (ასე) გაიზანჯარა“;

ამჲი ესჲთილ ბულუმლუნდ, ეჯგუშარ ანსჲან გურგუნ, ეჯგუშარ ანჯად ჴიხე, გიმ-მეგემ მან ლგც ესლჲე (იქვე, 321, 6-8) - „ასე დაიყვირა ბულუმლუნმა, ისეთი („ე-გ-გვარ-ი“) გრგვინვა ატყდა („გაკეთდა“), ისეთი წვიმა მოვიდა, მიწა-ზე ყველაფერი წყალს მიაქვს“.

ბუნების მოვლენების ცვლილებას ან სტიქიას დევის დაყვირებაც იწვევს:

ამჲი დანდი ადბჲე ი ეჯგუშარ ანსჲე ყულმაჲულ ი ტურშუნ-ბურგუნ, ერე ლენზერ ი ლელუმერ ნენჩა ქანანშ ნანჲოლდ აღგენე (იქვე, ჩუბეხევი, 271, 27-29) - „ასე დევმაც გაიგო და ისეთი ღრიალი და ბრაგაბრუგი ატეხა („გააკეთა“), რომ სოჭნარი და ნაძენარი („ტყე“) კანაფის ნარჩენებად აქცია („დააყენა“ და-ა-ღგ-ა“).

ზოგჯერ ამგვარი ცვლილებებისათვის დევის მხოლოდ მოახლოება ან ამოსუნთქვა, სულის შებერვაც კი საკმარისია.

ანჯად ბიქჲ, ამის ახჲამხ მეშხე წეჲრარ ი მეშხე რანშ მეშხე დანჲ ხასგურ (იქვე, ცხუმარი, 97, 15-16) - „ამოვარდა (< ძვ. ქ. მო-ვლ-ა) ქარი („ბუქი-ი“), ამას მოჰყვნენ შავი მწევრები და შავ რაშხე („რაშხ“) შავი დევი ზის...“;

ანვალ ბიქუ ალი ქეხშდახ ი ეხჳამხ წგრნი წეტრარ ი წგრნი რაშს წგრნი დჳჳ ჟი ხასგურ (იქვე, 96, 30-32) - „ამოვარდა (< ძვ. ქ. მო-ვლ-ა) ქარი („ბუქი-ი“), ეს ჩადგა და მოჰყვნენ წითელი მწევრები და წითელ რაშზე („რაშ-ს“) წითელი დევი ზის“;

ანვალ ჩალდჳთეჳა ხოშა დჳჳ ბულუმდუნ, ანკიდ ქჳინ ი მინდერ ბინტუდ აღლაფრე (იქვე, ლახამულა, 320, 36-37) - „მოვიდა აივნამდე დიდი დევი ბულუმდუნი, ამოისუნთჳა („აილო სული“) და მინდორი ნისლით დაფარა“;

ლოხტფილ დჳჳდ ი ეჳგჳარ ანვალ ბიქუ, ერე კოჳარ ხერნიხ, ხერხენი მჳჳ უშხტარ (იქვე, 321, 8-10) - „შეუბერა დეჳმა და ისეთი ქარი ამოვარდა („ბუქი-ი მო-ვლ-ა“), რომ კლდეები იშლებიან, ყველაფერი ერთმანეთს ეფშვნება“;

ჩვეულებრივ, გმირის ან დევის ძალა შერკინებაში მჳლავნდება ხოლმე.

ეჳჳ' აჳიდ, ეჳჳ' აჳიდ, ერე ჳიჳჳ ი იშტ მჳჳ იშტდ ოთოგან (იქვე ჩუბეხევი, 254, 28-29) - „ისე ურტჳა, ისე ურტჳა, რომ ძვალი და ხორცი ყველაფერი ხორცად უქცია („დაუყვნა“);

...იქდენი, ქუთულწართეჳუ ხწთჳფე, დჳჳ იქდენი, ფხურსკჳწართეჳუ ხწთჳფე (იქვე, ცხუმარი, 117, 5-6) „იქნევს, მუხლამდე აფლობს („ჳარგავს“), დევი იქნევს, ქუსლამდე აფლობს („ჳარგავს“)“;

...ანსტილ ქა ი ეჳგჳარ ათლანე დრიზ გიმ ლეჳ' ერე ნაბგრტელწარდ ეჩხაჳ-ამხაჳ აღსკინენ (იქვე, ჩუბეხევი 266, 27-28) - „მოიქნია და ისეთი („ე-გ-გვარ-ი“) ბრაგვანი მოადინა მიწაზე, რომ ნაფოტებად აქეთ-იქით გადაცვიდნენ“;

ანსტილ ხოშა უსტახტიშ დჳჳ მჳყმჳჳ ფოჳ ჟიჳანქა ი ეჳგჳარ ათლანდა დრიზ გიმ ლეჳ', ერე დეცეგიმდ ლიქტუთენ' ადბინე (იქვე, 261, 31-33) - „მოიქნია უზარმაზარი ბაჳბაყდევი თეძოს ზევიდან და ისეთი („ე-გ-გვარ-ი“) ბრაგვანი მოადინა მიწაზე, რომ ცამ და მიწამ („ც-ის-მიწამ“) ჳანზარი დაიწჳო“.

საინტერესოა, რომ ბალსქვემოურ ჳლაპარში დევის მარცხი ჳიდაობისას უმეტესად მისი ძირს დანარცხებითაჳ გამოხატული, ქვემო სვანურში კი - მიწაში ჳრმად ჩაფლობით (რასაც ორივე შემთხვევაში დევის განადგურება მოსდევს).

უჳანასკნელი მაგალითი უჳრადლებას იმითაც იქცევს, რომ ქართულში გავრცელებული შესიტყვება „ცა და დედამიწა“

დასტურდება ორცნებიანი კომპოზიტის სახით, რაც მისი ქვემოსვანური (დეც-ი-გიმ) ფორმიდან ჩანს. ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებში, როგორც ეტყობა, მოხდა „და“ კავშირისეული ელემენტის ძირისეულ ხმოვანთან ასიმილაცია (დეც-ი-გიმ > დეც-ე-გიმ).

ზოგჯერ ძალ-ლონის გამოვლენის მიზეზად შესაძლოა გაბრაზებაც იქცეს:

ჟ' ახსურდა დანუშ ხეხუ რაშს, ესხრი, მარე გიმ-მეგემს აქთუნე, ეჭვი ლეხრინად ხალტიჟ (იქვე, ფარი, 217, 28-29) - „შეჯდა დევის ცოლი რაშზე („შეაჯდა რაშს“), მიდის, მაგრამ მიწასა და ხეს („მიწა-ხეს“) ანძრევს, ისე გაბრაზებით მოსდევს“.

მრისხანების ამსახველი ფორმულები სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ზეპირ მეტყველებაში არსებული მიმართვები ცხოველებისადმი ზღაპარშიც დასტურდება:

- ქუთიშუშუ ესერ მებჰჰუე, მჲ ხეჰუდი? („სვან. პროზ. ტ.“, II, ჭელირი, 190, 30) - „ქვიშითო გამსკდარო, რა გინდა?“;

- ზისხშუ ესერ მეჰრე, მჲ ხეჰუდი? (იქვე, 190, 32) - „სისხლის („სისხლით“) მრწყეველო, რა გინდა?“;

ეს გამონათქვამები გამოხატავენ მთქმელის უარყოფით დამოკიდებულებას ცხენისადმი, რომელიც გმირის სიახლოვეს გრძნობს და ფრთხება.

ზისხშუ მეჰრე („სისხლით მრწყეველი“) ადამიანის მიმართაც გამოიყენება და მოგვაგონებს ქართულში გავრცელებულ გამონათქვამს „სისხლს ანთხევს“, რომელიც გაბრაზებული ადამიანის მდგომარეობას ასახავს.

მრისხანებას ძალზე საინტერესოდ და სვანურის სხვა კილოკავთაგან განსხვავებულად აღწერს ბალსზემოური ზღაპარი:

დინად ჭაჯარ ჟეთ ანჰუშაღ, ეჩჰინ ჩუანდსსტკე („სვან. პროზ. ტ.“, I, ლენჯერი, 425, 1-2) - „გოგომ ჭაჯები კინალამ შეეყარა, ისე გაბრაზდა (<„გა-სა-სტიკ-და“);

ანჰად ხეხუ ი ჭაჯარ ანშიდ (იქვე, 419, 8-9) - „მოვიდა ცოლი და ჭაჯები შემოიყარა“.

„ჭაჯები შემოიყარა“-ს შესაბამისია თანამედროვე ქართულში „ცოფები ყარა“. „ცოფი“, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, სიგიჟის ერთ-ერთი სახეა და ნიშნავს „გონება და

ცნობამოძარცულს“⁶⁵, ეს შესიტყვება კი მრისხანებით გონებადამინდული ადამიანის საქციელს გამოხატავს. სათანადო ქმედებას სვანური გამონათქვამი ქაჯებს, ეშმაკებს უკავშირებს, რაც შემთხვევითი არ არის, ვინაიდან „ყოველგვარი გულფიცხოვა და მრისხანება... სულის დაავადებაა... გამძვინვარებული შინაგანი ცეცხლია“⁶⁶, რომელიც სულ ადვილად შეიძლება გახდეს დასაბამი სხვა უფრო დიდი ცოდვისა... „რამდენჯერ მომხდარა, რომ გაფიცხებული კაცი წასჩხუბებია თავის ძმას, უგინებია და უცემია... იქნება გაგეგონოსთ ამისთანა მაგალითი, რომ გაფიცხებულს კაცს ჩხუბში მოეკლას კაცი“⁶⁷...“ სწორედ ამიტომ ითვლება მრისხანება ეშმაკისეულ, მომაკვდინებელ ცოდვად და მას უპირისპირდება სიმშვიდე: „ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა“⁶⁸.

ზღაპრისთვის დამახასიათებელი ტოპონიმები, როგორც წესი, არაკონკრეტულ, განუსაზღვრელ ადგილს აღნიშნავს. მათგან ზოგი სიშორეს გამოხატავს, ზოგი - მიუვალობასა და საშიშროებაზე მიგვითითებს. ყველაზე ხშირად სიშორეს მთების რაოდენობა გამოხატავს: „თორმეტი რიცხვი დამახასიათებელი ჩანს სვანური ზეპირსიტყვიერებისათვის“⁶⁹:

ეშდორი თანლი ერხენჩუ ადგე („სვან. პარზ. ტ.“, II, ეცერი, 192, 35-36) - „თორმეტი მთის იქით წაიყვანა“;

ეშდორი თანლ' ერხენჩუ არის დაჯლჷშ ი ლოლაქაშ ჯჷნგ (იქვე, ცხუმარი, 119, 21-22) - „თორმეტი მთის იქით არის („არიან“) თხისა და ცხვრის ჯოგი“.

მიუთითებენ, რომ „სიმბოლო თორმეტი ყოველთვის რაღაც დასრულებული სისტემის მაჩვენებელია... კოსმიურ მთლიანობას

⁶⁵ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1993, გვ. 84

⁶⁶ წმინდა იოანე კროწტადტელი, ჩემი ცხოვრება ქრისტეში, თბილისი, 2003, გვ. 12;

⁶⁷ ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა, I, ქუთაისი, 1913, გვ. 525;

⁶⁸ ფსალმუნნი, ლოცვანი, თბილისი, 2000, გვ. 363;

⁶⁹ ქ. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 248;

გამოსახავს...⁷⁰, თორმეტთავიანი დევი კი სწორედ ამგვარი კოსმოსური მთლიანობის საპირისპირო ნეგატიური სურათ-ხატია"⁷¹.

აღგილის სიშორეზე მიუთითებს, აგრეთვე, სვანურისთვის დამახასიათებელი ტოპონიმური წყვილი „აღელია - გაღელია“:

რაშს ხაქუჩე: აღელიას ესეროდუ აჩად ი გაღელიას ესეროდუ ანტახ - (იქვე, ჩუბხევეი, 280, 5-6), „რაშს უთხრა: აღელიასო წადი („წავიდა“) და გაღელიასო დაბრუნდი („დაბრუნდა“)“.

რასაკვირველია, გაღილეა რეალურად შორს მდებარეობს (ყოველ შემთხვევაში სვანეთიდან), აღელია კი მთქმელის მიერ შეთხზული ასოციაციური წოდებაა და „გაღილეადან“ მომდინარეობს.

ბალსქვემოურ დიალექტში დასტურდება კიდევ ერთი ტოპონიმური წყვილი - „ასავლეთი - დასავლეთი“, რომელიც ფორმობრივად ემსგავსება ბალსზემოურ ზღაპრებში დადასტურებულ წყვილებს: აღელია-გაღელია, მურქუთი-თურქუთი, ალაიშ-თალაიშ // ალშ-თალშ, ონჟუთშ-ბონჟუთშ:

ასავლეთი - დასავლეთიშ უმხუარ ნენსგა კოჯლისგა მელტა ბერჟემ ნაჰოშ ჩუ ხაბ (იქვე, ცალანარი, 176, 22-24) - „ასავლეთსა და დასავლეთს შორის („ასავლეთი - დასავლეთი“) ერთმანეთს შუა“) კლდეში დაუკოდავი ცხენი რკინის ჯაჭვით აბია“.

„ასავლეთი“ „დასავლეთის“ შესაბამისად უნდა იყოს შექმნილი და რაკი მდებარეობის მიხედვით უპირისპირდება მას (უმხუარ ნენსგა - „ერთმანეთის შუა“), შესაძლოა აღმოსავლეთის ქვეყნები ივარაუდებოდეს, თუმცა სვანურ ენაში „აღმოსავლეთ-დასავლეთი“ საკმაოდ საინტერესოდ გადმოიცემა, რომელიც მზის ჩასვლა-ამოსვლას უკავშირდება:

მუ-გეზალ მგელაწადთე აჩაბხ, დი - მგელაჰუართე (იქვე, ფხუტრერი, 182, 37)- „მამა-შვილი აღმოსავლეთით („მზის“ სანახავისკენ“) წავიდნენ, დედა დასავლეთით („მზის“ ჩასასვლელისკენ“);“

მინ, ხეხუ-ჰაშ, მგენაჰუერუნლო ყორჟა ნომუ ღვრიხ, ოდო ჩუ როქ იმარცხიხ (იქვე, ლადრერი, 151, 31-32) - „თქვენ, ცოლ-ქმარი,

⁷⁰ ო. ქვრივიშვილი, ქართული ზღაპრების ხატოვანი მეტყველება, თბილისი, 2003, გვ. 26;

⁷¹ იქვე, გვ. 79;

დასავლეთის („მზის ჩასვლის შემდეგ“) კარისკენ ნუ მიდიხართ („მიდიან“), თორემო დამაცხდებით („დამარცხდებიან“);

ეჭუტარ ლარდა ოთეგხ, ერე ჰამს მჯულაწანდთე ხარ ყორ-ლაჭურა ი ნებოზს - მჯულაჭუტართე (იქვე, ეცერი, 141, 8-9) - „ისეთი ოდა („სამყოფი“) დადგეს, რომ დილას აღმოსავლეთისკენ („მზის სანახავისკენ“) აქვს კარ-ფანჯარა და საღამოს - დასავლეთისკენ („მზის ჩა“სასვლელისკენ“);

მჯულაწანდენ სგურ მუ, ნენსგაჩუ მინე გეზალ, მესამე (=დი) - მჯულაჭუტარბენ (იქვე, ფხუტრერი, 182, 29-30) - „აღმოსავლეთისკენ („მზის სანახავისკენ“) ზის მამა, შუაში - მათი შვილი, მესამე (= დედა) - დასავლეთისკენ („მზის ჩა“სასვლელისკენ“).

ეს წყვილი მხოლოდ ბალსქვემოურში გვხვდება და სიახლოვეს ამჟღავნებს ლაშხურის ლე-მგუ - ლე-ნ-თო-ი (ჩოლ. ლე-ნ-თჲ-მ „სამზე-ო - სა-მ-თოვ-არ-ე-ო“) კომპოზიტთან:

ლშხ.:

ლემგეს ადმეხ ი ლენტომს ენტიხხ („სვან. პროზ. ტ.“, IV, 81, 15 - 16) - „სამზეოს“ წაიყვანეს და საჩრდილობელს („სა-მთვ-არ-ე-ოს“) დააბრუნეს.

სიშორესა და საფრთხეზე მიუთითებს უღრანი ტყეც:

ეჭუტარ ნენჩათ' ათჲედგხ, ერე დეცთეშენქა ლწუჲ დემთე ლი, იმთე დო ხარხ ლეზი, ჟი დეშ იმჲერიხ („სვან. პროზ. ტ.“, II, ჭუხლანი, 260, 31 - 33) - ისეთ („იმგვარ“ შღრ. ლჲ ჭ ეგგოფარი) უღრანს მიადგნენ, რომ, ცის გარდა, გასახელი არსად არის, საით უნდა წავიდნენ („აქეთ წასასვლელი), ვერ იგებენ“;

ულტეხუ ცხეკთემსა ეღჲერნე, დეცჲქნა ლწუჲ დემთე ლი (იქვე, ტვიბერი, 93, 11-12) - „უღრან ტყეს მიადგა, ცის გარდა, გასახელი არსად არის“;

ლეშგმე ძგიდს აშუ ცხეკთელისგა ათჲედგხ, ეჭუტარ, ერე დეცთეშენქა ლწუჲ დემთე ლი (იქვე, ხაიში, 326, 25-26) - ბოლოს („ბოლოს ძგიდეს“) ერთ ტყეში შევიდნენ, ისეთში, რომ („იმგვარი“), ცის გარდა, გასახელი არსად არის“.

უღრანი, უტენი ტყე ბალსქვემოურ ზღაპარში თითქმის ყოველთვის ამგვარადაა დახასიათებული. გაუვალობის გადმოსაცემად აქცენტი ხილვადობაზეა გაკეთებული, ბალსქვემოურში კი (ასევე ქართულში) ტყის სიხშირეს ისეთი ფართოდ გავრცელებული

ფრაზეოლოგიური გამონათქვამები აღწერენ, როგორიცაა: „თავი ვერ გაძვრება, “ნემსი არ ჩავარდება“.

შდრ. ბზ.:

ეჭალობ ლელუმირდ ჩუესსიპდა, ერე შდუგუ დეშ ხეგუწენი („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 148, 22) - „ისეთ („ე-გ ყალიბ-ის“) ნადენარად გადაიქცა, რომ თავი ვერ გაძვრება“;

ეჭალო ცხეკდ ქქესიპდა, ერე ამეისგა ნესყე მამა შყედნი (იქვე, იფარი, 131, 13-14) - „ისეთ („ე-გ ყალიბ-ის“), ტყედ გადაიქცა, რომ ამაში ნემსი არ ჩავარდება“.

რაც შეეხება მინდორს, მის განსაზღვრებად ბალსქვემოურ ზღაპარში გამოიყენება ზედსართავეები: შორი, დიდი, შავი, თეთრი.

ხეწად ჯოდია მინდორს აშხუ ქორგლდს („სვან. პროზ. ტ.“, II, ბეჩო, 31, 29 - 30) - „ხედავს შორ მინდორში („მინდორს“) ერთ ქოხს“;

ათასდ ეშხუ ხოშა მინდორს (იქვე, ეცერი, 147, 35) - „წააწყდა ერთ დიდ მინდორს“;

თეთნა შუკუწარს ნომოდ აღდე, თეთნა ლარათე (იქვე, 165, 21) - „თეთრ გზებზე („შუკ-ებ-ს“) ნუ წაიყვან, თეთრ მიდორში“;

გუილბიდს ხესმან, ერე მეშხე დუშ მეშხა ლარემ თხუმ იზგა (იქვე, ჩუბეხევი, 270, 36 - 37) - „გვილბიდს სმენოდა, რომ შავი დევი შავი მინდვრის თავში ცხოვრობს“.

ფერი ღელის, სოფლის განსაზღვრებადაც იხმარება და ზოგჯერ საფრთხესა თუ უსაფრთხოებაზეც მიუთითებს (ისევე, როგორც დევის დახასიათებისას).

აღშტურანე: მეშხე ტუიბთე ნომეგ აჩე ლთხუართე (იქვე, ცხუმარი, 103, 34) - „დაარიგა: „შავ ხეობაში ნუ წახვალ სანადიროდ“.

ესხრი, ესხრი მეშხე ტუიბს, მარემ თხუიმს გარ ესხრი, ეჭუ ლგმარცხე ამსტალდუშ ჯიჯუტს გარ ხეწდენი (იქვე, 104, 5 - 6) - „მიდის, მიდის შავ ხეობაში („ხეობას“), მხოლოდ კაცის თავებზე (<ძვ. ქ. „თხემ-ს“) მიდის, იმდენი დამარცხებული ადამიანის ძვალსა ხედავს“.

შავი, უპირველეს ყოვლისა, გლოვის ფერია და დამწუხრებული სოფელი თუ ქალაქი, ქართულისა და სვანურის სხვა კილოთა ზღაპრების მსგავსად, ბალსქვემოურ ზღაპარშიც შავად შეღებილ-შემოსილია:

ამეჩუ სოფელ მავ მეშხად ლგრეჭუ ლი (იქვე, დახამულა, 333, 10 - 11) - „აქ სოფელი სულ შავად შემოსილია“;

იმღ' ესერ ლი ლაზგა-ლარდა მეშხად ლგლფგრე? (იქვე, ჟუხვლანი, 262,32) - „რატომო არის სამყოფ-საცხოვრებელი („სამოსახლო-სამყოფი“) შავად შეღებილი?“.

ცასთან დაკავშირებულ ტოპონიმთაგან ბალსქვემოურ ჟადოსნურ თხზულებაშიც დასტურდება სპეციფიკური სვანური გამონათქვამი:

მიჩა როქ დი მერემ როქ ი მეფხემ უშხუარ ნენსგა პრი, მიჩ როქ ხელჩე - (იქვე, ეცერი, 147, 22 - 23) - „დედაჩემიო („მისიო დედა“) ღრუბელსო და მოწმენდილს შუა („ერთმანეთს შუა“) არის და მეო („მასო“) მდარაჯობს („ედარაჯება“ - ე-ცვ-ებ-ა).

ოდნავ განსხვავებული ვარიანტია: დეც მეფხა უშხუარ ნენსგაჩუ - „ცამოწმენილდს შუა („ერთმანეთს შუა“).

დეც მეფხა უშხუარ ნენსგაჩუ დაშუდ ანსკინე (იქვე, ცხუმარი, 87, 24 - 25) - „ცამოწმენდილს („ერთმანეთს“) შუა დევი გამობტა.

რაც შეეხება გაფთხილებისა და მუქარის ამსახველ გამონათქვამებს, ისინი, ძირითადად, ქართულისებურია და სვანურის ყველა კილოს ზღაპარში დასტურდება:

ეჯმარდ ხაქუხ: ისგოტ ნომ' აჩაღდ, ოდო, ისგ' ესერ მეჩდე მერტუ ლი, ქა მეტხე დარ ლი (იქვე, ლახამულა, 337, 5 - 6) - „იმათ უთხრეს: შიგნით ნუ წახვალთ, („შიგნითმცა ნუ წავიდნენ“), თორემ, ვინც შიგნით არის წასული, გამობრუნებული არ არის“.

ამხაჲ მეზი ლგარ დარ მეტხელი (იქვე, ბეჩო, 32, 19) - „აქეთ წამსვლელი ცოცხალი არ დაბრუნებულა;

ამ ესერ ქეყანათე მიჩა მაყაჲშუ მეპერ დეშ პერნი, მეშე დეშ იბულელ... (იქვე, ლახამულა, 320 - 321, 38, 1 - 2) - „ამ („ამო“) ქეყანაში ჩემი („მისი“) შიშით ფრინველი ვერ ფრენს, ჭიანჭველა ვერ დაცოცავს ...“;

მიჩა მაყალშუ ესერ ლგცისგა კალმახ დეშ იქტუნალ, დეცჟი-მეშერ (//ნაპტრ) (იქვე, ბეჩო, 52, 11 - 12) - „ჩემი შიშითო წყალში კალმახი ვერ იძვრის, ცაზე - ფრინველი“;

მარ ესერ ლი, ერე თხტიმ ამგჲარ ლახსისგა? მიჩ ესერ ჭაშ ესჰელი, ეჰე, შდგჰმი ნაცყერუნდ დეშ ესერ ათხერი (იქვე, ლახამულა, 331, 6 - 8) - „ვინო არის, რომ თავი ასე („ა-მ-გვარ-ად“)

შესძლებია? ჩემპაო („მისმა“) კმარა (თუ) მოგისწრო („მოუსწრებს“), ეჰე, კბილის საცობად არ ეყოფი („ეყოფა“);

ისგუა იშტს ი ჟიჟსმათ ფაქულ ღეთ ოთგენისგლ (იქვე, ეცერი, 172, 6) - „შენს ხორცსა“ (< „ასო-ს“) და ძვალსაც დაეფქვათ („ფქვილად დაედგამთ“).

შდრ. ბზ.:

ჩუ ხტჷმ მეჩღელი, ჟი ღწრ მევღელი („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 228, 32 - 33) - „ქვევით ბევრი წასულა, ზევით არავინ მოსულა“;

ალ ყორს სგა ხტჷმ მეჩღელი, მარე ჟა ღწრ მეტხელი (იქვე, კალა, 85, 20 - 21) - ამ კარში („კარს“) ბევრი (< ძვ. ქ. „ხუავ-ი“) წასულა, მაგრამ არავინ გამოძრუნებულა“;

მუქარის გამომხატველ ფრაზებში ერთმანეთს ენაცვლება აფთქუა („დალეწავს“), ჰკუშე („გატეხს“), ჩოყლენე („დანაყავს“) ზმნები.

მინე იშტსი აფთქუა ი ჟიჟსი (იქვე, იფარი, 187, 16; 188, 16) - „თქვენს ხორცსაც დალეწავს და ძვალსაც“;

მინე იშტსი ჰკუშე ი მინე ჟიჟსი („სვან. ენ. ქრესტ.“, იფარი, 159, 2 - 3) - „თქვენს ხორცსაც დავამტვრევ და ძვალსაც“;

ისგუა იშტს ი ჟიჟს ჩოყლინე („სვან. პროზ. ტ.“, I, მულახი, 226, 32 - 33) - თქვენს ხორცსა და ძვალს დავნაყავ.

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებისათვის დამახასიათებელია ერთ-ერთი ტიპური ფორმულა - „ადამიანის სუნი მცემს“, რომელიც მითური პერსონაჟებისა ან ცხოველების განსაკუთრებულ ყნოსვაზე მეტყველებს.

ბქ.:

ამსტულდჷმ ქტინ მაჰჷნ („სვან. პროზ. ტ.“, II, ცხუმარი, 94, 10) - „ადამიანის სუნი მცემს“;

სამჰელჷჭიჷმ ქტინ ამჟიიდ ხაჰანდა („სვან. ენ. ქრესტ.“, ბეჩო, 225, 12 - 13) - „სამჰელაქის (საჯ. სახ.) სუნი მაინც („კვლავ ასე“) იდგა („დიოდა“).

ამ შემთხვევაში, დევის გაძლიერებული ყნოსვის გარდა, მთავარი გმირის (და ალბათ მთქმელისაც) რელიგიურ აღმსარებლობაზე არის ხოლმე მითითება.

ბალსქვემოურ პუბლიკაციებში ერთადერთი შემთხვევა დასტურდება, სადაც „ადამიანის სუნი“, უფრო ზუსტად, დამალული ბავშვების სიახლოვე ასეა გადმოცემული:

ღაუ ანჯად ი: - მახე ლელტომ როქ ქტინ ხაჯან („სვან.პროზ.ტ.“, II, ბარში, 187, 8-9) - „ღევი მოვიდა და: ახალი ხორცისო სუნი მცემს („ასდის“)“;

შესაძლოა შესიტყვებაში „ახალი ხორცის სუნი“ იგულისხმებოდეს ახალგაზრდის სუნი, მით უმეტეს, თუ მას დავუპირისპირებთ ბალსქვემოურში დადსტურებულ გამონათქვამს - „დიდი ადამიანის სუნი“.

ბზ.: ფისრაჟ სი, მიშგტან ხოშა ამსტულდა ქტინ მამ ორა?! („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 134, 27 - 28) - „შე წყეულო („ფის-იან-ო“) ჩემზე დიდი ადამიანის სუნი რა იქნება?!“.

ამგვარი დაპირისპირება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შევნიშნეთ, ამიტომაც ვერ დავიყენებთ, რომ ზღაპრის პერსონაჟებს სუნის მიხედვით ასაკის განსაზღვრაც შეუძლიათ.

შორ გზაზე ბედის საძიებლად წასული გმირი, მრავალი სხვადასხვა სახის ხიფათის გარდა, კეთილისმყოფელთაც გადაეყრება ხოლმე. „სასწაულებრივი დამხმარე“ ზღაპრის აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ ხშირად შემწედ „ჩვეულებრივი“ ადამიანიც გვევლინება. მთავარი პერსონაჟისა და დამხმარის ურთიერთობას დამოხილვების (დამოკეთების, დაამხანაგების) ამსახველი ფრაზები გამოხატავს:

-მალტე, ლახტბადოლ ლეხლტერანს უშტარ (იქვე, II, ცხუმარი, 99, 38; 100, 9; 100, 17) - „აბა, ძმებად შევეფიცოთ („შეეფიცნენ“) ერთმანეთს“;

„ნამ ლახტბად ლწლნაბნენდ უშტარ (იქვე, ბეჩო, 32, 32) - „ჩვენ ძმებად შევეფიცოთ ერთმანეთს“;

აშუნ მალგუდ (//მალგოდ) ი დწდულდ ჩუდფხანგანხ („სვან. ენ. ქრესტ.“, ილიანი, 211, 32) „ერთხელ მელა და დათვი შეამხანაგდნენ“.

მღრ. ბზ.:

ალმარდ ძმოზა აღსყეხ („სვან. პროზ. ტ.“, I, უშგული, 58, 6) - „ესენი დამოხილდნენ („ამათ ძმოზა გააკეთეს“);

სამთილ ალასი სგწთმგკთწნ (იქვე, ლენჯერი, 397, 19; 34) „სამთილი (საკ. სახ.) ამასაც დაუმოკეთდა“.

ლშხ.:

ჩუედკვრძნდახ ი აჩადხ შუეტს- („სვან. ენ. ქრესტ. „, სასაში, 273, 40) - „დამოყვრდნენ (შდრ. ძვ. ქ. „კერძი“) და წავიდნენ გზაზე („შუკა-ს“).

დამობილების ტრადიცია საქართველოში უხსოვარი დროიდან მოდის და თითქმის ყველა კუთხეში (განსაკუთრებით მთაში) ძმობილისათვის თავგანწირვა ჩვეულებრივი მოვლენაა. ძმობილთა შორის არსებულ დამოკიდებულებას (რომელსაც ქართული ძმად შეფიცვის ტრადიცია აკისრებს მის მონაწილეებს) და ვალდებულებას ამგვარად გადმოგვცემს სვანური გამონათქვამი:

ბქ.: მინს როქ ლიმხუბ ხარხ უშხუარდ ლუქუე, უშხურერიშ ლეწური-მუწური ლიხ, უშხურერიშ თერე მუდუნე ლიხ (სვან. პროზ. ტ., II, ფხუტრერი, 183, 15 - 17) „მათო ძმობა აქვთ ერთმანეთისთვის („ერთმანეთად“) ნათქვამი, ერთმანეთის სისხლის ამღები („სა-წურ-ავ - მ-წურ-ავ-ი“) არიან, ერთმანეთის თვალების დამფიცავნი („არიან“);

- მადილ ჭერი, ალექსანდრე, გუიშეე ლიმხუბ ემმა ჯანწამ, ლადი ამმარგ აშხუ გუაშლისგა (იქვე, 183, 27 - 28) - „მადლი გექნება, ალექსანდრე, ჩვენი ძმობა თუ გწამს, დღეს გამომადეკი ერთ საქმეში“.

ზღაპარში ძმად შეფიცულები განშორებისას ერთმანეთს უბედურების მაუწყებელ ნიშანს ასწავლიან. ეს ნიშანი უმეტესად სისხლს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, თუ როგორია უბედურება:

მინს როქ ემაგემ ხეყერეხ, ეჩქას მანკუშ როქ ლაბრალჟი შიწრჟი ლიც ესგუეშენეხ, ეჯი როქ ზისხდუ ოლსიპელი (იქვე, ლადრერი, 151, 33 - 35) - ჩვენო („მათო“) თუ რამე დაგვემართება („ემართებათ“), მაშინ პირველი დაბანისასო ხელებზე წყალი გვესხმებოდეს („დაესხათ“) ისო სისხლად ქცეულიყოს („სისხლ-ად-მცა გადაქცეულა“);

ღერმათ ლწხვრანხ, ერე „შომჲ ესერ ეშუი მწრცხს ათასდეს, ჰამს ესერ მერმა ლაბრალ ლიც ტოტწრჟი ზისხდ ესეროუ ესსიპენა (იქვე, ხაიში, 319, 18 - 20) - „ღმერთს შეევედრნენ, რომ „როცაო ერთი მარცხს წააწყდეს, დილასო მეორეს დასაბანი წყალი ხელებზე (შდრ. ძვ. ქ. „ტოტ-ი“) სისხლადო გადაექცეს“;

ალი ლიც ესერ ზისხიშ ფერიშდ ენსყი, ეჩქას ესერ ჯი ჩუ ლგდგარი ლი (იქვე, 65, 3 - 4) - „ეს წყალიო (რომ) სისხლის

ფერისად გადაიქცევა („გაკეთდება“), მაშინო შენ („თვითონ“) მკვლარი ხარ („არის“)...

შომ' ესერ ზისხშუ ლიპაძელური ლამბინას, მიჩ ესერ ლგყრინ ხარ ი ახთხელითოლუ (იქვე, ლახამულა, 333, 25 - 26) - „როცაო სისხლმა წვეთა დაიწყოს, მეო („თვითონ“) დამართული მაქვს და მომძებნეო“;

შომამ ნამ გაჭირება გჴანდეს, ეჩა გულ ლაჴადლ გუიშგე აბგოლ ზისხშუ ოლგორშლეილ (იქვე, მაზერი, 32, 33 - 34) - „როცა ჩვენ გაჭირება გკონდეს, მაშინ მივხვდეთ (< ძვ. ქ. „გულ-ად მო-ვ-ვლ-ე-თ“) (როცა) ჩვენი აბგები სისხლით აივსება.“

შდრ. ბზ.:

ნიშან ესერუ ლახტემხ უშხტარ: ლახ ესერ მიჩ ჩუ მა ათყერნი, ერქა ზისხშუ ახგუეშლი შიუჴილ ლაბრალჴი („სვან. პროზ. ტ.,“ I, იფარი, 137, 8 - 10) - „ნიშანიო მივცეთ („მისცეს“) ერთმანეთს; როცაო ჩვენ („მათ“) რამე („დაემართებათ“), მაშინ სისხლით აგვევსება („აევსება“) პეშვი დაბანისას“;

ლამშანს ხაჴლდი, ერე იბრალჴნი, ერქა ზისხშუ ახგუეშლი შიუჴილ (იქვე, მულახი, 255, 19-20) - „მაშინო ნიშანს („სანიშნეს“) მოგცემ („მისცემს“), რომ იბანდე („დაიბანს“), მაშინ სისხლით აგვევსოს („აევსოს“) პეშვი“.

ძმადნაფიცისა თუ ზლაპრის სხვა რომელიმე ყოვლისშემძლე პერსონაჴის მიერ გაცოცხლებული გმირი სვანურ ჯადოსნურ თხზულებაშიც იმავე შინაარსის სიტყვებს წარმოთქვამს, რასაც ქართულში: „უჴ, რამდენი მძინებიაო“.

- უჴ, მამ ესერ ხჴამ ხოჴჴა! - („სვან. პროზ. ტ.,“ II, ბეჩო, 48, 8) - „უჴ, რა („რაო“) ბევრი მიძინია („უძინია“)!“

... თერარ გარ ლამბურგჴინე: ჟაჴ, მაჴსჴახჴიშ ხანს ესერ ხაჴჴუნენა! (იქვე, ჩხუბეხევი, 265, 32 - 33) - „...თვალეზილა მოიფშენიტა: აჴ, რა ძალიან დიდხანსო მძინებია („სძინებია“).

ზოგჯერ შორისებულებით გმირის უკმაყოფილო განწყობაც ვლინდება:

ჟ' ოხპარ - ფუ, მაგჴარ ესერ ათუჴენა (იქვე, ეცერი, 165, 3) - „წამოხტა - ფუ, როგორ დამძინებიაო“.

ეს ფორმულა ყველა კილოში გვხვდება.

შდრ. ბზ.:

უპ, მანუამ ესერ ხოშუა („სვან. პროზ. ტ.“, I, ლენჯერი, 417, 37, იქვე, 400, 22) - „უპ, რა ბევრიო მიძინია („უძინია“)“;

ლშხ.:

ყოპო, მაძუმ ლოქ ათგენენა („სვან. ენ. ქრესტ. “, სასაში, 276, 31 - 32) - „ოპო! რამდენი („რა ზომა“) მიძინებია“;

ლნტ.:

- მა ხუმამ ლოქ ლახოუა („სვან. პროზ. ტ. “, III, ხოფური, 252, 11) - „რამდენიო („რა ბევრიო“) მიძინებია („სძინებია“)“;

ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება „ძილის“ ხანგრძლივობის აღმნიშვნელი ლექსემები: მა ხუმამ („რა ბევრი“ < ძვ. ქ. ზუაფ-ი), მაძუმ („რა ზომა“), მაგუარ („რამდენი“, „როგორი“).

„ზღაპარში როგორიც არ უნდა იყოს გაცოცხლებული გმირის მოკვლა ან გაქვავება, მისი გაცოცხლების პროცესი თითქმის ყოველთვის ერთნაირადაა გაფორმებული - მან არ იცის თავისი გაცოცხლებამდელი მდგომარეობის შესახებ და ჰგონია, რომ ეძინა“⁷².

სიუჟეტის თანახმად, გაცოცხლებული გმირი კვლავ შურის საძიებლად, ბოროტების დასამარცხებლად მიდის და ებრძვის კიდეც მას.

ბალსქვემოურ ზღაპრებში შედარებით იშვიათად გვხვდება ქართულში საკმაოდ გავრცელებული ორთაბრძოლის ამსახველი ფორმულა: „მოიქნია და ჩააფლო მიწაში ...“ ზემოსვანურის თავისებურებას ის ქმნის, რომ „ჩაფლობა“ მასდარისა და მისი შესაბამისი პირიანი ფორმების ნაცვლად ამ დიალექტებში გამოიყენება ლითუფე („კარგვა“ < ქიზიყ, თაფ-ვა „შემცხვარი პურის ერთბაშად აყრა და ჩაცვენა თონეში“).

ბქ.: იქდენი, ქუთულწათიჩუ ხათუფე, დაჟ იქდენი, ფხურსკუწათიჩუ ხათუფე („სვან. პროზ. ტ. “, II, ცხუმარი, 117, 5 - 6) - „იქნევს, მუხლებამდე კარგავს, დევი იქნევს, ქუსლებამდე კარგავს“.

ბზ.: იბგრიგინლხ, ლწარტყათიჩუ ხმელიკურა ხათუფე, ლწაკუთხათიჩუ - დწჟ („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 126, 4 - 5) - „ჭიდაობენ, წელამდე („სარტყლ-ა-მდე“) ხმელიკურა კარგავს, კოჭებამდე - დევი“;

⁷² თ.ქერდოვანიძე, ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპრები, თბილისი, 1983, გვ. 132;

იბგრაგიწლს, ეშუ ქუთულოთიჲუ ხნთუფეს, მერჲე ლარტყათიჲუ (იქვე, 125, 31-32) „ჰილაობენ, ერთი მუხლამდე კარგავს („კარგავენ“), მეორე - წელამდე („სარტყლ-ა-მდე“).

შდრ. ლაშხური დიალექტის მონაცემები, სადაც ქართული „ჩაფლობა“-ს შესაბამისი ლექსემები გამოიყენება, ოლონდ სხვა ძირის(-ციყ->-ცყ-) შემცველი.

ენქიროლე ხამარე მგლდეღ ი სგესციყ გიმთმესა გურამ ლულამთხუმნუნ, ენქიროლე გურამდ ი სგესციყ ფურსკჷალნუნ. ენქიროლე ეჩჲა მგლდეღდ ი სგესციყ ლალარტყნილნუნ. ენქიროლე გურამდ ი სგესციყ ლულამნუნ. ენქიროლე ხამარე მგლდეღდ ი სგესციყ ყიანუნ („სვან. პროზ. ტ.“ IV, 93, 23 - 27) - „მოიქნია ღორების მწყემსმა და ჩააფლო მიწაში გურამი მუხლისთავამდე, მოიქნია გურამმა და ჩააფლო ქუსლამდე. მოიქნია მაშინ მწყემსმა და ჩააფლო წელამდე („სარტყლ-ა-მდე“). მოიქნია გურამმა და ჩააფლო მუხლამდე. მოიქნია ღორების მწყემსმა და ჩააფლო ყელამდე“.

ამრიგად, მიწაში ჩაფლობის სიღრმე მოწინააღმდეგეთა ღონიერებასაც განსაზღვრავს.

მრავალთავიანი დევის საბოლოო დამარცხებას წინ უსწრებს მისი თხოვნა შეწყალების შესახებ, რასაც თავისებურად გადმოგვცემს ზემოსვანური ზღაპარი:

ბქ.: დჷღდ ხჷქჷე: მჷდილუთ ჳერი, ჲელიშ ი ცხეკიშ ლაშყამბუნალდ ეშუ თხტიმ ჳიუთ ემაცჷრ („სვან. პროზ. ტ.“ II, ცხუმარი, 117, 9 - 10) - „დეემა უთხრა: მადლიმც გეჲნება ველსა და ტყეში („ველისა და ტყის“) სახეტილოდ ერთი თავი შემარჩინე“;

დჷღდ ხჷქჷ, ერე: - ეშუთ თხტიმ ისგ' ესეროჲ ლახცჷირ ჲელიშ ი ცხეკიშ ლაშყანბუნალდ ი მიჩა ლახტბას ჲ'ესერ ხჷტხე (იქვე, ლახამულა, 327, 32 - 34) - „დეემა უთხრა, რომ: - ერთი თავი შემარჩინეო („შეარჩინე“) ველსა და ტყეში („ველისა და ტყის“) სახეტილოდ და შენს („თავის“) ძმებს დაგიბრუნებო („დააბრუნებო“);

- სი ნალჲჷურ, ეშუთ კინჩხ ეჯღჷმ ჲ'ემაცჷრ მიშგჷა ჲელიშ ი ცხეკიშ ლაშყამბუნალდ ... (იქვე, ლახამულა, 331, 26 - 27) - „(შე) ბიჲო, ერთი კისერი (გურ., აჲარ. კინჩხ-ი) მაინც შემარჩინე ჩემს ველსა და ტყეში („ველისა და ტყის“) სახეტილოდ“.

შდრ. ბზ.:

ემდეგზე თხუთმეტი წელიწადი, ეჩქა ხაჭაბავაძის დანაშაულის გამოკვლევისას მუშაობისას მუშაობისას მუშაობისას („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 94, 32-34) „თერთმეტი თავი რომ მოაქრა (< „მო-ა-ქუც-მა-ც-ა“), მაშინ უთხრა დევმა: მთლად ღელეში მოხეტიალედ ნუ მომსაობო“.

მეტად საინტერესოა და ორიგინალური ბალსემოური ფორმულა დანაშაულის ლიცენზია ტუბისგა მუშაობისას („დევის სულის შერჩენა ღელეში მოხეტიალედ, ე.ი. სახეტიალოდ“), რომელსაც შეესაბამება ბალსემოური გამონათქვამი: დანაშაულის ლიცენზია ტუბის ი ცხეკიშ ლაშქარბუნალ - „დევის სულის შერჩენა ველსა და ტყეში (ველისა და ტყის“) სახეტიალოდ“.

ტუბის ი ცხეკიშ ლაშქარბუნალ ეშუა ტუბის ეჭაბ სვა ლამაცურ („სვან. პროზ. ტ.“ II, ცხუმარი, 105, 24-25) - „ველსა და ტყეში სახეტიალოდ“ ერთი სული მაინც შემარჩინე“

„ერთი სულის“ პარალელურად სვანურში იხმარება „ცოტა სული“:

მერტუას ესერ მოლე ტუბის ხაგნენას („სვან. ენ. ქრესტ.“, ხაში, 222, 43; 223, 1) - „ვილაცას ცოტა სული ედგათ („სდგამათ“)“

ლნტ.:

ზგხო კეჭოლ ტუბის ახაგენა („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოფური, 268, 10 12) - „სახლში („შინისკენ“ < „ადგ-ილ-ს-კენ“) ცოტა სული მოჰყოლია“;

შდრ. ეჭკალი ლოქ ასახტია თხერე, ერე თაჰნარ ქუნარ ლოქ ათაჩედა მაყალშუ(იქვე, კახურა, 204, 12 - 13) - „ისეთიო („ე-გ ყალიბის“) მგელი დამხვედრია („დახვედრია“), რომ შიშით მთავარი სული („სულეზი“) წამსვლიაო („წასვლია“).

ამრიგად, გამოიყოფა: ეშუა ტუბის („ერთი სული“), კოჭოლ ტუბის („ცოტა სული“), რომელიც ზებირ მეტყველებაში დღესაც დასტურდება, და „თაჰნარ ტუბის“ („მთავარი სული“) ეს უკანასკნელი აჭარულ სიმღერაშიც გვხვდება:

„გოგოვ, ერთი მაკოცინე,

მთავარი სული ამომდის“⁷³

ისიცაა საგულისხმო, რომ ქუინ მრავლობითის ფორმითაა (ქუნარ - „სულები“) დადასტურებული ლენტეხურ ზღაპარში.

„სული ღვთისმეტყველებისა და იდეალისტური ფილოსოფიის სილოგიზმია, აღნიშნავს ანიმისტურ და სარწმუნოებრივ შეხედულებათა თანახმად, იმ ნივთიერებას, რომელიც ცალკეა, უმატებია და სხეულისგან გამოიყოფა.“⁷⁴

მართლმადიდებლური სწავლებით, ადამიანის სხეული სამი ნაწილისაგან შედგება: სული, ხორცი და სამშენველი. „სამშენველი სისხლისაობითი და სიცოცხლით განმატფელობითი, მოძრაობითი ნივთიერისა ძალისა მოქმედება და გრძნობის ქონება, ხოლო სული სიტყვიერი, არსება გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი და უკვდავი“⁷⁵. სულხან-საბას „სიტყვის კონის“ სხვა გამოცემაში „სამშენველი უტყვ სული“ არის⁷⁶.

ფრაზეოლოგიური შესიტყვება ცოტა სული „სამშენველს“ უნდა ნიშნავდეს. ფრაზა - კოჭოლ ქუინ ხაგნენახ („ცოტა სული სდგმიათ“), მოგვაგონებს ქართულ გამონათქვამს „სული ძლივს ედგათ“, ხოლო „მთავარი სული“ „ცოტა სულის“ საპირისპირო უნდა იყოს (თუ გავითვალისწინებთ, რომ კოჭოლ „პატარასაც“ ნიშნავს) და უნდა გამოხატავდეს იმ უმატებრიო, უკვდავ ნაწილს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

ბალსზემოურ ზღაპრებში მსგავს შესიტყვებათა ნაცვლად გვხვდება მეშხე ქუინ („შავი სული“):

ეჭემუ ხოჩიდ, ერე ღო მეშხე ქუინ გარ ლახსეხ! („სვან. პროზ. ტ.“, I, ლენჯერი, 421, 4 - 5) - „ისე ურტყი, რომ შავი სულილა შერჩეთ“;

... მეშხე ქუინ გარ ლახტუირ ღუაჭრალს (იქვე, 421, 11 - 12) - „შავი სულილა შერჩათ ვაჭრებს“.

⁷³ აჭარის ზეპირსიტყვიერება (ჩაწერა, დამუშავა, შესავალი წერილი, შენიშვნები და ცალკეულ სიტყვათა განმარტება დაურთო ნ. ნოლაიდეშვილმა), ბათუმი, 1959, გვ. 21,9-10;

⁷⁴ თ.სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979, გვ. 594;

⁷⁵ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1993, გვ. 390-391;

⁷⁶ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს - ლექსიკონი, ს.იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949, გვ. 564;

მეშხე ქუთინ („შავი სული“) ცოდვის ჩანდენ ადამიანზე მიუთითებს (შდრ. ქართული სინტაგმა „ცოდვილი სული“).

ფრაზები: „ცოტა სული მოჰყვა“, „შავი სული შერჩა“ დასჯილის მდგომარეობას გამოხატავს. ბალსქვემოურ დიალექტში მათ პარალელურად სხვადასხვაგვარი შესიტყვებანი გამოიყენება:

ალ ობურ ზურალ ი ამიშ ჭიმლშმ ხეხუ უმხტარ ათაბზ ი ეშხუ რაშს ლახაზბ ისგა ი ეჩა ლატირინალს ომკეჩელიხ ეჯარე ჭიჭუ ი ძერ (იქვე, II, 194, 33 - 35) - „ეს კუდიანი (შდრ. რაჭ. ობურ-ი „ემშაკი“) ქალი და ამის ძმის ცოლი ერთმანეთს გადააბეს და ერთ რაშს მიაბეს შუაში და იმის თრევით („ნათრევს“) გაცვეთილა მათი ძვალი და რბილი“ (< „მძორ-ი“);

ისგ'ათაბზ ჰაკედს თჳითილობჳი ლაჲდილა ი აშუ ნაგზაუნდჳე გარ ანტიხზ მინე ჭიჭჳარ დეცხენჳუ (იქვე, 343, 19 - 20) - „მიაბეს კუდზე („კუდს“) სათითაოდ დები და ერთი კვირის შემდეგლა დააბრუნეს მათი ძვლები ციდან“.

დასჯის ამსახველი გამონათქვამები ხშირად მტყუან-მართლის გასარჩევად წამოყენებულ გარკვეულ მოთხოვნებს შეიცავს. რაც უნდა ძნელი იყოს მათი შესრულება, მართალი ყოველთვის უვნებელი რჩება, მტყუანი კი ისჯება, ზოგჯერ ძალიან სასტიკადაც:

ისგჳახენჳა ემმა მაკუთნოლნენს ხოჩემ ნაჩუმერ (ჩეაშ კა აღქენტორინე, ეჩეჳი ესგენე), ემმა მაკუთნოლნენს, ეჩჳას ტუფი ნომოლ ჭარ ლეშიხ, მადეი მგზარ ქაში ნომოლ წჳანდეს ისგუ! (იქვე, ტვიბერი, 106, 24 - 28) - „შენგან თუ მეკუთვნოდეს კარგი ნაკეთები (სპილენძის ჳვა გაახურა, იმაზე დააყენა), თუ მეკუთვნოდეს, მაშინ კანიც არ დაგწვოდეს („კანიც ნუმც გაჳკეს დამწვარი“), თუ არადა ხვალ ფერფლიც არ ჩანდეს შენი!“;

მინ სემ ლაჲდილაძსგა ესერ ტკიც ესერ ერჳა ლესეხ, ეჯი ნომაჲ ესერ ოლშიხელი, ერჳა ესერ ბაჳ ლესეხ, ეჯი ქაშილდარ გარუ ომსედელი... მაჳრენე ჳიდილგნჳა მაგ ქაშ გარ ასადხ; მაჳრენამ ხაღურდ მადმაგჳემ ხეჳარ (იქვე, დოლი, 50, 6 - 10) - „თჳევენ'გან“ („მათ“) სამი დისგან („დაში“) ვინც მართალიო იყოს („იყოთ“), ისო არ დამწვარიყოს, ვინც მტყუანი იყოს („იყოთ“), ის ფერფლილა დარჩენილიყოს... უმცროსი დის გარდა, ყველანი ფერფლად იჳცნენ („ფერფლილა დარჩნენ“). უმცროსის სულ არაფერი დაემართა“;

აშუ ლაღელ აბიხანჯარდ ჰასტამ ჩჳადღენდრინე გჳამიდ ი ღადა ეჩეჳი ესსგურე: „მინეშუ ესერ ე ხაგდენენს ეჳე, ნომაგეშ ესეროლჲ

ხაყრა, მოდ' ესერ ი ჩოლუ ოლშიხელი". დადა პასტამეი ქამილდარ გარ ასანდ (იქვე, ლახამულა, 336, 6 - 9) - „ერთ ღლეს აბიხანჯარმა ასტამი გაახურა ძალიან და ბებია იმაზე დასვა: „თქვენი („მათი“) თუ რამე გვემართა („ემართა“), არაფერი დაგემართოს („არაფერიმცო დამართნია“), თუ არადა დამწვარიყავი („დამწვარა“) ბებია ასტამზე ფერფლილა დარჩა“;

ალ... დინაგეზალს ხაქტე ხელწიფხედ: ემმა ხაკუთნოლნენს, ეჩქას მგზარ ტუფი ნომოლუ ქარხ ლგკრცხალე, მამა ხაკუთნოლნენს,... ლეტუმი იპნი, ამეი ლგჰნოლუ ემხუად მგზარ პამს. მერმა ლადელ ჩუ ლგჰნე ლწსტ ლეტუმიშალ, მამაგტეშ ენთენან (იქვე, ტვიბერი, 112 - 37, 113 - 3) - „ამ ქალიშვილს უთხრა ხელმწიფემ: - „თუ გეკუთვნოდეს, მაშინ ხვალ კანიც არ შეგეტრუსოს („ნუმც გაქვს გასხეპილი“), არ გეკუთვნოდეს, ... ქონი დნება, ასე დამდნარი დამხვდი ხვალ დილას. მეორე ღლეს ქონივით დამდნარი დახვდა, არაფერი გადარჩა“;

მეშხე მარე ჟანბერკლებ ი ჩტესდებ კაჟი: - ემმ' ესერ ხაკუთნოლნენს ალი, ხოჩამდ ესერუ არი, მადე-ი ნაცმუნშალ ესერუ ოლჰინელი. ეჟი შიშდ ნაცმუნშალ ადჰინან (იქვე, ბაგვდანარი, 41, 32 - 34) - „შავი კაცი შებორკეს და ქვაზე დადეს: თუო ეს გეკუთვნოდეს („ეკუთვნოდეს“), კარგად იყავი („კარგადმცო არის“), თუ არადა ქონივით დამდნარიყავიო („დამდნარა“). ის უცბად დადნა ქონივით“.

დასჯილი მოლალატის ასე ნაცმუნშალ ადჰინან („ქონივით დადნა“) დახასიათება მხოლოდ ბალსქვემოურ ზღაპარში გვხვდება, ქამილდარ ასად („ფერფლილა დარჩა“) კი საერთოა ზემოსვანურისთვის.

ამრიგად, დასჯის ფორმულებში წამოყენებული პირობები სხვა არაფერია, თუ არა წყევლა.

სვანურ ზღაპარშიც, ქართულის მსგავსად, გვხვდება წყევლა-ლოცვის ამსახველი ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ყოველგვარ პირობას გამორიცხავს.

განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული შესიტყვება ფისეუ ხაბა! - („წყეულმც იყოს!“, „ფისიმც 'კუპრი' დასხმია!“):

ფისე ეჩე ლითაჟალსოლუ ხაბა ი ლელატლ ლიგნე მჰჰერ („სვან. პროზ. ტ.", II, ბქ., ჟუხელანი, 260, 2 - 3) - „წყეულმც იყოს მისი გაჩენა! („ფისი მის დაბადებასამც დასხმია!“) და საყვარლობა („საყვარლად დადგომა“) მთხოვა;

მდრ. ბზ.: თფუ, ფისეუ ესერ ხაბა, მალე მწლენუჲმ ესერ ქაჭიმ
ლი („სვან. პროზ. ტ.“, I, მულახი, 236, 30) - „თფუ, წყეულიმც იყოს!
(„ფისიმც დასხმია!“) აბა ვილაც ქაჭისა არის“;

ფისეუ ესერ ხაბა ხელწერილი ლითუჲლს (იქვე, იფარი, 106, 13
14) - „ფისიმც დასხმია ხელწერილის (ზღაპრის პერსონაჟია)
დაბადებას“.

ამგვარი წყევლა, ალბათ, ყველაზე უფრო სასტიკია, რადგან ადამიანის
ფიზიკურ განადგურებას კი არ გულისხმობს, არამედ სულიერ წაწყმედას,
საუკუნო სატანჯველს, რამდენადაც კუპრის დასხმა ჯოჯოხეთში მოხვედრას
(კუპრში ჩავარდნას) ნიშნავს. ბალსზემოურში დასტურდება „ფის“
ფუძიდან ნაწარმოები ამა თუ იმ პერსონაჟის დასახასიათებლად ან შტო-
გვარის აღსანიშნავად გამოყენებული სიტყვები: ფის-რ-ჲმ
(„ფისდასასხმელი“), ფის-რ-ჲმჲ („ფისდასასხმელაანი“), ფის-რ-ჲმ-შერ-
თე („ფისდასასხმელისანთა“).

საინტერესოა დიალოგში დადასტურებული ფრაზა, რომელიც
ამხსნელ-დამაზუსტებელ ინფორმაციას შეიცავს ამ ლექსემის
შესახებ:

-ეშა ესერ ლი ჯა? ... -ეშა ესერ ი ფისრ-ჲმჲ (ცოდულშა) (იქვე,
მულახი, 248, 5 - 6) - „ვისი ხარო შენ? („ვისიო არის თვითონ“) -
„ვისიო და წყეულის („ფის-იან-ის“), ცოდვილის.“ ამ ფრაზით
ზუსტდება „ფის-რ-ჲმ-შა“ს მნიშვნელობა და ამავე დროს ვლინდება
მთქმელის რწმენა იმის შესახებ, რომ ცოდვილს, როგორც გენიოსი
ვაჟა-ფშაველა იტყოდა, „კუპრში მიელის ქშენანი“. ანუ
წარსაწყმედად, ჯოჯოხეთისთვის არის განწირული.

ყურადღებას იპყრობს გმირის მომავლის ამსახველი
გამონათქვამები:

ბქ.: ხოჩ' ესერულ ლჲსჲ, ხოჩა მკკლმჲხი ი ისგთეჟა ქაჲეს, ერჟას
როჟ ლიცულ ოთხია (სვან. პროზ. ტექსტ., II, ლადრერი, 153, 14 -
15) - „კარგადო („კარგმცაო იყო“) იყოს, კარგი მეთევზე („მო-
კალმახ-ე“) და შუა ასაკს რომ მიაღწევს („შუამდე მივიდეს“), მაშინო
წყალმა წაიღოს.

ამგვარი ზღერის დადება („შუა ასაკამდე“) სხვა კილოთა
ზღაპრებშიც დასტურდება:

ბზ.: ჩიმი მგწირუ ლჲსჲ, მარე ისგთეჟა ქანჲეს, ერჟა კოჲჲ
ბედიშუ ესერ ლჲსჲ (იქვე, I, იფარი, 92, 3 - 4) - „ყველას მოძრევი

იყოს („მჭობიმც იყო“), მაგრამ შუა ასაკამდე („შუამდე“) (რომ) მივა („მივიდეს“), მაშინ კლდის ბედისა („ბედისამც“) იყოს“;

ჩიმი მენწირუ ლი [თოდ ისტეთეა დო ანჯეს ი] ეჩქა კოჯა ბედიშუ ლი!(იქვე, იფარი, 88, 23-24) - „ყველას მომრევი იყოს („მჭობიმც არის“) [ვიდრე შუა 'ასაკა'მდე მიაღწევს და] მაშინ კლდის ბედისა იყოს („ბედისამც არის“)“!

ისტეთეა ქანჯეს, ეჩქა ესერ ლიცი ბედიშუ ლასტუ(იქვე, 92-6)- „შუა ხნის(რომ) გახდება („შუამდე მიაღწევს“), მაშინ წყლის ბედისა იყოს („ბედისამც იყო“).

უკანასკნელი ფრაზები სპეციფიკური ჩანს სვანურისთვის. ადამიანის ბედი განსაზღვრულია, იგი დასაღუბავად არის განწირული და ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით: „წყლის ბედისა იყოს“ („ბედისამც არის“)!, „კლდის ბედისა იყოს („ბედისამც არის“)“! მის ტრაგიკულ აღსასრულზეც გვექმნება წარმოდგენა.

ასეთი ფორმულები დღესაც გავრცელებულია სვანეთში: „თხერემი ბედიშ!“ - „სამგლევ!“ („მგლის ბედისაჲ“), დაშდუარე ბედიშ - „დათვების შესაქმელო!“ („დათვის ბედისაჲ“) - მიმართავენ შინაურ ცხოველს გაბრაზებისას.

ლოცვაც სპეციფიკურია - ჩიმი მენწირუ ლასტუ! - „ყველას მომრევი იყოს!“ („მჭობიმც იყო“), როგორც ჩანს, სვანი მეზღაპრის აზრით გამირისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ფიზიკური სიძლიერეა;

...მიჩა მენწირ ნემეგ ესეროლტ ოლთენელი, მარტ ზულტა უშხტარ ნენსგა რაშ ესერ ვრი, ლასგტრად ეჯჯეა ნომაგეშ ესეროლტ ზოგიჟ(იქვე, II, ლახამულა, 332, 17 - 18) - „მისი მომრევი არ დაბადებულ იყოს („არ გაჩენილა“), ორ ზღვას („ერთმანეთს“) შუა რაშიო არის, დასაჯდომად იმის გარდა ვერაფერმანო დაიჭიროს“.

სვანურ მეტყველებაში ყველაზე უფრო გავრცელებულია - მიჩა მაზიგუ. ლახტედა! - „მისი ქირი შემეყაროს!“ („ტკივილიმც მომსვლია < ძვ. ქ. „მო-მ-ვლ-ომ-ია“).

იმლა როქ ვრი ხოლა გუეი, მიჩა მაზიგულ ლახტედა? (იქვე, ლადრერი, 153, 23) - „რატომ არის ცუდ გუნებაზე, მისი ტკივილი მომსვლოდეს“?

ბზ.: მიჩა მაზიგ[უ] ლახტედა, ნიშანმაქდ ჟარჩხილს ლაჰრდი მასწრდ (იქვე, I, მესტია, 385, 20) „შენი („მისი“) ტკივილი

მომსვლოდეს („ტკივილი მოსვლია“) სანიშნედ ვერცხლს მოგცემ ბევრს“.

დასტურდება აგრეთვე „ისგუი მაზიგ მი“ („შენი ჭირი მე“, „შენი ტკივილი მე“). ეს გამონათქვამი იმით არის საინტერესო, რომ თანამოსაუბრის დალოცვის მიზნით გამოიყენება, მაგრამ იმავდროულად მთქმელი, ალბათ გაუცნობერებლად, თავს იწყევლის. თუმცა წყევლა უკანა პლანზე გადადის და წინ წამოწეულია ლოცვა, მით უმეტეს, რომ ეს ფორმულა იხმარება კარგი ურთიერთობის (მოფერების, სიყვარულის ...) გამოვლენისას.

ზღაპრის ენა წარმოუდგენელია მხატვრული შედარების გარეშე. იგი ერთ-ერთი ის ხერხია, რომლის მეშვეობითაც მთქმელის ფანტაზია მაქსიმალურად შეიძლება გამოვლინდეს.

„ქართულ ზღაპარში გავრცელებულ შედარებებში მოცემულია შედარებისთვის სავალდებულო ორივე საგანი - შედარებულისა და შესადარებელიც ...

ზოგჯერ დასახელებულია შესადარებელი რამ, მაგრამ ფრაზაში აღარ ჩანს ის საგანი, რომელსაც უნდა შეუდარდეს იგი ...“⁷⁷

ამ მხრივ არც სევანურია გამონაკლისი და შედარების ორივე შემთხვევას წარმოგვიდგენს:

... მგწლა ეჯგუზარ ლასტ სტრილ, ერე შუიმ დემთე ხად(იქვე, II, ჟუხვლანი, 259,5)-„კალია ისეთი („ე-გ გვარ-ი“) დიდი („სრული“) იყო, რომ გასაკვირი.

შდრ. ბზ.; ეჩინ ხოჩა ლგმარე ლი, ერე ნახუმსარ მამა ხაკუ - „ისეთი კარგი მომზადებულია, რომ მსგავსი არ უნდა (იქვე, I, ლენჯერი, 439, 8 - 9).

ბქ.: ეჯგუზარ ლარდა ხარხ ი ეჯვლიბ ჰერ ისმი ამხენეი ათხ', ერე ნახუნსერ ხოჩა წეს დე ლი (იქვე, II, ლადრერი, 146, 28 - 29) - „ისეთი სამყოფი აქვთ და ისეთი ხმა ისმის აქედან ახლა, რომ მსგავსი არ შეიძლება („წესი არ არის“).

ბალსზემოურ დიალექტში გავრცელებულია გამონათქვამი „ლესგდი მადილ ლი“ - ყურებაც მადლია“.

ეჯეი ქა შუშპრეხ ერქედ' ერე ლისგდი მადილ ლიზ(იქვე, I, ლენჯერი, 430, 6) - „ისე ცეკვავს („ცეკვავენ“) ორივე, რომ ყურებაც მადლია;

⁷⁷ თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბილისი, 2002, გვ. 129-130;

ქანკალ რაშ, ეჭვი მოწყობილ, ეჭუ' ერე ლესგდი მადილ ლი(იქვე, მულახი, 325, 17) - „ამოვიდა რაში, ისე მოწყობილი, ისე, რომ ყურებაც მადლია;“

ადგეს ლარდწო, მარ' ეჭვლიბ ქანხფასეხ, ერე ლისგდი მადილ ლი (იქვე, მულახი, 260, 23 - 24) - „დადგეს სახლები („სამყოფები“), მაგრამ ისეთი („ე-გ ყალიბ-ის“) გამოვიდა, რომ ყურებაც მადლია.

ამავე მიზანს - მშვენიერების ასახვას ემსახურება შემდეგი გამონათქვამები:

ამენ ხოჩა ჰადურდ ღწრ ხოწუა(იქვე, იფარი, 118, 19) - „ამაზე უკეთესი სულ არავინ უნახავს.

შდრ. ბქ.:

ეჭტუარ წხფას ამის, ეჭტუარ წხფას, ერე ქუეყანაჟი ამტუარ მარე მალ' პრი („სვან. პროზ. ტ.“, II, ცალანარი, 174, 28 - 29) - „ისეთი („ე-გ გვარი“) დადგა ეს, ისეთი დადგა, რომ ქვეყანაზე ამგვარი კაცი არ არის;“

ეჭვლიბ ფეტუ ოხჯად, ერე ეჩანდ ხოჩა დას ხად(იქვე, ტვიბერი, 89, 30 - 31)-„იმგვარი(„ე-გ ყალიბის“)ფეტვი მოვიდა, რომ იმაზე უკეთესი არავის აქვს“.

მზეთუნახავის დახასიათებისას მისი შედარება მზესა და მთვარესთან ჩვეულებრივია:

ეჭტუარ ლგგან მიჩა სგებინჩუ სიმაქ, ერე მგუ ი დოშდულს ხეტაკალ (იქვე, კურხვაიში, 278, 9 - 10)- „ისეთი ქალიშვილი იდგა მის წინ, რომ მზესა და მთვარეს ეჯიბრებოდა.“

შდრ. ბზ.:

ეჭვლი დინა ჩუ ესფადგან, ერე ჰუნდტუარს მიეს ხანწდუნე („სვან.პროზ.ტ.“, I, მულახი, 304, 13 - 14) - „ისეთი გოგო გაჩნდა, რომ კელლებს მზე დაანახვან“.

ზოგჯერ მთქმელი მეტ ფანტაზიას იჩენს და ქალიშვილის (ან ბავშვის) სრულყოფილების წარმოსაჩენად რამდენიმე სახის მეტაფორულ შედარებას მიმართავს:

ბქ.: ამტუარ სიმაქ, ქამიზწალშალ ლუმლუადე, მუჟდურშალ გტეში, მგეშალ მგნარჰე, მერმა მამა ხეჩდ (იქვე, II, ჯუხვლანი, 266, 30 - 31) - „ამგვარი გოგო, გაზაფხულივით აყვავებული, შემოდგომასავით სავსე, მზესავით მანათობელი, მეორე არ ჩანდა.“

სვანურ ფანტასტიკურ თხზულებაში გვხვდება ქართულის მსგავსი ისეთი გამონათქვამები, რომლებიც სრულყოფილებასთან ერთად პერსონაჟის განწყობასაც აღწერს (თუმცა არა ყოველთვის):

ბზ.: ალ ზურაღს გეზალ აზთენან ეჯკალობ, ერე ზოჩა მამ ხაკუ. ასტლუნებ ტებდი ლგცშუ ი ჟოქურს შიდე, მგცხიშუ ი ჟერცხლს, იგუნი ი მარგალიტარს შიდე, იქიზანანლ ი ჟოქურე მუმღუშაას შიდე („სვან. პროზ. ტ.“, I, მულახი, 287, 8 - 10) - „ამ ქალს ეყოლა შვილი, იმგვარი, რომ უკეთესი არ უნდა. აბანავებენ თბილი წყლით და ოქროს ყრის, ცივით და - ვერცხლს, ტირის და მარგალიტებს ყრის, იცინის და ოქროს ყვავილებს ყრის“;

ადსტულუნე დინა ი ჟოქურ ი ჟერცხლ ანშიდ, ანგგან ი მარგალიტ, ადქიზან ი ჟოქურე მუმღუშაა (იქვე, მულახი, 288, 9 - 11); - „აბანავა გოგო და ოქრო და ვერცხლი დაყარა, ადგა და - მარგალიტი, გაიცინა და ოქროს ყვავილები“.

ზოგჯერ ქალიშვილის განწყობის აღწერისას დადებით ემოციასაც კი უარყოფითი მოვლენები გვამცნობს:

ალ სიმაქ ლახ იქიზანანლ, ეჩი პთუ ლი, ერე მეგამხანჩუ ნაპრლ ჩუ შეედნი, ლახ იგუნი, ეჩქა ეჩი ქა უჩხე, ერე მანგ ესლუა ნალტრეშს („სვან. ენ. ქრესტ.“, მესტია, 158, 27 - 28) - „ეს ქალიშვილი თუ იცინის, ისე ცხელა, რომ ხიდან ჩიტი ვარდება, თუ ტირის, მაშინ ისე წვიმს, რომ ყველაფერი ნიაღვარს მიაქვს“.

ზღაპრებში სტაბილურად მეორდება ბალის დასახასიათებლად გამოყენებული გამონათქვამები. სასწაულებრივად გაშენებული ბალი იმით ფასობს, რომ ხეხილითაა სავსე, რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს, გამუდმებით საამური გალობა ისმის. მსგავსი აღწერილობა გვხვდება სვანურ ზღაპარშიც:

ეჯტუბროლტუ ბაღარ ანსყე, ერე ნგნქა ლექუისგ მანგ ხილმანხილ ი მეგემ ხაგენეს ი მემპერ მგწირუელი მანგ ეჩეჩუ აწირუელიდეს („სვან. პროზ. ტ.“, II, ეცერი, 146, 26 - 27) - „ისეთი ბალები გააშენე („გააკეთე“), რომ ენით სათქმელი ყველა ხილეული და ხე იდგეს და მაღალობელი ფრინველი ყველა იქ გალობდეს“.

შლრ. ლნტ.:

ემკალი ბალ ლი გაშენებილ, ერე თეს დეშ ხანგჟე ი ერ ალ ხილალ მგი ლიხ, ერე კუთხეხ („სვან. პროზ. ტ.“, III, რცხმელური, 315, 18 - 19) - „ისეთი ბალია გაშენებული, რომ თვალს ვერ

გაუსწორებ და რომ ეს ხილი („ხილ-ებ-ი“) მწიფეა („არიან“) (ისე), რომ ძირს იყრება.

ჯაღოსნურ თხზულებაში მთქმელი ხშირად მიმართავს ჰიპერბოლას. „გაზვიადება მხატვრული ხერხია, რომლის გამოყენების გარეშე შთამბეჭდავად ვერ დაიხატებოდა ის ფანტასტიკური სამყარო, რომელშიც გმირი ზღდება“⁷⁸.

სწორედ ამ სამყაროს ნაწილია უზარმაზარი ხარი.

ბქ.: იმეგ პრი ეშხუ კან. ზულტუ' ეჩხენ ლარდად ხაკუ, ზულტუ' ამხენ-ლაყურად („სვან. ენ. ქრესტ.“, ეცერი, 212, 12) - საღლაც („სად“) არის ერთი ხარი. ზღვის იქითა (მხარე) სამყოფად უნდა, ზღვის აქეთა - საწოლად;

ეშხუ ბულტა ესერ ლგმარდლი. სგუბნე კეშხარ ძულტაშ ამხუ ძგიდუი ხანგენა ი ლტემგმე კეშხარ მერმა ძგიდუი, ეჯხუ ლგმარ („სვან. პროზ. ტ.“, II, ბეჩო, 26, 29 - 30) - „ერთი ბულაო ყოფილა. წინა ფეხები ზღვის ერთ ნაპირზე („ძგიდე-ზე“) სდგმია და უკანა ფეხები მეორე ნაპირზე („ძგიდე-ზე“) იმხელა („ე-გ ზომის“) ყოფილა.

ამგვარადვეა აღწერილი კლდის სიდიდეც:

მღრ. ლშხ.:

ალ კოჟს ეშხუ ჰიშხ ეშხუ ძულტათე ხანგენა, მერმე - მერმა ძულტათე („სვან. პროზ. ტ.“, IV, 131, 13 - 14) - „ამ კლდეს ერთი ფეხი ერთ ზღვაში სდგმია, მეორე - მეორეში“.

ცხოველის უჩვეულო მდგომარეობას აღწერს ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა:

„ეშუი მიჰ გიმდ ხოშტკენან ი მერმე დეცდ“ („სვან. პროზ. ტ.“, II, ლახამულა, 329, 10 - 11) - ერთი რქა მიწისთვის („მიწად“) მიუბჯენია და მეორე ცისთვის („ცად“);

ლანტუ ესერი იცუდილწლ მინდერლისგა, მგჰარ ესერ დეცდ ი გიმდ ხოშდკენა ი ქა ლაქახ დემთ' ესერ ხარ (იქვე, 330, 1- 3) - „ირემიო ცოდვილობს მინდორში, რქებიო ცისა და მიწისთვის („ცად და მიწად“) მიუბჯენია და გასაწევი არსაით აქვს“.

საქართველოში არსებული ტრადიცია გლოვის ნიშნად თმა-წვერის გაზრდისა განსაკუთრებით დაცულია სვანეთში. ხშირად გარდაცვლილის ახლობელს დღესაც სირცხვილად უთვლიან წვერის გაპარსვას. ხანგრძლივი გლოვის ერთ-ერთი გარეგნული ნიშანი

⁷⁸ თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბილისი, 2002, გვ. 131;

სწორედ გრძელი თმა-წვერია, რომელსაც გაზვიადებულად აღწერს სევანური ზღაპარი:

იქა ხელწიფხს ეჯგუწრ ოხგენა ჩარჩ, ერე ლაყურად ზემარგ ლერშიშ მგქაფდ (იქვე, ჩუბეხევი, 262, 36 - 37)- „ივა ხელმწიფხს ისეთი („ე-გ-გვარ-ი“) წვერი ჰქონდა („დაუდგამს“), რომ ლოგინად („საწოლად“) 'გამო'ადგებოდა ლეიბის ნაცვლად“;

დადა ი ბაბ' ეჯი ჩარჩს ჰგუშ ჟი ზაგამხ(იქვე, ეცერი, 188, 24)- „ბებია და ბაბუა იმ წვერს ფეხს ადგამენ“.

როგორც ცნობილია, „ენა ცდილობს, სადაც შესაძლებელია, აერიდოს გამეორებას ისე, რომ გაგებინება (კომუნიკაცია) არ დაზარალდეს“⁷⁹. ეს ძირითადად, დამახასიათებელია სალიტერატურო ენისთვის, მაგრამ ამ მხრივ არც ცოცხალი მეტყველებაა გამონაკლისი, როცა საქმე გვაქვს კარგ მოსაუბრესთან, მთქმელთან.

სწორედ გამეორების თავიდან აცილების ნიშნულია ერთხელ უკვე აღწერილი მოვლენის (საგნის, ადგილის ...) ხელახლა გადმოსაცემად სხვადასხვა ნაცვალსახელური თუ ზმნისართული წყვილების გამოყენება:

ამჟი ი ამჟი - („ასე და ასე“), ამ ი ამ - („ამ'ა' და ამ“), ალ ი ალ - („ესა და ეს“), აშ ი აშ - („ასე და ასე“), შეერთება კავშირიანია ან უკავშირო:

ამჟი ი ამჟი ესერ ლიხ გოშარ(„სვან. პროზ. ტ.“, II, ფარი, 216, 11) - „ასე და ასეო არის („არიან“) საქმეები“;

ეჩქას ამჟი, ამჟი ჩუემნ მი(იქვე, ეცერი, 175, 6-7)-„მაშინ ასე, ასე ვქენი მე“;

ალმარ ესერ ამ ი ამ მეფემ გეზლირ ლიხ(იქვე, ჩუბეხევი, 264, 30 - 31)- „ესენი ამა და ამ მეფის შვილები არიან“.

მთქმელი მოსათხორობი ამბის ხელახლა აღწერას ერიდება, ზმნისართებს კი იმეორებს, ზოგჯერ სხვადასხვა წყვილსაც იყენებს:

აშ-აშ, ამჟი ესერ ლემარ ი ამჟი(იქვე, ლახამულა, 327, 19 - 20) - „ასე-ასე, ასეო ყოფილა და ასე“.

შდრ. ბზ.:

⁷⁹ ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის სიკითხები, თბილისი, 1990, გვ. 7;

ამკალი-მ⁸⁰ ამკალი მარე შმვედელი („სვან. პროზ. ტ.“, I, მესტია, 383, 31 - 32) - „ასეთი და ასეთი კაცი მოსულა“

ლშხ.:

ალ ი ალ გჳეშ ლოქ ემგონუხ - „ეს და ეს საქმეო მომიგონეს“ („სვან. ენ. ქრესტ.“, სასაში, 280, 16).

ზოგჯერ ამგვარი წყვილი გათიშულია:

ლნტ.:

ეშხუ ნებოლ ლოქ ერ არდეს, ეჯჳი ლოქი ხეჩომდახ მინს ი ამჳი („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოფური, 278, 4 - 5) - „ერთი ჩიტიო რომ იყოს, ისეო გიზამდათ თქვენ და ასე.“

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ზეპირ-მეტყველებაში გავრცელებული შესიტყვებები, რომლებიც შედგენილია ნაცვალსახელისა (ეს, ის) და „არის“ („იყო“) ზმნებისაგან თავდაპირველად რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ კომპონენტებად გვევლინებოდნენ, შემდეგ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად იქცნენ და ზმნისართს გაუტოლდნენ“.⁸¹

„ეს-ეს არის“, „ის-ის იყო“ შეხამებათა პარალელურად, დროის გარემოების გამოსახატავად გამოიყენება „სადაც არის“. ბალსქვემოურ ზღაპარში ამ ფუნქციით იხმარება ლადი-ბაზი - „ეს-ესაა, სადაცაა“ („დღეს-ამაღამ“). ეს წყვილი მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული და მოგვაგონებს ქართულის მსგავს გამონათქვამს „დღეს-ხვალ“ („დღეს თუ ხვალ“).

დემ მამედა, ბაბალო, მი ლადი-ბაზი ხჳიდგჳრი („სვან. პროზ. ტ.“, II, ცხუმარი, 107, 3- 4) - „არ შემიძლია, პაპისავ, მე საცაა („დღეს-ამაღამ“) მოვკვდები“;

ა ლადი-ბაზი ხეჳელი ყჳერილდ (იქვე, 99, 22) - ა, საცაა დაეწევა ლაფშა („ყვერ-უ-ლი“);

ა ლადი-ბაზი ხაფხჳი (იქვე, 99, 24) - ა, საცაა სტაცებს.

⁸⁰ სვანური ფონოლოგიური წესების (იჳი>იჳმ>ნ) გათვალისწინებით აქ სხვაგვარი (ამკალი) ჩანაწერი უფრო სწორია, მაგრამ იმის გამო, რომ სვანური აუსლაუტისთვის გრძელი ხმოვანი არაა დამახასიათებელი არც მორფემათა ზღვარზე და არც ერთი მორფემის ფარგლებში, ამიტომაც 1926 წელს მესტიაში მახუნჯაჳ ჯაფარიძის (60 წლის) თქმით ჩაწერილი ზღაპარი აკად. ვარლამ თოფურიამ ასე დააფიქსირა: ...

⁸¹ ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის სიკითხები, თბილისი, 1990, გვ. 47;

ქართულის „ეს-ეს არის“ შესიტყვების მსგავსია ლენტეხურ ზღაპარში დადასტურებული გამონათქვამი:

... ალე ლი ი ლახობარ მაულ - „ეს არის და წამოფრინდა მელა“ („სვან. პროზ. ტ.", III 316, 34-35), სადაც მეშველი ზმნა აწმყოშია და ანგარიშს არ უწევს მომდევნო (ლახობარ - „წამოფრინდა“) ზმნის დროს.

ყურადღებას იქცევს ემოციის გამომხატველი სტაბილური გამონათქვამები:

ეგჳწარ ხაცჳნი, ეგჳწარ, ერე ლაცჳნალჳი ჩჳბაბჳჳჳ ი ეშჳ ღწრ ასადხ- („სვან. პროზ. ტ.", II, ბეჳო, 19, 10 - 11) - იმგვარად აცინებს, რომ სიცილით („საცინალჳე“) გასკდა და ერთი არ დარჩა („დარჩენ“).

უკანასკნელი ფრაზა („ერთი არ დარჩა“) თითქოს ადასტურებს პირველს („საცინალჳე გასკდა“) და შესაძლებლად წარმოგვიდგენს ამ მოვლენას.

სპეციფიკურია, აგრეთვე, სხვა კილოთა ზღაპრებში დადასტურებული ემოციური ფრაზეოლოგია:

შდრ. ბზ.:

მწლს ხაჩა ეჳჳი, ერე ჳადწრ ღჳსა ხესდენი - „მელას ისე ეცინება, რომ მუცელი („მუცლები“) არ შერჩა“ („სვან. პროზ. ტ.", I, მულახი, 362, 24);

ლშხ.:

მწლგლს ხაჩა, ჳადი კან მწ ლეხსად ღწჳჳწწწლს- („სვან.პროზ.ტ.", IV,85, 9-10) მელაკუდას ეცინება, მუცლის კანი არ შერჩა სიცილით („საცინალს“).

ქართულში გავრცელებული ფრაზეოლოგიური შესიტყვებანიც („კვდება სიცილით“, „გაძღა სიცილით“) არაა უცხო სვანურისთვის:

მწლგლს ხაჩა, იდგარი ღწჳჳწწწლს; ჳი ეწრ ესბიზწწ ღწჳჳწწწლს, ეჩჳ ნეპოლს ხეჳჳ ... (იჳჳე, 85, 16 - 17)- „მელას ეცინება, კვდება სიცილით („საცინალს“); რომ გაძღა სიცილით, მაშინ უთხრა ჩიტს“...

თავისებურად გადმოიცემა საპირისპირო ემოციის ამსახველი გამონათქვამებიც:

ბჳ.:

იგუნი, იგუნი, გუმი ნახიპუს ქამინჩუ ადისგ („სვან. ენ. ქრესტ.", ბეჩო, 227, 2) - „ტირის, ტირის გულის ნახეთქს გარეთ დებს”.

შდრ. ბზ.:

ამჟი ჩუ იგუნი, ერე გუმი ნახიპუს ე` აკუნანე - „ასე ტირის, რომ გულის ნახეთქს ამოადებს” („სვან. პროზ. ტ.", I, მულახი, 327, 4 - 5). მისი შესაბამისია ქართული ტირილით გულს იგდებინებს”.

თავს იჩენს „მთელისა” და „ნაწილის” შეპირისპირება.

შდრ. ბქ.:

ლამბინე ლიუჩხე, დეცე ნაკუიშ გიმდ ანვად- („სვან.პროზ.ტ.", II, ეცერი, 154, 24-25) - „დაიწყო წვიმა, ცის ნატეხი მიწაზე („მიწად”) მოვიდა” (<ძვ.ქ. მო-ვლ-ა);

ეჩგუწარ აღმგზ, ერე დეცე ნაკუიშ გიმთ` ანვად (იქვე, ცხუმარი, 105, 3 - 4) - „ისე გაავდრდა, რომ ცის ნატეხი მიწაზე (მიწისკენ) მოვიდა”.

ქართულში ამას ემსგავსება „ცა ჩამოიქცა” ან „ცა ფეხად ჩამოვიდა”.

სპეციფიკურია, აგრეთვე გამონათქვამები: ძგიდიშ ი პილიშ ნენსგა - „თავიდან ბოლომდე” („ძგიდისა” და „ნაპირის შუა”) და ლგცღეთ ლახასდხ - „ცოფები ჰყარეს” („წყალს შერჩნენ”);

ეჩი მზგ ძგიდიშ ი პილიშ ნენსგა ქა ხაქტუე ალექსანდრედ დაქითს(იქვე, ეცერი, 185, 32)-„ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე („ძგიდისა” და „ნაპირის შუა”) უამბო ალექსანდრემ დავითს”;

დინად ქოხუმბათუე ხელწიფეს ძგიდიშ-პილიშ ნენსგა მიჩა გაჭირება(იქვე, ბეჩო, 68, 13) - „გოგომ უამბო ხელმწიფეს თავიდან ბოლომდე („ძგიდისა” და „ნაპირის შუა”) თავისი გაჭირება;

ეჩუი ადისიტკეხ დიდ ი მუდ, ერე ლგცღეთ ლახასდხ (სვან.ენ.ქრესტ., ბეჩო, 225, 41-42) - „ისე იწყინეს („გა-სა-სტიკ-დ-ნენ”) დედამ და მამამ, რომ ცოფები ჰყარეს („წყალს შერჩნენ”).

§ 3. ფინალური გამონათქვამები

ზღაპრის ბედნიერ დასასრულს ფინალური ფორმულები სხადასხვაგვარად აღწერენ. ზოგჯერ პირდაპირ მიუთითებენ ამის შესახებ, ზოგჯერ კი პერსონაჟთა გამდიდრებას გვაუწყებენ, რაც მომავალი კეთილდღეობის საწინდარია; ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივია ად-ვიდ-ხ და ან-სყ-ე ზმნების შემცველი გამონათქვამები:

ხოჩა ლირდ' ადვიდხ („სვან. პროზ. ტ.", II, იფარი, 172, 12) - „კარგი ცხოვრება გაატარეს (<„გა-და-ვდ-ა-თ“)“;

ხელმწიფხემ ქონება მჰ სამკელჰქს ი მიჩა ლახუბას ესსადხ ი ხოჩა ლირდ' ადვიდხ („სვან. ენ. ქრესტ.", ბეჩო, 225, 16 - 17) - „ხელმწიფის ქონება სულ სამკელჰქს და მის ძმებს დარჩათ და კარგი ცხოვრება გაატარეს“;

ეჯჲრდ ხოჩა ლირდე ედვიდხ (სვან.პროზ.ტ., II, ცხუმარი, 120, 14 - 15) - „მათ კარგი ცხოვრება გაატარეს“.

წყვეტილის მწკრივში წარმოდგენილ ადვიდხ („გაატარეს“) ზმნას ზოგჯერ ენაცვლება იმავე ზმნის თურმეობითის ფორმა - ოთვიდახ („გაუტარებიათ“). ამასთანავე, ბალსქვემოური დიალექტის კილოკავები ერთმანეთს უპირისპირდებიან პრევერბისეული ხმოვნის გამოყენების თვალსაზრისით: ად-ვიდ-ხ, ან-სყ-ე ბეჩოურ-ჩუბენეურ-ლახამულურია, ხოლო ედ-ვიდ-ხ, ენ-სყ-ე - ცხუმარულ-ეცერული. პირველ შემთხვევაში უმლაუტის ნაწილობრივი (ჲ) საფეხურია წარმოდგენილი, ხოლო მეორე შემთხვევაში - სრული (ე).

ბედნიერ ლიზგე ოთვიდახ („სვან. ენ. ქრესტ.", ლახამულა, 221, 29) - ბედნიერი ცხოვრება გაუტარებიათ.

მრავლად დასტურდება ან-სყ-ე-ხ („გააკეთეს“) ზმნიანი კონსტრუქციები:

ეჯჲრდ ხოჩა ლიზგ' ანსყეხ („სვან. პროზ. ტ.", II, ბეჩო, 65, 37) - „მათ კარგი ცხოვრება მოიწყვეს („გააკეთეს“);

ხოჩა ლირდ' ენსყეხ („იქვე, ეცერი, 181, 2 - 3) „კარგი ცხოვრება მოიწყვეს („გააკეთეს“);

ხელწიფხედ მიჩა დინა ქა ლახემ ი მიჩა სახელწიფხი ქა ლახბერტე ი ხოჩა ლირდ' ოხსყე (იქვე, ეცერი, 138, 12-13)-

„ხელმწიფემ მისცა თავისი ქალიშვილი და თავისი სახელმწიფო ჩააბარა და კარგი ცხოვრება მოუწყო („გაუკეთა“);

ბედნიერ დასასრულს დიდი ლხინის ან საოცარი ქორწილის გადახდაც გვაუწყებს:

ეჭვთარ ანსეე ქუერწილ, ერე ივასი ადამს ამანდ ხოჩილ ქუერწილ დას ხეწუენიუ (იქვე, ჩუბეხევი, 266, 4 - 5) - „ისეთი ქორწილი ჰქონდა (ქნა), რომ ევას და ადამის შემდეგ ამაზე უკეთესი ქორწილი არავის უნახავს“.

როგორც ჩანს, რაც უფრო მდიდრულია ქორწილი, მით უფრო უზრუნველი ცხოვრება ელით ზღაპრის გმირებს:

ხოჩა ლახედალ აჩუმიხს. მუშგურის ჩი ოქრ ი ჟარჩხილ ლახუემხ - იმხენ ესერ ოხჯიდან ამზუ ჟარჩხილ ი კეთილ ქონება?! - აღარდ ხოჩა ლიზგე-ლირდე ვნსეხ (იქვე, ბეჩო, 42, 2 - 5) - „კარგი ლხინი გადაიხადეს („ქნ-ეს“). სტუმარს ყველას ოქრო და ვერცხლი მისცეს - საიდანო (მოუტანიათ) ამდენი („ა-მ ზომ-ის“) ვერცხლი და კეთილი ქონება?! ამათ კარგი ყოფა-ცხოვრება გაატარეს („გააკეთეს“).

ამ ფრაზაში მხოლოდ კეთილ რომ ყოფილიყო, სრულიად საკმარისი იქნებოდა „სიმდიდრის“ გამოსახატავად, რადგანაც სვანურ ენაში ეს ლექსემა „სიკეთესთან“- ერთად „ქონებასაც“ აღნიშნავს (შდრ. ძველი ქართული კეთ-ილ-დიდ-ი „მდიდარი; სიკეთით სავსე“, კეთ-ილ-მ-ცენ-არ-ე-ობ-ა „ფუფუნება“, კეთ-ილ-პოვ-ნ-იერ-ებ-ა „ქონა“ და ა.შ.), მაგრამ, ვფიქრობთ, ქართული „ქონების“ მსაზღვრელად სვანური „კეთილი“ ლექსემა ან მეტი ექსპრესიულობისთვისაა მოხმობილი მთქმელის მიერ, ან მაინცადამაინც ისაა ხაზგასმული, რომ ეს ქონება სწორედ კეთილია და არა სხვა ათასგვარი მაქინაცხიებით შეძენილი.

მთქმელი აღწერს ქორწილს, სტუმართა გულუხვად დასაჩუქრებას, გამოთქვამს გაოცებას, რითაც ცდილობს ამბის უტყუარობაში დაგვარწმუნოს.

ამავე მიზანს ემსახურება გამონათქვამები, რომლებიც მთქმელს ჯაღოსნური თხზულების პერსონაჟად თუ არა, ლხინის თანამონაწილედ მაინც წარმოგვიდგენს.

ეჩეჩუ ხოჩა ქუერწილ აჩუმიხს. ლეთი ეჩეჩუ ხუარდ, ბაზი ამეჩუ (იქვე, ეცერი, 166, 28 - 29) - იქ კარგი ქორწილი გადაიხადა („ქნ-ა“). წუხელ იქ ვიყავი, ამაღამ - აქ“.

რაც შეეხება დალოცვით დასასრულს, მისი შესაბამისი სტაბილური გამონათქვამები უფრო მეტია და, ძირითადად, ორი სახისაა:

1. ზოდ ევარს ლეწოდ, ეჩქადუ ლწრიდ-(იქვე, ბეჩო, 19, 31; 44, 16) - „ვიდრე იმათ ვნახავთ, მანამდე ვიყოთ („მანამდემცა ვართ“)“.

2. ეჩქიმ ხოჩა ამეჩუ, ამგიშ ხოლა ეჩეჩუ („სვან.ენ.ქრესტ.“, 218, 23; ეცერი, 233, 41) - „იქაური კარგი აქ, აქაური ცული იქ“.

ხშირად თავს იყრის ორი ან რამდენიმე ფინალური გამონათქვამი, ჩვეულებრივ, უკანასკნელი ლოცვის ფორმულაა:

ხოჩა ლიზგე ვნსყე. ევგია ხოჩა ამეგ, ამგია ხოლა ეჩეგ! (იქვე, ლახამულა, 230, 22 - 24) - „კარგი ცხოვრება მოიწყო („გააკეთა“). იქაური კარგი აქ, აქაური ცული იქ“;

ლწიდ ხოჩა ლიზგ' ვნსყეხ. ოდ ევარს ლეწოდ ეჩქადუ (//ეჩადუ) ლწრიდ („სვან. პროზ. ტ.“, II, ბარში, 187, 23 - 25) - „ძალიან კარგი ცხოვრება მოიწყვეს („გააკეთეს“). ვიდრე მათ ვნახავთ, მანამდე ვიყოთ („მანამდემცა ვართ“)“;

ხოჩა ლირდე აჰიე. ზოდ ევარ ანჯეხ, ეჩქადუ ლწრიდ (იქვე, ბეჩო, 50, 11 - 12) - „კარგი ცხოვრება გაატარა („მოესწრო“), ვიდრე ისინი მოვლენ, მანამდე ვიყოთ („მანამდემცა ვართ“)“;

ქუერწილს ახადხ. ჰარაჟ ესერ ნაჰურაშ ლგჯე მადმიდ ხეკლინახ. ეჩგიშ ხოჩა ამეგ ი ამგიშ ხოლა ეჩეგ (იქვე, ფარი, 218, 18-20) - „ქორწილს შეუდგნენ. საარაკოა („არაკიო“), ჩიტის რძეც კი არ ჰკლებიათ. იქაური კარგი აქ და აქაური ცული იქ“;

ლახედალ აჩუმინ მჰ მაჩენე - „სანამ ისინი დეინახო, მანამ შენ იცოცხლე კარგად!“ (იქვე, ეცერი, 186, 28) - „ლხინი გადაიხადა („ქნა“) საუკეთესო. სანამ ისინი დაინახო, მანამ შენ იყავი კარგად!“

ეს ზღაპარი იმითაცაა ყურადღება მისაქცევი, რომ აქ მთქმელი ქართულად ლოცავს მსმენელს.

ამგვარი რთული ფინალური გამონათქვამები ზოგჯერ ორმაგ დალოცვას შეიცავს:

ეჩქაღიბ ქუერწილ ათყერ, ერე ეჩანდ ხოჩილ ქუერწილ დჰს ხასმა ... ხოჩა ლიზგე ვნსყეხ. ევარს ოდო ლეწოდ, ეჩქადოდ ლწრიდ. ხოჩემიშ გარ ლარგადიოდ გუარ (იქვე, ცხუმარი, 101, 20-24) - ისეთი ქორწილი გადაიხადა, რომ იმაზე უკეთესი (ქორწილი) არავის სმენია კარგი. ცხოვრება მოიწყვეს („გააკეთეს“). ვიდრე მათ ვნახავთ,

მანამდე ვიყოთ („მანამდემცა ვართ“). მხოლოდ კარგი¹⁸ ლაპარაკი გვექონდეს (შდრ. ლეჩხ. „რაგად-ი-მცა გვაქვს“).

უკანასკნელი ფრაზა ერთადერთხელ დასტურდება ფინალში და ბალსქვემოური ზღაპრის დასაწყისის მოგვაგონებს:

ხოჩემ გარუ ლამბუალ ლი- (იქვე, ბეჩო, 42, 8) „მხოლოდ კარგი საამბოები იყოს“ („კარგის მხოლოდმცა საამბოებია“);

ოდე ეჭარს ლეწედ გუიშგე თედ, ეჩქადოდ ლწრიდ ხოჩა შუიდედბდ, ხოჩა გუეიოდ ლწრიდ ჩიგარ („იქვე, ცხუმარი, 117, 25 - 26) - „ვიდრე მათ ვნახავთ ჩვენი თვალით („თვალ-ად“)⁸², მანამდე ვიყოთ („მანამდემცა ვართ“) კარგი მშვიდობით, კარგ გუნებაზე (გულ-ზე-მცა ვართ“) ვიყოთ მუდამ“.

ამრიგად, მთქმელი არ ღალატობს ქართველურ ენათა ზღაპრებში არსებულ ტრადიციას, რომელიც მსმენელთან ერთად მთხრობლის დალოცვასაც გულისხმობს.

ბალსქვემოურ ჯადოსნურ თხზულებაში არატრადიციული დასასრულიც დასტურდება:

მალულდ ღუემდ ესტახ ი ჩუ ლამემ (იქვე, ბეჩო, 21, 2)- „მელა უკან დაბრუნდა და შექამა“;

ტრადიციულ ფორმულებთან შედარებით, მსგავსი არატრადიციული დასასრული ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება ყველა ქართველური ენის ჯადოსნურ თხზულებაში.

⁸² ამ გამონათქვამში ძალზე საინტერესოა ქართული მოქმედებითის ნაცვლად სვანურში ვითარებითი ბრუნვის ფორმის გამოყენება (შდრ. ზისხ-შუ გუეში «სისხლით სავსე» // ზისხდ გუეში «სისხლად სავსე») ამგვარი რამ ძველ ქართულშიც დასტურდება («წარვედ სწრაფ-ით», «ზეპირ-ით მოიწუართნა», «აღ-მო-სა-ვლ-ით // აღ-მო-სა-ვლ-ეთ-ად არს კეობა») და სპეციალური ლიტერატურის (ი. ჩანტლაძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმათა მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებში, უნივერსიტეტ «გეორგიას» ქართული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა II სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1993, გვ. 12) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ აღნიშნულ ფორმათა მონაცვლეობას განაპირობებს ადვერბიალურ ბრუნვათა ფუნქციური სიახლოვე;

თავი III
ლაშხური კილო
§ 1. ინიციალური გამონათქვამები

ლაშხური ზღაპარი, ძირითადად, დალოცვით იწყება:

ჯამზგრას ღერთემ („სვან. ენ. ქრესტ.“, სასაში, 273, 40; 275, 20; 277, 12 ...) „დაგლოცოთ ღმერთმა“. ზმნა კავშირებითის ფორმითაა წარმოდგენილი, სახელი კი -ემ მორფემიან მოთხრობითშია (იშვიათია -დ'იანი ფორმა ღერბათ-დ, რომელიც ლაშხური ზღაპრის დასასრულშია დადასტურებული). თუ ზემოსვანურში მოთხრობითის -დ და -ემ მორფემათა გამოყენება ნაწილდება I და II ტიპის ბრუნებათა მიხედვით⁸³, ლაშხურში ეს მორფემები თავისუფლად მონაცვლე ვარიანტები უნდა იყვნენ, რადგან ქვემოსვანურში ბრუნების ტიპები საერთოდ არ გამოიყოფა⁸⁴.

დალოცვითი დასაწყისი ხშირად გადმოცემულია ორი მარტივი ან მარტივი და შერწყმული წინადადებებით:

ჯამზგრას ღერთემ! ამეჩუ არი ეშხუ მარე(იქვე, 288, 1)

„დაგლოცოს ღმერთმა! აქ არის ერთი კაცი“;

ჯამზგრას ღერთემ! ამეჩუ არიხ ეშხუ ღარიბ ი ღიდარ (იქვე, 272, 22) - „დაგლოცოს ღმერთმა! აქ არიან ერთი ღარიბი და მდიდარი“;

ჯამზგრას ღერბეთემ ი ღგმარლხ ეშხუ მალგლ ი ღეშღუშოლ(„სვან. პროზ. ტ.“, IV, 86, 16-17)-„დაგლოცოთ ღმერთმა და ყოფილან ერთი მელა და დათვი.“

არადალოცვითი დასაწყისი უმეტესად გადმოცემულია მარტივი, იშვიათად შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებებით.

მარტივი:

პრდახ ეშხუ მეტუ-ჟამ - „იყვნენ ერთი ცოლ-ქმარი“ (იქვე, 97, 1);

ღგმარღელი ხოჩა მეტხუიარ „ყოფილა კარგი მონადირე“ (იქვე, 71, 9);

⁸³ ვ. თოფურია ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V (3), თბილისი, 1944, გვ. 343-345; თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, თბილისი, 1955, გვ. 127-133; ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998, გვ. 64, 80-81;

⁸⁴ ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998, გვ. 68 - 70.

ლგმარდელის ჩხარა ლახტბა - „ყოფილან ცხრა ძმა“ (იქვე, 103, 23).

შერწყმული:

არი ამეჩუ ეშხუ ხელწიფ, ძღვდ ხოჩამდ ხაშდბა მიჩა სახენწიფი გტეშარს (იქვე, 111, 1) - „არის აქ ერთი ხელმწიფე, ძალიან კარგად მართავს („ამუშავენს“) სახელმწიფოს“ საქმეებს“.

თანწყობილი:

ნარდა ეშხუ ხელწიფ, ჩუ ხეყნდა მახენაშგომ მეხუ (იქვე, 92, 19) - „იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ახალნათხოვი ცოლი“;

ლგმარხ ეშხუ მეხუ-ჰაშ, ხაყენახ ჩხარა ჰყინტგეზალ (იქვე, 81, 20) - „ყოფილა („ყოფილან“) ერთი ცოლ-ჰმარი, ჰყოლიათ ცხრა ვაჟიშვილი“.

თუ ქართულში ინიციალური გამონათქვამის შემასმენელი უმეტესად უწყვეტელშია (იყო და არა იყო რა ..., ცხოვრობდა ...), სვანურში „ყოფნა-არსებობის“ აღმნიშვნელი ზმნა, ამ მხრივ, მრავალფეროვნებას ამჟღავნებს. იგი ყველაზე ხშირად თურმეობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ გვხვდება აწმყოსა და უწყვეტელშიც. ერთმანეთს ენაცვლება მხოლობითისა და მრავლობითი რიცხვის ფორმები:

ა-რ-ი - ა-რ-ი-ხ („არის - არიან“), ნ-რ-დ-ა - ნ-რ-დ-ა-ხ („იყო - იყვნენ“), ლგ-მარ-დ-ქ-ლ-ი ლგ-მარ-დ-ქ-ლ-ი-ხ („ყოფილა ყოფილან“).

აწმყო:

ჟამზგრაბ ღერთემ! არი ამეჩუ სემი ლახტბა („სვან. ენ. ქრესტ.“, სასაში, 282, 8) - „დაგლოცოთ ღმერთმა! არის აქ სამი ძმა“;

ჟამზგრაბ ღერთემ! ამეჩუ არიხ ტიშ ი ზისყ (იქვე, 273, 40) - „დაგლოცოთ ღმერთმა! აქ არიან ტილი და რწყილი“.

უწყვეტელი:

ჟამზგრაბ ღერთემ! ნარდა ეშხუ მეხუ-ჰაშ (იქვე, 277, 11) - „დაგლოცოთ ღმერთმა! იყო ერთი ცოლ-ჰმარი“;

ნარდა ეშხუ მეხუ-ჰაშ („სვან.პროზ.ტ.“, IV, 97, 1) - „იყო („იყვნენ“) ერთი ცოლ-ჰმარი“.

საგულისხმოა, რომ თითქმის ერთსა და იმავე ფრაზაში ორცნებიანი კომპოზიტი მეხუ-ჰაშ შემასმენელს ხან ფორმის მიხედვით ეთანხმება (მხოლობით რიცხვში), ხანაც - აზრობრივად (მრავლობით რიცხვში).

„ყოფნა-არსებობას“ სვანურში ორი ზმნა (ა-რ-ი და ლ-ი) გამოხატავს, ლაშხურ პუბლიკაციებში ერთხელ შეგვხვდა ლ-ას-რ-ი („იყო“) ფორმა ზღაპრის დასაწყისში, რაც ალბათ შემთხვევითია:

ჯამზგრაზ ღერთემ ი როსტომ ლას გმირ(„სვან. პროზ. ტ.“, IV, 117, 23) - „დაგლოცოთ ღმერთმა და როსტომი იყო გმირი“.

I თურმეობითი:

საყურადღებოა, რომ I თურმეობითში მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმებში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ე.წ. გრძელი და მოკლე ფორმები: ლგმარდ // ლგმარდელი („ყოფილა“), ლგმარზ // ლგმარდზ // ლგმარელის // ლგმარდელის („ყოფილან“):

ლგმარდ ეშხუ ისნატი მგმჰერი (იქვე, 108, 12 - 13); - „ყოფილა ერთი სიზმრის ამხსნელი“;

ლგმარდელი ეშხუ მარე (იქვე, 73, 17) - „ყოფილა ერთი კაცი“;

ლგმარზ ეშხუ ძეხუ-ჰაშ (იქვე, 81, 20) - „ყოფილა („ყოფილან“) ერთი ცოლ-ქმარი“;

ლგმარდზ ეშხუ მალგლ ი დეშდუმლ(იქვე, 86, 16 17) „ყოფილან ერთი მელა და დათვი“;

ლგმარელის სუმიჩ ჩხარა ლახუბა(იქვე,98,23)-„ყოფილან სამჯერ ცხრა ძმა“;

ლგმარდელის სემი ღარიბ ლახუბა (იქვე, 106, 5) - „ყოფილან („ყოფილან“) სამი ღარიბი ძმა“.

მკვლევართა ერთი ნაწილი ამგვარი წარმოების ზმნებს I თურმეობითს აკუთვნებს, ნაწილი კი IV თურმეობითს გამოყოფს. ისინი თავისებურად იწარმოებიათ: „ზმნის ფუძეს მუდამ წინ უძღვის მორფოლოგიური ერთეულები ლგმა, ან ლგმ ... ამავე დროს, მას (ფუძეს) სხვადასხვა დიალექტებში მოსდევს ერთმანეთისგან განსხვავებული მორფოლოგიური ერთეულები ... ლაშხურში -ნელ, -ელ ან -ინ“.⁸⁵

⁸⁵ ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998, გვ. 206.

§2. მედიალური გამონათქვამები

ლაშხურ დიალექტზე ჩაწერილ ზღაპრებშიც „სვლა“ ზმნასთან დაკავშირებულ გამონათქვამთაგან ნაწილი მოგზაურობის ხანგრძლივობას გამოხატავს, ნაწილი კი - მის დაწყებას.

გადაადგილების ხანგრძლივობის შესახებ ლაშხურ ზღაპარში ან პირდაპირაა მითითებული, ან გამოყენებულია აჯალ („კიდევ“) ზმნისარტიანი ფრაზები:

ესზელალეხ ჟობა ხან-ი-ჟამს ი ეთლაკანდახ ძულუჲ ხელწიფს (არს. ონ., 69, 25) „იარეს დიდ („ბევრ“) ხანსა და ჟამს და წააწყდნენ ზღვის“ ხელმწიფეს;“

ესზელალეხ აჯალ ჟობა ხანს ი ეთლაკანდახ დეცე ხელწიფს (იქვე, 69, 32) - „იარეს კიდევ დიდხანს და წააწყდნენ ცი“ ხელმწიფეს.“

შდრ.:

აჯალ ესლრის შუკუი (იქვე, 78, 18-19) - კიდევ მიდიან გზაზე“.

ზოგჯერ ზოგადი და კონკრეტული მოქმედების აღმნიშვნელი აწმყო ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა მედიალურ კონტექსტში: ესლრი („მიდის“) და იზელალ („დადის“, „დაიარება“) ფორმები:

ესლრი, ესლრი ი ხეწად: თუენთე კალმახ ხაჰმი წგარნი კალმახს („სვან. პროზ. ტ.“ IV, 71, 29) - „მიდის, მიდის და ხედავს: თეთრი კალმახი მისდევს - წითელ კალმახს;“

იზელალ, იზელალ ი ეშხუ აგის სგა ლეხთხანან ბაპრლს (იქვე, 106, 7-8) - „დადის, დადის და ერთ ადგილას შეხვდა მღვდელს.“ ზმნის ფორმები აქ, შესაძლოა, თხრობის პროცესის ხელშესაწყობად მეორდებოდეს.

უკანასკნელ ფრაზაში არ კონკრეტდება მოქმედების მიმართულება, რაც გვავარაუდებინებს, რომ გმირი ალალ-ბელზე მიდის.

შდრ. ბზ.:

ელრი, ესლრი შუკუტს, მარე იმთე დო ესლრი, მჲჲ ხოხალ („სვან. პროზ. ტ.“, I, იფარი, 117, 22) - „მიდის, მიდის გზაზე (ლეჩხ., რაჭ., იმერ., გურ. „შუკას“), მაგრამ საით მიდის, არ იცის.“

ლაშხურ კილოზე ჩაწერილ ზღაპარში მთქმელი პერსონაჟის სიმდიდრის აღწერით ზოგჯერ მისაღწევი პუნქტის სიშორეზეც მიგვითითებს:

ესლრი... უზომო ჯოგ არი ჯანიშ ამეჩუ. ძინარუნლო ნებოზდ
ესლრი, პილს დეშ ეთლაკან („სვან. ენ. ქრესტ.“, ჟახუნდერი, 283,
38-39) - მიდის... უზომო ჯოგია აქ ხარის^ა. დილიდან სალამომდე
მიდის, ^ანა^აპირს ვერ მიადწია“;

...აჩად. ჩაჟი ჯოგთქმსა ლეხტედუნან. ძინარუნლო ნებოზდ
ესლრი, ჟ'ეკჟად (იქვე, 284, 6-7) - ...წავიდა. ცხენის ჯოგს („ჯოგში“)
მიადგა. დილიდან სალამომდე მიდის... მოუნდა“;

მესმა ლადელ ფური ჯოგთე ლეხტედუნან. აჯალ ძინარუნლო
ნებოზდ ესლრი, ნებოზს აღვად კარაჟუნ - (იქვე, 284, 8-9) - „მესამე
დღეს ძროხი^ა“ (ძვ. ქ. „ფურ-ი^ა“) ჯოგს („ჯოგ-ს-კენ“) მიადგა. კიდე
დილიდან სალამომდე მიდის, სალამოს მივიდა კარვამდე“.

ეს გამონათქვამები ცალ-ცალკე ასახავენ მთელი დღის სავალზე
გაშლილი ხარის, ძროხისა თუ ცხენის ჯოგის სიდიდეს და
ამავდროულად წარმოდგენას გვიქმნიან გმირის მიერ გავლილი გზის
სიგრძეზეც.

მოგზაურობის დაწყების აღმნიშვნელი ფრაზებიდან გვხვდება
ქართული გამონათქვამების („ადგა და წავიდა“, „დაადგა გზას“)
ანალოგები:

ანგენდა ჰყინტ ი აჩად („სვან.პროზ.ტ.“, IV, 80, 16) - „ადგა ბიჭი და
წავიდა“;

ანგენდა მერმა ლადელ ი აჩად (იქვე, 79, 35) - „ადგა მეორე დღეს
და წავიდა“;

ესანგანხ შუკჟს. ესლრიხ ალ მარე ი მიჩა გეზალ („სვან. ენ.
ქრესტ.“, 288, 5) - „დაადგნენ გზას. მიდიან ეს კაცი და მისი შვილი“.

სვანური ენის სხვა კილოთა ზღაპრების მსგავსად, ლაშხურშიც
იშვიათად გვხვდება ისეთი გამონათქვამი, როგორიცაა:

აგითე ლნზი ენბინე („სვან. ენ. ქრესტ.“, ჟახუნდერი, 287, 1) -
სახლისკენ სვლა დაიწყო.“

სწორედ მოგზაურობისას გადაეყრება ხოლმე გმირი (ან სხვა
პერსონაჟი) მტერსა თუ მოყვარეს:

სგობინ ლახხტინდა ეშხუ მეჩი ზურალ (იქვე, 286, 37-38) - „წინ
შეხვდა ერთი მოხუცი ქალი“;

ლახხტინდა სგობინ მალ (იქვე, 273, სასაში, 22) - „შეხვდა წინ
მელა“;

სგობინ ლახხტინდა თხერე (იქვე, 273, 14) - „წინ შეხვდა მგელი.“

ჩვეულებრივ საუბარში სგობინ („წინ“) ზმნისართი აუცილებელი არაა, ზღაპრის ენაში კი ფიქსირებულია.

ბავშვის პორტრეტის წარმოსახვისათვის ლაშხური ზღაპარი სვანური ჯადოსნური ამბისთვის დამახასიათებელ „მზა ფორმულებს“ იყენებს.

ისგანეი ჟოქრ ლიხ ი ისგანეი ჟერცხლ („სვან. პროზ. ტ.", IV, 77, 32-33) - „წელსზევით („შუა-ს-ზე“) ოქროსი“ არიან და წელსქვევით („შუა-ს ქვეშ“) ვერცხლის“;

მაკოფ ისგანეი ჟერცხლ-ი ისგანეი ჟოქრ ლას („არს. ონ.", 61, 17-18) - იაკობი წელსქვევით ვერცხლი და წელსზევით ოქრო იყო.

როგორც ვხედავთ, ახალშობილის დასახასიათებლად გამოყენებული არსებითი სახელები, სახელობით ბრუნვაშია, თუმცა უფრო ხშირად ამ შემთხვევაში გამოყენებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმები (ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში):

ლარტყენიბო ჟოქრეშ ლი ალ ბობშ ი ლარტყენიბო - ჟერცხლიშ („სვან.პროზ.ტ.", IV, 124, 19) - „წელსზევით („სა-რტყელ-ს-ზე-მო-თ“) ოქროსია ეს ბავშვი და წელსქვევით („სა-რტყელ-ს-ქვე-მო-თ“) - ვერცხლისა“.

შედარებით იშვიათად გვხვდება გამონათქვამები, სადაც პერსონაჟის სილამაზის აღწერისას მოხმობილია შესადარებელი საგანი:

ალე ეყალიბ ლას, ერე, მჟეს ხაჯონდა (იქვე, 87, 31-32) - „ეს ისეთი (ე-გ ყალიბ-ის“) იყო, რომ მზეს ჰგავდა“;

შდრ.: ჩუ ლას ხოჩა თჳალაშ ი ტანაშ, ამშა ლისგდის მშმა ხოჩან (იქვე, 123, 27-28) „კარგი თვალ-ტანადი იყო („იყო კარგი თვალისა“ და ტანის“), ამის ყურებას არაფერი სჯობდა“;

ამთან დას ხოწუა. ეშთან ლი, ერე მშმა ხოჩა ამშა ლისგდის („სვან. ენ. ქრესტ.", სასაში, 276, 4) - „ამისთანა არავის უნახავს. ისეთია, რომ არაფერი სჯობს ამის ყურებას“;

ხოწუმაღ დას აღდართან, ეშთანარ ლიხ („იქვე, 276, 1) - „არავის უნახავს ამისთანები, ისეთები არიან.“

ყურადღებას იქცევს ფორმულები, სადაც აღწერილია ბავშვის ზრდა და ზრდის პროცესის დასრულება:

ბობშ ლეტუშ ირთხინს ლგმცხემინ - ი ლადელუშ კამგლს. ქალგათუჟელი ყაზწყდ. (არს. ონ., 58, 21-22) - „ბავშვი ღამით ციდას იმატებდა თურმე („ნამატება“ < „ნა-სხ-ამ-ა“) და დღისით („დღით“) -

მტკაველს. გაზრდილა (დასრულებულა, „გა-თავ-ებ-ულ-ა“) კაცად (გურ. „ყაზახ-ად“);

დეჟთაკ ლადელტუშ კამგლს ლემცხემინ ი ლეტუშ ირთხინს ი ქალგგანთუელი ძღვდ ყაზაყდ (იქვე, 55, 18 - 19) „დეჟთაკი დღის“ით მტკაველს ნამატება და ღამით-ციდას და გაზრდილა („გა-თავ-ებ-ულ-ა“) დიდ კაცად (გურ. „ყაზახ-ად“);

შდრ. ლნტ.:

ქა ლგგათუე ღუაჟმარე ლოქ ლი („სვან. პროზ. ტ.“, III, რცხმელური, 293, 13 - 14) - „დასრულებული („დამთავრებული“) ვაჟკაციო“.

გმირის განსაკუთრებულობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მისი სიძლიერე, რადგან იგი, მის სიმამაცესა და მოხერხებულობასთან ერთად, ზღაპრის ბელნიერ დასასრულს განსაზღვრავს.

ლონიერება სხვადასხვაგვარად გადმოიცემა:

ლშხ.:

... აღმარდ ჟ'ენცხეხ, მარელ ეხფასანხ, დეცნ ალიარე შინსა არი ი გიმნ⁸⁶ („სვან. პროზ. ტ.“, IV, 130, 20 - 21) - „ესენი გაიზარდნენ (< „ა-ი-სხ-ე-ს“) კაცები დადგნენ (< „და-ფას-დ-ნენ“), ცაც ამათ ხელშია და მიწაც“;

შდრ. ლიცნ ლოქ ეჯმარე შინსა არი ი-გიმნ (იქვე, 130, 32) - „წყალიცო იმათ ხელშია და მიწაც“;

ლაყურა დეშსა ხოგიჟ მაკოფს, დეთამ - სკამ; გიმჟი იყუნე ჩუ, მარა მიჩა ნაზგმს ჟი ხათნე, ჟი ერ იგნალ ეჩქა (არს. ონ., 64, 24 - 25) - „საწოლი ვერ უძლებს იაკობს, ვერც - სკამი; მიწაზე წვება, მაგრამ თავის ნაწოლს (< „ნა-ზომ-ს“) აჩნევს, რომ დგება მაშინ“;

მაკოფ ედჟი ენგნგუამინან, ერე გიმს ხნდა გუამი ნალგამშოშ (იქვე, 64, 10) - „იაკობი ისე დამძიმებულა, რომ მიწას ემძიმებოდა მისი ტარება („მიწას ჰქონდა ძალის სიმძიმე“ - იაკობი გარდაცვლილი გმირების ძალ-ლონის შთაბერვის გამო მძიმდება).

შდრ. ბზ.:

⁸⁶ დეცნ („ზეცაც“) და გიმნ („მიწაც“) ფორმები ჩაწერის დროს არასწორადაა ფიქსირებული (აუსლაუტში გრძელი ხმოვანი არ უნდა ყოფილიყო)

გმირს ჰქონდა ქაშვილი ხორი ი ალა ეშლიდართ საყენს ქუთიცი უერს ჰქონდა (,,აჟან. პროზ. ტ.", I, იფარი, 90, 22 23) გმირს ფერი გარეთ აქვს (< ძვ. ქ. „უ-ფ-ი-ს“) და ეს თორმეტ საუენ მიწას ჰქონს (< „ა-ქუ-ც-მა-ც-ე-ბ-ს“) ფენით“ (გმირი ურემზე წევს).

საბოლოო მიზნის მიღწევამდე ხშირად მხოლოდ გმირის ძალ-
ლონე და მოხერხებულობა არაა საკმარისი. მას დამხმარე
ესაჭიროება. დამხმარედ გვევლინება ძმობილი ან სხვა ნებისმიერი
პერსონაჟი, რომელსაც მთავარი გმირი უმეგობრდება. ზოგჯერ მათი
გზები იურება, სწორედ ასეთ შემთხვევაში მეგობრები წინასწარ
მოითათბირებენ რაღაც ნიშანზე, რომელიც გაჭირვებისა თუ
უბედურების მაუწყებელი იქნება:

შომამა ლოქ მიჩა ში ესწვებნდეს, ეჩქა მიჩა ჟახნუ ლექქუ ი ეშჩუ
ლოქ ანჯდენი (იქვე, 101, 18 19) „როცაო ჩემი („მისი“) ხელი
დაგჭირდეს („დასჭირდეს“), მაშინ ჩემი („მისი“) სახელიო ახსენე („ს-
ახ-ელ-ი-მ-ცა თქ-ვა“) და იქო გავჩნდები („მოვა ძვ. ქ. „მო-ვ-დ-ე-ბ-ა“);

მერამე ე ლგდგარ ორის, ეჩქა ზისხშუ ლოქ ეხგოშლის ტოტ (არს.
ონ., 56, 12 - 13) „სხვა („მე-ორ-ე“) თუ მკვდარი იქნება
(„იქნებიან“), მაშინ სისხლითო აგვევსოს („ავესოთ“) ხელი“.

მსგავსი ფრაზები ქართულ-სვანურ ენებზე ფიქსირებულ
ზღაპრებში ყველგან დასტურდება და გამოხატავენ მუდმივ მზაობას
მეგობრის დასახმარებლად.

სვანურისთვის დამახასიათებელი ორცნებიანი კომპოზიციით
გადმოცემული ტოპონიმის ლე-მგჟ - ლე-ნ-თო-ი („აღმოსავლეთ
დასავლეთი“ < „მზიან - ჩრდილიანი“) ს გვერდით გვხვდება ქართულ
ზღაპრებში გავრცელებული „ცისქვეშეთი“, „უდაბური ტყე“, „შორი
(დიდი) მინდორი“

დეცე ნამფარტაქა ენთენანხ მაკოფ ი მიჩა რაშალ (იქვე, 65,
16 - 17)-„ცისქვეშეთიდან (< „ნა-ფარ-ავ-ს გასწვრივ“) გამოჩნდნენ
იაკობი და მისი რაშები“.

ჩიქე დეშერს ოხვგრაჟა დეცე ჩუქუნან ეჩა ჩულნცუნე (იქვე, 75,
15) „ჯერ ცისქვეშეთში („ზეც-ისქვეშ“) ვერავის მოუხერხებია
მისი გაცილება“.

მინდვრის განსაზღვრებად, ძირითადად, დასტურდება
ზედსართავი სახელი ჯოდინა („შორი“), ხოლო ტყისა-უდუნ/მბურ
(„უ-დაბ-ურ-ი“):

ჯრდია მინდორისა ლოქ უსკუ ლგ (,,სვან. ენ. ქრესტ.", სასაში, 278, 40) - „შორ მინდორშიო ვაშლი ღვას“.

ჯოდ-ნაჭუღა მინდორთუ ... ცხეტაკს ჩოთუჯა (არს. ონ., 56, 5 - 6) - „ძალიან შორ მინდორში ცხეტაკს დაუძინია“.

სგ'ავად უდუნბურ ცხეტამსა - (იქვე, 61, 12) - „შევიდნენ უდაბურ ტყეში“.

ეჩე ლას უდუმბურ ცხეკ (,,სვან. პროზ. ტ.", IV, 91, 17) - „იქ იყო უდაბური ტყე“.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადგილი, შესაძლოა აღმოჩნდეს დევის სამფლობელო ან საშიში მოჩადოებული სამყარო, რომელთა საზღვრების დამრღვევს აფრთხილებენ ხოლმე:

ამეჟა ნეპრლსი დემ ლოქ აპენე ამეჩუნა ფუსდ დნუ ი ხოწნად ლოქ თხუმს, ოდო დემ ლოქ ლი წყგლმანდ ისგუე გუეშ ლადიშ - (არს. ონ., 70, 21 - 23) - „აქეთ ჩიტსაც არ აფრენს აქაურობის ბატონი დევი და თავს უშველეთო, თორემ ვერო არის კარგად („წმინდად“ <„წყლ-იან-ად“) თქვენი დღევანდელი საქმე“;

ამეჟა ბუზული ღიზისი ჟი ლოქ იმვერი ამეჩუნა ფუსდ დნუ ი ჟი ლოქ ამხტებ (იქვე, 71, 6 - 7) - „აქ ბუზის გაფრენსაც („სვლასაც“) გაიგებს აქაურობის მფლობელი დევი და ამოგწყვეტო“.

კეთილისმსურველს ან დამხმარეს ეკუთვნის შემდეგი ფრაზეოლოგიური ფორმულები:

-ეჩხანუ მეზი ლოქ ხუნა ხოწუნა ი მეტებ - დარ; მერუამ ლოქ ღვრი, მაგ ლოქ ბეჩდ ხესპი (,,სვან. პროზ. ტ.", IV, 80, 3 - 4) - „იქით წამსვლელიო ბევრი მინახავს და დაბრუნებული არავინ; ვინცო მიდის, ყველაო ქვად იქცევა“.

ყურადღებას იქცევს გამაფრთხილებელი „ქართული წარწერა“, რომელიც ლაშხურ კილოზე ჩაწერილ ერთსა და იმავე ზღაპარში რამდენჯერმე მეორდება:

ქამენქა ხნმანდა ეჩის: „ვინც შევიდეს, არ გამევიდეს!“ (არს. ონ. 63, 29) - „გარედან ეწერა იმას: ვინც შევიდეს, არ გამოვიდეს!“

მინე ცოდუ ლოქ ხანტუ, მერუნამს ამეჟი ლოქ ოთრმრა: ვინც შევიდეს, არ გამევიდეს!“ (იქვე, 64, 7 - 8,) - „ჩემი ცოდვაო ჰქონდეს, ვისაც ამაზე დაუწერია: ვინც შევიდეს, არ გამოვიდეს“.

ადამიანის სიახლოვისას წარმოთქმული გამონათქვამი - „მარნში ქუნ ლოქ ხაჯან (,,სვან. პროზ. ტ.", IV, 98, 33) - „კაცი'ს' სუნო მცემს <„ასლის“ უნივერსალური ხასიათისაა და ხშირად

დასტურდება ქართველურ ენათა ზღაპრებში, მაგრამ „დევის სუნი“ მხოლოდ ლაშხური დიალექტის ზღაპარში ფიქსირდება (თუმცა იშვიათად):

ანყირ ბუქდ ი დნტა უშუშდნ (არს. ონ., 71, 10 - 11) - „მოატანა ბუქმა და დევი¹ სუნმაც“;

ნებუნა პილდი ანყირ - ი დატნ ჟომშორდნ ანყირ (იქვე, 70, 24 - 25) - სალამომაც („სალამოს პირმაც“) მოატანა და დევის ოხშივარმაც“.

ჯადოსნურ თხზულებაში, ჩვეულებრივ, აღამიანის სიახლოვეს ყნოსვით იგებს მზე, მზის დედა, დევი, რაში..., მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მათ თვისებას გმირიც იძენს და თავადაც გრძნობს მითური პერსონაჟის სუნს.

დასჯის ფორმათაგან ყველაზე გავრცელებულია მოღალატის გამობმა ცხენის კუღზე:

ალ ლაშდილა ლახბებ ჩნჟი აკუდარს, ლეჟნ ბუქს ლახრმხ ი ლექტნ ნიატს („სვან. ენ. ქრესტ.“, 282, 3 - 4) - „ეს დები მიაბეს ცხენის კუღებს, ზედა ქარს (< „ბუქს“) მისცეს და ქვედა ნიავს“;

მიჩა ლაშდილა წელი აკუდარს ლახბებ, ლემგეს აღმეხ ი ლენტომს ენტიხს ლათრინუმ, აგულარ გარ ახყნდახ აგითე („სვან. პროზ. ტ.“, IV, 81, 15 - 16) - „მისი დები ვირის კუღებს მიაბეს, აღმოსავლეთით (< „მზ-იანს“) წაიყვანეს და ჩრდილოეთით (< „ჩრდილიანს“) დააბრუნეს თრევით, ქუსლებიდა მოჰყვათ სახლში.

პირველი გამონათქვამი მხოლოდ დასჯას ასახავს, მეორე კი - დასჯილის მდგომარეობასაც. ორივე შემთხვევაში ნათელია მოღალატის საბოლოო ბედი - იგი იღუპება.

იშვიათად გვხვდება გამონათქვამი, რომელიც თავისებურად არაპირდაპირ აგვიწერს გახურებულ კერაზე დასმულის მდგომარეობის თანდათანობით გაუარესებას, დასუსტებას:

ჩნტშენტე კერაჲ ი ჟესსგურე მიჩა დაჩურ ი ხნქტუ: ათხე ლოქ მაჲზუმ ხობიც? - ათხე ლოქ ვანზუმ, - ათხე ლოქ მაჲზუმ ხობიც? - ათხე ლოქ ფურზუმ. - ათხე ლოქ? - ათხე ლოქ სიმინდი კაკლნლზუმ, - ათხე ლოქ მაჲზუმ ხობიც? - ათხე ლოქ ფეტტუ კაკლნლზუმ. - ათხე ლოქ? - ათხე ლოქ დემზუმ ი ჟი ოხქტაც ქუნ („სვან. ენ. ქრესტ.“, სასაში, 277, 3 - 7) - „გაახურა კერია და დასვა თავისი და და უთხრა: - ახლარ რამდენი („რა ზომა“) შეგიძლია“ - ახლარ ხარ¹ის¹ ოდენარ (< „ხარ-ის¹ ზომა“) - ახლარ რამდენი შეგიძლია? - ახლარ ფურისოდენა („ფურ¹ის¹ ზომა“). ახლარ? - ახლა სიმინდის

მარცვლისოდენა. - ახლავ რამდენი შეგიძლია? - ახლავ ფეტვის მარცვლისოდენა. - ახლავ? „ახლავ არაფრისოდენა“ და ამოუვიდა სული“.

თანდათანობით დასუსტებისა და საბოლოო აღსასრულის აღწერა დიალოგის საშუალებით სვანური ენის სხვა კილოთა პუბლიკაციებში ვერ დავაფიქსირეთ.

„ხალხური მეტყველება ურთიერთსაუბარს გულისხმობს. დიალოგი აქ მთავარ ადგილს იჭერს. ზღაპრის მბოზა უდიალოგოდ შეუძლებელი იქნებოდა. მთქმელს ურთიერთობა აქვს როგორც მსმენელთან, ისე ზღაპრის პერსონაჟებთან. იგი განიცდის პერსონაჟთა თავგადასავალს, მათ წარმატებასა და წარუმატებლობას. სწორედ ამიტომ ხალხური პროზის ერთ-ერთი მთავარი ენობრივი ელემენტი დიალოგია. დიალოგითაა გახსნილი პერსონაჟთა სულიერი სამყარო და თავგადასავალი. ეს გვეჩვენება ჩვენ ზღაპრის სტილის სპეციფიკად მწიგნობრული ენის ძეგლებთან შედარებით“⁸⁷ - აღნიშნავს ალექსანდრე ლლონტი, ჩვენ კი დავუმატებდით: ქართული მწერლობის არაერთ ქმნილებაში ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა დიალოგებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ავტორისეულ სალიტერატურო ენას უპირისპირდება პერსონაჟთა მეტყველებაში წარმოჩენილი დიალექტიზმები. ასე რომ, არა გვგონია დიალოგი მოგვეჩვენოს ზღაპრის ენის სპეციფიკურ მახასიათებლად.

დიალოგში გავრცელებული ფრაზეოლოგია მეორდება ქართულსა და სვანურ ზღაპრებში:

-ჭემ ლოქ ჭაშ ი ჭემ მეხუ. -მადე ლოქ, ჭემ ლოქ თერღლა ი ჭემ ძმაჲ („სვან. პროზ. ტ.“, IV, 132, 4 - 5) - „შენ ქმარი და მე ცოლი. - არაო, შენო რძალი და მე მაზლი;

ე, ჭემ მარე, მაჲ მარე ლოქ ლი ამკალიბ? (იქვე, 83, 8) - „ე, შე კაცო, რა კაცი ხარ ამისთანა“ („ა-მ ყალიბის“)?“

-იმნარ ლოქ ემჳედელი, ლნჲმანხუდ ა ლამჳეთდ? (იქვე, 131, 36) - „რისთვისო მოსულხარ, სამტროდ თუ სამოყვროდ („სა-მო-კეთ-ო-დ“)“

შდრ. ლნტ.:

⁸⁷ ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1974, გვ. 9

-ეი, ამახუ ლოქ პრი ქორს ა მოყუარე (//მოკეთ)“ („სვან. ენ. ქრესტ.“, ხელედი, 347, 18; 347, 27) - „ეი, მტერიაო სახლში თუ მოყვარე (//მოკეთე)?“

ლაშხური ზღაპარი მთქმელის კომენტარების სიმრავლით გამოირჩევა; ისინი სხვადასხვა ხასიათისაა და, ბუნებრივია, ნებისმიერ ადგილას შეიძლება შეგვხვდეს.

დასაწყისში დადასტურებული კომენტარი, ჩვეულებრივ, მთავარი პერსონაჟის სახელს განმარტავს ან უბრალოდ ინფორმაციას გვაწვდის მის შესახებ (თუმცა, იგი ფინალშიც გვხვდება):

ჯამზგრაბ ღერთემ. ამეჩუ არი გარდატყუამ (გარდატყუამს მერტყულამს ხაყლებ (არს. ონ., 76, 9 - 10) - „და'გლოცოთ ღმერთმა. აქ არის გარდატყუა („გარდატყუას მატყუარას ეძახიან“);

სარეჩს ათხე მახე-მახე მარელ გარ ხაყლებ, ოდო ჯუინელ მარელ სარეჩს ღემყლწინხ. სარეჩ მამ ჟახე დო ლი, დწსმა ხომჟერა „ახსნა“ ამშა. აშ ხნდშხა იაკოფს სარეჩ მედ სარეჩ ი მამ დო ლი, მამა გუიმჟერა (იქვე, 67, 3- 5) - „სარეჩს ახლა მხოლოდ ახალგაზრდა („ახალ-ახალი“) კაცები ეძახიან, თორემ მოხუცები („ძველი კაცები“) სარეჩს ეძახდნენ თურმე („ნამახებან“). სარეჩი რა სახელია, არავის გაუგია ამის ახსნა. ასე ჰქვია იაკობს სარეჩი თუ სარეჩი და რა არის, არ ვიცით („არ გაგვიგია“);

ალეს ქანთენნა ჰყინტ (ჟახე მამა მაშყიდ, ჟ'ელჟახნედ შიშდ იმჟნლამ, მამ ზოჰირს, ჟელჟახად ბგლათ) („სვან.პროზ.ტ.“, IV, 107, 18-19)- „ამას ეყოლა ბიჭი (სახელი არ მახსოვს, შევარქვათ რამე უცებ, რა უქირს, შევარქვათ ბულათი)“.

ზოგჯერ ამგვარი გამონათქვამები უშუალოდ გამომდინარეობს ზღაპრის სიუჟეტიდან და ავლენს მთქმელის დამოკიდებულებას ზღაპარში მოთხრობილი ამბის მიმართ:

ზითუნახაჟდ ტაბაგისა, მამ ათხადნუნ აღამბჟედ, აღე მაგ ქანამბჟე (იქვე, 81, 7 - 8) - „მზეთუნახავმა სუფრაზე (< „ტაბაკ-ს-ში“), რაც აქამდე გიაბნო, ეს ყველაფერი მოჰყვა“.

- აღე ლოქ ე მაგ ტკიც ლწესეს, ერქა აღე მტყაბ ხოხოზ ჟრუ ლოქ აღგენელი, ჩჟუ ლოქ აღფგთხნლელი ი სუშინ ლოქ ჩჟუ ოსტჟლა (იქვე, 81, 9 - 13) - „ესო ყველაფერი თუ სიმართლე იყოს, მაშინ ეს .. შემწვარი ხოხოზი ადგეს („ზემცაო ამდგარა“),

შეიფართხალოს („შეუფართხალნიამცაო“) და სამჯერ დაიყვილოს („დაუყვილიანმცაო“).

ნასკინი ალეს ხანძხა, ძაღო იმ?! (არს. ონ., 72, 28) - „ნახტომიც ამას ჰქვია, აბა რას?!“

უკანასკნელი ფრაზა თითქოს მთქმელს ზღაპარში განვითარებული მოვლენების თვითმხილველად წარმოგვიდგენს.

შდრ. ლტ.:

ქაჩად სემედა ი, ეპკალი გუშკუე ამახუსუ ხატეკა, ხეტეკანხ სემედა ი ჩუ ლაღემხ („სვან. პროზ. ტ.“, III, 299, 8 - 9) - „გავიდნენ სამივე და, ისეთი ჩვენს მტერს ეტაკა, ეტაკნენ სამივე და შეჰამეს“.

ზოგჯერ, მთხრობელის პოზიციასთან ერთად, გამოხატულია ამა თუ იმ ქმედების მიზეზი:

ბზ.:

ზურაღ გუი დაღ კოტრღ ლი, ი ათყალჭნდა ი ჩუ ლეკედ ხნდ („სვან. პროზ. ტ.“, I, მულახი 343, 15 - 16) - „ქალის გული, საბრალო, პატარაა, და შეეშინდა და ჩამოსასვლელი (< ძვ. ქ. „შთა-სა-ჟდ-ომ-ი“) გახდა.“

დასკვნა-შეფასებას, ჩვეულებრივ, ზღაპრის დასასრულში ვხვდებით:

ლშზ.:

ალემ ისგუი მერტყუილიაჲ მარე, ამერუ ხაყრა აფხნიკი მგლლატის ჩნს! („სვან. პროზ. ტ.“, IV, 117, 19 - 20) - „ესეც შენი მატყუარა კაცი, ასე დაემართოს („ასემც დამართნია“) ამხანაგის მოღალატეს ყველას!“

ამეი ლოქ ხეყრენი ჩნს, დის, გეზლა მგლლატის (არს. ონ., 57, 30 - 31) - „ასეო დაემართება ყველას, დედას, შვილის მოღალატეს“;

ეჩის ლოქუ ხარ შაქარ, მასი ლოქ ლიზობი ნება ხუა („სვან. პროზ. ტ.“, IV, 106, 2) - „იმასო შეერგოს შაქრად („ე-გ-ი-ს-ო აქეს შაქარ-ი“) ვისაცო ჰამი'ს' ნება აქეს“.

მსგავს შემთხვევებში პიროვნების ეთიკურ მხარეზეა ხოლმე მითითება და ფრაზებს შემგონებლური ხასიათი აქვთ.

ფინალშივე გვხვდება გამონათქვამები, რომლებიც ზღაპრის მოყოლის მიზეზს ან მთხრობლის ვინაობას გვაუწყებენ:

მალტრაჟი ახჰემე ამშა ლნმბუი (არს. ონ., 55, 3) - „დაფიცებას მოაყოლა ამის მბობა“;

დერუამს დეხუ ხემწირ-ი ეჩა ლუქტის ჩუ იჯრატი ჭაშ, ეჯალიბ მარაჟი ხოხალხ ალ ციგინი ლიმბუთი ლაშხარს (იქვე, 60, 14 - 16) - „ვისაც ცოლი ერევა და იმის ნათქვამს იჯერებს ქმარი, ისეთ კაცებზე იციან ამ ზღაპარი“ს“ მოყოლა ლაშხელებმა“;

ალ ციგინ ანამბუტე შამშე ჟონინანდ მიჩა დიე ნამბაუ (იქვე, 57, 32) - „ამ ზღაპარს შამშე ონიანი („ეს ზღაპარი შამშე ონიანმა“) მოჰყვა, დედამისი“ს“ ნამბობი“;

ალ ციგინ ანამბუტე, ჟინელდგრან ნასგმ, ჯაბაშა ნესტორდ მესსაშდ. მიჩა ბაბა მაზინხენ ხასმა ესრენ (იქვე, 76, 6 - 7) - „ეს ზღაპარი, ძველთაგან გაგონილი („ნა-სმ-ენ-ი“), მოჰყვა სასაშელმა ჯაბაანთ ნესტორმა. მისი ბაბუა მაზისგან სმენია თურმე“.

§ 3. ფინალური გამონათქვამები

დასაწყისის მსგავსად, არადალოცვითი ფინალური გამონათქვამებიც უმეტესად მარტივი წინადადებით გადმოიცემა.

ხნაბ ხოჩა ლირდე („სვან.პროზ.ტ.“, IV, 101,5-6) - „ქჳონდათ კარგი ცხოვრება“;

ხოჩა ლირდე ეღვილხ (იქვე, 72, 14) „კარგი ცხოვრება გაატარეს“ („გა-და-ჳდ-ა-თ“);

ეჩანლო მინ იზგგდახ ბედნიერდ (იქვე, 95, 31) - „შემდეგ ისინი ცხოვრობდნენ ბედნიერად“.

ამგვარი დასასრული დამახასიათებელია ქართული ზღაპრებისთვისაც. სვანურის სხვა კილოთა ანალოგიურ ფრაზებში დადასტურებული ორცნებიანი კომპოზიტი ლირდე-ლიზგე („ყოფა-ცხოვრება“) ლაშხურში არ გვხვდება.

ლაშხური ჯადოსნური თხზულების ფინალშიც ხშირად თავმოყრილია ორი ან რამდენიმე გამონათქვამი:

ამგნლო სერ ალიარდ ხოჩა ლირდე ეღვილხ ი ჯამზგრაბ ლერთემ! (იქვე, 76,23-24) - „ამის შემდეგ კარგი ცხოვრება გაატარეს და დაგლოცოთ ღმერთმა“;

ქორწილ ჩომინხ ეზარ, ხოჩა ლირდე ეღვილხ ი ჯამზგრაბ ლერთემ (იქვე, 85, 1 - 2) - „კარგად იქორწინეს (ქორწილი ქნეს კარგი“), კარგი ცხოვრება გაატარეს და დაგლოცოთ ღმერთმა“;

ეჯარე ლივდნლ ნომაჲ აჯზიგენახ! ჯამზგრაბ ლერთემ! („სვან. ენ. ქრესტ.“, სასაში, 282, 4 - 5) - „იმათ მოსვლამდე არაფერი გტკენოდეთ (არაფერიმც გტკენიათ)!“ დაგლოცოთ ღმერთმა!

ბირველი და მეორე წინადადების ძირითადი ზმნა ეღ-ვილ-ხ („გაატარეს“ < „გა-და-ჳდ-ა-თ“) ფონეტიკური თვალსაზრისითაცაა საინტერესო, ძველი ქართულისა და სვანურის ძირისეული ჳ ახალ ქართულში ლარინგალური (ხ) ფონემითაა შეცვლილი (მდრ. ძვ. ქ. „გა-და-ჳდ-ომ-ა“ > ახ. ქ. „გა-და-ხდ-ომ-ა“, სვანური „ლი-ჳდ-ე“).

მყარი ფორმულა ჯამზგრაბ ლერთემ ყველაზე ბევრია და თანაც ერთადერთია, რომელიც შესაძლოა შეგვხვდეს ლაშხური ზღაპრის როგორც თავში, ისე ბოლოში, რაც სპეციფიკურია სვანურისათვის.

ლაშხურ დიალექტში ერთადერთი შემთხვევა დადასტურდა ქართულ ზღაპარში ფართოდ გავრცელებული ფინალური ფორმულის გამოყენებისა:

ფეჟ ამე, გატარ ეჩე! (იქვე, 98, 21) - „ფქვილი იქა, ქატოები აქა!“ ლაშხურის თავისებურება ისაა, რომ არსებითი სახელი, რომელიც ქართულში ყველგან მხოლოდბითის ფორმით გვხვდება (ქატო), მრავლობითშია წარმოდგენილი (გატ-არ).

აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი ფორმულები მეტად საინტერესოდ და თავისებურად გადმოიცემა აჭარულ ფოლკლორში: ჩვენ აქანაი რხინში, იგინი იქა ჭირში⁸⁸ (56, 17).

ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ აჭარელი მთქმელი მიუთითებს ზღაპრის ბედნიერ დასასრულზე, პერსონაჟთა შემდგომი კეთილდღეობა მაინც საეჭვო ჩანს:

„ამაზე ბიჭმა დიდი ლხინი გადეიხადა და ცხოვრობდა აგინებთან ბედნიერათ. იგინი იქა ჭირში, ჩვენ აქანაი - რხინში“ (122, 31 - 32);

„იმცხოვრეს ტკპილად. იგინი იქა ჭეფაში, ჩვენ აქანაი-სეფაში“ (145, 14-17)⁸⁹.

საერთოდ, ფოლკლორულ ნაწარმოებში ზოგადი, უნივერსალური პრობლემები უფრო აისახება, ვიდრე კონკრეტული, რაც თავის გამოხატულებას კპოვებს მათ ენობრივ ქსოვილშიც. ამიტომ ქართულ ზღაპრებში შედარებით იშვიათია დიალექტურ თავისებურებათა გამოვლენა. რაც შეეხება სვანური ენის დიალექტებს, აქ ერთგვარად განსხვავებული-ვითარება გვაქვს. ისინი მეტი სპეციფიკურობით ხასიათდებიან.

⁸⁸ აჭარის ხალხური სიტყვიერება, ჟ. ნოლაიდელის მიერ შეკრებილი, მისივე შესავალი წერილი, შენიშვნები და ლექსიკონი, ბათუმი, 1940, გვ. 56;

⁸⁹ იქვე, გვ. 122, 145.

თავი IV

ლენტეხური კილო

§ 1. ინიციალური გამონათქვამები

სვანური ზღაპრისთვის დამახასიათებელი დალოცვითი დასაწყისის ლენტეხურ დიალექტში, ლაშხურთან შედარებით, ნაკლებად გვხვდება და ორი ძირითადი (უპრევერბო და პრევერბიანი) ფორმა ენაცვლება ერთმანეთს:

აშ ჯამეზგრას ღერთემ! („სვან. პროზ. ტ.", III, ლენტეხი, 218, 20; 225, 2...) - ასე დაგლოცოს ღმერთმა! და აცსამზგრას ღერთემ! (იქვე, 176, 9; 185, 18...) - დაგლოცოს ღმერთმა, სადაც ზმნა კავშირებითის ფორმითაა წარმოდგენილი, სახელი კი - ემ მორფემიან მოთხრობითში. იშვიათად გვხვდება -ღ მორფემიანი ერგატივის გამოყენების შემთხვევებიც:

აფსამეზგრას ღერბეთღ (იქვე, ხოფური, 282, 2) - „დაგლოცოთ ღმერთმა!“.

დალოცვით დასაწყისს ზოგჯერ რთული კონსტრუქცია აქვს, რადგან გადმოცემულია ორი ან რამდენიმე მარტივი თუ მარტივი და შერწყმული წინადადებებით:

აშ ჯამზგრას ღერთემ! არღა ეშხუ ხელწიფ (იქვე, 279, 34) - „ასე დაგლოცოთ ღმერთმა! იყო ერთი ხელმწიფე“;

აშ ჯამეზგრას ღერთემ! ღმპარდელის სემი ლახტბა (იქვე, ლენტეხი, 225, 2) - „ასე დაგლოცოს ღმერთმა! ყოფილან სამნი ძმანი“;

აცსამზგრას ღერთემ! ღმპარღს აშხტუ აგის დტუ ი მაულ (იქვე, ხელედი, 192, 20) - „დაგლოცოთ ღმერთმა! ყოფილან ერთ ადგილას დევი და მეღა“;

ჯამეზგრას ღერთემ! ი არი ეშხუ გარდატყუჲ, ეშხუ მეხტუ ხაყენა (იქვე, ლენტეხი, 216, 9) - „დაგლოცოს ღმერთმა! და არის ერთი მატყუარა, ერთი ცოლი ჰყავს“.

ამ ფორმულებში „ყოფნა“ ზმნა წარმოდგენილია აწმყოს (ა-რ-ი - „არის“), უწყვეტლისა (ა-რ-ღ-ა, ა-რ-ღ-ა-ხ - „იყო, იყვნენ“) და I თურმეობითის (ღგ-მარ-ღ-ე-ღ-ი, ღგ-მარ-ღ-ე-ღ-ი-ხ - „ყოფილა, ყოფილან“) ფორმით, მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში.

არადალოცვით დასაწყისში კი იგი, ძირითადად, თურმეობითშია.

ამგვარი დასაწყისი ლენტეხურ ზღაპარში მეტწილად მარტივი წინადადებითაა გადმოცემული, თუმცა ხშირად გვხვდება შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადებები.

მარტივი წინადადება:

ლემარდელი ეშხუ მეჩი მეთხუარ მარე(იქვე, რცხმელური, 306, 16) - „ყოფილა ერთი მოხუცი მონადირე კაცი“;

ლემარდელი ხელმწიფ (იქვე, ლენტეხი, 202, 2) „ყოფილა ხელმწიფე“;

ლემარდელის ეშხუ მეხუ-ჰაშ (იქვე, ლნტ. 196, 3; იქვე, ხელედი, 153, 32; იქვე, ხოფური, 252, 18) - „ყოფილა („ყოფილან“) ერთი ცოლ-ქმარი“. ეს უკანასკნელი გამონათქვამი ზღაპრის დასაწყისში ხშირად დასტურდება და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზმნა-შემასპენელი თითქმის ყოველთვის მრავლობითშია.

შერწყმული წინადადება:

ლემარდელის ხენწიფ ი მიჩა მეხუ (იქვე, ლენტეხი, 206, 19) - „ყოფილან ხელმწიფე და მისი ცოლი“;

ლემარდელის რეგუენილ ი ჰკუიანოლ (იქვე, ხოფური, 271, 7) - „ყოფილან რეგუენი და ჰკუიანი“.

რთული თანწყობილი წინადადება:

ლემარდელის მეხუ-ჰაშ, ხაყენახ ჩხარა ჰყინტგეზალ (იქვე, რცხმელური, 318, 25) - „ყოფილა ცოლ-ქმარი, ჰყოლიათ ცხრა ვაჟიშვილი“;

ლემარდელი ეშხუ მეთხუიარ, ხაყახენა შაუტან (იქვე, ხოფური, 288, 29)- „ყოფილა ერთი მონადირე, ჩქმევია შავყანი“;

ლემარდელი ეშხუ მარე, ხაყენა ეხუ (იქვე, ხოფური, 268, 17)- „ყოფილა ერთი კაცი, ჰყოლია ცოლი“;

ლემარდელი“ზ“ „ყოფილა“ნ“ ზმნის ფორმას მხოლობითსა და მრავლობითში ენაცვლება ე.წ. მოკლე ფორმები:

მხოლობითი რიცხვი:

ეშხუ ხენწიფ ლემარდ (იქვე, ხოფური, 244, 11)-„ერთი ხელმწიფე ყოფილა“.

მრავლობითი რიცხვი:

ლემარდს სემი ლახუბა (იქვე, ლენტეხი, 226, 6) - „ყოფილან სამი ძმანი“;

ლახუბა ლემარს მერბი (იქვე, 198, 25) „ძმები ყოფილან ორნი“.

ამრიგად, ლენტეხური კილოს ზღაპართა ინიციალურ გამონათქვამებში ჭარბობს ლირდე („ყოფნა“) ზმნის თურმეობითის ფორმები, რაც ზღაპრის ოდინდელობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა ზმნა-შემასმენელი დასტურდება აწმყოსა და უწყვეტელის მწკრივშიც:

აწმყო:

პრი ეშუ გელტგტპრ (სვან. ენ. ქრესტ., ხოფური, 349, 24) - „არის ერთი გელტოტარი“;

პრიხ სემი ჭყინტ ი მინე მუ(„სვან. პროზ. ტ.“, III, ხელედი, 168, 10)- „არიან სამი ბიჭი და მათი მამა“.

უწყვეტელი:

არდახ მაულ ი დშტჷ(იქვე, რცხმელური, 317,8)-„იყვნენ მელა და დათვი“.

დასტურდება არატრადიციული დასაწყისის რამდენიმე შემთხვევა:

აჩად ეშუ მარე ლჷმახო(იქვე, რცხმელური, 301, 13)-„წავიდა ერთი კაცი საშოვარზე“;

ქ'ალბინელი ძღღდ ლიშიაღ (იქვე, ლენტეხი, 199, 36) „დაწყებულა დიდი ომი“.

§2. მედიალური გამონათქვამები

მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ჩაწერილი ზღაპრების მედიალური გამონათქვამები გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ინიციალური და ფინალური სტაბილური ფორმულები და გამოიყენება სიუჟეტის განსაზღვრებლად სხვადასხვა სიტუაციების ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

ზღაპრის ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „სვლა“ ზმნასთან დაკავშირებულ მყარ ენობრივ გამონათქვამებს, ლენტეხურ ჯადოსნურ თხზულებაშიც სწორედ მოგზაურობის ამსახველი ფორმულები ქარბობს (რასაც ვერ ვიტყვით ლაშხურის შესახებ). ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა საწყისის ფორმითაა გადმოცემული, ხოლო მოქმედების დაწყების მაჩვენებელი I თურმეობითსა ან წყვეტილის მწკრივში:

ასობინა ლიზი („სვან.პროზ.ტ.“, III, ლენტეხი, 216, 10-11; 212, 16) - „დაუწყია სვლა“;

ალ დენას ასობინა ლიზი (იქვე, 240, 12) - „ამ გოგოს დაუწყია სვლა“;

ანბინეზ ლიზი აგხო ლაღარალუმ (იქვე, 206, 14) - „დაიწყეს სვლა შინისაკენ სიმღერით“.

შდრ. ლშხ.:

აგითე ლიზი ენბინე („სვან.ენ.ქრესტ.“, ჟახუნდერი, 287, 1) - „სახლისკენ სვლა დაიწყო“.

ამგვარი მარტივი გამონათქვამები ხშირად გართულებულია „სვლა“ ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმის დამატებით:

ლნტ.: ანბინეზ ლიზი ი ანდრიხ („სვან. პროზ. ტ.“, III, ლენტეხი, 169, 20) - „დაიწყეს სვლა და მიდიან“;

ანბინე ლიზი ი აჩად („სვან. ენ. ქრესტ.“, ჟახუნდერი, 319, 16) - „დაიწყო სვლა და წავიდა“;

ასობინა ლიზი ი აშჩედელი („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოფური., 283, 1) - „დაუწყია სვლა და წასულა“.

აქვე უნდა გამოიყოს გამონათქვამი „ასობინა (ანბინე) ლიზი ი აღჯად („დაიწყო „დაუწყია“ სვლა და მიადგა“), სადაც ერთდროულადაა გადმოცემული მოგზაურობის დაწყება და დასრულება (აქაც ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა მწკრივის ფორმები):

„სბინე ლიზი ი ადჰად ჰალაი პილს(„სვან. ენ. ჰრესტ.“, ფაჟი, 337,30- 31) - „დაიწყო სვლა და მიაღდა ჰალის პირს“.

შდრ. ლშხ.:

ენბინე ლიზი ი სგა ლეხჰედუნან ხელმწიფი ჰორმოჟ („სვან. პროზ. ტ.“, IV, 93, 18) - „დაიწყო სვლა და მოვიდნენ ხელმწიფის სახლთან“.

ლნტ.:

ალ დენას ასობინა ლიზი ი ამეჰედ ეშხუ კეჰოლ ჰორგნდოლისა (//ჰორუნდოლისა) („სვან. პროზ. ტ.“, III, ლენტეხი, 240, 18 - 19) - „ამ გოგოს დაუწყია სვლა და მისულა ერთ პატარა სახლში“.

მოდრაობის გამომხატველი ზმნა წასულ დროშია - წყვეტილში ან თურმეობითში. ამავე მწკრივის ფორმით მას ენაცვლება: ლახახტია - „შეხვედრია“, ათალაკა - „წასწყდომია“, სკა ლახაგან - „მიაღდა“, ხეწად - „დაინახა“ ზმნები მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში:

ასხრიხ, ასხრიხ ი ათალაკახ (// ათალაკენახ) ეშხუ დანტს(იჰჰე, 209, 33) - „მიდიან, მიდიან და წასწყდომიან ერთ დევს“;

ასხრიხ, ასხრიხ ი ხეწადხ ეშხუ ჰორს („სვან.ენ. ჰრესტ.“, ლექსურა,326, 13) - „მიდიან, მიდიან და დაინახეს ერთი სახლი („შეხედეს ერთ სახლს“)“.

შდრ. ლშხ.:

აჩადხ ი ეშხუ აგის ეთლაკანხ მეტხტიარს(„სვან. პროზ. ტ.“, IV, 83, 14) - „წავიდნენ და ერთ ადგილას წააწყდნენ მონადირეს“;

აჩად აშხუ ლადელ სკა ლახაგან ეშხუ ჰალაჰს („სვან. ენ. ჰრესტ.“, ლენტეხი, 322, 3) - „წავიდა ერთ დღეს მიაღდა ერთ ჰალაჰს“;

ემჰედ ლანგზნარაჰთე ი შუჰჰეჰი სგა ათთხანენა დანტ(„სვან. პროზ. ტ.“, IV, 73, 18) - „წასულა საშოვარზე და გზაზე შეხვედრია დევი“.

ამგვარად, „სვლა“ ზმნა შეიძლება შეგვხვდეს: აწმყოში, უწყვეტელში (იშვიათად), წყვეტილსა და თურმეობითში. ის ჩვეულებრივ, გამოყენებულია მომდევნო მოქმედების აღწერასთან დასაკავშირებლად, თხრობის პროცესის ინტენსივობის ხელშესაწყობად, სწორედ ამიტომ მეორდება ზმნის ფორმები:

ლნტ.:

ანჩად შუკუს, ანდრი, ანდრი ჩქარდ („სვან.ენ.ქრესტ.“, 318, 32) - „წავიდა გზაზე (ლეჩხ., რაჭ., იმერ., გურ. „შუკა-ს“), მოდის, მოდის ჩქარა“;

აჩად, ასხრი, ასხრი (იქვე, 317, 42) - „წავიდა, მიდის, მიდის“.

ლშხ.: იზელალ, იზელალ ი ეშხუ აგის სგა ლეხთხანან ბაპოლს („სვან.პროზ.ტ.“, IV, 106, 7 - 8) - „დადის, დადის და ერთ ადგილას შეხვდა მღვდელს“.

მთქმელი გასავლელი მანძილის სიდიდესა და გზის სირთულეზე განმეორებით ამახვილებს მსმენელის ყურადღებას, „ფსიქოლოგიურად აძლიერებს პერსონაჟის მოქმედების მნიშვნელობას, თანაც ყურადღებას გვაქცევინებს დაბრკოლების გადალახვის სირთულე-სიძნელეზე აქ ყველგან საქმე გვაქვს „პროზაულ გამეორებასთან“⁹⁰. იგი ტროპის ერთ-ერთი სახეა და ხშირად ვხვდებით ქართველურ ენებზე ფიქსირებულ ზღაპართა ენაში, განსაკუთრებით „სვლა“ ზმნასთან. ზოგჯერ, მოგზაურობის ხანგრძლივობის აღსანიშნავად სვანურში გამოყენებულია აჯალ („კიდევ“) ზმნისართი ან პირდაპირაა მითითებული სიშორეზე:

ლნტ.: ასხრი აჯალ („სვან.ენ.ქრესტ.“, ხაჩეში, 341, 41, 43) „მიდის კიდევ“;

ასობინა ლიზი ი ამეჩედ აჯალ (იქვე, 333, 33) - „დაუწყია სვლა და წასულა კვლავ“;

ამეჩედ ჟოღია-ნანჯოლად („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოფური, 278, 32 - 33) - „წასულა ძალიან შორს“;

ამეჩედ ჟოღია-ნანჯოლას (იქვე, 277, 30 31) „წასულან ძალიან შორს“.

ჟოღი-ა-ნ-ნ-ჯოღ-ა-ს // ჟოღი-ა-ნ-ნ-ჯოღ-ა-დ („ძალიან შორს“ < „გრძელ სიშორეს“) პარალელურ ფორმათა თანაარსებობის გამო, სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მათი „თითქმის ერთსა და იმავე კონტექსტში გამოყენება სრულიად აშკარად მიუთითებს თანამედროვე მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ერთი (გაუდიფერენცირებელი) მასალიდან მომდინარეობაზე“⁹¹.

⁹⁰ ალ. ლლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 23.

⁹¹ ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998, გვ. 56; იხ. აგრეთვე: არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა,

აქვე შევნიშნავთ, რომ, თუ ქართულ ზღაპარში არსებითი სახელის „მინდვრის“ განსაზღვრებად, ძირითადად, გამოიყენება ზედსართავი სახელი - „ტრიალი“, ქვემოხვედრში, კერძოდ ლაშხურში, უმეტესად გვხვდება სინტაგმა ჯოღია მინდორ („შორი მინდორი“):

ეჩე, ჯოღია მინდორთე, ლოქ კედნის ლაბრალდ სემი ლაუდილა („სვან. ენ. ქრესტ.“, სასაში, 279, 25) - „იქ, შორ მინდორშიო, საბანაოდ მოდის („მოდიან“) სამი და“;

ჯოდ-ნაჭუდია მინდორთე ... ემჰედღლის (არს. ონ., 56, 5 - 6) - „ძალიან შორ მინდორში მისულან“.

ცნობილია, რომ „ხალხური ტრადიცია ტოპონიმს ტაბუს ადებს, მოქმედება ხდება არა კონკრეტულ ადგილას სივრცეში, არამედ ირეალურ სამყაროში“⁹².

ხშირად, ფანტასტიკურ თხზულებაში, ცაც გვევლინება პერსონაჟთა მოქმედების სფეროდ. სვანურის სხვადასხვა კილოზე ფიქსირებულ ზღაპარში დადასტურებული გამონათქვამი - მერემიშ ი მეფხემი ნესკაქა - „ღრუბელსა და მოწმენდილს შუა“ („ღრუბელისა და მოწმენდილის შუას გასწვრივ“) - ლენტეხურ დიალექტშიც გვხვდება (რასაკვირველია, მისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური ვარიანტებით):

ხოფხიჭა ი მერემიშ ი მეფხემი ნესკაქა ეშ ლახოქარაუა („სვან. პროზ. ტ.“, III, ლენტეხი, 208, 37 - 38) - „ხელი უტაცებია და ღრუბელსა და მოწმენდილს შუა (ისე) გაუქროლებია“;

პარაბოჟილი თელელრა ბერეჟ დჰჰს ასაყენა მერემიშ ი მეფხემი ნესკაქა (იქვე, 209, 29 30) - „პარაბოვილის (ზღაპრული

წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკის მოამბე, I, ტფილისი, 1937, გვ. 9 - 28; მისივე, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №6, თბილისი, 1942, გვ. 619 - 622; ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, №3, თბილისი, 1944, გვ. 339 - 347; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 398, 730 - 739; ე. ბაბუნაშვილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1957, გვ. 400.

⁹² ალ. ლლონტი, ხალხური პროზის, ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 23.

პერსონაჟია) რძალი რკინის დევს მიჰყავდა თურმე ღრუბელსა და მოწმენდილს შუა.

ლაშხურ პუბლიკაციებში ეს გამონათქვამი ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ მასთან სიახლოვეს ამჟღავნებს დეცე-ე ნა-მეგუ-დ - „ცის“ გასწვრივ“ (< „ნატოლად“, შდრ. „მგვ-ან-ებ-ა“);

შდრ. ლშხ.:

ქა ხაწუნენ დეცე ნამეგუდ ბროლი კოშკ (არს. ონ., 71, 29) - „უჩვენა ცის გასწვრივ ბროლის კოშკი“.

ქართული „ცის ქვეშეთის“ შესატყვისია სვანური „დეცე ჩუქტან“ და „დეცე ნამფარტაქა“ („ცის კიდურზე“ < „ნა-ფარ-ავ-ს-ზე“).

ჩიქე დეშერს ოხვრება დეცე ჩუქტან ეჩა ჩუ ლიტუნე (იქვე, 75, 15) - „ჯერ ვერავის მოუხერხებია ცის ქვეშეთში მისი გაცივნება“;

დეცე ნამფარტაქა ენთენანხ მაკოფ ი მიჩა რაშალ (იქვე, 65, 16 - 17) - „ცის კიდურზე (გასწვრივ) გამოჩნდნენ იაკობი და მისი რაშები“.

ლაშხურ დიალექტში -ფხ- ძირის არაერთი ლექსემა დასტურდება (მეფხე - „წმინდა, სუფთა, მოწმენდილი“; ლიმეფხნალ - „ცის მოწმენდა“; ლგმეფხე - „მოწმენდილი ცა“; იმეფხნალ - „იღარებს“; იმეფხნალა - „იღარებდა“; ენმეფხი - „ცა მოიწმინდება“; ქ'ენდმეფხან - „ცა მოიწმინდა“), რომელთა გარკვეული ნაწილი თავის ღროზე პეტრე ჭარაია⁹³ შეუპირისპირა მეგრულ ლექსემებს მათხა („მოწმენდილი ცა“) და ნამათხა („წყარო“). ვფიქრობთ, რომ ამ მასალასთან შეიძლება დავაკავშიროთ, აგრეთვე, ძველი ქართული ნე-ფხ-უ'ვ'-ა („ყინვა“)ც, რაც შესაძლებლობას მოგვცემს -ფხ-'ს საერთოქართველურ დონეზე აღდგენისა⁹⁴. სემანტიკურად მათი დაკავშირება ძნელი არ უნდა იყოს, რადგანაც ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში „მოწმენდილ ცას“ ყვმი (< „ყინვა“)ც აღნიშნავს. ყინვიან ამინდში ცა რომ მოწმენდილია ხოლმე, ესეც ფაქტია.

⁹³ П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, Материалы по яфетическому языкознанию, IV, Санкт-Петербург, гв. 35 - 37;

⁹⁴ იხ. ი. ჩანტლაძე, ე. გაზდელიანი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, ქართულ-სვანური შედარებითი ლექსიკონი (კომპიუტერული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 281.

როგორც აღენიშნეთ, გმირის განსაკუთრებულობას უჩვეულო გარეგნობასთან ერთად მისი ჯადოსნური ზრდაც გამოხატავს, რაც ზოგჯერ უზომო ჰამითაა შეპირობებული:

ლნტ.:

ეჭ ჰყინტ ეშხუ ლგლადელ ერ ლგმარ, ეჩქა ეშხუ ჟედრა ლგჯეს ლგმთირლი, ლგნაგანზ ერ აღსყელი, ეჩქა-მერჟ (// მერბი) ჟედრას, ლგზან ერ აღსყელი, ეჩქა აშირ მანგარს- („სვან. ენ. ქრესტ.“, ხელედი, 343, 20 - 22) - „ეს ბიჭი ერთი დღისა („დღიანი“) რომ ყოფილა, მაშინ ერთ ვედრო რძეს სვამდა თურმე („ნასვამა“), კვირისა („კვირიანი“ შდრ. ძვ. ქ. „მსგეფს-ი“) რომ შესრულდა, მაშინ - ორ ვედროს, წლისა რომ შესრულდა, მაშინ - 100 საქონელს (ჰამდა).

ლშზ.: ჟი ერ ენცხე, ბერიან სადილდ ფურს იზბგდა ი ვახშმად-ჯანს („სვან. პროზ. ტ.“, IV, 87, 33) - „ბერიანი (ზღაპრის პერსონაჟია) რომ გაიზარდა, სადილად ფურს ჰამდა და ვახშმად - ხარს“;

შდრ. ბზ.:

ჩუ ხეთხანზ გეზალჰყინტ, მარ' ალას ეჯზუ ლიზჟებ ჩუ ხაკუ, ერე ლადღლისგა ჰანს ქ'განთჟე ი ამიზუმ დიარს იმჟედლი („სვან.პროზ.ტ.“, I, მულახი, 327, 28-30)- „ეყოლათ ვაჟიშვილი, მაგრამ ამას იმდენი საჰმელი უნდა, რომ დღეში ხარს ათავებს და ამდენივე („ა-მ-ი-ს“ ზომა“) პურს ინდომებს“.

ზოგჯერ ზრდის ამსახველ გამონათქვამებში მატების არც ზომაა დასახელებული და არც მიზეზი.

შდრ. ჰაბუგს მესგჟრად ხაყა, ეწარილს ლალსგჟრად, ეჯზუმ ნაცხან ლიზ (იქვე, იფარი, 114, 7 - 8) - „ჰაბუკი („ჰაბუკს“) დამჟდომად ჰყავს, კიცს - დასაჟდომად, ისე ნაზარდი („ნამატი“ < „ნასხამი“) არიან“.

პორტრეტის წარმოსახვისათვის გამოყენებული ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, ჩვეულებრივ, თხრობის პროცესში გვხვდება. მეზღაპრე ყოველთვის არ აღწერს პერსონაჟთა გარეგნულ ნიშნებს, მათ თვისებებს, მაგრამ სხვადასხვა მყარი ენობრივი ფორმულის გამოყენებით ახერხებს სრულყოფილი შთაბეჭდილება შეგვიქმნას მათი სიძლიერისა თუ სილამაზის შესახებ:

ლნტ.:

ექვალი ლი ჭყინტ, ერე მანდა ხოჩა ეჩა ლისკდის („სვან. პროზ. ტ.“, III, რცხმელური, 291, 20 21) „ისეთი ბიჭი (< ლეჩხ. „ჭყინტლი“), რომ არაფერი სჯობს ამის ყურებას“;

ალ დენა ექვალი ხოჩა ლას, ერე ხოჩილ მან არდა ეჭმინე პრემარემსკა (იქვე, ხოფური, 282, 16 - 17) - „ეს გოგო ისეთი („ე-გ ყალიბ-ჩის“) კარგი იყო, რომ უკეთესი არ იყო იმათ არემარეში“.

ლშხ.:

ალე ექვალი ლას, ერე მჯეს ხაჯონდა („სვან. პროზ. ტ.“, IV, 87, 31 - 32) - „ეს ისეთი („ე-გ ყალიბ-ჩის“) იყო, რომ მზეს ჰგავდა“;

ჭყინტ ექვაიბ ღონდერ, ერე თელდ ქუეყანანდა ამკალიბ დარ პრდა (იქვე, 71, 14-15) „ბიჭი ისეთი ღონიერი (იყო), რომ მთელ ქვეყანაში ასეთი ღონიერი არავინ იყო“;

მაკოფ ედუი ენგმგუმინან, ერე გიმს ხანდა გუმბი ნალკმაშოშ (არს. ონ., 64, 10) - „იაკობი ისე დამძიმებულა, რომ მიწას ემძიმებოდა მისი ტარება („მიწას ჰქონდა ძალის სიმძიმე“)“ (იაკობი გარდაცვლილ გმირთა ღონის შთაბერვის გამო მძიმდება, ძალა ემატება);

ანდრი მერტუშდუოხუშდლუთხუმ დანუ, დეც ი გიმ ქუთან (იქვე, 65, 29 - 30) - „მოდის ოცდახუთთავიანი დევი, ცა და მიწა ირყევა“.

თუ ზოგჯერ ღონიერების გამოვლენის საფუძველი გაბრაზება ხდება, სიმამაცის წარმოსაჩენად ეს სულაც არ არის აუცილებელი, იგი ხშირად აისახება დიალოგებში გაშლილი მყარი ფორმულებით.

შეჭიდებას ხშირად უძღვის გამაფრთხილებელი სიტყვები, სპეციალურად დევის „მეტყველების“ მახასიათებლები, რომლებიც გამოწვევას გულისხმობს:

ლნტ.:

დანუდ ხაქუ: ინძლა ი ბენძლა ლოქ („სვან. ენ. ქრესტ.“, ბავარი, 331, 37 - 38; ფაყი, 338, 4) - „დევმა უთხრა: „დავეჭიდოთ““;

დანუდ ხაქუ: ჩიქე ითმილ-მიმთილ მარ, ეჩანდო ინძლილ-ბინძლილ („სვან. ენ. ქრესტ“, მელილი, 318, 13; 14 - 15) - „დევმა უთხრა: ჯერ ითმილ-მიმთილი („მაქვს“), მერე ინძლილ-ბინძლილი“ („დავეჭიდოთ“).

ამგვარი გამოწვევა-გაფრთხილება სხვა კილოებშიც დასტურდება:

შდრ. ბზ.:

ჭყინტგლდ, ნთნლ-მნთნლ, აღო გნძლად-ბგნძლ (,,სვან. პროზ. ტ.", I, იფარი, 188, 30 - 31) - „ბიჭუნავ, ითილ-მითილი, თორემ, უნძლად-ბუნძლ“ („დავექილოთ“);

ბქ.:

დჟუ ჟ'ოხპარ:... გნძლათა-ბგნძლ(,,სვან. პროზ. ტ.", II, ცხუმარი, 117,4)- „დევი წამოხტა:... უნძლად-ბუნძლ“ („დავექილოთ“).

აღსანიშნავია, რომ უნძლად-ბუნძლ // ინძლილ-ბინძლილ, ითმილ-მიმთილ // ნთნლ-მნთნლ - გამოწვევა-გაფრთხილების გამოძახტველი ლექსემები ზღაპარში, ძირითადად, დევთან დიალოგში დასტურდება, თუმცა „გნძლად-ბგნძლ // გნძლად-ბგნძლ“ სვანურ ცოცხალ მეტყველებაში დღესაც იხმარება, ოღონდ არა მტრული დამოკიდებულების გამოსახატავად, არამედ დაჭიდების მნიშვნელობით.

დაჭიდების საწინდარი სხვადასხვა სახის შერკინებაა ხოლმე. ზღაპრის გმირი და მისი მტერი (უმეტესად მითური პერსონაჟი) ცდიან ერთმანეთს კუნძის დახეტქვაში, ნანადირევის გატყავებასა თუ სმა-ჰამაში. ამ უკანასკნელის ამსახველი დიალოგები ქართული ზღაპრის მსგავსია და ყველა კილოში დასტურდება:

ბზ:

უანშმობჟინ ლანჭტუდლა: ძჟერ ესერ ხოცხა ა ჭიჭჟარ? („სვან. პროზ. ტ.", I, ლენჯერი, 401, 28 - 29) - „ვანშმობისას ჰკითხა: ხორციო გირჩევნიათ („ურჩევნიათ“) თუ ძვლები? “

ბქ.:

დჟუდ ხანჭტუ: - ყანწუთ ჭიცხა ა დოქუთ ჭიცხა? ეჯნემ ხანჭტუ: - მიჩ ესერ ყანწუშუ ხოცხა, დოქით ჭ'ესერ ირი ლუმტქტუ („სვან. პროზ. ტ.", II, ცხუმარი, 116, 117; 37, 2). - „დევა უთხრა: ყანწით გირჩევნია თუ დოქით გირჩევნია? - იმან უთხრა: - მეო („მასო“) ყანწით მირჩევნია („ურჩევნია“), დოქით შენო („თვითნო“) იქნები მიჩვეული.

ყანწუთ („ყანწით“), დოქუთ („დოქით“), -უთ ნაწილაკის დართვით იწარმოება, რაც დევის მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. სვანეთში არსებული რწმენის თანახმად, დევი, გარეგნული და ზებუნებრივი თვისებების გარდა, ადამიანისგან მეტყველებითაც გამოირჩევა.

შდრ. ლშხ.:

ლაყურა მძრე ლოქ ლინ გჷალიშ? ... - გჷალ მაღ მიჩა გჷეში
ლოქ ლი, ლაყურაჲ ლოქ ოთფხიეიხ (სვან. პროზ. ტ., IV, 100, 2-3) -
„საწოლი“⁹⁵ კაციო ხარ (ძვ. ქ. „არისა“?) თუ ბაგისა? ... - ბაგა რა
ჩემი („მისი“) საქმეა, საწოლი გამიშალეთო“ („საწოლიმცა
გაუშალეს“).

ამ პასუხებით გამოვლენილი უშიშრობა ხასიათის ის თვისებაა,
რომელსაც მთელი თხრობის მანძილზე იჩენს გმირი, მისი
მოგზაურობაც სიმამაცითაა შეპირობებული, რომელსაც
მონერნებულობა და გამჭრიახობაც ერთვის.

„ხასიათის ასახვამ მხატვრულ ნაწარმოებში ხანგრძლივი გზა
განვლო და ფოლკლორი, როგორც ლიტერატურული მოვლენა, ვერ
შეეჭიბრება მწერლობას რთული და ინდივიდუალურად
გამოკვეთილი ხასიათის შექმნაში ზღაპრის თუ მითური
თქმულების პერსონაჟები თითქმის ყოველთვის ან ირეალურნი ან
არაჩვეულებრივნი არიან ... ხოლო რაც შეეხება მათ შინაგან
სამყაროს, მათ თვისებებს - ისინი ასევე არ გვაცვიფრებენ თავიანთი
არაჩვეულებრიობით“⁹⁵.

ზღაპარში, ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, გმირის მიერ
სიმამაცის გამოჩენა უჩვეულო და განსაცვიფრებელია იმდენად,
რამდენადაც იგი „უძლეველ“ (ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით)
არსებას, ცხრა ან თორმეტთავიან დევსა თუ გველეშაპს უნდა
შეებრძოლოს. მეტიც, მის პასუხებში გულადობასთან ერთად
კადნიერებაც გამოსჰვივის, თუმცა ეს წამითაც არ განაწყობს
მსმენელსა თუ მკითხველს უარყოფითად, რადგან ამგვარი პასუხების
ავტორი ხდება სწორედ ბოროტის დამმარცხებელი. მისი სიტყვები
გმირის უეჭველ გამარჯვებაზეც მიგვანიშნებს, რადგან მათ
საპირისპიროდ დასტურდება დამარცხებული ძმების შედარებით
თავმდაბლური არჩევანი: „ბაგა გვირჩევნიაო“.

გამაფრთხილებელი წარწერა ქვაზე (ან კარზე), ჩვეულებრივ,
გმირის ბედს წინასწარმეტყველებს და ქვემოსვანურ ზღაპარშიც
გვხვდება:

ლნტ:.

ემსუს ხაძრა: „ფერჷმა ალ შუჷტ ლემა ადინე, აგხო ლუჷჷარ დემ
ლოქ ჰედენი“; მერბეს ხაძრა: „ფერჷმა ამელემა ადინე, აგხო ლგჷჷარ

⁹⁵ ქ. ბარდაველიძე, ინდივიდუალური ხასიათის პრობლემა ფოლკლორში,
ქართული ფოლკორი, III, თბილისი, 1969, გვ. 190 - 194.

ლოქ ჰედენი,მესემეს ხაზრა: „მერტამ ამელემა ადინე, აგხო ხოჩამდ ლოქ ანტეხენი“ („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოჯური, 255, 30 - 34)- „ერთს აწერია: ვინც ამ გზაზე წავა, სახლში ცოცხალი ველარ მივაო; მეორეს აწერია: ვინც ამ გზაზე წავა, სახლში დაქრილი მივაო; მესამეს აწერია: ვინც ამ გზაზე წავა, სახლში კარგად მობრუნდებაო“.

ასევე გაფრთხილებას შეიცავს სხვადასხვა პერსონაჟთა მიერ გმირის მისამართით წარმოთქმული გამონათქვამები:

ეროს მეზი ხუმა ლოქ ხოწუა, ამოხ-დესა („სვან. ენ. ქრესტ.“, ხაჩეში, 341, 31 - 32, 341, 42) - „იქით წამსვლელი ბევრი მინახავს, აქეთ - არავინ“;

მერტამ ლოქ ამეჩედელი, ლოშტ ლოქ დარ მეტეხელი („სვან. პროზ. ტ.“, III, რცხმელური, 306, 30 - 31) - „ვინცო წასულა, უკანო არავინ დაბრუნებულა“;

მერტამ სკადინოლ ეჭ მეფეხოძსკა, ლუტარ დარ ლგმანტეხელი ქამხო (იქვე, 237, 14) - „ვინც იმ მეფესთან შესულა, ცოცხალი არ დაბრუნებულა („ნაბრუნება“) გარეთ“;

ლშხ.:

ერხანტ მეზი ლოქ ხუმა ხოწუა, მეტეხ - დარ („სვან. პროზ. ტ.“, IV, 79, 6) - „იქით წამსვლელი ბევრი მინახავს, დაბრუნებული - არავინ“;

ერხანტ, თხუმეი ფათუ ერ მანგ, ამშელდ ლოქ მეჩედ, მარა დარ ლოქ მეტეხ(სვან. ენ. ქრესტ.“, სასაში, 279, 24) - „იქით, თავზე თმა რომ მაქვს, ამდენიაო წასული, მაგრამ დაბრუნებული არავინო“.

ლნტ.:

მგლდელდ უარ ხაქუ: ეროს მეზი ხუმა მიწუა, მარე ლოშტ დარ ანტახ („სვან. ენ. ქრესტ.“, ლექსურა, 324, 16) - „მწყემსმა უარი უთხრა: „იქით წამსვლელი ბევრი მინახავს, მაგრამ უკან არავინ დაბრუნდა“.

გამაფრთხილებელი შინაარსის მზა ფორმულათა გვერდით გვხვდება პრისხანებისა და მუქარის გამომხატველი გამონათქვამები:

- მა ლოქ ჭაკუ ამეჩუ სი? მიშტუა მაყალშუ ნებოლ დემ პერენი ამეჩუნ („სვან. პროზ. ტ.“, III, რცხმელური, 318, 36) - „შენ აქ რა გინდაო? ჩემი შიშით ჩიტი არ ფრენს აქ“;

ჩუქტან ჭიშხშუ დარ მევედლი, ჟიქან ნებოლ მან მეპერლი; სი მა ხი ამკალი, გუშტუე ცხეკს ერე სი ხაქანე? (იქვე, 219, 19 - 21) -

„ქვევით ფეხით არავინ მოსულა („არავინაა მომსვლელი“), ზევით ჩიტი არ მოფრენილა; შენ ვინ („რა“) ხარ ამისთანა („ამჟღად-ის“), ჩვენს ტყეს რომ კაფავ?“.

შდრ. ლშხ.:

არიქა, თხუმსუ ხოწნდახ, ოდო ლეგდ ლი მინე გუეშ (არს.ონ., 71, 5-6) - „არიქა თავს უშველეთ („უშველეს“), თორემ ავად არის თქვენი („მათი“) საქმეო.“

ამრიგად, ამგვარი გამონათქვამები „მაჩვენებელია ზღაპრის პერსონაჟთა - მეტწილად უარყოფით გმირთა ხასიათისა; მისი გამოყენებით მთქმელები გვამცნობენ მათ ფეოიზმსა და ყოყოჩობას..., რომ ესა თუ ის ადგილი მიუვალი ან ძნელად მისაღწევია“⁹⁶.

ჩვეულებრივ, ეს ფრაზები დევებს ან სხვა მითურ პერსონაჟებს ეკუთვნით, ისევე, როგორც მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში გავრცელებული სტაბილური ფორმულა - „ადამიანის სუნი მცემს!“

ლნტ.: ადამიანი ქუინ ლოქ ხოჯან („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოფური, 272; 21 - 22; 274, 1 - 2) - ადამიანის სუნი მცემსო („უღის“);

ღაღდ ბჟჟ რაშჟს, ერე ქრისტიანი ქუინ ლოქ ხოჯან (იქვე, ხელედი, 156, 14-15) - „ღეგა უთხრა რაშს, რომ ქრისტიანი სუნი მცემსო („უღის“)“.

შდრ. ლშხ.:

ანჯად ღაუ ი მიჩა დედეს ბჟჟჟ, ერე მარემი ქუნ ლოქ ხაჯან („სვან. პროზ. ტ.“, IV, 98, 33) - „მოვიდა დევი და დედამისს უთხრა, რომ კაცი სუნი მცემსო („ასღის“).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თავდაპირველად უნდა არსებულებო გამოთქმა „ადამიანის სუნი“, რომელიც, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, „როცა ეპოსის წარმართულ ჟანრთა ქრისტიანიზაციის პროცესი დაიწყო“, „ქრისტიანის სუნმა“ შეცვალა⁹⁷.

სვანურ ზღაპრებში არ დასტურდება ქართულში გავრცელებული გამოთქმა „სულიერის (ხორციელის) სუნი“ სამაგიეროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იშვიათად გვხვდება „ღევის ოხშივარი“:

⁹⁶ ქ. სიხარულიძე, ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი, 1976, გვ. 141.

⁹⁷ ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველის საკითხები, თბილისი, 1989, გვ. 138.

ანეირ ბუქდ ი დანა უშუშდი (არს ონ., 71, 11) - „მოატანა ქარმა (<„ბუქმა“) და დევის ოხშივარმაც“ დევის მოახლოებას ამ შემთხვევაში გმირი სუნის საშუალებით იგებს. განსაკუთრებული ყნოსვა, ჩვეულებრივ, ცხოველებს ან არაადამიანურ არსებებს აქვთ ხოლმე განვითარებული. ადამიანები მითურ პერსონაჟთა სიახლოვეს სხვაგვარად იგებენ (ცხენის ჭიჭინით, მიწის ზანზარით...) და არა სუნით.

კონტექსტის გარეშე გაუგებარია ისეთი ელიფსური გამონათქვამი, როგორიცაა:

ლნტ.:

ყუჩის ლოქ ა დადუს? („სვან. პროზ. ტ.“, III, რცხმელური, 314, 19) - „მამალსო თუ დედალს?“

შდრ. ლშხ.:

ქანს ლოქუ ნ ფურს? („სვან.პროზ.ტ.“, IV, 277, 2) - „ ხარსა თუ ფურსაო?“.

ამ ფრაზებით გმირი კითხულობს, რომელს ესროლოს ისარი - ქალს თუ კაცს (ზოგჯერ ორივე მოღალატეა, ზოგჯერ კი ერთ-ერთი მათგანი).

ხალხურ მეტყველებაში დიალოგს დიდი ადგილი უჭირავს; ზღაპარში „უთხრა“ ზმნიანი დიალოგები ქარბობს. ჩვენთვის საინტერესოა დიალოგებში მოქცეული გამონათქვამები:

ლნტ.:

ჩე ლოქ დიჲ ი ჩე - გეზალ! („სვან. ენ. ქრესტ.“, 333, 34) - „შენო („თვითონო“) დედა და მე - შვილი!“

ალ დენას ხოქუა, ერე ჩე ლოქ ჭაშ ი ჩე ლოქ მეხუ (იქვე, 340, 39) - „ამ გოგომ უთხრა, რომ შენო („თვითონო“) ქმარი და მეო („თვითონო“) ცოლი;

ეს ფრაზებიც ელიფსურია, მაგრამ „ყოფნა“ ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმა ადვილად ივარაუდება და ყოველგვარ გაუგებრობას გამოორიცხავს, თუმცა გვხვდება ზმნის შემცველი გამონათქვამებიც:

ამანლო ჩე მეხუ ლოქუ ლას ი ჩე - ჭაშ („სვან. ენ. ქრესტ.“, ლექსურა, 325, 13-14) - „ამიერიდან მე („თვითონ“) ცოლიო ვიყო („ცოლიმცაო იყო“) და შენ („თვითონ“) - ქმარი“.

დიალოგშივე ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა:

სი, დაშტუარე ბედიშ! („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოფური, 253, 1) - „შე, დათვებიწ“ ბედისავ!

სი, თხერეში ბედიშ (იქვე, 252, 30) - „შე, მგლიწ“ ბედისავ!

მიშეტი ბედიშ ხი („სვან. ენ. ქრესტ.“, ხოფური, 352, 18) - „ჩემი (იგულისხმება „დევის“) ბედის ხარ!“

ხეკერალ ღერბათუ: აშშა ბედიშ ნომაჲ ანასყე (იქვე, ხაჩეში, 340, 36-37) - „ეხვეწება ღმერთს: ამის ბედის¹ას² ნუ გამხდლი!

ზღრ. ლშხ.:

ნიცი ბედიშუ ლოქ ჩომინხ (არს, ონ., 58, 16) - „წყლი³ ბედისამცო გავხადოთ (< „ქმნეს“);

კოჯი ბედიშუ ლოქ ჩომინხ (იქვე, 58, 15) - „კლდის ბედისო გავხადოთ“ („ბედისამცო ქმნეს“).

მსგავსი ფრაზები პერსონაჟის ბედს გვიწინასწარმეტყველებენ და უჩვენებენ ქართულისთვის.

ლენტეხურ ზღაპრებში მრავლად გვხვდება ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზოლოგიური შესიტყვებებიც: ჭარჟი ასგან - „უარზე დადგა“, წინააღმდეგობ გაუწია - „წინააღმდეგობა გაუწია“, კოკმან ახოკიდა - „ეპკი (< „ყოყმანი“) აიღო“, ჯაჟრ ახოშიდნეს - „ჯავრი იყარა“, შკურშე ჩუალბაქელიხ „სირცხვილით დადნენ“, ფიქრისკა აშყად - „ფიქრში ჩავარდა“, იდგაროლდა მწიღშე - „კვდებოდა შიმშილით“, მაფუნშე იდგაროლ - „წყურვით კვდება“ და ა.შ.

ზოგჯერ ისინი თავისებურებასაც ამჟღავნებენ:

ლნტ.:

ეკვპლი ლოქ ასახუია თხერიე, ერე თაჲნარ ქუინარ ლოქ ათაჩედა მაყალშე („სვან.პროზ.ტ.“, III, ლნტ., 204, 12 - 13) - ისეთი („ისეთიო“), მგელი დამხვედრია („მეხვედრია“), რომ შიშით მთავარი სული („სულებიო“) წამსვლია („წასვლია“).

სვანური მეტყველებისათვის დამახასიათებელია (ქუინარ - „სულები“) მრავლობითი რიცხვის ფორმის გამოყენება მხოლობითის მნიშვნელობით:

ლშხ.:

მიჩა დედე ქუნარე სამგრთალ ლოქ ე ჩუ ესა პრდეს, ალე სარკ ... აგიოთჲ ათეჲსტნე („სვან. პროზ. ტ.“, IV, 79, 17 - 18; 79, 10-11) - „დედაჩემის“ (ჩემი დედი⁴ს⁵) სული⁶ს⁷ („სულების“) სამართალიო თუ კი იყოს, ეს სარკე ... შინამდე მიმატანიეო („მიმალწევინე“).

ლენტეხურში ერთადერთხელ დასტურდება გამონათქვამი ალ ზურალ ლატუხო ლახტემ თხტიმ (სვან. პროზ. ტ.“, III, 224, 26) - „ეს ქალი გაიქცა („ამ ქალმა გაქცევსკენ მისცა თავი“).

§3. ფინალური გამონათქვამები

დალოცვითი ფინალური გამონათქვამები ხშირად მარტივი წინადადებებით გადმოიცემა. კავშირებითის მწკრივში წარმოდგენილი ზმნა მრავალფეროვნებას ამჟღავნებს უპრევერბო თუ პრევერბიანი ფორმების გამოყენების თვალსაზრისით. ერთმანეთს ენაცვლება: ადსამეზრას, ჯამეზრას, აქსამეზრას, აცსამეზრას, აცცამეზრას ფორმები (ქარბობს: ადსამეზრას და აქსამეზრას), ხოლო არსებითი სახელი -დ, -ემ და -ედმ მორფემიან მოთხრობითშია:

ასამეზრა // ადსამეზრას ღერბეთ! („სვან. პროზ. ტ.“, III, ხოფური, 250, 37; 261, 17; 262, 27 ...) - „დაგლოცოთ ღმერთმა! აქ ერგატივის მაწარმოებელი -დ დაკარგული უნდა იყოს.

-დ ნიშნიანი მოთხრობითი:

ადსამეზრას ღერბეთდ! (იქვე, 277,11; 270,15)-„დაგლოცოთ ღმერთმა“!

-ემ-იანი მოთხრობითი:

აქსამეზრას // აცსამეზრას // ადსამეზრას ღერთემ! (იქვე,185,15; ხელედი,194, 24; ხოფური, 296,7-8) - „დაგლოცოს („დაგლოცოთ“) ღმერთმა“!

-ემ მორფემიანი ერგატივი ყველაზე ხშირადაა, ლაშხურის ფინალურ ფორმულებში კი იგი ძირითადია.

-ემდ მორფემიანი მოთხრობითი: ადსამეზრას // აქსამეზრას // აცსამეზრას ღერთემდ(იქვე, რცხმელური, 296, 32; „სვან. ენ. ქრესტ.“, 333, 21; 352, 23)- „დაგლოცოს // დაგლოცოთ ღმერთმა“.

სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარ ფორმებს ახასიათებენ როგორც „ერთი და იმავე ფუნქციის მქონე სუფიქსთა კომბინაციას“⁹⁸, ანუ როგორც ორმაგად გაფორმებულ ერგატივს. არსებობს მოსაზრება, რომ „-ემ თავდაპირველად არ ყოფილა ერგატივის მაწარმოებელი. შდრ. ღერთემდ - „ღმერთმა“, მარემდ - „კაცმა“, ამნემდ - „ამან“, ჩიემდ - „ყველამ“ ..., საიდანაც აუსლაუტში მოხვედრილი დ' თანხმოვნის ადვილად დაკარგვის გამო ვლებულობთ ღერთემ, მარემ, ამნემ, ჩიემ და მისთანა ფორმებს

⁹⁸ ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი, 89, 113;

ისტორიულად აქ მხოლოდ ერთი ნიშანი (-დ) გვქონდა შესაბამისი ფუნქციის გადმოსაცემად⁹⁹.

დასასრულშივე გვხვდება ლენტეხური ზღაპრის თავში დადასტურებული ფორმულა:

აშ ჯამზგრაზ ღერბეთ! („სვან. პროზ. ტ.", III, ხოფური, 263, 36; 230, 18;) - „ასე დაგლოცოთ ღმერთმა“.

ასევე მარტივი წინადადებითაა გადმოცემული მეტყველებაში (განსაკუთრებით სადღეგრძელოებში) გავრცელებული ფრაზა:

მგუ ხოჩამდ ხაჩიდ („სვან. ენ. ქრესტ.", მელილი, 317, 9) - „ყველანი კარგად იყავით („ყველანიმც ხართ“) -. იგი მხოლოდ ერთხელ დავაფიქსირეთ ლენტეხურ ზღაპარში.

ცხოვრების ბედნიერ დასასრულზე მიუთითებს ისეთი მარტივი არადალოცვითი გამონათქვამები, როგორიცაა:

ლეუან დათფიშუილს ხოჩა ლირდე ხადა(სვან. პროზ. ტ.", III, ხელედი 160, 36) - „ლეუან დათფიშვილს კარგი ცხოვრება ჰქონდა“;

მინდ, მასაჟრელ, ხოჩა ლირდ' ადვილხ (იქვე, 170, 9) - „მათ, რასაკვირველია, კარგი ცხოვრება გაატარეს“;

ხოჩა ცხოურება გაუტარებიათ (// ათოტარაჟახ)¹⁰⁰ (იქვე, 269, 4-5) - „კარგი ცხოვრება გაუტარებიათ“;

ლგმაცხოურებლის ხოჩამდ(იქვე, რცხმელური, 311, 20) „თურმე უცხოვრიათ („ნაცხოვრებან“) კარგად“.

ზმნა-შემასმენელი ძირითადად წყვეტილსა და თურმეობითშია, შედარებით იშვიათად დასტურდება აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივში:

ილზიგალხ გჰმიანდ (იქვე, 300, 3-4) - „ცხოვრობენ გემრიელად“; ატარაჟიხ ხოჩა ლირდეს (იქვე, ხელედი, 150, 9)-„ატარებენ კარგ ცხოვრებას“.

აწმყოს მწკრივის ფორმათა გამოყენებით მთქმელი მოთხრობილი ამბის უშუალო მონაწილედ თუ არა მოწმედ მაინც გვევლინება.

უწყვეტელი:

⁹⁹ ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998, 92 - 93.

¹⁰⁰ ეს ფრაზა მეტად საგულისხმოა ენათა კონტაქტების თვალსაზრისით - I შემთხვევაში მთელი გრამატიკული ფორმაა ნასესხები ქართულიდან (გა-უ-ტარ-ებ-ი-ა-თ), ხოლო II შემთხვევაში მარტოოდენ ძირი -ტარ-, რომელიც გასვანურებულია (ათ-ო-ტარ-აჟ-ა-ხ).

არდახ ხოჩამდ - „იყვენ ბენიერად“ („სვან.ენ.ქრესტ.“, ფაყი, 338, 40-41).

ინიციალურ ფორმულათა მსგავსად, დასასრულშიც ხშირად ერთად იყრის თავს ორი ან რამდენიმე მარტივი წინადადება:

თელ ქუეყანაი კეთილ ჩუასსედა ი ხოჩა ლირდე ათოტარაჟა. აქსამზგრე ღერთემ! (იქვე, 336, 22 - 23) - „მთელი ქვეყნის სიკეთე დარჩენია და კარგი ცხოვრება გაუტარებია. დაგლოცოს ღმერთმა!“

აგის ქეიფ გადაიხადეს (=ჩუემინხ), ეჩანლო აქსამზგრახ ღერბეთდ! („სვან. პროზ. ტ.“, ლექსურა, III, 241, 2 - 3) - „სახლში ქეიფი გადაიხადეს (=ქნეს), მერე დაგლოცოთ ღმერთმა“.

მინს ჩიის ხოჩა ლირდე ათოჯიდახ ი სკა ლაი ხოჩა ლირდეჟ აჯიდახ! ათცანზგრახ ღერბეთემდ! („სვან.ენ.ქრესტ.“, ხელედი, 348, 22 - 23) „მათ ყველას კარგი ცხოვრება გაუტარებიათ და თქვენც კარგი ცხოვრება („ცხოვრებამც“) გაგეტარებინოთ („გაგიტარებიათ“) დაგლოცოთ ღმერთმა!“.

შიშინა სპირანტის წინ მელერი აფრიკატის დაყრუების (როგორც სრული, ისე ნაწილობრივი ასიმილაციის) პროცესი (აცცამზგრახ < აცსამზგრახ < აქსამზგრახ) ჩვეულებრივია ლენტეხურ ზღაპარში, მაგრამ დალოცვის ფორმულაში შეშვალ ზმნაში მ>ნ არ შეგვხვდრია სხვაგან.

ხშირად „ყოფნა-არსებობის“ აღსანიშნავად გამოიყენება ორცნებიანი კომპოზიტი ლირდე-ლიზგე („ყოფა-ცხოვრება“):

ეჯმინს ხოჩა ლირდე-ლიზგე ათოჯიდახ. აქსამზგრას ღერთემდ! (იქვე, ზოფური, 351, 25 - 26) - „მათ კარგი ყოფა-ცხოვრება გაუტარებიათ (< „გა-და-ხდ-ომ-ი-ა-თ“) დაგლოცოს ღმერთმა!“

ეჯმინდ ხოჩა ლირდე-ლიზგე ადჯიდხ, სკა ლემეზრეჟ ხიდ! („სვან. პროზ. ტ.“, III, ხელედი, 182, 33) - „მათ კარგი ყოფა-ცხოვრება გაატარეს, თქვენ დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“)!

ლენტეხური ზღაპრის თავისებურებაზე მეტყველებს გამოწერა-თქვამები, სადაც კომპოზიტს ლირდე-ლიზგე („ყოფა-ცხოვრება“) ასევე ორცნებიანი კომპოზიტი ლირდე-ლიცხემ („ყოფა-მატება“) ცვლის:

ხოჩა ლირდე-ლიცხემ ათოჯიდახ. აჰ ჯამზგრას ღერთემ! (იქვე, ლენტეხი, 216, 6) - „კარგი ყოფა („მატება“, „ზრდა“ < „სხ-მა“) გაუტარებიათ. ასე დაგლოცოს ღმერთმა!“

ხენწიფს მერქედწუშ ძღვდ საცხოურებელწლ ლახოჟოდა ი ხოჩა ლირდე-ლიცხემ ათოჯიდახ. აცსამზგრახ ღერთემ! (იქვე, ხელედი,

192, 15 - 17) - „ხელმწიფეს ორივესთვის („ორივესა“დ“) დიდი საცხოვრებლები მიუცია და კარგი ყოფა („მატება“) გაუტარებიათ. დაგლოცოთ ღმერთმა!

ამ ფრაზებში ლექსება „მატება“ ერთდროულად უნდა გულისხმობდეს გამდიდრებასაც და გამრავლებასაც.

სვანურის სპეციფიკური ფორმულების გვერდით გვხვდება ქართული ზღაპრისთვის დამახასიათებელი დასასრულიც:

ლათ ეჩე ხუარდ, ლადელი ამეჩუნ ხუარი (იქვე, ხოფური, 281, 37) - „გუშინ იქ ვიყავი, დღეს აქ ვარ“;

ლათ ეჩე ხუარდხუეს, ლადელი ამეჩუნ ხუარი. აშ ჟამეზრახ ღერბეთდ! (იქვე, 279, 30-31) - „გუშინ იქ ვიყავი, დღეს აქ ვარ. ასე დაგლოცოთ ღმერთმა“.

შდრ. მეგრული:

გოლა თექ გოხოლუდი დო ამდლა თაქ ვორექ - „გუშინ იქ ვიყავი და დღეს აქ ვარ“.

როგორც ვხედავთ, მეზღაპრე ხუმრობით თავს წარმოგვიდგენს მოთხრობილი ამბის თანამონაწილედ და თითქოს ცდილობს მის სინამდვილეში დაგვარწმუნოს, მაგრამ სხვა შემთხვევაში პირიქით, მთქმელი გვიმუდავნებს, რომ თავადაც არ სჯერა ნაამბობისა და ზღაპრის გმირების არსებობისა:

აშირ ლირტყუელ, ეშხუ მართალ ეჩა ლიჲედალ-სკა! („სვან. ენ. ქრესტ.“, ლენტეხი, 330, 29) - „ასი ტყუილი, ერთი მართალი იმათ მოსვლამდე თქვენ!“ .

ასეთივე შინაარსისაა ფორმულა:

აცცამზერახ ღერთემ ი ეჯმინეშ ლიჲედალუ ხორდგუნად ღერბათუ! (იქვე, 345, 41-42) - „დაგლოცოთ ღმერთმა და იმათ მოსვლამდე გამყოფოთ ღმერთმა“.

ქართულის „პირი - იქა, ლხინი - აქა“-ს მსგავსია ლენტეხური ზღაპრის ფრაზა ეშჩე (// ეჩჩე) ხოჩა ამე ი ამეხ ხოლა ეშჩე! („სვან. პროზ. ტ.“, III, ხელედი, 174, 23; 173, 31; 170, 10) - იქაური კარგი აქ და აქაური ცუდი იქ!“.

ზოგჯერ მთქმელი ხაზგასმით აღნიშნავს მთავარი პერსონაჟის შემდგომ კეთილდღეობას:

გეხალუთრა არდა ბედიერდ, ლიზტებ ერ მადმა ხეჲკერნდა, ეჲჲ ხოჩამდ არდა (იქვე, ხელედი, 176, 5 - 6) „გერი („შვილუჩენელი,

„შვილუცნობი“) იყო ბედნიერად, საკმლის გარდა რომ არაფერი სჭირდებოდა, ისე კარგად იყო“.

ზოგჯერ კი მეზღაპრე პირდაპირ არ მიუთითებს გმირის ბედნიერი ცხოვრების შესახებ, მაგრამ ეს მაინც ცხადი ხდება მისი გამდიდრების ან სურვილის განხორციელების ამსახველი გამონათქვამებით:

მეფობ ჩუასესად ეჟ მგზანტრს(იქვე, 238, 21)-„მეფობა დარჩა იმ მგზავრს“;

ხელმწიფობ ი ალე ჩუასესად მგზანტრს(იქვე, ხელედი 158, 30) - „ხელმწიფობა და ეს დარჩა მეზატეს“;

მეხტუდ ვსესად ემ დენა(იქვე, ლენტეხი, 198, 21-22) - „ცოლად დარჩა ის გოგო“.

ზოგჯერ მთქმელი საჭიროდ მიიჩნევს, საგანგებოდ აღნიშნოს თხრობის დასრულება:

ასამეზრა ღერბეთ! ი ალე ლას (იქვე, ხოფური, 253, 23)- „დაგლოცოს ღმერთმა! და ეს იყო“;

შდრ. ლშხ.:

არდახ, ჟოდ ნირდლოხ ხოჩამდ. ჟამზგრახ ღერბეთდ! დესმა ლი სერ(„სვან. პროზ. ტ.“, IV, 105, 7 - 8) - „იყვნენ, ვიდრე იქნებოდნენ, კარგად. დაგლოცოთ ღმერთმა! (მეტი) არაფერია“.

ლენტეხურ კილოზე ჩაწერილ ზღაპრებში საკმაოდ ხშირია არატრადიციული ფინალიც:

მიჩა მუ ლამშაჟეი ჩუანდჟაჩან ი ჩუანდგან ეჟი ლამდი („სვან. პროზ. ტ.“, III, რცხმელური, 300, 23) - „მამამისი მუშაობისას დაიჭრა და ისიც მოკვდა“;

ბოფშარ ლულუჟშარე ასახუიან(იქვე, ხოფური, 265, 30 - 31) - „ბავშვები გაცოცხლებული დახვდათ“.

ამრიგად, ლენტეხური ზღაპრების ფრაზეოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება კიდევ ერთხელ დავადასტუროთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანური ჯაღოსნური მოთხრობის წყობა და თემატიკა ზოგადქართულია¹⁰¹.

¹⁰¹ ო. ონიანი, ხე-მცენარეთა, პერსონიფიკაციის საკითხი სვანურ ჯაღოსნურ ზღაპრებში, ქართული ფოლკლორი, III, 1969, თბილისი, გვ. 356.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურ ზღაპრებში დადასტურებულ ფორმულათა დიდი ნაწილი უნივერსალური ხასიათისაა, თუმცა საკმაოდ გვხვდება სპეციფიკური სტაბილური გამონათქვამებიც.

თავისებურება ხშირად ზღაპრის დასაწყისშივე იჩენს ხოლმე თავს. ინიციალური ფორმულები (ფინალურის მსგავსად) ორ ჯგუფად იყოფა: დალოცვითი და არადალოცვითი ფრაზოლოგიური გამონათქვამები.

დალოცვა ბალსწემოური კილოს ჯადოსნური თხზულების დასაწყისში, ძირითადად, ისეთი მარტივი ფრაზით გადმოიკემა, როგორიცაა: ლემზგრენტუ ხი! - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“)“!

იშვიათად გვხვდება ქვემოსვანურისებური - ჯამზგრაზ ღერთემ! „დაგლოცოთ ღმერთმა“!

ბალსწემოური ზღაპრის სპეციფიკურობას ქმნის ელიფსური კონსტრუქციები:

ლემზგრენტუ ხი ი დეტენ - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და დიაცანი“ - (შემასმენელი ივარაუდება აწმყოს ან უწყვეტლის მწკრივში).

თავისებურია ისიც, რომ ზოგჯერ ერთდროულადაა წარმოდგენილი ერთი და იმავე შინაარსის უშემასმენლო და შემასმენლიანი კონსტრუქციები:

ლემზგრენტუ ხი ი ხეხუ-ტაშ. ლასტუ ეშხუ ხელწიფ - „დალოცვილი იყავი („დალოცვილიმც ხარ“) და ცოლ-ქმარი. იყო („იყვნენ“) ერთი ცოლ-ქმარი“.

საინტერესოა ამავე ტიპის გამონათქვამები, სადაც პირველ (ელიფსურ) ნაწილში დასახელებულია ერთი გმირი (ძირითადად, მთავარი), მეორე ნაწილში კი თხრობა გრძელდება სხვა არამთავარი პერსონაჟის ან პერსონაჟების შესახებ.

ლემზგრენტუ ხიმდ ი დანთით. ლასტუ ეშხუ ხელწიფ - „დალოცვილი იყავით („დალოცვილიმც ხართ“) და დავითი. იყო ერთი ხელმწიფე“ (დავითი ხელმწიფის მოურავია).

მსგავს უშემასმენლო კონსტრუქციებს ბალსწემოური კილოს ზღაპრებში უპირისპირდება ინიციალური გამონათქვამი, სადაც მეორდება ყოფნა-არსებობის აღმნიშვნელი ზმნის უპრევერბო და პრევერბიანი ფორმები:

იმეგ არიხ ეშხუ ხეხუ-ტაშ ი ჩუწარიხ - „სადაც („სად“) არის („არიან“) ერთი ცოლ-ქმარი და ქე არიან“.

იმეგ/ემეგ („სად?“) ზმნისართიანი ფრაზებით იწყება ბალსწემოური ზღაპარი, რითაც განსხვავდება სვანურის სხვა დიალექტებზე ჩაწერილ ზღაპართაგან. იმეგ კითხვითი ზმნისართია („სად?“), მაგრამ ზღაპრებში მიმართებითი ზმნისართის ფუნქციით გვხვდება („სადაც“) ძველი ქართულის მსგავსად.

სვანურის საპირისპიროდ, მეგრულ-ლაზურში დასტურდება უნივერსალური ფორმულა:

ლაზური: ტუ დო ვარ ტუ... ქორტუ ("იყო და არ იყო... იყო")

მეგრული: ქოჯოფე, ქოჯოფე დო მუთა ეოფე ("ყოფილა, ყოფილა... და არაფერი ყოფილა").

მეგრულში მეორდება ზმნა თურმეობითის ფორმაშიც: ქოჯოფენია, ქოჯოფენია მათა მუზარბიი "ყოფილაო, ყოფილაო მეფე მუზარბიი".

დალოცვითი ინიციალური ფორმულაც განსხვავებულია ბალსქვემოურ დიალექტზე ფიქსირებულ ზღაპრებშიც (თუმცა იშვიათად დასტურდება):

ხოჩემიშ გარუ ლამბუალ ლი - "მხოლოდ კარგი საამბოები იყოს" ("კარგის მხოლოდამცა საამბოები არის"). მთქმელი მოსათხრობი ამბის უცილობელ ბედნიერ დასასრულზე მიუთითებს და ამავდროულად ლოცვასაც გულისხმობს, რასაც აჟ-ჟ ("მცა") ნაწილაკის გამოყენება გვაფარულებინებს. ქვემოსვანური ზღაპრის თავში ძირითადია დალოცვა:

ლშხ: ჯამზგრაზ ლერთემ და ლნტ: ჯამზერას//აცსამზგრაზ ლერთემ ("დავლოცოთ ღმერთმა"), სადაც ზმნა-შემასმენელი კავშირებითის ფორმითაა წარმოდგენილი, არსებითი სახელი კი გვხვდება უმ ან -დ მორფემიან მოთხრობითში.

ქართული და სვანური ზღაპრებისგან განსხვავებით, მეგრულ-ლაზურს არ ახასიათებს დალოცვითი დასაწყისი.

არადალოცვით დასაწყისში ყოფნა-არსებობის აღმნიშვნელი ზმნა სვანურის სხვადასხვა კილოზე ფიქსირებულ ზღაპრებში დასტურდება აწმყოს, უწყვეტელის, თურმეობითის ფორმით: არი ("არის"), არდა, ლასტუ ("იყო"), ლგმარდელი ("ყოფილა"). ლაზურში ოგი ყველაზე ხშირად თურმეობითის მწრივში გვხვდება.

მედიალურ გამონათქვამთაგან მოგზაურობის ამსახველი ფრაზები ყველაზე ბევრია. საერთაშორისო ხასიათის ფორმულა, რომელიც ორ ვარიანტად წარმოგვიდგება ("იარა, იარა", "ზევრი იარა თუ ცოტა იარა"), სვანურ ზღაპრებშიც გვხვდება, მაგრამ, ქართულისგან განსხვავებით, მეორდება, ძირითადად, "სვლა" ზმნის აწმყოს ფორმები: ესლრი, ესლრი... ("მიდის, მიდის...") რაც შეეხება მეორე ვარიანტს, ოგი იშვიათად დასტურდება და თავისებურებას ამჟღავნებს:

ბზ.: ძღვდ მეჩედ, ჰა კოტროლ ("დიდი წასულა თუ ცოტა");

ლშხ.: ანხად ძღვდ ა კოჭოლ ("წავიდა დიდი თუ ცოტა");

ხანგრძლივი მოგზაურობის გამომხატველ გამონათქვამთაგან ყურადღებას იქცევს:

ბზ.: ესლრი, ესლრი,... ქუეყანა მან ჩოთმდან... ათხე მინდლერს ათაგან, მინდლარი ჩოთმდან. ათხე ლაჰადგნ ტუტური პილთეჟა - "მიდის, მიდის,... ქვეყანა სულ ("ყველა") დაუმთავრდა... ახლა მინდორს დაადგა, მინდორიც გაუთავდა... ახლა ტევრის პირს მიაღგა."

ბქ.: ადამი ეგვრება ადგის, ერთი, ჩაუთვალე ლაზ ოდეს ლაზს, ეჩქად ჩაუთვალე [ესღერდა], ეჩქანლო ჩაუთვალე ჩაუთვალე, ათხე კვშნაშე ესღერი - "წაიყვანა ისეთი (ეგ-გვარ) ადგილას, რამე ვიდრე ცხენის სავალი იყო, მანამდე ცხენით [მიდიოდა], მერე ჩამოხტა ცხენიდან და ახლა ფეხით მიდის."

ლნტ.: ამეჩედ ჯოდიან-ნანჯოდას-„წასულან ძალიან შორს“;

ლმზ.: ესწელალებ აჯალ ჟობა ხანს - „იარეს კიდე დიდხანს“.

სვლა ზმანასთან დაკავშირებულ გამონათქვამთაგან სვანურში ყველაზე ხშირია ადბინე (ლნტ. ასობინა) ლიზი - „დაიწყა“ („დაიწყა“) სვლა“. მათი სიჭარბით გამოირჩევა ბალსზემოური და ლენტეხური ზღაპარი.

ბალსზემოური ზღაპრის პუბლიკაციებში ერთადერთხელ დასტურდება კომპოზიტი ლიზი-ლიზედ („სვლა-წასვლა“), მაგრამ იგი ძველი სვანური ხალხური სიმღერების ტექსტებში ხშირად გვხვდება, სადაც ზმანა ყველა ობიექტური პირის ფორმითაა წარმოდგენილი; ბალსზემოური დიალექტში ფიქსირდება ადსყე ლიზი („გააკეთა სვლა“), თუმცა იშვიათად.

ტობონიმებიც თავისებურია სვანურ ზღაპრებში. ისინი წარმოდგენილია წყვილის სახით, რომელთაგან ერთი რეალური ადგილია, მეორე - მტკმელის ფანტაზიის ნაყოფი: ალილა-გალილა, ღურქენტი-თურქენტი, ასატლეთი-დასატლეთი, ალაგშ-თალაშ, ზოგჯერ კი ორივე მოგონილია - ონტუტა-ბონტუტა („საიქი“).

ბალსზემოური ზღაპრის თავისებურებაზე უნდა მიუთითებდეს გამონათქვამი: ანად ცხეკიშ ცხეკეთ, მინდურიშ მინდორთე, კოჯაშ კოჯთე („წავიდნენ ტყის ტყეში, მინდვრის მინდორში, კლდის კლდეში“). მსაზღვრელ-საზღვრული ერთი და იმავე ლექსებითაა გადმოცემული უფრო ძლიერი ექსპრესიულობის გამოსახატავად (უღრანი ტყე, შუაგული მინდორი, მიუვალი კლდე).

ზღაპარში ცა (კალკე სამყაროა, რომელსაც თავისი ბინადრები ჰყავს. სპეციფიკურია სვანური გამონათქვამი: მერენშიშ ი მენენში ნესგაქა - ღრუბლისა და ცის („მოწმენდილი“) შუა. არსებითი და ზედსართავი სახელები ნათესაობით ბრუნვანია წარმოდგენილი, მაგრამ ასილენტური შეერთების დროს მიცემით გვხვდება: მერა-მენგაქა ქაღდე - „ღრუბელ-მოწმენდილზე“ გაიყვანა.

ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირდება მენგე („მოწმენდილი“) და ღეც („ცა“):

მენგეშიშ ი ღეცე ნესგაქა - „მოწმენდილისა“ და ცის შუა“, ზეცა ორ პირიზონტალურ სივრცელ წარმოგვიდგება.

ლაშხური ზღაპრის პუბლიკაციებში მსგავსი გამონათქვამი ვერ დავადასტურეთ. თუმცა ფხ-ძირის შემცველი არაერთი ლექსი გვხვდება თავად დიალექტში: ლიმენგალ - ცის მოწმენდა, მენგე - მოწმენდილი...

სვანურში თავისებურადაა გადმოცემული ახალშობილის დახასიათება: ისგნეი ჟოქრ ლი ი ისგნეი ჟერცხლ - „წელსწევითი“ („შუისწევითი“) ოქროა და წელსწევითი („შუისწევითი“) ვერცხლი.“

მხოლოდ ბალსზემოურში დასტურდება "ვერცხლი" ლექსების მნიშვნელობით წყლიან ("სუფთა, წმინდა") სიტყვა.

ქართულისებურია გმირის ზრდის ამსახველი ფრაზეოლოგია. გამოყენებულია სწრაფი მატების აღმნიშვნელი საზომი ერთეულები: კამელ-მტკაველი, ირთხინ-ციდა, ცერმგაჩ-ცეროდენა, ჭითხ-წყრთა,...

ლეთმუ კამელს იცხემ (იცხმედა, ლემცხემნელი), ლადელმუ-ცერმგაჩს (ირთხინს, ჭითხს...) - ღამით მტკაველს იმატებს (იმატებდა, "ნამატება") დღისით-ცერისოდენას (ციდას, წყრთას...).

ზმნა-შემასმენელი გვხვდება აწმყოში, უწყვეტელსა ან თურმეობითში.

ლაშხურ ზღაპარში საინტერესოაა გადმოცემული სწრაფი ზრდის შედეგები:

ბობშ ლეთმუ ირთხინს ლემცხემინ ი ლადელმუ - კამელს ქალგათუმელი ყაზაყ - "ბავშვი ღამით ციდას იმატებდა თურმე ("ნამატება < ნა-სხ-ამა") და დღით - მტკაველს და გაზრდილა (<"გა-თავ-ებულ-ა) კაცად ("ყაზახად").

ზღრ. ლნტ.

ქა ლგათუმე ლუაქმარე ლოქ ლი - "დასრულებული ვაყავიაო."

მეტად ორიგინალურია ბალსზემოური გამონათქვამი ღვეის შეწყალების შესახებ.

ბნღურდ ტუიბისგა მუბუნწყულუთიდ ესერ ნოუ ანგიბ - "მთლად ღელეში მოხეტილედ ნუ მომსპობო".

ბქ:

თელიშ ი ცხეკიშ ლაშყამბუნალ ეშუ ქუინ ევლამ სგა ლამაცურ - "ველისა და ტყეში ("ველისა" და ტყის") სახეტილოდ ერთი სული მაინც შემარჩინე".

ერთი სულის პარალელურად იხმარება ცოტა სული:

მოლე ქუინ ხანგენახ - ცოტა სული ედგათ ("სდგმათ");

ლნტ. კუქოლ ქუინ ახაყენა - ცოტა სული მოჰყოლია.

მათ საპირისპიროდ გვხვდება თაუარ ქუინ ("მთავარი სული");

თაუარ ქუნარ ლოქ ათაჩედა - მთავარი სულები წამსვლიაო.

მომბილები გაყრისას ერთმანეთის უბედურების მაუწყებელ ნიშანს დათქვამენ ზოლმე. უმეტესად ესაა დასაბანი წყლის სისხლად ქცევა.

ბზ.: ლახ ესერ მიჩ ჩუ მა ათაყრნი, ეჩქა ზისხმუ ანგუთმლი შიყუთილ - ლაბრალყი - "თუ ("თუო") მე ("მას") რამე დამემართება ("დაემართება"), მაშინ სისხლით აგვესება ("ავესება") პეშვი დაბანისას".

ბალსზემოურ სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებულია გამონათქვამი ქაჯარ ანშიდ ("ქაჯები შემოიყარა"), რაც, ბუნებრივია, ხალხურ პრაქტიკაში პოვებს ასახვას. ეს გამონათქვამი გაბრაზებული ადამიანის მდგომარეობას გამოხატავს და სემანტიკურად უახლოვდება ბალსქვემოურ ზღაპარში გავრცელებულ ფრაზას ლგკლეთ ლანასხდ - გაბრაზდნენ ("წყალს ოდნავ შერჩინე").

ასევე თავისებურია ფრაზეოლოგიური გამონათქვამი ძეგლიშ ი პილიშ ნენსგა - "თავიდან ბოლომდე" ("ძეგლისა" და "ნაპირის შუა").

ფინალიც, ძირითადად, დალოცვითია, ზოგჯერ მეორდება ზღაპრის თავში დადასტურებული ფორმულები:

ბზ.: ლგმზერჲე ხი! ("დალოცვილიმც ხარ!"), ლნტ., ლშხ.: ჯამზერაზ ღერთემ! ("დაგლოცოთ ღმერთმა!")

ბალსჴემოურში მსგავსი ფორმულები არ გვაქვს, აქ დალოცვა, ჩვეულებრივ, ორი სახისაა:

1. ჴოდ ეჴარს ლეწედ' ერქალე ლზრიდ - "ვიდრე მათ ვნახავდეთ, მანამდე ვყოთ ("მანამდემცა ვართ");

2. ერგიშ ხოჩა ამერუ, ამგიშ ხოლა ერერუ - "იქაური კარგი აქ, აქაური ცუდი იქ."

ლამზურისგან განსხვავებით, ზემოსვანური და ლენტეხური ჯადოსნური ამბის ფინალურ ფორმულებში დასტურდება ორცნებიანი კომპოზიტი ლირდე-ლიზგე ("ყოფა-ცხოვრება"). ლენტეხურში იმავე კონტექსტში პარალელურად გვხვდება ლირდე-ლიცხე ("ყოფა-მატება < "სხ-მა"), რაც ერთდროულად გამრავლებასა და გამდიდრებას უნდა გამოხატავდეს.

მდიდრული ჴორწილის ატრიბუტად სვანურ ზღაპარშიც დასტურდება ნაპოლზ ლგჴე („ჩიტიწ" რჴე"), ბალსზემოურ დიალექტში მის პარალელურად გვხვდება მუწულა ლგჴე („კალიიწ" რჴე), თუმცა იშვითად, მეგრულში კი - ჩიტიშ ყვალი („ჩიტის ყველი").

მამასადამე, სვანურ ზღაპრებში დადასტურებული სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები განსხვავებულია სემანტიკურადაც და სტილისტურადაც, რაც ენობრივ ქსოვილს სპეციფიკურობას ანიჭებს. ძირითადად, დაცულია არქაული ვითარება (-ლუ - „მცა" ნაწილაკიანი კონსტრუქციები, ვითარებითი ბრუნვის გამოყენება მიცემითის ფუნქციით, კითხვითი ზმნისართისთვის მიმართებითობის შინაარსის ძველი ქართულისებური შენარჩუნება და ა.შ.).

მოუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენებზე ფიქსირებული ზღაპრები, სტაბილური ფრაზეოლოგიის გამოყენების თვალსაზრისით, სპეციფიკურობას ამჟღავნებენ, მაინც ფორმულათა უმეტესობა გარკვეული უნივერსალურობით ხასიათდება.

შემოკლებანი

1. არს. ონ. - არსენა ჯონძან, ლუშნუ ამბჯარ ლგლშუხუ შუმი
ნინშუ, МЯЯ, IX, Петроград, 1917.
2. ბზ. - ბალსზემოური დიალექტი
3. ბქ. - ბალსქვემოური დიალექტი
4. ზს. - ზემოსვანური
5. ქს. - ქვემოსვანური
6. ლშხ. - ლაშხური დიალექტი
7. ლნტ. - ლენტეხური დიალექტი
8. სვან. ენ. ქრესტ. - "სვანური ენის ქრესტომათია"
9. სვან. პროზ. ტ. - "სვანური პროზაული ტექსტები".

დამოწმებული ლიტერატურის სია

1. არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა და კომენტარები ს. დანელიასი, თბილისი, 1944;
2. აქარის ზეპირსიტყვიერება (ჩაწერა, დაამუშავა, შესავალი წერილი, შენიშვნები და ცალკეულ სიტყვათა განმარტება დაურთო ნ. ნოლაიდელმა), ბათუმი, 1959;
3. ე. ბაბუნაშვილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1957;
4. ჯ. ბარდაველიძე, ინდივიდუალური ხასიათის პრობლემა ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, III, თბილისი, 1969;
5. კ. გაგუა, დრონაკლი ზმნები სვანურში, თბილისი, 1976;
6. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
7. ე. ვირსალაძე, რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1949;
8. ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961;
9. ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V (3), თბილისი, 1944;
10. ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი, 1967;
11. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957;
12. ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი, 1990;
13. ლ. კოტაშვილი, ბერნარდოსეული კოლექციის ზღაპრები XVII ს., თბილისი, 1980;
14. გ. მაჭავარიანი, მეშველი ზმნის აგებულებისათვის სვანურში, მიმომხილველი, 6-9, თბილისი, 1972;
15. ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978;
16. ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998;

17. ო. ონიანი, ხე-მცენარეთა პერსონიფიკაციის საკითხი სვანურ ჯაღოსნურ ზღაპრებში, ქართული ფოლკლორი, III, თბილისი, 1969;
18. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1993;
19. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949;
20. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979;
21. სვანური პოეზია, ტ. I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, მერი გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939;
22. სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, თბილისი, 1939;
23. სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს აკაკი დავითიანმა, მაქსიმე ქალდანმა და ვარლამ თოფურიამ, თბილისი, 1957;
24. სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუყეთეს ვარლამ თოფურიამ და მაქსიმე ქალდანმა, თბილისი, 1967;
25. სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არსენა ონიანმა, მაქსიმე ქალდანმა და ალექსანდრე ონიანმა, თბილისი, 1979;
26. სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს აკაკი შანიძემ, მაქსიმე ქალდანმა და ზურაბ ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978;
27. ფსალმუნნი, ლოცვანი, თბილისი, 2000;
28. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, I, ქუთაისი, 1913;
29. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954;
30. ო. ჭვრივიშვილი, ქართული ზღაპრების ხატოვანი მეტყველება, თბილისი, 2003;
31. ქ. სიხარულიძე, ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი, 1976;

32. თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბილისი, 2002;
33. თ. ქურდოვანიძე, ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპრები, თბილისი, 1983;
34. ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველის საკითხები, თბილისი, 1989;
35. ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბილისი, 1966;
36. ალ. ლლონტი, ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1974;
37. ალ. ლლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1975;
38. თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, თბილისი, 1935;
39. ი. ჩანტლაძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმათა მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებში, უნივერსიტეტ "გეორგიას" ქართული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა II სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1993;
40. ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998;
41. ა. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №6, თბილისი, 1942;
42. ა. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკის მოამბე, I, თბილისი, 1937;
43. მ. ჩიქოვანი, მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, მრავალთავი, I, თბილისი, 1964;
44. ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით), თბილისი, 1990;
45. შ. ძიძიგური, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მასალები, ქართული ფოლკლორი, III, თბილისი, 1969;
46. წმინდა იოანე კრონშტადტელი, ჩემი ცხოვრება ქრისტეში, თბილისი, 2003;
47. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1953;
48. ე. ქითაშვილი, ზღაპრის ენობრივი ფორმულები მეგრულ-ლაზურში, თბილისი, 2000 (ხელნაწერი);
49. ვ. ჭავჭავაძე, უცნობი, თბილისი, 1991;
50. Аникин В., Русская народная сказка, Москва, 1984;

51. Веселовский А., Поэтика сюжетов (введение), Историческая поэтика, Москва, 1989;
52. Волков Р., Сказка, т. I, Одесса, 1924;
53. Гринцер П., Эпические формулы в "Махабхарате" и "Рамаяне", Типологические исследования по фольклору, Москва, 1975;
54. Дульзон А., О лингвистической ценности языка сказки, Вопросы фольклора, Томск, 1965;
55. Мелетинский Е., Герой волшебной сказки, Москва, 1958;
56. Померанцева Е., О русском фольклоре, Москва, 1977;
57. Померанцева Е., Русская устная проза, Москва, 1985;
58. Пропп Вл., Морфология сказки, Москва, 1969;
59. Пропп Вл., Русская сказка, Ленинград, 1984;
60. Путилов В., Мотив как сюжетобразующий элемент, Типологические исследования по фольклору, Москва, 1975;
61. Русская сказка, Избранные мастера, т. I, редакция и комментарии М. Азадовского, Ленинград, 1932;
62. Чарая П., Об отношении Абхазского языка к яфетическим, Материалы по яфетическому языкознанию, т. IV, Санкт-Петербург;
63. Чистов К., Специфика фольклора в свете теории информации; Типологические исследования по фольклору, Москва, 1975;
64. Цивьян Т., К семиотике пространственных элементов в волшебной сказке (на материале албанской сказки), Типологические исследования по фольклору, Москва, 1975.

სარჩევი

შესავალი.....	3
თავი I ბალსზემოური კილო.....	21
§1. ინიციალური გამონათქვამები	21
§2. მედიალური გამონათქვამები	30
§3. ფინალური გამონათქვამები.....	47
თავი II ბალსკვემოური კილო.....	55
§1. ინიციალური გამონათქვამები	55
§2. მედიალური გამონათქვამები	62
§3. ფინალური გამონათქვამები.....	101
თავი III ლაშხური კილო.....	105
§1. ინიციალური გამონათქვამები	105
§2. მედიალური გამონათქვამები	108
§3. ფინალური გამონათქვამები.....	119
თავი IV ლენტეხური კილო.....	121
§1. ინიციალური გამონათქვამები	121
§2. მედიალური გამონათქვამები	124
§3. ფინალური გამონათქვამები.....	137
ძირითადი დასკვნები.....	142
შემოკლებანი	147
დამოწმებული ლიტერატურის სია.....	148